

ԼՅՈՒՏ ԵՎ ԿՈՎՈՒՆՈՒ ՄԵՆԵ ԶԱԿՆԱԳՅՈՒՇՈՒՄ

**ԿՈՆՅՈՒՆԿՆԵՐ
ՆՈՒՆԵՐ**

დავით ნარმანია, ნინო ფარესაშვილი

რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში

სახელმძღვანელო



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

წინამდებარე სახელმძღვანელო – „რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში“ მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრაზე.

ავტორები:

- **დავით ნარმანია** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი.
- **ნინო ფარესაშვილი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

სახელმძღვანელოში მოცემულია ბიზნეს-რისკების თეორიული საფუძვლები, ბიზნესის თავისებურებანი განუსაზღვრელობის პირობებში, რისკის ანალიზის და მისი მართვის ეფექტიანი ფორმები.

სახელმძღვანელო პირველ რიგში განკუთვნილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა სასწავლებლების სტუდენტებისთვის, ასევე ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა ნებისმიერი პირისთვის.

რედაქტორი: *ეკა ჩოხელი – თბუ-ს ასოც. პროფესორი*

რეცენზენტები: **ნოდარ ცანავა** – ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი.

მარინა ავალიშვილი-დე ბური – ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი.

© 2012, ყველა უფლება დაცულია.

© 2012, დავით ნარმანია, ნინო ფარესაშვილი.

გამომცემლობა „**UNIVERSAL**“, 2012

თბილისი, 0179, ი. შავსავაძის რაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-699-9

შინაარსი

აბრევიატურები	5
ტერმინოლოგია	6
ნახაზები და ცხრილები.....	7
თავი I. რისკი ფირმის საქმიანობაში	10
1.1. სამენარმეო საქმიანობის თავისებურებანი განუსაზღვრელობის პირობებში	10
1.2. რისკი, როგორც განუსაზღვრელობის გამოვლენის ფორმა	19
1.3. რისკების კლასიფიკაცია	42
1.4. სამენარმეო რისკ-მანეჯმენტის მოკლე ისტორია	74
თავი II. რისკის ანალიზი ფირმის საქმიანობაში.....	76
2.1. სისტემური მიდგომა რისკების ანალიზისადმი ფირმის საქმიანობაში	76
2.2. რისკის შეფასების სტატისტიკური მეთოდები..	92
2.3. რისკის შეფასების საექსპერტო მეთოდები	97
2.4. ფირმის ტექნიკური რისკების ანალიზი	106
2.5. საინვესტიციო რისკების ანალიზი	114
თავი III. ფირმის რისკების მართვა	133
3.1. რისკების მართვის არსი და პრინციპები	133
3.2. რისკების მართვის ძირითადი მეთოდები	156
3.3. ფირმის რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება	183
3.4. რისკ-მენეჯმენტი, როგორც კომპანიის კულტურის ცვლილება	195
3.5. პროექტების რისკების მართვა.....	198

თავი IV. რისკ-მენეჯმენტის საზღვარგარეთული	
გამოცდილება	203
4.1. რისკების მართვის ზოგადი გამოცდილება	203
4.2. რისკების მართვის თავისებურებები საბანკო სექტორში	206
4.3. რისკების მართვის თავისებურებები აგრარულ სექტორში	219
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	232

CEO	- Chief Executive Officer
COSO	- Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission
CRO	- Chief Risk Officer
ERM	- Entrepreneurship Risk Management
FIRM	- Financial, Infrastructure, Reputational, Marketplace
FRM	- Financial Risk Management
KRIs	- Key Risk Indicators
VAR	- Value-At-Risk
PESTLE	- Political, Economic, Sociological, Technological, Legal, Environmental
RM	- Risk Management
RMIS	- Risk Management Information System
SCORE	- System-Centric Oversight and Risk Evaluation

Chief Risk Officer	- რისკების მთავარი ოფიცერი (რისკების უფროსი მმართველი)
Diversification	- დივერსიფიკაცია
Entrepreneurship Risk Management	- სამენარშეო რისკების მართვა
Enterprise Risk Management	- სანარშოთა რისკების მართვა
Financial Risk Management	- ფინანური რისკების მართვა
Hazard Risks	- სახიფათო რისკები
Loss control	- ზარალის კონტროლი
Market Risks	- საბაზრო რისკები
Risk attitude	- რისკისადმი დამოკიდებულება
Risk avoidance	- რისკის თავიდან აცილება
Risk assessment	- რისკის შეფასება (1), -მდე (პრე-)
Risk appetite	- რისკისადმი მიდრეკილება
Risk description	- რისკების აღწერა
Risk estimation	- რისკების დათვლა
Risk evaluation (post-)	- რისკების შეფასება (2), -შემდეგი
Risk identification	- რისკების იდენტიფიცირება
Risk improvement	- რისკის სრულყოფა
Risk reassign	- რისკის გადანაწილება
Risk retention	- რისკის საკუთარ თავზე აღება
Risk tolerance	- რისკისადმი ტოლერანტობა
Risk transfer	- რისკის გადაცემა
Risk treatment	- რისკის განკურნება/ გაუვნებელყოფა
Value-At-Risk	- ღირებულების რისკი
Uncertainty	- განუსაზღვრელობა
Strategic Risk Management	- სტრატეგიული რისკების მართვა

ნახაზები

- 1.1. რისკის განვითარების სტადიები
 - 1.2. განუსაზღვრელობის სქემა
 - 1.3. მოვლენის ალბათობა და გავლენის მნიშვნელობა
 - 1.4. რისკის კატეგორიის ძირითადი მახასიათებლები
 - 1.5. საინვესტიციო საქმიანობის რისკებისა და საინვესტიციო რისკების თანაფარდობა
 - 1.6. საინვესტიციო საქმიანობის რისკების სქემა
 - 1.7. საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაცია
-
- 2.1. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ეკონომიკური ანალიზის სტრუქტურა და შინაარსი
 - 2.2. ექსპერტული შეფასების მეთოდების სტრუქტურა
-
- 3.1. ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი განუსაზღვრელობის პირობებში
 - 3.2. რისკების მართვის ჩარჩოს კომპონენტები
 - 3.3. რისკზე ზემოქმედების მეთოდის ძირითადი ჯგუფები
 - 3.4. რისკების მართვის პროცესი
 - 3.5. რისკების მართვის 7Rs და 4Ts მოდელები
 - 3.6. რისკ-მენეჯერის სამსახური ფუნქციონალური ორგანიზაციის დროს
 - 3.7. საინვესტიციო საქმიანობის რისკ-მენეჯმენტის დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა
 - 3.8. რისკ-მენეჯმენტის სამსახური ადაპტირებულ საორგანიზაციო სტრუქტურაში
 - 3.9. რისკ-მენეჯმენტის მცირე სამსახურის სტრუქტურა
 - 3.10. რისკ-მენეჯმენტის ბანკის Chase მმართველობითი სქემა
 - 3.11. პროექტის სასიცოცხლო ციკლი
 - 3.12. რისკი VS განუსაზღვრელობა პროექტებში
-
- 4.1. BS 31100-ის სამენარმეო რისკების მართვის ჩარჩო

- 4.2. რისკების მართვის პროცესი ISO 3100-ის მიხედვით
- 4.3. რისკების მართვის სტრატეგიის და პოლიტიკის ოპტიმალური სტრუქტურა

ცხრილები

- 1.1. რისკის დეფინიცია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ
- 1.2. რისკების სახეობათა კლასიფიკაცია ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით
- 1.3. FIRM რისკების შედეგების ცხრილი
- 1.4. რისკების PESTLE კლასიფიკაცია
- 1.5. რისკების სახეები საინვესტიციო პროცესის სტადიების მიხედვით
- 1.6. ფინანსურ აქტივებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია

- 2.1. რისკის შეფასების ტექნიკა
- 2.2. რისკების შეფასების ტექნიკის უპირატესობები და ნაკლოვანებები
- 2.3. რისკის დონის ემპირიული სკალა
- 2.4. რისკების შეფასების რეზულტატები
- 2.5. ფინანსური შეფასების ფორმები და შეფასებები
- 2.6. ინვესტიციური საქმიანობის რისკების შეფასების მატრიცა
- 2.7. საინვესტიციო საქმიანობის ინტეგრალურ რისკზე რეაგირების მატრიცა

- 3.1. რისკების მართვის პრინციპები
- 3.2. რისკების მართვის კლასიფიკაციის მეთოდები
- 3.3. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის ფაქტორების გათვალისწინებით
- 3.4. პასუხისმგებლობის განაწილების ხაზობრივი რუქა რისკ-მენეჯმენტის მიხედვით
- 3.5. რისკ-მენეჯმენტის მატრიცა

- 3.6. რისკ-მენეჯმენტის LKPO მატრიცა
- 3.7. ძველი და ახალი პარადიგმების ძირითადი ნიშნები
- 3.8. საპროცესო ფუნქციონალური და საორგანიზაციო-სტრუქტურული მიდგომების შერწყმა საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემის აგებისას
- 3.9. რისკების დონის შესახებ ინფორმირების სისტემის დანერგვის მეთოდები

თავი I. რისკი ზირმის საქმიანობაში

„ყველა კვერცხს ერთ კალათაში ნუ ჩადებთ“
(Don't put your eggs in one basket),
ცნობილი ამერიკული გამოთქმა.

1.1. სამეწარმეო საქმიანობის თავისებურებანი განუსაზღვრელობის პირობებში

ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონის მიხედვით, რისკი არის შესაძლებლობის დაკარგვა, ზიანი ან სხვა არასასურველი გარემოება, შანსი ან სიტუაცია, რომელიც მოიცავს ასეთ შესაძლებლობას. რისკი ხასიათდება სამი ძირითადი მდგომარეობით: რალაცის არ მიღება; მიზნის მიუღწევლობა; რალაცის დაკარგვის საშიშროება.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით რისკი ბერძნული სიტყვიდან **Rixikon** მოდის და ნიშნავს ციცაბო კლდეს, ზოგიერთის აზრით კი ის პორტუგალიურ-ესპანური წარმოშობისაა და ნყალქვემა კლდეს ნიშნავს.

რისკი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი მოვლენაა და მასში მიმდინარე პროცესების ბუნებით არის განპირობებული. რისკი იყოფა აუცილებელ (კანონზომიერ), შემთხვევით და განუსაზღვრელ მოვლენებად. აქედან აუცილებელი მოვლენები არ არის დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვან რისკთან, შემთხვევითი პროცესები კი კარგად შესწავლილ ალბათურ და სტატისტიკურ კანონზომიერებებს ემორჩილებიან და მათი პროგნოზირება ამა თუ იმ ზომით შესაძლებელია, ხოლო განუსაზღვრელ მოვლენებს კი რაიმე კანონზომიერება არ გააჩნიათ და მათი წინასწარ გათვალისწინება პრაქტიკულად შეუძლებელია (კერძოდ: ხანძარი, მიწისძვრა და სხვა.) და რისკების მართვის განსაკუთრებულ მეთოდებს და ფორმებს მოითხოვენ.


ყველაზე მარტივი წარმოდგენით, რისკი არის:

- მომავლის განუსაზღვრელობა;
- ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი;
- მიზნების გაურკვეველობის შედეგი.

მეცნიერმა ფ. ნაიტმა მოდელირებადი სარისკო სიტუაციის შემთხვევითი სიდიდის განაწილების დროს ტერმინ „რისკის“ ნაცვლად შემოგვთავაზა „გაზომვადი განუსაზღვრელობის“ ან „ალბათობითი განსაზღვრულობის“ გამოყენება. მისი აზრით, სიტყვის „განუსაზღვრელობის“ გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც დასასრული განსაზღვრული არ არის, ალბათობის განაწილება უცნობია, ე. ი. ადგილი აქვს „არაგაზომვად განუსაზღვრელობას“.

განუსაზღვრელობის წყაროები არ შეიძლება იგნორირებულ იქნას, მაგრამ ცნებები „რისკი“ და „განუსაზღვრელობა“ აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ. „რისკი“, როგორც ტერმინი, გამოიყენება განსაზღვრულობის უკმარისობის აღნიშვნისათვის განუსაზღვრელობის იდენტიფიკაციისას, მაშინ როდესაც „განუსაზღვრელობა“ განიხილება როგორც რაიმენაირი განსაზღვრულობის არარსებობა მოსალოდნელ საფრთხეებთან მიმართებით.

საილუსტრაციოდ ნახაზზე 1.1. წარმოდგენილია რისკის განვითარების სტადიები.



ნახ. 1.1. რისკის განვითარების სტადიები

რისკის პირველ სტადიაზე ჩნდება სარისკო სიტუაცია; სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია შემდგომი მოქმედებების დაგეგმვა და ანალიზი. ამ ეტაპზე იბადება იდეის ფასეულობისა და აზრის პერსპექტივის რისკი. სწორედ ამ ეტაპზეა აუცილებელი პასუხის გაცემა კითხვაზე რამდენად მიზანშეწონილია იდეის რეალიზაცია. მოცემული სტადია ყვე-

ლაზე მნიშვნელოვანია რისკის მართვის პროცესში, რამდენადაც აქ განისაზღვრება რისკის ხარისხის მოსალოდნელი დონე.

რისკის მეორე სტადია – ეს არის ფაქტობრივად რისკის მართვის პრაქტიკული სტადია, სადაც კოორდინირებას უწევენ და აკონტროლებენ რისკის მიმდინარე ხარისხს. მოცემული სტადია ძირითადია იდეებისა და მოქმედებების ხორცშესხმისას. აქ პრაქტიკულად ხორციელდება ის, რაც პირველ სტადიაზეა ჩაფიქრებული.

რისკის მესამე სტადია – შედეგი, რომელიც მიიღება წინა ორ ეტაპზე მოქმედებების შედეგად. ამ ეტაპზე რისკი წყვეტს თავის არსებობას. იმავდროულად კეთდება მთელი სიტუაციის ანალიზი მომავალში მსგავსი სარისკო სიტუაციების დაგეგმვისა და მათი მართვის მეთოდების სრულყოფისათვის. სასურველი შედეგის, მაგალითად, რისკის ხარისხის გასაუმჯობესებლად უნდა გავითვალისწინოთ რისკის სასიცოცხლო ციკლი.

ეს სტადიები ქმნიან რისკის სრულ ციკლს. მისი შედეგი კი იძლევა რისკის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას. ეს ხარისხი დადებითია რისკის დადებითი შედეგის დროს და უარყოფითია საპირისპირო სიტუაციის დროს. რისკის ხარისხი – ეს არის სარისკო სიტუაციის მოსალოდნელი შედეგი.

მოვლენების მოხდენის ალბათობის თვალსაზრისით, ისინი იყოფა სამ ქვესახეობად: სრული განუსაზღვრელობა, სრული განსაზღვრელობა, ნაწილობრივი განუსაზღვრელობა.

ნაწილობრივი განუსაზღვრელობის არეალში განიხილება საინვესტიციო საქმიანობის რისკები, იმდენად რამდენადაც სრული განუსაზღვრელობა, არაპროგნოზირებადობის გამო, არ იძლევა რისკების გამოყოფის საშუალებას. სრული განსაზღვრელობა გამოირიცხავს რისკის შემთხვევითობას გარდაუვალი მოვლენების გამო. ამრიგად, რისკი არის ნაწილობრივი განუსაზღვრელობის გამოვლენის ფორმა.

წარმოშობის ფაქტორების მიხედვით განუსაზღვრელობა იყოფა: ეკონომიკურ (კომერციულ), პოლიტიკურ, სოციალურ და მათ შუალედურ მოდიფიკაციებად. ეკონომიკური განუსაზღვრელობა განპირობებულია სანარმოს ეკონომიკის ან ქვეყნის ეკონომიკის არახელსაყრელი ცვლილებებით. მათ განეკუთვნება: საბაზრო მოთხოვნილების განუსაზღვრელობა, საბაზრო ფასების სუსტი პროგნოზირება, კონკურენტების ქმედებების შესახებ ინფორმაციის უკმარისობა და ა.შ. პოლიტიკური განუსაზღვრელობა განპირობებულია სამენარმეო საქმიანობაზე მოქმედი პოლიტიკური გარემოს ცვლილებით. სოციალური განუსაზღვრელობა გამოწვეულია დემოგრაფიული სიტუაციების, მოსახლეობის პრიორიტეტების და მორალური განწყობის ცვლილებებით. განუსაზღვრელობის ეს სახეობები ურთიერთდაკავშირებულია და პრაქტიკაში ხშირად ძალიან ძნელია მათი ერთმანეთისგან გამორჩევა.

ცალკე გამოიყოფა ბუნებრივი განუსაზღვრელობა, როგორც კლიმატური და სხვა ბუნებრივ ფაქტორებზე დამოკიდებული მოვლენა.

განუსაზღვრელობის კიდევ ერთი სახეა გარემოს განუსაზღვრელობა. სამენარმეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის დროს შემოდის შიდა და გარე გარემოს ცნებები. შიდა გარემო მოიცავს თვით მენარმის საქმიანობით და მისი კონტაქტებით განპირობებულ ფაქტორებს. გარე გარემო წარმოდგენილია ფაქტორებით, რომლებიც მენარმის საქმიანობასთან უშუალოდ არ არის დამოკიდებული და უფრო ფართო სოციალური, დემოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა ხასიათის ასპექტები გააჩნია.


განუსაზღვრელობის განსაკუთრებულ სახედ წარმოჩინდება კონფლიქტურ სიტუაციებში მონაწილე პირთა სტრატეგია და ტაქტიკა, კონკურენტების ქმედებები, ოლიგოპოლისტების ფასისმიერი პოლიტიკა და ა. შ.

განუსაზღვრელობის არსებობა ართულებს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას და შეიძლება ფრიად არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს. არაკონტროლირებადი

ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ხშირად ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის დანაკარგების სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს.

ამდენად განუსაზღვრელობის – გამოყოფა და შესწავლა ეკონომიკური, კომერციული, მმართველობითი, ფინანსური და სხვა სახის საქმიანობის პროცესებში, გამოყენების თვალსაზრისით, აუცილებელია. იგი ასახავს პრაქტიკულ სიტუაციას, როდესაც არ არის საქმიანობის ჩამოთვლილი სახეობების განხორციელების საშუალება ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იყოს განსაზღვრული. განუსაზღვრელობის პირობები საინვესტიციო საქმიანობების განხორციელებისას განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკური სისტემები თავისი ფუნქციონირების პროცესში დამოკიდებულია მთელ რიგ მიზეზებზე, რომელთა სისტემატიზირებაც შესაძლებელია განუსაზღვრელობის სქემის სახით (იხ. ნახ. 1.2.).

ნახ. 1.2. განუსაზღვრელობის სქემა



წარმოდგენილ სქემაზე განუსაზღვრელობის სახეები განაწილებული არ არის შიდა და გარე გარემოს განუსაზღვრელობაზე და ობიექტური და სუბიექტური ბუნების განუსაზღვრელობაზე. ეს არ იძლევა საშუალებას გამოვყოთ სხვადასხვა სახეების განუსაზღვრელობის მართვადი და არამართვადი ფაქტორები და მიზეზები საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტისათვის, რამდენადაც განუსაზღვრელობის არამართვადი ფაქტორების და მიზეზების უმრავლესობა გარე გარემოსთან და მისი ცვლილებების ობიექტურ პროცესებთან და-

კავშირებული არ არის. შედეგად, მართვადობის ზღვარის გავლება შეუძლებელია.

წარმოშობის დროის მიხედვით განუსაზღვრელობები იყოფა რეტროსპექტიულ, მიმდინარე და პერსპექტიულ განუსაზღვრელობებად. მისაღებ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას დროის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ეფექტი და დანახარჯები შეიძლება განაწილებული იყოს დროში. თანაბარი სიდიდის, დროში სხვადასხვაგვარად განაწილებული დანახარჯები უზრუნველყოფს ამა თუ იმ სახეობის (ეკონომიკური, სოციალური და სხვა) არაერთგვაროვან სასარგებლო შედეგს.

სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ:


1. განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური კანონმდებლობის და მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობასთან, ინვესტირებისა და მოგების გამოყენების პირობებთან;
2. განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ეკონომიკურ კავშირებთან (შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობა ვაჭრობასა და მიწოდებაზე, საზღვრების დაკეტვაზე და ა. შ.);
3. პოლიტიკური სიტუაციის განუსაზღვრელობა, ქვეყანასა და რეგიონში არახელსაყრელი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შესაძლებლობა;
4. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების პარამეტრების შესახებ არასრული და არაზუსტი ინფორმაცია;
5. საბაზრო კონიუნქტურის, ფასების, სავალუტო კურსების მერყეობა;
6. ბუნებრივ-კლიმატური პირობების განუსაზღვრელობა, სტიქიური უბედურებების შესაძლებლობა;
7. საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა (ავარიები და მოწყობი-

ლობების მწყობრიდან გამოსვლა, სანარმოო წუნი და ა.შ.);

8. მონაწილეთა მიზნების, ინტერესების და ქცევის განუსაზღვრელობა;
9. მონაწილე სანარმოთა ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი რეპუტაციის შესახებ (გადასახადების გადაუხდელობის, გაკოტრების, სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩაშლის შესაძლებლობა) არასრული და არაზუსტი ინფორმაცია.

როდესაც რაიმე არასასურველ მოვლენაზე ვსაუბრობთ, მას აუცილებლად აქვს უარყოფითი გავლენა ორგანიზაციაზე. ასევე, არასასურველი მოვლენები გარკვეული ალბათობით ხდება. ქვემოთ მოცემული ნახაზი გვიჩვენებს მოვლენის ალბათობასა და მის ორგანიზაციაზე გავლენას შორის დამოკიდებულებას (იხ. ნახ. 1.3).

ნახ. 1.3. მოვლენის ალბათობა და გავლენის მნიშვნელობა



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 18.

წარმოდგენილი სქემის მიხედვით, კომპანიისთვის ყველაზე სასურველია ისეთი მდგომარეობა, სადაც არასასურველი მოვლენის ალბათობა დაბალია და ასევე დაბალია მისი მოხდენის შემთხვევაში უარყოფითი ზეგავლენა.

განუსაზღვრელობების ზრდა – მსოფლიო ტენდენციაა, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესისა და გამოყენებული ტექნოლოგიური სისტემების გართულებასთან. ამ ცვლილებების მთავარი მიზეზებია: ფასების არამდგრადობა, ბაზრების გლობალიზაცია, კონკურენციის გაძლიერება, საგადასახადო მანევრირების სიხშირე, საინფორმაციო ნაკადებისა და მონაცემთა ბაზის სიდიდისა და ხელმისაწვდომობის ზრდა, ტექნიკური სისტემების გართულება ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში, სოციალური დაძაბულობის ზრდა სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის განსხვავებულობის ზრდასთან დაკავშირებით. ეს მიზეზები განუსაზღვრელობაზე ორგვარად მოქმედებს:

- 1) ზრდის განუსაზღვრელობას;
- 2) ქმნის რისკების, როგორც განუსაზღვრელობის გამოვლენის ფორმის, მართვის ახალ შესაძლებლობებს.

განუსაზღვრელობის პირობებში სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვას ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის განვითარებული საფინანსო ინფრასტრუქტურა. ამ სფეროს დაჩქარებული განვითარებისათვის საჭიროა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა დიდი რაოდენობა, საზოგადოების ნდობა ფინანსური ბაზრის მიმართ, კონტროლის მძლავრი და საიმედო საშუალებების არსებობა.

ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა ოდენობაც მსოფლიოს საფონდო ბაზრებზე XX საუკუნის უკანასკნელ ნახევარში სწრაფად იზრდებოდა (მხოლოდ ფასიანი ქაღალდების სახეებმა 300-ს მიაღწია), შეუძლიათ არა მარტო საინვესტიციო საქმიანობის მართვის ხელშეწყობა განუსაზღვრელობის პირობებში, არამედ ხშირად თავადაც ხდებიან განუსაზღვრელობის წყარო.

განუსაზღვრელობის მაღალ დონეს თანამედროვე ეკონომიკაში ორ მთავარ შედეგამდე მივყავართ – საქმიანი ადამიანების და ორგანიზაციების არაადეკვატურ რისკიანობამდე და არაადეკვატურ სიფრთხილემდე (საინვესტიციო საქმიანობაში), რაც მათი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. რისკები იზრდება, როდესაც ძლიერდება განუსაზღვრელობა და არასტაბილურობა, ტარდება სწრაფი რეფორმები ან სპონტანური ცვლილებები ეკონომიკაში. განუსაზღვრელობის ზრდის ფენომენი ტრანსფორმირებად ეკონომიკაში საკმარისად არ არის გამოკვლეული. საქმე ისაა, რომ ეკონომიკური რეფორმები ასეთი ეკონომიკის ქვეყნებში უფრო ორგანულად, თანმიმდევრულად და ტექნიკური პროგრესის შედარებით დაბალ დონეზე მიმდინარეობდა. ამ რეფორმების დროს მეცნიერული ცოდნა ეკონომიკური რისკების შესახებ სუსტად იყო განვითარებული, ხოლო როცა მისი ტემპი საგრძნობლად დაჩქარდა, ტრანსფორმაციის ეპოქა უკვე სრულდებოდა. შესაბამისად, მკვლევარებსა და ბიზნესის პრაქტიკოსებს უფრო მეტად აინტერესებდათ არა გარდამავალი პერიოდის სპეციფიკა, არამედ რისკების მართვის კონსტრუქციული ინსტრუმენტი ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკაში. ეკონომიკური რისკის შეფასების, იდენტიფიკაციის და უკუქმედების არაადეკვატურობის რეალისტური კონცეფციის შემუშავება შეუძლებელია ეკონომიკური რისკიანობის არსისა და მიზეზების ღრმა შესწავლის გარეშე.

ტრანსფორმირებადი ეკონომიკების პირობებში განუსაზღვრელობის დონე არსებითად უფრო მაღალია, ვიდრე სტაბილურ და ტრადიციულ ეკონომიკაში. მაღალი განუსაზღვრელობის პირობებში:

1. მოკლეა საინვესტიციო ჰორიზონტი;
2. მეტი შესაძლებლობაა სხვადასხვა კანონდარღვევებისათვის როგორც ფირმის ინტერესების სასარგებლოდ, ასევე მის წინააღმდეგ;
3. სპეციალისტების ნაკლებობაა განუსაზღვრელობის მაღალ დონეზე სამუშაოდ;

4. დაბალია საინვესტიციო აქტიურობა;
5. პრაქტიკულად მაღალია ბაზარზე შესაღწევი ბარიერები;
6. ძლიერია კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ;

საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას განუსაზღვრელობის ზრდის მიზეზებია: საინვესტიციო კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მყარი ინფლაციური მოლოდინი; რეფინანსირების განაკვეთების მუდმივი ცვალებადობა; ფულადი სახსრების დეფიციტი; სუსტი რესურსული ბაზა და ორგანიზაციის დაბალი კაპიტალიზაცია; პირველი კლასის მსესხებლების მცირერიცხოვნობა; საინვესტიციო პროექტების დაბალი ხარისხი.

1.2. რისკი, როგორც განუსაზღვრელობის გამოვლენის ფორმა

საინვესტიციო საქმიანობის არასასურველი შედეგების ფარგლებში აუცილებელია განვასხვავოთ რისკი განუსაზღვრელობისგან. რისკი არის ცნობილი, როგორც განსაზღვრული მოსალოდნელი საფრთხე.

არასასურველი მოვლენის მოხდენის ან არმოხდენის რისკი შეგვიძლია შემდეგი ფორმულით გამოვთვალოთ:

რისკი = (შემთხვევის მოხდენის ალბათობა) X (შემთხვევის მოხდენისას მოსალოდნელი დანაკარგი)

მაგალიათი: თუ კომპანიის საქმიანობის თანახმად, შემთხვევის ალბათობა არის 0.01 და შემთხვევის დანაკარგი – 1000, მთლიანი დაკარგვის რისკი არის 10.

თანამედროვე კომპანიებში ბევრი არასასურველი მოვლენა ხდება. სხვადასხვა არასასურველი მოვლენის ყველა რისკი:

რისკი = \sum [(შემთხვევის მოხდენის ალბათობა) X (შემთხვევის მოხდენისას მოსალოდნელი დანაკარგი)]

მაგალითი: თუ კომპანიის საქმიანობის თანახმად, შემთხვევის ალბათობა არის 0.01 და შემთხვევის დანაკარგი – 1000, ხოლო შემთხვევის ალბათობა არის 0.004 და შემთხვევის დანაკარგი – 2500, მთლიანი დაკარგვის რისკი არის 20.

რისკი, ბუნებრივია, მჭიდროდ არის დაკავშირებული საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის მენეჯმენტთან, მის ყველა ფუნქციასთან (დაგეგმვასთან, ორგანიზაციასთან, ოპერატიულ მართვასთან, პერსონალის გამოყენებასთან, ეკონომიკურ კონტროლთან). თითოეული მათგანი კი თავის მხრივ რისკის ამა თუ იმ ზომასთან და მოითხოვს მასზე მორგებულ მართვის სისტემას. სხვა სიტყვებით აუცილებელია რისკის განსაკუთრებული მენეჯმენტიც, მართვის სპეციფიკური სისტემა (ქვესისტემა), რომელიც ეფუძნება რისკის ეკონომიკური არსის შეცნობას, სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციას.

მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია რისკის კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიები. სამენარმეო მოგების კვლევისას ჯ. მილი და ი.უ. სენიორი სამენარმეო შემოსავლის სტრუქტურაში განასხვავებდნენ პროცენტს (როგორც ჩადებული კაპიტალის წილს), მენარმის ხელფასს და რისკის საზღაურს (როგორც სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკის ანაზღაურებას). კლასიკურ თეორიაში სამენარმეო რისკი გაიგივებულია შერჩეული გადაწყვეტილების შედეგად დანაკარგების ალბათობასთან. რისკი აქ სხვა არაფერია, თუ არა მოცემული გადაწყვეტილებით მიყენებული ზარალი. ეს განსაზღვრა „ავინროვებს“ საინვესტიციო საქმიანობის რისკის ცნებას სამენარმეო შემოსავლების სტრუქტურაში შესაძლო ზარალის ასანაზღაურებლად განსაზღვრულ პროცენტამდე. უფრო მეტიც, იძლევა რისკის არსის, როგორც მოსალოდნელი დანაკარგების ცალმხრივ განმარტებას. ამ უკანასკნელმა საზღვარგარეთელ ეკონომისტთა ნაწილში კამათი და სამენარმეო რისკის შინაარსის სხვაგვარი გაგების ინტერპრეტაცია გამოიწვია.

XX საუკუნის 30-იან წლებში ა. მარშალმა და ა. პიგუმ შემოუშავეს სამეწარმეო რისკის ნეოკლასიკური თეორიის საფუძვლები. განუსაზღვრელობის პირობებში მომუშავე მწარმე, რომლის მოგებაც შემთხვევითი ცვლადია, გარიგების დადებისას ორი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს: 1) მოსალოდნელი მოგების სიდიდით; 2) მისი შესაძლო ცვლილებების დიპაზონით. მწარმის ქცევა განპირობებულია ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციით: ორი ვარიანტის არსებობისას, მაგალითად, ერთნაირი მოსალოდნელი მოგების მომტანი კაპიტალდაბანდებებისას მწარმე ირჩევს ვარიანტს, რომელშიც მოსალოდნელი მოგების ცვალებადობა მცირეა. რისკი განიხილება, როგორც მოსალოდნელი მოგების შესაძლო რყევების ზღვრული სარგებლიანობა, მოსალოდნელი ზარალის გაუთვალისწინებლად.

მეცნიერი ტ.ვ. სევრუკი რისკს განმარტავს, როგორც ნებისმიერი იურიდიული პირის, მათ შორის ფინანსური სექტორის სუბიექტის საქმიანობის სიტუაციურ დახასიათებას, რომელიც გულისხმობს მისი საქმიანობის დასასრულის განუსაზღვრელობასა და შესაძლო არახელსაყრელი შედეგებს წარუმატებლობის შემთხვევაში. ასეთი თვალსაზრისი მიახლოებულია რისკის სუბიექტურ კონცეფციასთან. მის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ვ. ა. ოიგენზიჰიტმა, რომლისთვისაც ამოსავალი ისაა, რომ რისკს ყოველთვის სუბიექტური ხასიათი აქვს, რამდენადაც წარმოადგენს ადამიანის მიერ ქცევის, მოქმედებების შეფასებას, შეგნებულ არჩევანს შესაძლო ალტერნატივების გათვალისწინებით. სუბიექტური კონცეფცია ასახავს სუბიექტის მოქმედებებს, ითვალისწინებს შესაძლო შედეგებს, ქცევის ვარიანტების არჩევანს, რაც განაპირობებს განსაზღვრული ვალდებულებების დაკისრებას ან მათგან განთავისუფლებას. იმდენად, რამდენადაც მოცემული კონცეფცია აკავშირებს რისკს ადამიანის ნებასთან და შეგნებასთან, „რისკი - ეს არის ქცევის ვარიანტის შერჩევა შესაძლო შედეგების საფრთხის, საშიშროების გათვალისწინებით“. ამაში მდგომარეობს რისკის სუბიექტური მხარე. ანალოგიურ

თვალსაზრისის ემხრობა ვ. ნ. ვიატკინი, ვ. ა. გამზა, ი. ი. ეკატერინოსლავსკი. ჯ. ემპტონი. „პიროვნების გარეშე არ არსებობს რისკი, არსებობს მხოლოდ ბუნებრივი მოვლენები, რომელიც თვით ბუნებისათვის ერთნაირად სულერთია. რისკის განმარტებაში აუცილებლად უნდა შევიტანოთ ადამიანური ფაქტორი, ე.ი. რისკის ქვეშ მყოფი პირი. რისკი - ეს არის განსაზღვრული სუბიექტისათვის დასასრულის მრავალი ვარიაციიდან არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოხდეს, დაწყებული კონკრეტული ამოსავალი სიტუაციით“.

„რისკის“ ცნების სხვადასხვა განმარტებების არსებობასთან დაკავშირებით უფრო გონივრულია განვიხილოთ ამ ცნების ქვეშ მოქცეული ფაქტორები და მახასიათებლები. ტერმინოლოგიური ლექსიკონის „დაზღვევა და რისკის მართვის“ - ავტორების ნ. მ. ვასილევის და გ. ბ. ქლაინერის აზრით: „რისკი სადაზღვევო ოპერაციებსა და რისკის მართვაში არის:

1. შესაძლო საფრთხე;
2. საქმიანობის სიტუაციური დახასიათება, რომელიც მდგომარეობს წარუმატებლობისას მისი შედეგის განუსაზღვრელობასა და შესაძლო არახელსაყრელ შედეგებში.
3. ზიანის ან ზარალის წარმოქმნის შესაძლებლობა ან ალბათობა;
4. დაზღვევის განაკვეთი;
5. ქონება ან პირი, რომელთაც მიადგა ზარალი ან ზიანი;
6. დამზღვევის განუსაზღვრელობა საპრეტენზიო გადახდების საბოლოო თანხასთან დაკავშირებით (სადაზღვევო რისკი - *underwriting risk*) ან გაურკვეველობა საპრეტენზიო გადახდების განხორციელების დროის შერჩევასთან დაკავშირებით (დროის შერჩევის რისკი - *timing risk*) ან ერთდროულად ორივე რისკი“.

რისკისადმი თანამედროვე მიდგომები სხვადასხვა მოქმედი ორგანიზაციების მიხედვით მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 1.1).

ცხრილი 1.1. რისკის დეფინიცია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ

ორგანიზაცია	რისკის დეფინიცია
ISO, 73-ე სახელმძღვანელო ISO 31000	მიზნების განუსაზღვრელობის ეფექტი. აღსანიშნავია, რომ ეფექტი შესაძლებელია იყოს დადებითი, უარყოფითი ან მოსალოდნელიდან გადახრილი. რისკი ხშირად აღწერილია მოვლენით, ვითარების ცვლილებით ან შედეგით.
რისკების მართვის ინსტიტუტი, დიდი ბრიტანეთი	რისკი არის ღონისძიებათა ალბათობების და მათი შედეგების კომბინაცია. შედეგები შეგვიძლია დავალაგოთ დადებითიდან უარყოფითისკენ.
დიდი ბრიტანეთის ხაზინის "ნარინჯისფერი ნიგნი"	შედეგების გაურკვეველობა, მათ შორის გავლენა, რომელიც წარმოშობილია მოვლენის კომბინაციით და პოტენციური ღონისძიების ალბათობით.
შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი, აშშ	ღონისძიებათა გაურკვეველობა, რასაც შესაძლოა გავლენა ქონდეს მიზნების მიღწევასთან. რისკი იზომება შედეგების და ალბათობის მაჩვენებლით.

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 12.

ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ განმარტებაში ჩანს, რომ რისკი განუსაზღვრელობასთან და ამ მოვლენის ალბათობასთან არის პირდაპირ დაკავშირებული.

თუ საინვესტიციო საქმიანობის რისკი დაკავშირებული იქნებოდა მხოლოდ უარყოფით შედეგებთან, საერთოდ ამო-

უხსნელი დარჩებოდა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთა მზადყოფნა მისდამი. ეს პროცესი (მზადყოფნა რისკისადმი) მართლდება იმით, რომ მიუხედავად შესაძლო დანაკარგებისა, აქ არსებობს მძლავრი სტიმული - მაღალი მოგება, განსაკუთრებული - სპეციფიკური - შემოსავალი. რ. კანტილიონი, ი. ტიუნენი და ფ. ნაიტი სამეწარმეო შემოსავლის წყაროდ მიიჩნევენ დასაბუთებული რისკისადმი მეწარმის უნარის რეალიზაციას აღწარმოების პროცესში. ვ. დალის ლექსიკონში რისკი განმარტებულია, ერთის მხრივ, როგორც რაიმე საფრთხე, მეორე მხრივ - როგორც ქმედება წარმატების მისაღწევად, რომელიც მოითხოვს გაბედულობას, სიმამაცეს, გერგილიანობას ბედნიერი დასასრულის იმედით. თანამედროვე გაგებასთან ახლოსაა ს. ი. ოჟეგოვის მიერ რისკის განმარტება: „საფრთხის, წარუმატებლობის შესაძლებლობა, წარმატებისათვის ქმედება ბედნიერი დასასრულის იმედით.“

რისკი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არის რთული მოვლენა, რომელსაც გააჩნია უამრავი სრულიად განსხვავებული, ზოგჯერ კი ურთიერთსაწინააღმდეგო საფუძველიც. ეს განაპირობებს რისკის ცნების სხვადასხვა განმარტებების არსებობას, რომლებიც სხვადასხვა ზომით შეესაბამება მათი გამოყენების სფეროებს. მეცნიერებაში არ არსებობს ამ ცნების უნივერსალური განმარტება. მიმდინარეობს რისკის პრობლემისადმი მიძღვნილი რთული დისკუსიები, რადგან თვით ცნებამ ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა.

რისკის არსებობისათვის აუცილებელია საფრთხე, ან უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლო შედეგის ან სიტუაციის გავითარების სურვილის არქონა. მეცნიერი ბ. ნ. პორფირევი მიიჩნევს, რომ რისკი არის შესაძლო საფრთხე, საშიშროების შედეგების რაოდენობრივი გამოხატულება. ასეთი მიდგომა რისკის გაგებაში საშუალებას იძლევა ავაგოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვი საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის პროცესში“. ეს განმარტება აფართოებს რისკის მახასიათებლებს, კიდევ ერთხელ მიუთითებს არახელსაყრელი შედე-

გების ალბათურ გადანაწილებაზე, რომლებიც ინვესს ფაქტობრივი შედეგების გადახრას გეგმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგებისაგან.

საფრთხეში იგულისხმება განუსაზღვრელობაც, რომელიც დაკავშირებულია ჩვენი ცოდნის, არსებული ინფორმაციის არასაკმარისობასთან, ან გულისხმობს სხვა, მათ შორის ხელსაყრელ დასასრულს. შედეგზე შეიძლება გავლენა იქონიოს მრავალრიცხოვანმა შემთხვევითმა ფაქტორებმა, რომელთაც შესაძლო დასასრულის რეალიზაციის შემთხვევითობამდე მივყავართ. ჩვენი მიდგომა ასეთია: მართალია რისკი და საფრთხე - ერთი რიგის ცნებებია, მაგრამ მათი გაიგივება მაინც შეუძლებელია. რისკი არის საფრთხე, მაგრამ საფრთხე ცნობილი, განსაზღვრული, ასე ვთქვათ „გამოკვეთილი და გათვლილი“. არსებობს სხვა საფრთხეებიც, რომლებიც ცნებაში „რისკი“ არ შესულა, ამა თუ იმ მიზეზით (დროის, სპეციალისტების, ფულადი რესურსების ან ანალიზისათვის საჭირო სხვა სახსრების უკმარისობის გამო) რისკის ელემენტი არ გამხდარა. ამიტომაც სიტყვათშეთანხმება „რისკი“ და „საფრთხე“ - ტავტოლოგიაა, სწორი კი იქნება „რისკი და სხვა საფრთხეები“. მსგავს მსჯელობებს გვთავაზობენ მეცნიერები: ნ. ვ. ხოხლოვი, რომლის აზრითაც „რისკი - მოვლენა ან მონათესავე შემთხვევითი მოვლენების ჯგუფია, რომლებიც ზარალს აყენებენ მოცემული რისკის მქონე ობიექტს“, ლ. ნ. ტუპმანის აზრით კი რისკი არის უფრო ვიწრო ცნება. იგი საფრთხის ერთ-ერთ სახეა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობასთან. ის რეალურად აღიქმება, სავარაუდოდ ფასდება, რომლის შედეგების მინიმიზაციისათვის არსებობს რესურსები და შესაძლებლობები. ამ განმარტებებზე დაყრდნობით მოსალოდნელი საფრთხეები შეიცავს განუსაზღვრელობასაც და რისკებსაც, როგორც იდენტიფიცირებულ განუსაზღვრელობებს. მაშინ საფრთხეები, განუსაზღვრელობები და რისკები სინონიმურ ცნებებს არ წარმოადგენს. რისკების თეორიას საფუძვლად უდევს ცნება „საფრთხე“. ეს არის ობიექტური კანონზომიერება, რო-

მელიც განაპირობებს მეგა-, მაკრო-, მეზო- და მიკრო სისტემების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების პროცესებს, რომლებიც აღიქმება ადამიანთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებისადმი საფრთხის ფორმით. თავისი გენეზისისა და ალბათობის ხარისხის მიხედვით, საფრთხეს, როგორც გაცნობიერებულ მუქარას, ნატურალურ-ბუნებრივი და საზოგადოებრივი წარმოშობა აქვს და იყოფა პოტენციალურ და რეალურ საფრთხეებად.

უცხოურ სამეცნიერო ნაშრომებში მოყვანილი რისკის თანამედროვე დეფინიციებიდან გამოვყოფთ ვ. ტ. კოველოსა და მ. ვ. მერკვაოფერის განმარტებას: „რისკი - სიტუაციისა და მოქმედებების მახასიათებელია, როდესაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის დასასრული. არსებობს განუსაზღვრელობა კონკრეტულ დასასრულთან მიმართებაში და, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ-ერთი შესაძლებლობათაგანი არასასურველია“. ბოლო ფორმულირებაში სინთეზირებულია რისკისათვის დამახასიათებელი ყველა მთავარი ნიშანი: ერთის მხრივ, არასასურველობა, იდენტიფიცირებული განუსაზღვრელობა, შესაძლებლობათაგან ერთ-ერთის შემთხვევითობა, მეორე მხრივ, კეთილსასურველი ან ნეიტრალური შესაძლებლობა. თუმცა, რისკის შედეგები ყველაზე ხშირად თავს იჩენს ფინანსური დანაკარგების ან მოსალოდნელი მოგების მიღების შეუძლებლობის სახით, რისკი მხოლოდ მიღებულ გადანყვეტილებათა არასასურველი შედეგები როდია. გარკვეული ვარიანტების დროს არსებობს როგორც დასახული შედეგის მიუღწევლობის საშიშროება, ასევე მოსალოდნელი მოგების აღმატების ალბათობაც. სწორედ ამაში მდგომარეობს რისკი, რომელიც ხასიათდება დაგეგმილი შედეგებიდან როგორც არასასურველი, ასევე განსაკუთრებით ხელსაყრელი გადახრების მიღწევის შესაძლებლობების შეხამებით. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში რისკების მართვის პრაქტიკის სწრაფი განვითარების მიუხედავად, აქამდე დომინირებს რისკების, როგორც მოსალოდნელი არასასურველი შედეგების განმარტება, რაც აძნელებს

რისკების მართვის ერთიანი ნორმების და წესების შემუშავებას.

მეცნიერ-სტატისტიკოსებისათვის რისკის ცნება ნიშნავს იმ მოვლენის ალბათობას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს გადახრა მოსალოდნელი ტენდენციებისაგან. მათთვის, ვინც კომერციული ოპერაციებითაა დაკავებული, რისკი არის ზარალის შესაძლებლობა იმ მოვლენებიდან, რომლებიც ცვლის სანჯის სიტუაციას. უკანასკნელი განმარტება საჭიროებს სინთეზს: რისკი – ეს არის განვითარების მოსალოდნელი ტენდენციებიდან გადახრის ხარისხის ალბათობა შესაძლო ზარალის ან შემოსავლების სფეროში.

მეცნიერები ვ. ტ. კოველო და მ. ვ. მერკვაოფერი წმინდა განუსაზღვრელობებს მხოლოდ დანაკარგების შესაძლებლობასთან აკავშირებენ. ამ მიმართებით წმინდა განუსაზღვრელობის ცნება რისკთან ყველაზე ახლოსაა. როდესაც საქმე აქვთ სპეკულაციურ განუსაზღვრელობებთან, რომელშიც არის როგორც ნეგატიური (წაგება), ასევე პოზიტიური (მოგება) დასასრული, ასევე გამოიყენება ტერმინი „რისკი“. აქ განუსაზღვრელობას ცენტრალური ადგილი უკავია, საფრთხე კი, რომელიც მხოლოდ რიგ საბოლოო შედეგებში არსებობს, მეორე ადგილს იკავებს. თუ გავითვალისწინებთ მოსალოდნელ საფრთხეში ცნებების – „რისკი“ და „განუსაზღვრელობა“ განსხვავებას, მაშინ ამ დებულებას შეიძლება დავეთანხმოთ. სპეკულაციური რისკი და განუსაზღვრელობა ინარჩუნებს საფრთხის მახასიათებლებს.

რისკი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის მოვლენა, რომელიც შეუძლია მოხდეს ან არ მოხდეს. ასეთი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში შესაძლებელია სამი ეკონომიკური ვარიანტი: უარყოფითი (წაგება, ზარალი, დანაკარგი); ნულოვანი; დადებითი (მოგება, სარგებელი).

რისკის არსი მოიცავს სიღრმისეულ წინააღმდეგობებს: დანაკარგების საფრთხე, როგორც ობიექტური საფუძვლის - ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შედეგი, ასევე სუბიექტური საფუძვლის, კერძოდ - ადამიანთა გაცნობიერებული საქ-

მიანობის გამოვლენის შედეგი; მოსალოდნელი შემოსავალი (მოგება) მოცემული სარისკო საქმიანობიდან.

სამენარმეო რისკის დადგენისას უნდა განვასხვავოთ ცნებები „ხარჯი“, „ზარალი“, „დანაკარგები“. ნებისმიერი სამენარმეო საქმიანობა გარდაუვლად დაკავშირებული ხარჯებთან, მაშინ როცა ზარალს ადგილი აქვს არახელსაყრელი გარემოებების, არასწორი გათვლების დროს და წარმოადგენს დამატებით ხარჯებს. საქმიანობის განხილულ სახეებში საქმე გვაქვს მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ინფორმაციული (ინტელექტუალური) რესურსების გამოყენებასთან. ასე რომ რისკი დაკავშირებულია ამ რესურსების სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვასთან. საერთო ჯამში, სამენარმეო რისკი ხასიათდება, როგორც რესურსების პოტენციურად შესაძლებელი, სავარაუდო დანაკარგის საფრთხე ან შემოსავლების სრულად მიუღებლობა იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სამენარმეო საქმიანობის მოცემულ სახეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რისკი არის საფრთხე, რომ მენარმე მიიღებს ზარალს დამატებითი ხარჯების სახით, ე.ი პროგნოზის მიხედვით ზარალი იქნება მისი მოქმედებების პროგრამით გათვალისწინებულზე ზევით.

მკვლევარი ტ.ვ. ნიკიტინა გვაძლევს მხოლოდ წმინდა მოგების განმარტებას და მის შინაარსში გულისხმობს არა მხოლოდ მოსალოდნელ პირდაპირ ზარალს, არამედ ირიბსაც.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მიდგომები რისკის არსის განმარტებისადმი შეიძლება დავაჯგუფოთ სამი მიმართულებით.

1. ოპტიმალური მართვის თეორიების შესახებ ნაშრომებში რისკი განიხილება, როგორც ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის ნებისმიერი სახის ატრიბუტული ზოგადსოციოლოგიური დახასიათება, რომელიც ხორციელდება რესურსული შეზღუდვების და ინფორმაციული განუსაზღვრელობის პირობებში, გაცნობიერებული მიზნების მიღწევის ოპტიმალური მეთოდის შერჩევის შესაძლებლობის არსებობის პირო-

ბებში. ადამიანის არანაირ შესაძლებლობებს არ ძალუძთ რისკის მთლიანად თავიდან აცილება. არსებობს მხოლოდ მისი შერბილების მეთოდები. რისკები ახასიათებს დროში ისეთი მოვლენების დადგომის ალბათობას, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების წონასწორული მდგრადობის ცვლილებისკენ მივყავართ. მათი წყაროა ინფორმაციის განუსაზღვრელობის განმაპირობებელი პირობები და ფაქტორები. გამოყოფენ განუსაზღვრელობის მრავალ სახეს. მათი უმრავლესობა დაკავშირებულია არა მიზნობრივ მაჩვენებლებზე უშუალო ზემოქმედების ეფექტთან, არამედ ამ მოვლენის დროით პარამეტრებთან. განუსაზღვრელობა არსებობს იმასთან მიმართებით, თუ როდის მოხდება ეს.

სისტემურობის თეორია რისკებს განიხილავს მოვლენად, რომელიც დამახასიათებელია მიზანშეწონილი საქმიანობის ნებისმიერი სახისათვის. იგი წარმოგვიდგება როგორც მიზნობრივი ფუნქციების რეალიზაციის საალბათო განუსაზღვრელობა, რომელთა ხასიათი, შინაარსი, მიმართულება და მიღწევის პირობები გადანყვეტილების მიმღები სუბიექტისათვის ბოლო მომენტამდე გაუგებარია.

სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის თეორია საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რისკები და მოვახდინოთ მათი პროგნოზირება ინფორმაციის ასიმეტრიული განაწილების პირობებში, გამოვიყენოთ ისინი, როგორც დროში მუდმივად ცვლადი სიდიდე. ლოკალური ბაზრების წონასწორობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ცვლილებებით უფრო მაღალი რიგის სისტემებში, რომელთა მიზნებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონკრეტული ქვესისტემების ეკონომიკურ ინტერესებთან. ამიტომ რისკების უმეტესობის დადგომის ალბათობა დამოკიდებულია პოლისისტიმურ ეფექტებზე, რომლებიც აბსოლუტურად არ ექვემდებარება კონტროლს იმ პირთა მხრიდან, რომლებიც გადანყვეტილებას ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევის მიხედვით იღებენ. რაც უფრო მაღალია პოლისისტიმური ეფექტების ეკონომიკურ პროცესებზე დროის მიხედვით ზემოქმედე-

მიანობის გამოვლენის შედეგი; მოსალოდნელი შემოსავალი (მოგება) მოცემული სარისკო საქმიანობიდან.

სამენარმეო რისკის დადგენისას უნდა განვასხვავოთ ცნებები „ხარჯი“, „ზარალი“, „დანაკარგები“. ნებისმიერი სამენარმეო საქმიანობა გარდაუვლად დაკავშირებული ხარჯებთან, მაშინ როცა ზარალს ადგილი აქვს არახელსაყრელი გარემოებების, არასწორი გათვლების დროს და წარმოადგენს დამატებით ხარჯებს. საქმიანობის განხილულ სახეებში საქმე გვაქვს მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ინფორმაციული (ინტელექტუალური) რესურსების გამოყენებასთან. ასე რომ რისკი დაკავშირებულია ამ რესურსების სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვასთან. საერთო ჯამში, სამენარმეო რისკი ხასიათდება, როგორც რესურსების პოტენციურად შესაძლებელი, სავარაუდო დანაკარგის საფრთხე ან შემოსავლების სრულად მიუღებლობა იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე სამენარმეო საქმიანობის მოცემულ სახეში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რისკი არის საფრთხე, რომ მენარმე მიიღებს ზარალს დამატებითი ხარჯების სახით, ე.ი პროგნოზის მიხედვით ზარალი იქნება მისი მოქმედებების პროგრამით გათვალისწინებულზე ზევით.

მკვლევარი ტ.ვ. ნიკიტინა გვაძლევს მხოლოდ წმინდა მოგების განმარტებას და მის შინაარსში გულისხმობს არა მხოლოდ მოსალოდნელ პირდაპირ ზარალს, არამედ ირიბსაც.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მიდგომები რისკის არსის განმარტებისადმი შეიძლება დავაჯგუფოთ სამი მიმართულებით.

1. ოპტიმალური მართვის თეორიების შესახებ ნაშრომებში რისკი განიხილება, როგორც ადამიანის მიზანშეწონილი საქმიანობის ნებისმიერი სახის ატრიბუტული ზოგადსოციოლოგიური დახასიათება, რომელიც ხორციელდება რესურსული შეზღუდვების და ინფორმაციული განუსაზღვრელობის პირობებში, გაცნობიერებული მიზნების მიღწევის ოპტიმალური მეთოდის შერჩევის შესაძლებლობის არსებობის პირო-

ბებში. ადამიანის არანაირ შესაძლებლობებს არ ძალუძთ რისკის მთლიანად თავიდან აცილება. არსებობს მხოლოდ მისი შერბილების მეთოდები. რისკები ახასიათებს დროში ისეთი მოვლენების დადგომის ალბათობას, რომლებსაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების წონასწორული მდგრადობის ცვლილებისკენ მივყავართ. მათი წყაროა ინფორმაციის განუსაზღვრელობის განმაპირობებელი პირობები და ფაქტორები. გამოყოფენ განუსაზღვრელობის მრავალ სახეს. მათი უმრავლესობა დაკავშირებულია არა მიზნობრივ მაჩვენებლებზე უშუალო ზემოქმედების ეფექტთან, არამედ ამ მოვლენის დროით პარამეტრებთან. განუსაზღვრელობა არსებობს იმასთან მიმართებით, თუ როდის მოხდება ეს.

სისტემურობის თეორია რისკებს განიხილავს მოვლენად, რომელიც დამახასიათებელია მიზანშეწონილი საქმიანობის ნებისმიერი სახისათვის. იგი წარმოგვიდგება როგორც მიზნობრივი ფუნქციების რეალიზაციის საალბათო განუსაზღვრელობა, რომელთა ხასიათი, შინაარსი, მიმართულება და მიღწევის პირობები გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტისათვის ბოლო მომენტამდე გაუგებარია.

სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის თეორია საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რისკები და მოვახდინოთ მათი პროგნოზირება ინფორმაციის ასიმეტრიული განაწილების პირობებში, გამოვიყენოთ ისინი, როგორც დროში მუდმივად ცვლადი სიდიდე. ლოკალური ბაზრების წონასწორობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ცვლილებებით უფრო მაღალი რიგის სისტემებში, რომელთა მიზნებიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს კონკრეტული ქვესისტემების ეკონომიკურ ინტერესებთან. ამიტომ რისკების უმეტესობის დადგომის ალბათობა დამოკიდებულია პოლისისტემურ ეფექტებზე, რომლებიც აბსოლუტურად არ ექვემდებარება კონტროლს იმ პირთა მხრიდან, რომლებიც გადაწყვეტილებას ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების არჩევის მიხედვით იღებენ. რაც უფრო მაღალია პოლისისტემური ეფექტების ეკონომიკურ პროცესებზე დროის მიხედვით ზემოქმედე-

ბის ხარისხი, მით უფრო ძნელია დინამიკური ალბათობის და რისკების მასშტაბის პროგნოზირება მათემატიკური ალბათობის მეთოდების საფუძველზე. პოლისისტემური ეფექტების უმრავლესობას არასტატისტიკური ხასიათი აქვს. სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის თეორიები ეკონომიკური ინფორმაციებისა და პოლისისტემური ეფექტების გავრცელების ასიმეტრიულობის შეფასების სხვადასხვა მეთოდების საფუძველზე იძლევა სამომხმარებლო, დარგობრივი, ტერიტორიული, პოლიტიკური, სოციალური რისკების სტრუქტურისა და მასშტაბის ზუსტი პროგნოზირების საშუალებას. ხსენებული რისკები ფასდება ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და რაოდენობრივი წილების შეჯერების საშუალებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია სიტუაციის გაუმჯობესება ან გაუარესება. ერთი და იგივე ცვლილებების ალბათობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ შეიძლება აღქმულ იქნას „ნეგატიურ“ - ნეიტრალურ - უარყოფით“ დიაპაზონში.

2. რისკები განიხილება როგორც რეგრესიული პოტენციალის დაგროვების შედეგი. მოცემულ მიდგომას ძველი ისტორიული ტრადიცია აქვს და იგი სათავეს ისტორიული და ტექნოლოგიური პროგრესის თეორიიდან იღებს, რომლებშიც ძირითადი ყურადღება მიმართული იყო დესტრუქციული რისკების მახასიათებლების კვლევებისკენ, მათ შორის გამოიყოფა:

ა) წარსულში სასარგებლო, ამჟამად გაქრობის სტადიაში მყოფი ნიშან-თვისებების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების დანაკარგის აუნაზღაურებლობა;

ბ) ახალი ნიშან-თვისებების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების წარმოქმნა, რომელთა საფრთხის მასშტაბი და რეგრესიული პოტენციალი მომავალში გაუგებარი და გაურკვეველია;

გ) ზღვრული უსაფრთხოების დონის დაწვევა, ახალი წარმოებების შექმნის, იარაღის ახალი სახეების ტექნოლოგიებისა და გავრცელების მიხედვით;

დ) ეკოლოგიური საფრთხეების და გამოწვევების ზრდა სამრეწველო პოტენციალის ზრდის კვალდაკვალ.

ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების ზრდას, ერთის მხრივ, კავშირებისა და ურთიერთობების მუდმივი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდისაკენ მივყავართ, რომელთანაც შეგუება არც ცალკეულ ინდივიდებს, არც სოციალურ ჯგუფებს და ადამიანებს კი არ შეუძლიათ. ამიტომ იზრდება სოციალური და ეკონომიკური დეგრადაციის რისკი. ხსენებულ სიტუაციას სოციალური უკმაყოფილების ზრდისაკენ მივყავართ. შესაბამისად, სოციალურ სტაბილურობას უფრო მეტად ექმნება საფრთხე კულტურის, საზოგადოებრივი ქცევის, სტიქიური ამბოხის, რევოლუციური გამოსვლების ფორმით. მეორე მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის შედეგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი დოვლათის ზრდას, რეგრესიული განვითარების ელემენტების მატარებელია. ასე მაგალითად, გონებრივი შრომით დაკავებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდამ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მატებამდე მიგვიყვანა. ამ გარემოებამ განაპირობა როგორც ცალკეულ ინდივიდთა ცხოვრებისათვის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის რისკების ახალი სახეობების წარმოქმნა.

საზოგადოებრივი კავშირების სისტემის გართულება, საერთო მწარმოებლურობის ზრდა, მასობრივი მოხმარების სისტემების შექმნა იმ ინდივიდთა რაოდენობის ზრდას იწვევს, რომლებიც წარმოების პროცესს გამოეყოფიან და პასიური მომხმარებლები ხდებიან. ასეთ პირობებში იზრდება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ აღზრდისაკენ, ადამიანთა მნიშვნელოვანი ჯგუფის პროფესიული სწავლებისაკენ მიმართული რესურსები ვერასოდეს გამოისყიდება.

ასეთი მიდგომის ფარგლებში ყურადღების ცენტრში ექცევა რისკების შემდეგი მახასიათებლები: რისკის თავიდან აცილების შეუძლებლობა; შეუქცევადობა, მზარდი მასშტაბი; თვისებრივი განუსაზღვრელობა.

ადამიანი ახორციელებს თავის საქმიანობას კონკრეტულ გარემოში. მის ერთ პოლუსზე შეიძლება წარმოვიდგინოთ (ალბათობით წარმოქმნილი) რისკები, რომლებიც ერთს უდრის (ანუ აუცილებლად ხდება), მეორეზე კი - რისკები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია. დესტრუქციული რისკები - ეს არის რისკები, რომელთა დადგომის ალბათობაც იზრდება დროში ერთმდე. მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ მათი დადგომის დროის გაჭიანურება. ეს საშუალებას იძლევა დაგროვილ იქნას აუცილებელი რესურსები სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციისათვის ახალ პირობებში და ამით შემცირებულ იქნას დანახარჯები და დანაკარგები. ამის მაგალითად შეიძლება გამოგვადგეს ინვესტორების, როგორც ადამიანების ბიოლოგიური სიკვდილი, სანარმოს, დარგის ეკონომიკური და ტექნოლოგიური „სიკვდილი“.

სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების უმეტესობა შეუქცევად პროცესებს განეკუთვნება ამიტომ რისკების რაოდენობას საზოგადოებაში აბსოლუტური დადებითი ზრდისადმი მყარი ტენდენცია აქვს. აუცილებელი არ არის, რომ რისკების მასშტაბი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების თითოეულ ელემენტში პროპორციულად იზრდებოდეს. იზრდება მხოლოდ დესტრუქციული რისკების - სისტემურის და სისტემათშორისის საერთო მოცულობა.

რისკების შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების სისტემით საშუალებას იძლევა მინიმიზებულ იქნას საზოგადოების ხარჯები რესურსების გადანაწილებით სხვადასხვა სარეზერვო ფონდებში. დესტრუქციული რისკები არ ემორჩილება ზუსტ რაოდენობრივ შეფასებას; ინფორმაციას მის შესახებ ძირითადად ალბათური ხასიათი აქვს და სამეურნეო სუბიექტების უმეტესობისათვის მიუწვდომელია. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შესაძლებელ დანაკარგთა ხარისხობრივი პარამეტრები იმდენად დიდია, რომ საზოგადოებას არ შეუძლია შექმნას სარეზერვო ფონდები დესტრუქციული რისკების დადგომისაგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციისათვის.

3. რისკები გამოიკვლევა, ხორციელდება როგორც შედეგის იდენტიფიცირებადი განუსაზღვრელობის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობასთან – მენარმეობასთან.

მენარმეობა - ეს არის ახალი საქონლის (მომსახურების) შექმნის პროცესი, რომელიც ხორციელდება რესურსების შეზღუდულობის პირობებში, კონსტრუქციული (კრეატიული) მართვის ბაზაზე და მიმართულია იქითკენ, რომ გავუსწროთ კონკურენტებს ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების, ნედლეულის ახალი წყაროების გამოყენებით, მზა პროდუქციის ახალი ბაზრის, წარმოების ახალი დარგების შექმნით. ხსენებული მიმართულების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკების შემდეგ მახასიათებლებს: ენთროპიულობა; იერარქიულობა; კომპლექსურობა. ორი უკანასკნელი მახასიათებელი თვისებრივია მხოლოდ კუმულაციური რისკებისათვის, როდესაც იქმნება რთული ინტეგრალური რისკი უფრო მარტივი რისკების ჯგუფიდან.

ეკონომიკური განვითარების არანონასწორული (ენტროპიული) პროცესების თეორია საბაზრო წონასწორობის კლასიკურ თეორიებთან შედარებით საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად გამოვიკვლიოთ რისკების წარმოქმნისა და ზრდის კანონზომიერებები. წონასწორულ სისტემებში რისკები წარმოადგენს თავდაპირველი მდგომარეობიდან გადახრას, რომელსაც სისტემის ყველა ელემენტისათვის ერთნაირი ალბათობა აქვს და ქვესისტემების რისკების ჯამს უდრის. ენტროპიულ სისტემებში რისკები სხვაგვარად წარმოიქმნება და აღიწერება, რადგან სხვადასხვა ელემენტებს სხვადასხვა ალბათობა აქვთ, რომელიც დადებითი სიდიდეა და რომელიც კვადრატული განტოლებების სისტემით ჩაიწერება.

ენტროპიულობა განსაკუთრებით დამახასიათებელია საინვესტიციო საქმიანობის ინოვაციური რისკებისათვის. ინოვაციურ ინვესტიციებში დანაკარგების (ხარჯების) მინიმიზაციის და სარგებლის მაქსიმიზაციის მრავალი შესაძლებ-

ლობაა. მსგავსი მრავალვარიანტულობა განაპირობებს სწორედ ამ რისკების ენთროპიულობას.

რისკის არსი მის ორ ფუნქციაშიც ვლინდება:

რეგულაციურ ფუნქციას გააჩნია კონსტრუქციული და დესტრუქციული ასპექტები. პირველი იმაში ვლინდება, რომ რისკი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას კატალიზატორის როლს ასრულებს განსაკუთრებით ინოვაციური საინვესტიციო გადაწყვეტილებების რეალიზაციისას. მეორე ასპექტი კი იმაში გამოიხატება, რომ დაუსაბუთებელი რისკებით გადაწყვეტილებების მიღებას და რეალიზაციას ავანტურიზმამდე მივყავართ.

დამცავ ფუნქციას აქვს ისტორიულ-გენეტიკური და სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები. პირველის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ყოველთვის სტიქიურად ეძებენ შესაძლებელი არასასურველი შედეგებისაგან დაცვის ფორმებსა და საშუალებებს. პრაქტიკაში ეს ვლინდება სადაზღვევო სარეზერვო ფონდების შექმნაში, რისკების დაზღვევაში. მეორე ასპექტის არსი კი მდგომარეობს სამეურნეო, შრომით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რისკის კანონზომიერების დანერგვის აუცილებლობაში.

რისკის არსი და ფუნქციები ქმნიან რისკის შემდეგ ნიშნებს: ალტერნატიულობას, დაინტერესებულობას, საყოველთაობას, ფაქტორულობას, სიტუციურობას.

ალტერნატიულობა გულისხმობს გადაწყვეტილებების ორი ან რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ერთი ვარიანტის არჩევის აუცილებლობას. არჩევის შესაძლებლობის არქონა რისკის საკითხს საერთოდ ხსნის. იქ, სადაც არჩევანი არ არის, სარისკო სიტუაცია არ წარმოიქმნება და შესაბამისად რისკიც არ იქნება.

რისკის მიმართ დაინტერესებულობა განისაზღვრება იმით, რომ რისკი უნდა შეეხოს განსაზღვრულ ადამიანს ან ორგანიზაციას, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ არ დაუშვან მოვლენების მათთვის არასასურველი განვითარება. რის-

კის ეს მახასიათებელი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც სუბიექტური ორიენტირებულობა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რისკების საყოველთაოობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ მენეჯერის შეგნებული საქმიანობის შემთხვევით შედეგს, არამედ ეკონომიკური სისტემების არსებობის აუცილებელ პირობასაც. სხვადასხვა დონის სისტემების ფუნქციონირების და განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პირობების თვისებრივი ცვლილებების დადგომის ალბათობა და შესაძლებლობა, რომლებიც ორგანიზაციის ინტერესებს ეხება, მათ მიერ ყოველთვის აღიქმება რისკად.

დაკავშირებულ-დივერსიფიცირებული სისტემის საქმიანი წარმატება, მისი ფინანსური მდგომარეობა ბევრადაა დამოკიდებული მის საქმიანობაში (გარე და შიგა გარემოში) რისკების ფაქტორების აღრიცხვაზე - ფაქტორულობაზე.

აუცილებელია შეგვეძლოს რისკის შესაძლო საზღვრების გაანგარიშება. რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ღონისძიების რისკის დონე, მით უფრო მეტია შესაძლო მოგება. ამიტომ რისკის განმარტებებს უმატებენ სიტუაციურობის ელემენტს. მეცნიერები ს. ა. ვილიამსი და რ.მ. ჰეინსი რისკს განმარტავენ, როგორც შედეგის ვარიაციებს, რომლებიც შეიძლება მოხდეს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განსაზღვრულ სიტუაციაში.

ზემოთ მოყვანილი განხილვების შედარება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: რისკი არის რთული მოვლენა, რომელსაც ხშირად ურთიერთსაინანააღმდეგო საფუძველი გააჩნია.

საინვესტიციო საქმიანობას თან ახლავს მრავალრიცხოვანი რისკები, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შედეგებზე არსებით გავლენას ახდენს. რისკს, როგორც საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ რთულ ეკონომიკურ კატეგორიას, გააჩნია ფუძემდებლური ნიშნები.

ლობაა. მსგავსი მრავალვარიანტულობა განაპირობებს სწორედ ამ რისკების ენთროპიულობას.

რისკის არსი მის ორ ფუნქციაშიც ვლინდება:

რეგულაციურ ფუნქციას გააჩნია კონსტრუქციული და დესტრუქციული ასპექტები. პირველი იმაში ვლინდება, რომ რისკი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისას კატალიზატორის როლს ასრულებს განსაკუთრებით ინოვაციური საინვესტიციო გადაწყვეტილებების რეალიზაციისას. მეორე ასპექტი კი იმაში გამოიხატება, რომ დაუსაბუთებელი რისკებით გადაწყვეტილებების მიღებას და რეალიზაციას ავანტურიზმამდე მივყავართ.

დამცავ ფუნქციას აქვს ისტორიულ-გენეტიკური და სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები. პირველის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ყოველთვის სტიქიურად ეძებენ შესაძლებელი არასასურველი შედეგებისაგან დაცვის ფორმებსა და საშუალებებს. პრაქტიკაში ეს ვლინდება სადაზღვევო სარეზერვო ფონდების შექმნაში, რისკების დაზღვევაში. მეორე ასპექტის არსი კი მდგომარეობს სამეურნეო, შრომით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რისკის კანონზომიერების დანერგვის აუცილებლობაში.

რისკის არსი და ფუნქციები ქმნიან რისკის შემდეგ ნიშნებს: ალტერნატიულობას, დაინტერესებულობას, საყოველთაობას, ფაქტორულობას, სიტუციურობას.

ალტერნატიულობა გულისხმობს გადაწყვეტილებების ორი ან რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ერთი ვარიანტის არჩევის აუცილებლობას. არჩევის შესაძლებლობის არქონა რისკის საკითხს საერთოდ ხსნის. იქ, სადაც არჩევანი არ არის, სარისკო სიტუაცია არ წარმოიქმნება და შესაბამისად რისკიც არ იქნება.

რისკის მიმართ დაინტერესებულობა განისაზღვრება იმით, რომ რისკი უნდა შეეხოს განსაზღვრულ ადამიანს ან ორგანიზაციას, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ არ დაუშვან მოვლენების მათთვის არასასურველი განვითარება. რის-

კის ეს მახასიათებელი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც სუბიექტური ორიენტირებულობა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რისკების საყოველთაოობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ არა მხოლოდ მენეჯერის შეგნებული საქმიანობის შემთხვევით შედეგს, არამედ ეკონომიკური სისტემების არსებობის აუცილებელ პირობასაც. სხვადასხვა დონის სისტემების ფუნქციონირების და განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პირობების თვისებრივი ცვლილებების დადგომის ალბათობა და შესაძლებლობა, რომლებიც ორგანიზაციის ინტერესებს ეხება, მათ მიერ ყოველთვის აღიქმება რისკად.

დაკავშირებულ-დივერსიფიცირებული სისტემის საქმიანი წარმატება, მისი ფინანსური მდგომარეობა ბევრადაა დამოკიდებული მის საქმიანობაში (გარე და შიგა გარემოში) რისკების ფაქტორების აღრიცხვაზე - ფაქტორულობაზე.

აუცილებელია შეგვეძლოს რისკის შესაძლო საზღვრების გაანგარიშება. რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ღონისძიების რისკის დონე, მით უფრო მეტია შესაძლო მოგება. ამიტომ რისკის განმარტებებს უმატებენ სიტუაციურობის ელემენტს. მეცნიერები ს. ა. ვილიამსი და რ.მ. ჰეინსი რისკს განმარტავენ, როგორც შედეგის ვარიაციებს, რომლებიც შეიძლება მოხდეს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში და განსაზღვრულ სიტუაციაში.

ზემოთ მოყვანილი განხილვების შედარება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: რისკი არის რთული მოვლენა, რომელსაც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო საფუძველი გააჩნია.

საინვესტიციო საქმიანობას თან ახლავს მრავალრიცხოვანი რისკები, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შედეგებზე არსებით გავლენას ახდენს. რისკს, როგორც საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ რთულ ეკონომიკურ კატეგორიას, გააჩნია ფუძემდებლური ნიშნები.

შესაძლებლობების შემთხვევითობა - დაკავშირებულია ალბათობის თეორიის პრაქტიკულ გამოვლინებასთან, როდესაც მოსალოდნელი შესაძლებლობების პროგნოზირება ალბათობის განსაზღვრული ხარისხით ხდება. ამასთან, ყველა შესაძლებლობას შეიძლება ალბათობის სხვადასხვა ხარისხი გააჩნდეს.

უარყოფითი, ნეიტრალური და დადებითი შედეგების განაწილების ალბათობა - სარისკო მოვლენას შეიძლება სამი სხვადასხვა შედეგი ჰქონდეს, მათი განაწილების სხვადასხვაგვარი ალბათობით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება რეალური ინვესტიციების წმინდა რისკების კუმულირება საფინანსო ინვესტიციების სპეკულაციურ რისკებთან, რეალური საინვესტიციო პროექტების საფონდო დაფინანსების ფარგლებში.

მოსალოდნელი ზარალის არასასურველობა - განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერი მოსალოდნელი ზარალი არასასურველია. ამიტომ უმჯობესია ისინი არ დავუშვათ პრევენციული ღონისძიებების მეშვეობით, მივიყვანოთ მათი დონე მისაღებ სიდიდემდე, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. საინვესტიციო ოპერაციების შედეგიანობის მოსალოდნელი დონე მერყეობს მოსალოდნელი ზარალის სახეობასა და დონეზე საკმაოდ მნიშვნელოვან დიაპაზონში.

გამოვლენის ობიექტურობა - ეს არის საინვესტიციო ოპერაციების განუყოფელი ნაწილი და დამახასიათებელია საქმიანობის ყველა მიმართულებისათვის. ხსენებული რისკის გამოვლენის ობიექტური ბუნება უცვლელი რჩება ფიზიკური ბუნების სტიქიური ძალების მოქმედების და საბაზრო კონკურენციის ხასიათის გამო. განსაკუთრებით სახელმწიფოსა და მონოპოლიების მხრიდან არაეფექტური რეგულირებისას.

რისკის ზემოთ ჩამოთვლილ დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად შეიძლება დამატებით განვიხილოთ შემდეგი ნიშნები: ადამიანის მიერ შეფასებულ შესაძლო ალტერნატივათა შერჩევის სუბიექტურობა; განსაზღვრული ინფორმაციის

არასაკმარისობა, მოსალოდნელ საშიშროებათა ხანგრძლივად თავიდან აცილების შეუძლებლობა; მოქმედებათა შედეგების შეუქცევადობა; სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მზარდი მასშტაბი რეგრესიული პოტენციალის დაგროვების შედეგად; მოსალოდნელი ზარალის ან შემოსავლების მრავალვარიანტულობა და ალტერნატიულობა; მოქმედების უარყოფითი და დადებითი შედეგების წინააღმდეგობრიობა.

რისკის შერჩევის სუბიექტურობა. საინვესტიციო საქმიანობის რისკების გამოვლენას ობიექტური ბუნება აქვს, მაგრამ საინვესტიციო საქმიანობის რისკის ძირითადი მაჩვენებელი - რისკის დონე სუბიექტურ ხასიათს ატარებს. ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრები, როგორცაა ზარალის ალბათობა და სიდიდე, რისკის შეფასების საფუძველს წარმოადგენს. რისკის შეფასების სუბიექტურობა განპირობებულია მმართველობითი ინფორმაციის უტყუარობის სხვადასხვა დონით, პროფესიული გამოცდილებით, ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციით და სხვა ფაქტორებით. რისკის მოცემული ნიშანი, საინვესტიციო მენეჯმენტისადმი საპორტფელო და საპროექტო მიდგომის ფარგლებში ქმნის სელექციური რისკების მთლიან ცალკე ჯგუფს საპროექტო და საპორტფელო რისკების შიგნით.

ინფორმაციის არასაკმარისობა რისკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. აუცილებელია განვასხვავოთ რისკი განუსაზღვრელობისგან საინფორმაციო მიდგომის ფარგლებში. თუ „განუსაზღვრელობა“ დაკავშირებულია პროცესის დასასრულის განუსაზღვრელობასთან ალბათობების განაწილება უცნობი დარჩება („გაუზომვადი განუსაზღვრელობა“), მაშინ „რისკი“ შეიძლება განვმარტოთ, როგორც „გაზომვადი განუსაზღვრელობა“ ანდა „ალბათობითი (სტოქასტიკური) განსაზღვრელობა“ მოდელირებადი სარისკო სიტუაციის შემთხვევითი სიდიდის ცნობილი განაწილების დროს. ამიტომ ეს დახასიათება დაკავშირებულია რისკის არასრულ განმარტებასთან მისი იდენტიფიცირებისას. იდენტიფიკაციის პროცესი

მონოდებულია მოახდინოს განუსაზღვრელობის ტრანსფორმირება რისკში.

მოქმედების შედეგების შეუქცევადობა, ერთის მხრივ, დაკავშირებულია იმასთან, რომ რისკის მოქმედების შედეგები დგება მაშინ, როდესაც ის უკვე ტრანსფორმირებულია ზარალის ან დამატებითი შემოსავლის კონკრეტულ სახეობაში. დაგვიანებულია რისკის პრევენციული მინიმიზაცია ან ლოკალიზაცია. პრევენციული ღონისძიებები რისკის განსაკუთრებით ნეგატიურ შედეგებად რეალიზაციამდე ტარდება. მეორე მხრივ, მსხვილი გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესული ცვლილებები შეუქცევად პროცესებს განეკუთვნება, ამიტომ საზოგადოებაში რისკების რაოდენობას აბსოლუტური დადებითი ზრდისაკენ მყარი ტენდენცია აქვს. ამდენად შექცევად საზოგადოებრივ პროცესებში რისკების მასშტაბები უცვლელი რჩება, შეუქცევად პროცესებში კი რისკი იზრდება.

ხანგრძლივად თავის არიდების შეუძლებლობა დაკავშირებულია რისკის, როგორც გარეშე პირობების დროებითი სტაბილური ხელსაყრელობის დროს, მაგრამ დროთა განმავლობაში რისკის მართვის ამ მეთოდს მოგების და კაპიტალის დიდ დანაკარგებამდე მივყავართ კომერციულ ინოვაციებთან დაკავშირებულ სარისკო ოპერაციებზე უარის თქმის გამო. უფრო მეტიც, რისკები, რომლებიც სანარმომ აირიდა, განსაზღვრული დროის შემდეგ უფრო საშიში სახით ბრუნდება და მოქმედებს უფრო მეტი დამანგრეველი ძალით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამახასიათებელია მასობრივი, სისტემატური ხასიათის რისკებისათვის.

მზარდი მასშტაბი რეგრესული პოტენციალის დაგროვების შესაბამისად, ბიზნესის მასშტაბების ზრდას კავშირებისა და ურთიერთობების მუდმივი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებისაკენ მივყავართ, რომელთაც ვერ ეგუებიან როგორც ცალკეული ინდივიდები, ასევე სოციალური ჯგუფები და ადამიანები. ამიტომ იზრდება მათი სოციალური და ეკონომიკური დეგრადაციის რისკი.

ენტროპიულობა, როგორც პროცესის უნონასწორობის ალბათობის ზომა, რომელიც არღვევს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წონასწორულ მდგომარეობას, მიჰყავს სისტემა ახალი გაუნონასწორებულობისაკენ, წონასწორობის შემდგომი დონის ჩამოყალიბებისაკენ, უზრუნველყოფს წონასწორობის დონეების დინამიურობას. რისკების განვითარების სხვადასხვა სცენარებში სხვადასხვა ალბათობა წარმოიქმნება, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია საინვესტიციო საქმიანობის ინოვაციური რისკებისათვის.


მოსალოდნელი ზარალისა და შემოსავლების მრავალვარიანტიულობა და ალტერნატიულობა - დაკავშირებულია წმინდა და სპეკულაციური რისკების რთულ ურთიერთკავშირთან საინვესტიციო საქმიანობის შიგნით, განსაკუთრებით კომერციული და ფინანსური რისკების გამო, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვისადმი საპროექტო და საპორტფელო მიდგომის ფარგლებში გვაძულებს არჩევანი გავაკეთოთ გადაწყვეტილებების ორი ან რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან, ალტერნატივების არსებული ნაკრებიდან. არჩევის მრავალვარიანტიულობის და ალტერნატიულობის არარსებობა გამორიცხავს რისკს, განსაკუთრებით საპროექტო და საპორტფელო რისკებს.

უარყოფითი და დადებითი შედეგების წინააღმდეგობრიობა იმაში ვლინდება, რომ ერთის მხრივ, რისკი დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაზე. მეორე მხრივ, რისკს ავანტიურიზმის, ვოლუნტარიზმის და სუბიექტივიზმისაკენ მიყვავართ. იგი ამუხრუჭებს სოციალურ-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, წარმოშობს სხვადასხვა დანახარჯებს განვითარების ობიექტური კანონზომიერებების არასრული და არაადეკვატური აღრიცხვის პირობებში. ამასთან რისკის უარყოფითი და დადებითი შედეგების წინააღმდეგობრიობა განსაკუთრებული ძალით ვლინდება საინვესტიციო საქმიანობის პროცესებში, როდესაც სპეკულაციური რისკები დომინირებს წმინდა რისკებზე.

საინვესტიციო საქმიანობის რისკებისათვის დამახასიათებელია: მოსალოდნელი ერთ-ერთი შესაძლებლობის შემთხვევითობა; უარყოფითი, ნეიტრალური და დადებითი შედეგების ალბათობა; მოსალოდნელი ზარალის არასასურველობა; ობიექტურობა დიდი რიცხვების კანონით საზოგადოებისა და ბუნების ძალთა განსაზღვრული მოქმედების გამო. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები ნაჩვენებია ნახაზზე 1.4.

გარდა ამ ნიშნებისა შეიძლება გამოვყოთ ადამიანის მიერ შეფასებული შესაძლო ალტერნატივების შერჩევის სუბიექტურობა; განსაზღვრული ინფორმაციის არასაკმარისობა, რომელთაც ალბათობის ალტერნატიული დასასრულის რაოდენობის ხარისხის შეფასებაში ცდომილებამდე მივყავართ; მოსალოდნელი საფრთხეების ხანგრძლივად თავიდან აცილების შეუძლებლობა; მოქმედებების შედეგების შეუქცევადობა; მზარდი მასშტაბი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის, და რეგრესული პოტენციალის დაგროვების გამო; მრავალვარიანტულობა და მოსალოდნელი ზარალისა და შემოსავლების ალტერნატიულობა; მოქმედების უარყოფითი და დადებითი შედეგების წინააღმდეგობრიობა.

ნახ. 1.4. რისკის კატეგორიის ძირითადი მახასიათებლები



და ბოლოს, აუცილებელია ზევით განხილული საკითხების საფუძველზე მენეჯერმა ჩამონათვლის დონეზე განიხილოს ქვემოთ მოყვანილი რისკის აღწერილობა ანუ რისკის შემადგენლები:

- რისკის ბუნება, რისკის კლასიფიკაციის და შესაძლო გავლენათა დროითი სკალის ჩათვლით;
- რისკისადმი დამოკიდებულება, მიდრეკილება, რისკის ტოლერანტობა და ლიმიტები;

- ღონისძიებათა აღბათობა და მნიშვნელობა, ასევე შედეგები, რითაც შესაძლოა რისკი მატერიალიზებული იქნას;
- კონტროლისთვის საჭირო სტანდარტები ან რისკის მიზნობრივი დონე;
- ინციდენტის და დაკარგვის გამოცდილება;
- მიმდინარე კონტროლის მექანიზმები;
- რისკის სტრატეგიის და პოლიტიკის განვითარების პასუხისმგებლობა;
- რისკის სრულყოფის პოტენციალი და მიმდინარე კონტროლისადმი ნდობის დონე;
- რისკის სრულყოფის რეკომენდაციები და განხორციელების ვადები;
- პასუხისმგებლობა რისკების დათმობაზე (რისკების მიღებაზე).

1.3. რისკების კლასიფიკაცია

სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკებისათვის დამახასიათებელია დიდი მრავალფეროვნება. რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით მიზანშეწონილია მათი კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნებით. რისკების კლასიფიკაცია პრობლემის მკვეთრი სტრუქტურირების საშუალებას იძლევა და გავლენას ახდენს სიტუაციის ანალიზსა და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტური მართვის მეთოდის არჩევანზე, განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით.

რისკების კლასიფიკაციის სირთულე აიხსნება მრავალფეროვნებით, რისკების ახალი სახეობების გამოვლენით, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონითა და ტემპებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია რისკების სახეობათა კლასიფიკაცია (იხ. ცხრილი 1.2) ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით.

ცხრილი 1.2. რისკების სახეობათა კლასიფიკაცია ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით

სტანდარტის ან ჩარჩო	COSO	IRM	BS31100	FIRM Risk Scorecard	PESTLE
სახეობათა კლასიფი- კაცია	სტრატეგი- ული ოპერაციუ- ლი სანგარიშო შესაბამი- სობის	ფინანსური სტრატეგი- ული საოპერა- ციო სახიფათო	სტრატეგი- ულ პროგრამუ- ლი პროექტის ფინანსური ოპერაციუ- ლი	ფინანსური ინფრას- ტრუქტუ- რული რეპუტაცი- ული საბაზრო	პოლიტიკუ- რი ეკონომი- კური სოციოლო- გიური ტექნოლო- გიური სამართ- ლებრივი გარემოს- დაცვითი

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 133.

რისკების კლასიფიკაციის ამა თუ იმ სახეობის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია მათზე დაყრდნობით შესაბამისი ანალიზის ჩატარება. ცხრილში 1.3 მოცემულია FIRM რისკების შედეგები.

ცხრილი 1.3. FIRM რისკების შედეგების ცხრილი

	ფინანსური	ინფრასტრუქტურული	რეპუტაციული	საბაზრო
აღწერა	რისკები, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გზებზე, რომელსაც ფული მართავს და მომგებიანობას არის მიღებული	რისკები, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ეფექტიანობის დონეზე და ძირითადი პროცესების დიდფუნქციაზე	რისკები, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მომხმარებლის სურვილზე ან ვაჭრობაზე და მომხმარებლის თავშეკავებაზე.	რისკები, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მომხმარებლის ვაჭრობაზე ან ხარჯებზე და მომხმარებლის თავშეკავებაზე.
შიდა/გარე	შიდა	შიდა	გარე	გარე
რაოდენობრივი	ჩვეულებრივ	ზოგჯერ	არა ყოველთვის	დიახ
გაზომვა (შესრულების ინდიკატორები)	მოგება და ზარალი შიდა ფინანსური კონტროლიდან	პროცესების და ოპერაციების ეფექტიანობის დონე	მარკეტინგის პროფაილის საჯაროობის და ეფექტურობის ბუნება	შემოსავლები კომერციული და საბაზრო ოპერაციებიდან

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 133.

როგორც ვხედავთ, რისკების სხვადასხვა კლასიფიკაციებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიდგომებით. რისკის სხვადასხვა კლასიფიკაციას სხვადასხვა მიდგომები წაყენება. მაგალითად, თუ გვინდა ბიზნეს-გარემოში არსებული რისკების კლასიფიკაცია, მაშინ უმჯობესია PESTLE კლასიფიკაცია გამოვიყენოთ (იხ. ჩხრილი 1.4).

ცხრილი 1.4. რისკების PESTLE კლასიფიკაცია

რისკის კატეგორია	აღწერა
პოლიტიკური	საგადასახადო პოლიტიკა, დასაქმების კანონმდებლობა, გარემოსდაცვითი რეგულაციები, საეაქრო შეზღუდვები და რეფორმა, ტარიფები და პოლიტიკური სტაბილურობა
ეკონომიკური	ეკონომიკური ზრდა/ვარდნა, საპროცენტო განაკვეთი, გაცვლითი კურსი და ინფლაციის განაკვეთი, სახელფასო განაკვეთი, მინიმალური ხელფასი, სამუშაო საათები, უმუშევრობა (ადგილობრივი და ეროვნული), კრედიტზე ხელმისაწვდომობა, ცხოვრების ღირებულება და ა.შ.
სოციოლოგიური	კულტურული ნორმები და მოლოდინები, ჯანდაცვითი ცნობიერება, მოსახლეობის ზრდის დონე, ასაკობრივი განაწილება, კარიერული დამოკიდებულება, აქცენტი უსაფრთხოებაზე, გლობალური დათბობა.
ტექნოლოგიური	ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც გავლენას ახდენს თქვენს საქონელზე ან მომსახურებაზე, მოცემულ ბაზარზე შეღწევის ბარიერები, ფინანსური გადანაცვლებები, როგორცაა აუტოსორსინგი და მიწოდების ჯაჭვი.
სამართლებრივი	ცვლილებები კანონმდებლობაში, რაც გავლენას ახდენს დასაქმებაზე, მასალებზე წვდომაზე, ქვოტები, რესურსები, იმპორტი/ექსპორტი, გადასახდები და ა.შ.
გარემოსდაცვითი	ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ასპექტები, თუმცა ამ ფაქტორთაგან ბევრი ეკონომიკური და სოციალური ბუნებისაა.

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 135.

რუსი მეცნიერის მ. ა. როგოვის მიერ შემოთავაზებულია რისკების კლასიფიკაციის შემდეგი პრინციპები:

პირველ რიგში, კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ მიზნებს. ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ხდება რისკების ჯგუფებად დაყოფა, უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია კლასიფიკაციის მიზნებთან. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს სადაზღვევო მომსახურების ნომენკლატურის ჩამოყალიბება, რისკებისაგან დაცვის მეთოდების მიზნის ხის აგება, სპეკულაციური შესაძლებლობების ანალიზი, რისკების ბუნების შესწავლა, იურიდიული დაცვა, მექანიზმის შემუშავება მოსალოდნელი შედეგებისაგან.

მეორე – კლასიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს სისტემური მიდგომის პოზიციებიდან. სისტემური მიდგომა არის მეთოდოლოგიის მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების, როგორც სისტემების გამოკვლევა (აქ ობიექტებს წარმოადგენს კლასიფიცირებადი რისკები), ე.ი. ისინი განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სიმრავლე. კლასიფიცირებადი რისკების იერარქიული სტრუქტურა უნდა ასახავდეს დასაკვირვებელი მოვლენების სისტემურ ურთიერთკავშირებს, კერძოდ, ერთ ჯგუფში უშუალოდ არ უნდა ერთიანდებოდეს განხილვის სხვადასხვა დონის რისკები.

მესამე – ერთი ჯგუფის სარისკო სიტუაციები უნდა იყოს დეტალიზებული და პასუხობდეს კლასიფიკაციის მიზნებს. ნიშნების დაზუსტება შეზღუდული უნდა იყოს რისკის ერთი ჯგუფის ფარგლებში.

მეოთხე – ერთი და იგივე სარისკო სიტუაცია შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა რისკებს. უნდა განვასხვავოთ განუსაზღვრელობის სიტუაციები და მათში ჩადებული რისკები. მაგალითად, ერთობლივი ხარჯებით ფასიანი ქაღალდის (სავალუტო ობლიგაციის) ყიდვას, შეიძლება ჰქონდეს ერთდროულად ფასისმიერი (საკურსო) რისკი, სავალუტო (ტრანსლაციური) რისკი, საპროცენტო რისკი, ხელიდან გაშვებული სარ-

გებლის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, გაკოტრების რისკი და სხვა.

მეხუთე, რისკის ტაქსონომიის განხილვისას მიზანშეწონილია გამოვყოთ ამ მოვლენის შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები: რისკის წყარო, რისკის მატარებელი ობიექტი, რისკის აღმქმელი სუბიექტი.

ჩვენის აზრით ყურადსაღებია ასევე ვ. ტ. სევერუიკის მოსაზრებები, რომელიც საინვესტიციო რისკს განმარტავს, როგორც რისკს, რომელიც წარმოიქმნება ინვესტიციების განხორციელების პროცესში ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტებში. საინვესტიციო რისკის დონის ანალიზისას ის გვთავაზობს განვასხვავოთ საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და ინვესტიციები რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებში: რეალური სექტორის სუბიექტების ინვესტირება საბანკო კრედიტების ხარჯზე და ინვესტირება ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის სანარმოების თვითდაფინანსების ხარჯზე.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის საგარეო აქტივების და ვალდებულებების სიდიდეს საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასასრულისათვის და ყველა ცვლილებებს, რომლებიც ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების სხვადასხვა სახეების, გადაფასების (ღირებულებებითი ცვლილებები) ან სხვა ცვლილებების განხორციელების შედეგად მომხდარა; ახასიათებს რისკის ხარისხს და ეკონომიკის საგარეო სექტორის მდგრადობას, აგრეთვე ქვეყნის (სუვერენული), სავალუტო და საპორტფელო რისკების დონეს.

ინვესტიციები რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებში დაკავშირებულია რეალური სექტორის სუბიექტების ინვესტირებასთან საბანკო კრედიტების და ინვესტირების ხარჯზე და ინვესტირებასთან ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის თვითდაფინანსების ხარჯზე. შიდა საინვესტიციო რისკის დონე დამოკიდებულია პირდაპირი ინვესტიციების, პორტფელური ინვესტიციების რისკების დონეზე და სხვა. სა-

რუსი მეცნიერის მ. ა. როგოვის მიერ შემოთავაზებულია რისკების კლასიფიკაციის შემდეგი პრინციპები:

პირველ რიგში, კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ მიზნებს. ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ხდება რისკების ჯგუფებად დაყოფა, უნდა აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია კლასიფიკაციის მიზნებთან. ასეთი მიზანი შეიძლება იყოს სადაზღვევო მომსახურების ნომენკლატურის ჩამოყალიბება, რისკებისაგან დაცვის მეთოდების მიზნის ხის აგება, სპეკულაციური შესაძლებლობების ანალიზი, რისკების ბუნების შესწავლა, იურიდიული დაცვა, მექანიზმის შემუშავება მოსალოდნელი შედეგებისაგან.

მეორე – კლასიფიკაცია უნდა ჩამოყალიბდეს სისტემური მიდგომის პოზიციებიდან. სისტემური მიდგომა არის მეთოდოლოგიის მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უდევს ობიექტების, როგორც სისტემების გამოკვლევა (აქ ობიექტებს წარმოადგენს კლასიფიცირებადი რისკები), ე.ი. ისინი განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სიმრავლე. კლასიფიცირებადი რისკების იერარქიული სტრუქტურა უნდა ასახავდეს დასაკვირვებელი მოვლენების სისტემურ ურთიერთკავშირებს, კერძოდ, ერთ ჯგუფში უშუალოდ არ უნდა ერთიანდებოდეს განხილვის სხვადასხვა დონის რისკები.

მესამე – ერთი ჯგუფის სარისკო სიტუაციები უნდა იყოს დეტალიზებული და პასუხობდეს კლასიფიკაციის მიზნებს. ნიშნების დაზუსტება შეზღუდული უნდა იყოს რისკის ერთი ჯგუფის ფარგლებში.

მეოთხე – ერთი და იგივე სარისკო სიტუაცია შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა რისკებს. უნდა განვასხვავოთ განუსაზღვრელობის სიტუაციები და მათში ჩადებული რისკები. მაგალითად, ერთობლივი ხარჯებით ფასიანი ქაღალდის (სავალუტო ობლიგაციის) ყიდვას, შეიძლება ჰქონდეს ერთდროულად ფასისმიერი (საკურსო) რისკი, სავალუტო (ტრანსლაციური) რისკი, საპროცენტო რისკი, ხელიდან გაშვებული სარ-

გებლის რისკი, ლიკვიდურობის რისკი, გაკოტრების რისკი და სხვა.

მეხუთე, რისკის ტაქსონომიის განხილვისას მიზანშეწონილია გამოვყოთ ამ მოვლენის შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები: რისკის წყარო, რისკის მატარებელი ობიექტი, რისკის აღმქმელი სუბიექტი.

ჩვენის აზრით ყურადსაღებია ასევე ვ. ტ. სვერუიკის მოსაზრებები, რომელიც საინვესტიციო რისკს განმარტავს, როგორც რისკს, რომელიც წარმოიქმნება ინვესტიციების განხორციელების პროცესში ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტებში. საინვესტიციო რისკის დონის ანალიზისას ის გვთავაზობს განვასხვავოთ საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და ინვესტიციები რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებში: რეალური სექტორის სუბიექტების ინვესტირება საბანკო კრედიტების ხარჯზე და ინვესტირება ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის საწარმოების თვითდაფინანსების ხარჯზე.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის საგარეო აქტივების და ვალდებულებების სიდიდეს საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და დასასრულისათვის და ყველა ცვლილებებს, რომლებიც ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ოპერაციების სხვადასხვა სახეების, გადაფასების (ღირებულებებითი ცვლილებები) ან სხვა ცვლილებების განხორციელების შედეგად მომხდარა; ახასიათებს რისკის ხარისხს და ეკონომიკის საგარეო სექტორის მდგრადობას, აგრეთვე ქვეყნის (სუვერენული), სავალუტო და საპორტფელო რისკების დონეს.

ინვესტიციები რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებში დაკავშირებულია რეალური სექტორის სუბიექტების ინვესტირებასთან საბანკო კრედიტების და ინვესტირების ხარჯზე და ინვესტირებასთან ეკონომიკის არასაფინანსო სექტორის თვითდაფინანსების ხარჯზე. შიდა საინვესტიციო რისკის დონე დამოკიდებულია პირდაპირი ინვესტიციების, პორტფელური ინვესტიციების რისკების დონეზე და სხვა. სა-

ინვესტიციო რისკის ოპტიმალური დონე ქვეყნის ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს უზრუნველყოფს. საინვესტიციო რისკის დონის ანალიზი საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის საშუალებით და ინვესტიციები რეზიდენტ ინსტიტუციონალურ ერთეულებში საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ურთიერთკავშირს საინვესტიციო კლიმატსა და სუბიექტების ინვესტირებას შორის, ე.ი. დავინახოთ კავშირი შიგა და გარე რისკებს შორის ინტეგრალურ საინვესტიციო რისკში.

ასევე საინტერესოა ი. ა. ბლანკის მიდგომები, რომელიც გამოყოფს რეალური და ფინანსური ინვესტირების რისკებს. სხვა ავტორები საინვესტიციო რისკებს მიაკუთვნებენ გაშვებული სარგებლის, შემოსავლიანობის დაქვეითებისა და პირდაპირი ფინანსური დანაკარგების რისკებს. ფინანსური რისკების ჩამოთვლილი სახეები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან, განეკუთვნება „რთულ რისკებს“ (კლასიფიკაციის კრიტერიუმში – კვლევის კომპლექსურობა), რომლებიც, თავის მხრივ, ცალკეულ ქვესახეებად იყოფა. მაგალითად, რეალური ინვესტირების რისკის შემადგენლობაში გამოყოფენ საინვესტიციო პროექტის დაგვიანებით მომზადების რისკს; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაგვიანებით დასრულებას; პროექტის ინვესტიციური მიზნიდველობის დაკარგვას მისი ეფექტიანობის შესაძლო დაქვეითებასთან დაკავშირებით და ა.შ. საინვესტიციო რისკების ყველა ქვესახე დაკავშირებულია სანარმოს კაპიტალის შესაძლო დანაკარგთან, ამიტომაც ისინი შედიან ყველაზე უფრო საშიში ფინანსური რისკების ჯგუფში.

ყველაზე სარისკო საქმიანობას მიეკუთვნება უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობა, რამდენადაც მასზე გავლენას ახდენს განუსაზღვრელობის ფაქტორების დიდი რაოდენობა, მაგალითად, ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარეობისას შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობა: უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით სანარმოების

დაფუძნების შესახებ, საგადასახადო კანონმდებლობა, უცხოური ვალუტის გამოყენების მარეგულირებელი წესები და ა.შ. ინვესტორისათვის, რომელიც სახსრებს უცხოური სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებში დებს, რისკი მდგომარეობს იმაშიც, რომ პოლიტიკური წყობის შეცვლის, საომარი ქმედებების და სამოქალაქო მღელვარების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წარმოებულ ინვესტიციების კონფისკაცია, განადგურება ან დაზიანება. ამიტომ ინვესტორი დაინტერესებულია გარკვეული გარანტიების მიღებით ყველა ამ მიმართულებით.

ზემოთ მოყვანილი ინვესტიციების სახეობათა გათვალისწინებით შესაძლებელია ინვესტორის ქონებრივი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული შემდეგი რისკების გამოყოფა:

1) **ზოგადი რისკები.** მათი დადგომა ნეგატიურად აისახება ნებისმიერი ფორმით განხორციელებულ ინვესტიციებზე (კრედიტის მიცემა, აქციებისა და წილების ფლობა, ქონების ფლობა და ა.შ.). მათ მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია კონფისკაციებთან პოლიტიკური მიზეზით, ობიექტის განადგურებასა და დაზიანებასთან საომარი ქმედებების და სამოქალაქო მღელვარების შედეგად. ზოგადი რისკების დადგომის ალბათობა ძნელად პროგნოზირებადია. მათი დადგომის შედეგებს გლობალური და გამანადგურებელი ხასიათი აქვს და ინვესტორისთვის საკომპენსაციოდ მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვს.

2) **ტექნიკური რისკები.** მათმა დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტირებული სახსრების ნაწილის განადგურება ან გაფუჭება; ინვესტიციის კონკრეტული, განკერძოებული ობიექტისათვის (მაგალითად, შენობისათვის) ზარალის მიყენება კონკრეტული, სტატისტიკურად განსაზღვრული მოვლენის შედეგად. ამასთან, ქონებრივი ზარალი დათვლადია და შეიძლება კომპენსირებულ იქნას. ასეთ რისკებს მიეკუთვნება ხანძრები, აფეთქებები, ავარიები, ნიადაგქვეშა წყლების

ამოსვლა და მსგავსი რისკები, რომელთათვისაც დამახასიათებელია მოულოდნელობა და არაპროგნოზირებადობა.

3) **სპეციალური რისკები.** მათი დადგომა დაკავშირებულია კერძო მიზეზებთან, რომლებიც გამოწვეულია ინვესტიციების მიმღების სამეურნეო საქმიანობის თავისებურებებით. ასეთ რისკებს შეიძლება მივაკუთვნოთ მიღებული საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში კრედიტის დაუბრუნებლობის რისკი. ასეთი რისკებისათვის არ შეიძლება მათი დადგომის ალბათობა სტატისტიკურად იქნას დასაბუთებული. მათი დადგომა ნეგატიურად აისახება ინვესტიციების კონკრეტულ, სპეციალურ ობიექტებზე – კრედიტებისა და სესხების ფორმით. ასეთ რისკებს მიეკუთვნება აგრეთვე ინვესტორის ტიტულარული მფლობელობის უფლების (გარე უფლებები) დაკარგვის რისკი. ასეთი უფლებების დაკარგვისაგან მიყენებული ზარალი შეიძლება თვით ინვესტიციების ღირებულებას უდრიდეს, ხოლო ზარალის რაოდენობა, როგორც წესი, სასამართლოს წესით დგინდება.

4) **სამეურნეო საქმიანობის რისკი.** ასეთი რისკების დადგომას ალბათობითი ხასიათი არ აქვს. ინვესტიციების მდგომარეობაზე მათი უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობა განისაზღვრება სანარმოო პროცესის ორგანიზაციის შედეგებით. მაგრამ ასეთი მოვლენების გავლენის ხარისხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ინვესტიციებიდან დაგეგმილი შემოსავლის მიუღებლობიდან მათ სრულ დაკარგვამდე, მაგალითად, ინვესტორის მონაწილეობით შექმნილი სანარმოს გაკოტრების შედეგად.

5) **საინვესტიციო დაკრედიტებასთან დაკავშირებული რისკები.** ასეთი რისკების დადგომა დაკავშირებულია საბანკო საქმიანობასთან. ყველაზე უფრო განხილვადია: საკრედიტო რისკი, საპროცენტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ფიდუციარული რისკი.

რისკი გულისხმობს მომავალ ანაზღაურებათა განუსაზღვრელობას (როგორც მათ ზრდას, ასევე დაცემას). ახალი შესაძლებლობები ბიზნესში უწყვეტადაა დაკავშირებუ-


ლი შემდგომი მოქმედებების დაგეგმვასთან. თანამედროვე კომპანიები შორსმხედველები უნდა იყვნენ. მათ უნდა ესმოდათ, რომ მათ უბრალოდ აღარ შეუძლიათ წარმართონ თავისი საქმეები წინდახედულად.

საინვესტიციო საქმიანობას სუბიექტური საფუძველიც გააჩნია, რამდენადაც მისი რეალიზაცია ყოველთვის ადამიანის მეშვეობით ხდება. მენეჯერი აფასებს განუსაზღვრელობის სიტუაციას, აკეთებს არჩევანს მრავალი ალტერნატივიდან. რისკის აღქმა დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ ადამიანზე მისი ხასიათის, გონიერების, ფსიქოლოგიური თავისებურებების, ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

ამდენად საინვესტიციო საქმიანობის რისკები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საინვესტიციო რისკები. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ძირითადად საფინანსო-ეკონომიკური დანაკარგების ან სარგებლის წარმოქმნასთან (წმინდა და სპეკულაციური რისკების ურთიერთქმედებისას) ეკონომიკური სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო საქმიანობის რისკები და საინვესტიციო რისკები ერთმანეთს კვეთენ იმ სფეროში, რომელშიც განუსაზღვრელობის ფაქტორები გავლენას ახდენს რეალური ინვესტიციების განხორციელებაზე. საინვესტიციო საქმიანობის რისკები მთლიანად ემთხვევა საინვესტიციო რისკებს – საინვესტიციო პროექტის დაგვიანებით მომზადებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაგვიანებით დამთავრების დროს. ეს შეიძლება იყოს: წმინდა ტექნიკური რისკი ცალკეული საინჟინრო გადაწყვეტილებების არასაკმარისი დამუშავების შედეგად; ახალი პროდუქტის ან ტექნოლოგიების გამოყენებით გამოწვეული ეკოლოგიური რისკი გარემოსათვის არაპროგნოზირებადი შედეგებით; კომერციული რისკი, თუ ახალი პროდუქციის წარმოების დასაწყისისათვის არ არის გარანტირებული საბაზრო ნიშა მისი რეალიზაციისათვის ან არსებობს კონკურენციის საშიშროება სხვა მწარმოებელთა მხრიდან. საინვესტიციო საქმიანობის და საინვესტიციო რისკების თანაფარდობა წარმოდგენილია ნახაზზე 1.5.

ნახ. 1.5. საინვესტიციო საქმიანობის რისკებისა და საინვესტიციო რისკების თანაფარდობა



აუცილებელია განვასხვავოთ რეალური საინვესტიციო საქმიანობის რისკები და ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკები. საინვესტიციო საქმიანობის რისკები მოიცავს რისკების ორ ტიპს: წმინდას და სპეკულაციურს. წმინდა რისკები (მათ შორის საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის რისკები) არაჯეროვანი მართვის შემთხვევაში საინვესტიციო საქმიანობის ზარალსაც კი იწვევს. რეალურ საინვესტიციო საქმიანობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ რისკების სახეები საინვესტიციო პროცესის სტადიების მიხედვით (იხ. ცხრ. 1.5.)

ცხრილი 1.5. რისკების სახეები საინვესტიციო პროცესის სტადიების მიხედვით

რისკის სახე		უარყოფითი გავლენა პროექტის რეალიზაციიდან მოხალოდნელ მოგებაზე
მოსალოდნელი სტადია		
დაშორება სატრანსპორტო კვანძებიდან	სატრანსპორტო	დამატებითი ხარჯები მისასვლელი გზების შესაქმნელად, გაზრდილი საექსპლუატაციო ხარჯები
დაშორება საინჟინრო ქსელებიდან	საინჟინრო	დამატებითი კაპიტალური დაბანდებები ელექტროენერჯის და წყლის შესაყვანად
ადგილობრივი სფეროს დასოკიდებულება	სელი-სუფლების	მათ მიერ დამატებითი შეზღუდვების შეტანა, რომლებიც პროექტის რეალიზაციას ართულებენ.
ადგილზე მიღწევა	მენარდეთა	სამუშაოთა ღირებულების მომატების საშიშროება, მენარდის მონოპოლური მდგომარეობის გამო
ნედლეულის ალტერნატიული წყაროების არსებობა	ალტერნატიული წყაროების არსებობა	ფასების მომატების საშიშროება, მენარდის მონოპოლური მდგომარეობისას
სამშენებლო სტადია		
დამკვეთის გადამხდელუნარიანობა	გადამხდელუნარიანობა	ნასესხები თანხების მოცულობის გაზრდა და წმინდა მოგების შემცირება პროცენტების გადახდის გამო
გაუთვალისწინებელი ხარჯები, მათ შორის ინფლაციის გამო	გაუთვალისწინებელი ხარჯები, მათ შორის ინფლაციის გამო	ნასესხები ხარჯების მოცულობის ზრდა
საპროექტო-საძიებო სამუშაოების ნაკლოვანებები	საპროექტო-საძიებო სამუშაოების ნაკლოვანებები	მშენებლობის ღირებულების ზრდა, გაჭიანურება სიმძლავრეების შეტანით
მაკომპლექტებლების დაგვიანებით მიწოდება	მაკომპლექტებლების დაგვიანებით მიწოდება	მშენებლობის ვადების გაზრდა, მენარდისათვის ჯარიმის გადახდა
მენარდის არაკეთილსინდისიერება	მენარდის არაკეთილსინდისიერება	მშენებლობის ვადების გაზრდა,
ფუნქციონირების სტადია: ფინანსურ-ეკონომიკური რისკები		
მოთხოვნის არამდგრადობა	მოთხოვნის არამდგრადობა	მოთხოვნის ვარდნა ფასების ზრდასთან ერთად

ალტერნატიული პრო- დუქტის წარმოშობა	მოთხოვნების შემცირება
კონკურენტების მიერ ფასების დაწვეა	ფასების შემცირება
წარმოების ზრდა კონ- კურენტებთან	გაყიდვების ვარდნა ან ფასების დაწვეა
გადასახადების ზრდა	წმინდა მოგების შემცირება
მომხმარებლის გადამ- ხდელუნარიანობა	გაყიდვების ვარდნა
ნედლეულის, მასალე- ბის, გადაზიდვების ფა- სების ზრდა	შემოსავლის შემცირება ფასების ზრდის გამო
მომწოდებლებზე დამო- კიდებულება ალტერნატივების არარ- სებობა	შემოსავლის შემცირება ფასების ზრდის გამო
შაბრუნავი საშუალებე- ბის არარსებობა	კრედიტების გაზრდა
ფუნქციონირების სტადია: სოციალური რისკები	
კვალიფიცირებული სა- მუშაო ძალის შეკრების სიძნელეები	დაკომპლექტების ხარჯების შემცირება
გაფიცვის საშიშროება	ჯარიმები ხელშეკრულების დარღვევის გამო
ადგილობრივი ხელი- სუფლების დამოკიდე- ბულება	დამატებითი ხარჯები მათი მოთხოვნე- ბის დასაკმაყოფილებლად
ხელფასის არასაკმარი- სი დონე	კადრების გადინება, მწარმოებლურობის შემცირება
კადრების კვალიფიკა- ცია	რითმულობის დაწვეა, ქორწინებების ზრდა, ავარიების მატება
სოციალური ინფრას- ტრუქტურა	არამწარმოებლური ხარჯების ზრდა
ფუნქციონირების სტადია: ტექნიკური რისკები	
აღჭურვილობის (და- ნადგარების) გაცვეთა	პროექტების ღირებულების ზრდა და სა- რემონტე ხარჯები

ნედლეულის არასტაბილური ხარისხი	წარმოების მოცულობების შემცირება და მასალების ხარჯვის ზრდა დანადგარების ხელახალი მოწესრიგების, პროდუქტის ხარისხის დაწვეის გამო
ტექნოლოგიების სიახლეები	ათვისებისათვის საჭირო ხარჯების ზრდა წარმოების მოცულობების შემცირება
საიმედოობის უკმარისობა	ტექნოლოგიის ავარიულობის მომატება
სიმძლავრეების რეზერვის არარსებობა	პიკური მოთხოვნების დაფარვის შეუძლებლობა, წარმოების დანაკარგები ავარიების დროს.
ფუნქციონირების სტადია: ეკოლოგიური რისკები	
ზალპური ამოფრქვევის ალბათობა	გაუთვალისწინებელი ხარჯების ზრდა
ამოფრქვევა ატმოსფეროში	გამწმენდი დანადგარების დანახარჯები
დასახლებული პუნქტების სიახლოვე	ხარჯების გაზრდა გამწმენდ დანადგარებზე და პროექტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე
წარმოების საზიანოობა	საექსპლუატაციო ხარჯების ზრდა
წარჩენების დასაწყობება	თვითღირებულების გაძვირება

საფინანსო არბიტრაჟზე დაფუძნებულმა სპეკულაციურმა რისკებმა შეიძლება შედეგად მოიტანოს მოგება, თუ არბიტრაჟი ხორციელდება სწორად, სანინააღმდეგო შემთხვევაში კი გარდაუვალია ზარალი. სპეკულაციური რისკის ძირითადი სახეებია საპროცენტო, სავალუტო და საბაზრო (ან პოზიციური) რისკები.

მეცნიერი ფრენკ ჯ. ფაბოცი გამოყოფს მხოლოდ ფინანსურ აქტივებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ რისკებს; ფასისმიერ რისკებს (price risk); საკრედიტო რისკებს (credit risk); კომერციულ რისკებს (business risk); საფინანსო რისკებს (financial risk); ინფლაციურ რისკებს ან მსყიდველობითუნარი-

ანობის რისკს (inflation risk; purchasing- power risk); გაცვლითი კურსების რისკს (exchange rate risk), ან სავალუტო რისკს (currency risk); რეინვესტიციულ რისკს, ვადაზე ადრე განწვევის რისკს (call risk); ლიკვიდურობის რისკს (liquidity risk). (იხ. ცხრილი 1.6).

ცხრილი 1.6. ფინანსურ აქტივებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია

რისკი	მაგალითი
ფასის ცვლილების რისკი	აქტივის ღირებულება ეცემა მაშინ, როდესაც ინვესტორი იძულებულია გაყიდოს იგი
გადამხდელუნარობის რისკი (საკრედიტო რისკი)	ემიტენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი
საინფლაციო რისკი	ინფლაციის ზრდას აქტივის გაუფასურებისაკენ მივყავართ
გაცვლის რისკი	გაცვლის კურსის შეცვლას მივყავართ დანაკარგებამდე, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივის ღირებულებაში
რეინვესტიციური რისკი	მიღებული საინვესტიციო შემოსავალი ინვესტირდება აქტივებში ნაკლები შემოსავლებით
ვადამდელი გამოძახების რისკი	ემიტენტი სარგებლობს თავისი ვალდებულებების ვადამდელი შესრულების უფლებით
ლიკვიდურობის რისკი	არ ხერხდება აქტივის რეალიზება „სამართლიანი“ ფასით.

ასეთი რისკების უმრავლესობა (რეინვესტიციული რისკი, ვადამდელი გამოწვევის რისკი, ლიკვიდურობის რისკი) დაკავშირებულია ფასისმიერ რისკთან, რამდენადაც საპორტფელო აქტივების მომავალი ფასები რეალურად უცნობია.

ძირითადი ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია ჩვეულებრივი აქციების ფასისმიერი რისკები არის საბაზრო ფა-

სების „საერთო მოძრაობა“; ობლიგაციებისათვის – საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. ფასისმიერი რისკი უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ინვესტორისათვის, მათ შორის კომერციული ბანკისათვის.

ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს (default risk) სშირად უწოდებენ საკრედიტო რისკსაც (credit risk). ეს არის რისკი, რომელიც გვიჩვენებს იმას, რომ ობლიგაციის ემიტენტმა შეიძლება ვერ შეძლოს პროცენტების ან ვალის ძირითადი თანხის (ნომინალის) დროულად გადახდა. ჩვეულებრივ, იგი იზომება რეიტინგის მეშვეობით, რომელსაც განსაზღვრავს კომერციული სარეიტინგო კომპანიები – Moody's Investor Service, Standard & Poor's, Duff & Phelps Credit Rating და Fitch Investors Service.

ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი საქმიანი და ფინანსური რისკების შედეგია. საქმიანი ან კომერციული რისკი (business risk) – ეს არის ემიტენტის შემოსავლების შემცირების რისკი ეკონომიკური პირობებისა და ზრდის გაუარესების ხარჯზე. საქმიანი რისკი არ შეიძლება უბრალოდ დავიყვანოთ კომერციულ რისკამდე, იმდენად რამდენადაც ის ასევე დაკავშირებულია კლიენტების მიმართ დამოკიდებულების ხასიათთან, რომლებზეც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ვალის გადახდის ვალდებულებების შესრულება.

ინფლაციური რისკი, ან მსყიდველობითუნარიანობის რისკი (inflation risk; purchasing-power risk) – ეს არის რისკი იმისა, რომ რეალური შემოსავლიანობა ე.ი. შემოსავლიანობა ინფლაციის გათვალისწინებით, შეიძლება უარყოფითი აღმოჩნდეს. ინფლაციური რისკი მდგომარეობს ინფლაციის ზრდასთან დაკავშირებით კაპიტალის რეალური ღირებულების, აგრეთვე ინვესტიციური ოპერაციების განხორციელებისაგან მიღებული მოსალოდნელი შემოსავლების და მოგების გაუფასურების შესაძლებლობაში. რისკის მოცემულ სახეს მუდმივი ხასიათი აქვს და ინფლაციური ეკონომიკის პირობებში თან ახლავს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ყველა საინვესტიციო ოპერაციას. ამრიგად, ინფლაციური რისკი, რო-

გორც საინვესტიციო საქმიანობის რისკების დამოუკიდებელი სახე, გამოიყოფა მხოლოდ ინფლაციური ეკონომიკის პირობებში.

რეინვესტიციური რისკი – ეს არის ადრე განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული სახსრების ხელახალი დაბანდებიდან შემოსავლიანობის დაქვეითების რისკი (მაგალითად, მცირე საპროცენტო განაკვეთებით რეინვესტირებისას). ობლიგაციის პორტფელებისათვის ფასისმიერი და რეინვესტიციური რისკი ურთიერთსაინანაალმდეგოა. პირველი – ეს არის რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება და შეამცირებს პორტფელის ღირებულებას. მეორე, – რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი დაეცემა და აისახება მომავალ გადახდებში რეინვესტირებიდან. ამ ორ ურთიერთსაინანაალმდეგო რისკებზე დაფუძნებული ფასისმიერი რისკისაგან დაცვის სტრატეგიას იმუნიზაცია ეწოდება (immunization). ეს რისკი აქტუალურია აქციების პორტფელში განმეორებითი ინვესტირებისთვისაც. ამ შემთხვევაში ინვესტორი, გადახდების მიღების მოლოდინში, განიცდის აქციების ღირებულების აწევისა და უფრო მაღალი ფასის გადახდის რისკს დამატებით შექმნილი აქციებისათვის.

ასეთ სიტუაციაში ინვესტორის თვალთახედვიდან ორი საფრთხე არსებობს: გადახდების სიდიდე, რომელსაც ის მიიღებს ობლიგაციების განვევისას, მისთვის რეალურად უცნობია; ეს, როგორც წესი, საპროცენტო განაკვეთის ვარდნის შემთხვევაში ხდება. ამიტომ ინვესტორს ემუქრება რეინვესტირების რისკი, რომელზეც ზევით იყო საუბარი. ასეთ განუსაზღვრელობას, რომელიც დაკავშირებულია გადახდების ნაკადთან და განმეორებითი რეინვესტირების პირობებთან, *კადამდელი განვევის რისკი ეწოდება (call risk)*. რისკის ეს სახე იმდენადაა გავრცელებული ობლიგაციების პორტფელის მართვის დროს, რომ ბევრი მენეჯერი მას ფასისმიერი რისკის შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზე აყენებს. თუმცა, ეს უკანასკნელი ობლიგაციების განვითარებული ბაზრისთვის უფროა დამახასიათებელი.

ფასისმიერი რისკების ბაზარზე წარმოიქმნება ლიკვიდურობის რისკი (liquidity risk), როდესაც აუცილებელია აქტივის სწრაფი რეალიზაცია, იმდენად რამდენადაც იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვაობა რეალიზაციის „ნამდვილ“ და მისაღწევ ფასებს შორის (საკომისიოების გარეშე).

ბევრი ფინანსური აქტივისათვის ლიკვიდურობა განისაზღვრება მასთან დაკავშირებული ვალდებულებების (კონტრაქტების, ხელშეკრულებების) ტიპით.

რუსი მეცნიერი მ. ა. როგოვი გვთავაზობს ბაზრის სეგმენტების მიხედვით საბაზრო რისკების შემდეგ კლასიფიკაციას:

- საპროცენტო რისკი (interest rate risk);
- გაცვლითი კურსის რისკი (exchange rate risk);
- აქციების ბაზრის ფასისმიერი რისკები (equity risk);
- სასაქონლო ბაზრის ფასისმიერი რისკები (commodity risk);
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის რისკი.

ბაზრის სეგმენტების მიხედვით მოცემული კლასიფიკაციის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ განხილულია ფინანსური ინვესტიციების რისკი და პორტფელური რისკები სელექციური რისკის გამოკლებით, რეალური ინვესტიციების რისკები კი (განსაკუთრებით საპროექტო რისკები) კლასიფიკაციიდან საერთოდ ამოღებულია.

ფრენკ ჯ. ფაბოცის საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაციას აუცილებლად უნდა დაემატოს საპროცენტო რისკები. საპროცენტო რისკი – ეს არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია დანაკარგების საშიშროებასთან საპროცენტო განაკვეთების გაუთვალისწინებელი ცვლილების შედეგად ბანკების, ინვესტორების, ემიტენტების ფინანსურ ბაზარზე. ჩვეულებრივ, საპროცენტო რისკის წარმოშობის მიზეზს წარმოადგენს ფინანსური რისკის კონიუნქტურის ცვლილება სახელმწიფო რეგულირების ზემოქმედებით, თავისუფალი ფულადი რესურსების შეთავაზების ზრდა ან შემცირება

და სხვა ფაქტორები. საპროცენტო რისკი ზოგჯერ განიხილება, როგორც შემოსავლიანობის შემცირების რისკის სახესხვაობა.

ფრენკ ჯ. ფაბოცი ფინანსური რისკის ცნებას უფრო ვიწრო გაგებით განიხილავს – როგორც რისკს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ემიტენტის გადახდების ნაკადი ფინანსურ გარემოებებს დროში არ ემთხვევა. ფინანსური რისკები უფრო ფართო გაგებით – ეს არის რესურსების პოტენციურად შესაძლო, სავარაუდო დანაკარგის ან შემოსავლების სრულად მიუღებლობის საფრთხე იმ ვარიანტთან შედარებით, რომელიც გათვლილია საქმიანობის მოცემულ სფეროში რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე.

არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ასევე გაკოტრების რისკი, რომელიც გენერირდება გამოყენებული ნა-სესხი საშუალებების დიდი წილით და განპირობებულია კაპიტალის სტრუქტურის არასრულყოფილებით. საინვესტიციო საქმიანობების რისკის შემადგენლობაში, საფრთხის შემცველობის ხარისხით, რისკის ეს სახეობა წამყვან როლს ასრულებს, რამდენადაც ინვესს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის საქმიანობის შეწყვეტას.

შეიძლება შემოთავაზებულ იქნას საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაცია სხვა კრიტერიუმების მიხედვით. კერძოდ:

რისკის დონეების მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები შეიძლება დავყოთ დაბალ, ზომიერ და მაღალ რისკებად. რისკის დონე – ეს არის სარისკო სიტუაციის დადგომის ალბათობა, რომელსაც ზარალისკენ ან დაგეგმილზე ზემოთ დანაკარგისკენ მივყავართ.

ნარმოქმნის წყაროს მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები შეიძლება იყოს საკუთრივ სამეურნეო, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული ოპერაციის ხელმძღვანლის და/ან შემსრულებლის პიროვნებასთან, აგრეთვე განპირობებული პოლიტიკური, ეკონომიკური და/ან ბუნებ-

რივი ფაქტორებით და/ან სხვა ფორს-მაჟორული გარემოებებით.

წარმოქმნის მიზეზის მიხედვით განასხვავებენ რისკებს, რომლებიც გამონვეულია განუსაზღვრელი (არაპროგნოზირებადი) მომავლით, სხვადასხვა საკონტაქტო აუდიტორიების სუბიექტების ქცევის არაპროგნოზირებადობით, ინფორმაციის უკმარისობით, უზუსტობით.

დროში ხანგრძლივობის თვალსაზრისით, რისკი შეიძლება იყოს მუდმივი, ე.ი. უწყვეტი (იცვლება მხოლოდ დონე, კონკრეტული სიტუაციის ცვლილებიდან გამომდინარე) და ხანმოკლე – წარმოიქმნება და არსებობს კონკრეტულ და სრულად გაზომვად ფაქტორებთან მიმართებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია გამოვყოთ საინვესტიციო საქმიანობის სადაზღვევო რისკები. სადაზღვევო რისკებს – მოსალოდნელი არახელსაყრელი მოვლენები ზარალის სახით (ქონების სარისკო დაზღვევის და საინვესტიციო საქმიანობაში პასუხისმგებლობის მიხედვით) ან სასურველი მოვლენები შემოსავლების სახით შემდეგი მახასიათებლები გააჩნიათ, კერძოდ:

– რისკები, როგორც მოსალოდნელი ზარალი ან შემოსავლები ექვემდებარება მართვას სადაზღვევო ორგანიზაციების მხრიდან;

– დასაზღვევად მიღებული რისკების ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს მიმღები სადაზღვევო კომპანიების შიდა ფინანსურ შესაძლებლობებს: საკუთარი კაპიტალის; მიმდინარე პრემიების (ნეტო-განაკვეთის მიხედვით); სადაზღვევო რეზერვების, სადაზღვევო და არასადაზღვევო ოპერაციებისგან მიღებული მოგების ოდენობებს.

– თუ რისკების ღირებულება მათი მიმღები სადაზღვევო კომპანიის შიდა ფინანსურ შესაძლებლობებს აღემატება, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ორმაგი დაზღვევის, თანადაზღვევის, ხელახალი დაზღვევის და რეტროცესიის (რისკების განაწილება დამზღვევთა შორის და რისკების აკუმულაციის გადალახვა) პროცედურები.

- სადაზღვევო მოვლენა უნდა ეხებოდეს მზღვევლის ქონებრივ ინტერესებს (სუბიექტურ ორიენტირებულობას მზღვევლის ინტერესების მიხედვით);

- დასაზღვევად მიღებული რისკი მისაღები უნდა იყოს დამზღვევისათვის, მისი სადაზღვევო პორტფელის ოდენობის დაბალანსებულობის და რენტაბელობის გათვალისწინებით;

- დასაზღვევად გადაცემული რისკი მისაღები უნდა იყოს სადაზღვევო პრემიის სიდიდის მიხედვით მზღვევლის მზადყოფნის შესანარჩუნებლად.

- რისკი იმიტომ იზღვევა, რომ არ იყოს კატასტროფის მომტანი.

დაზღვევის თითოეული სახისათვის განისაზღვრება:

- დასაზღვევი რისკები;
- სადაზღვევო თანხა;
- დაზღვევის ღირებულება;
- დაზღვევის პერიოდი;
- სადაზღვევო პრემია და ტარიფი;
- სადაზღვევო რეზერვები;
- სადაზღვევო ურთიერთობების განსაკუთრებული ფორმები;
- მოვლენის დრო და დაზღვევის ობიექტის ადგილმდებარეობა;
- სადაზღვევო შენატანების (პრემიების) განსაზღვრის მეთოდები და მათი გადახდის წესი;
- პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების პირობები და სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საინვესტიციო საქმიანობის რისკების ჯგუფი, რომლის დაზღვევასაც სადაზღვევო კომპანიები თავს არიდებენ. მაგრამ ხშირად დაუზღვეველი რისკები შეიძლება ბანკის დამატებითი მოგების პოტენციური წყარო გახდეს. დანაკარგები დაუზღვეველი რისკის დადგომის შედეგად შეიძლება ანაზღაურებულ იქნას ბანკის საკუთარი სახსრებით.

საინვესტიციო საქმიანობის დაუზღვეველი რისკები კერძო კომერციული დაზღვევისათვის შეიცავს:

1) *კატასტროფულ რისკებს* – ანაზღაურდება სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო ფონდების მიერ;

2) *მისაღებ რისკებს* – ანაზღაურდება თვითდაზღვევის ხარჯზე;

3) *სპეკულაციურ რისკებს* – კომპენსირდება დივერსიფიკაციის, სეკურიტიზაციის (დაცვა) და ჰეჯირების ხარჯზე;

4) *მსხვილ სისტემატურ რისკებს* – ნეიტრალიზდება ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებით ინვესტიციების საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო რეგულირების მეშვეობით;

5) *ძალზე იშვიათ რისკებს* ყველაზე დაბალი ალბათობით. მათი იდენტიფიცირება დაზღვევისათვის საკმარის ხარისხში ძალიან ძნელია;

6) *რისკებს, რომლებიც წარმატებით დივერსიფიცირდება* საინვესტიციო კომპანიების მიერ საპორტფელო მენეჯმენტის ფარგლებში;

7) *პოლიტიკურ, სამხედრო, ტერორისტულ, სოციალურ და ეკოლოგიურ რისკებს*, რომელთა მიმართაც მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს ინვესტიციების სავალდებულო ან ნახევრადსავალდებულო და როგორც წესი, არაკომერციული დაზღვევა;

8) *ახალ რისკებს*, რომელთა მიხედვითაც ჯერ ვერ მოესწრო დაზღვევის ახალი სქემების განსაზღვრა;

ინსტიტუციონალური ინვესტორის ძირითადი ამოცანაა მისაღებ დონეზე გარისკვა, იმ ზღვარის შენარჩუნება, რომლის იქითაც შესაძლებელია გაკოტრება. ამიტომ, ფინანსური დანაკარგების დონით, საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი რისკები გამოიყოფა: დასაშვები რისკი; კრიტიკული რისკი; კატასტროფული რისკი.

დასაშვები რისკი – ეს არის ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის რეალიზაციიდან მისაღები მოგების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის საშიშროება. შესაძლებელია ამ რის-

კის თვითდაზღვევა, საკუთარი ლიკვიდური სასაქონლო მარაგებისა და ფინანსური რეზერვების მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად სადაზღვევო კომპანიისათვის მიმართვის გარეშე.

კრიტიკული რისკი დაკავშირებულია მთელი ამონაგების დაკარგვის საშიშროებასთან, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის ან ფინანსური საქმიანობის რომელიმე სახეობის განხორციელების დროს.

კატასტროფული რისკის დროს წარმოიშობა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ქონების სრული დაკარგვის საშიშროება, ამდენად კატასტროფულ რისკს გაკოტრებამდე მივყავართ, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია არა მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის რომელიმე სახეში ან კონკრეტულ ფინანსურ გარიგებაში ჩადებული სახსრების, არამედ ქონების დაკარგვაც. უმეტესწილად ეს დამახასიათებელია იმ სიტუაციისათვის, როდესაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტმა გარე სესხები მოსალოდნელ მოგებაზე დაყრდნობით აიღო: საინვესტიციო საქმიანობის კატასტროფული რისკის წარმოშობისას მას კრედიტების დაბრუნება საკუთარი სახსრებიდან მოუწევს.

საინვესტიციო საქმიანობის კატასტროფულ რისკთან მიმართებით გამოყენებული უნდა იქნას ფინანსური დაზღვევა და ხელახალი დაზღვევა, დაფინანსების უზრუნველყოფის ხარჯზე, საფონდო ბაზრების, სადაზღვევო კომპანიის ან დამზღვევთა ჯგუფის სადაზღვევო ვალდებულებების ნაწილის მეშვეობით, რომლებიც გაერთიანებული არიან სადაზღვევო სინდიკატებად და პულებად საინვესტიციო კონსორციუმების გუნდებში.

წარმოქმნის სფეროს მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები შეიძლება დავყოთ საგარეო და შინაგან რისკებად. *გარეგანი რისკების* წარმოქმნის წყაროა გარემო საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთან მიმართებით ე.ი. ეს არის რისკი, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაზე დამოკიდებული არ არის. საინვესტიციო კომპანიას ან კომერციულ ბანკს

არ შეუძლიათ გავლენა მოახდინოს საინვესტიციო საქმიანობის გარეგან რისკებზე. მათ შეუძლიათ მხოლოდ იზინასწარმეტყველონ და გაითვალისწინონ ისინი თავის საქმიანობაში. რისკის ეს სახე დამახასიათებელია საინვესტიციო საქმიანობის ყველა მონაწილისათვის და საფინანსო ოპერაციების ყველა სახეობისათვის. გარეგანი რისკები წარმოიქმნება ეკონომიკური ციკლის ცალკეული სტადიების ცვლილებისას, ფინანსური რისკის კონიუნქტურის ცვლილებისას ბანკის ფინანსური საქმიანობის სფეროში კანონმდებლობის გაუთვალისწინებელი ცვლილების შედეგად, საქმიანობის განმახორციელებელ ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის მერყეობისას და რიგ სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, რომლებზეც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროცესში გავლენის მოხდენას ვერ შეძლებს.

გარეგანი რისკების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იზღვევა კერძო კომერციული დაზღვევისათვის თავისი კატასტროფული, სისტემატური, არაიდენტიფიცირებადი და არამართვადი ხასიათის გამო, არამედ იზღვევა სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მეტწილად სავალდებულო არაკომერციული დაზღვევის ფარგლებში.

საინვესტიციო საქმიანობის შინაგანი რისკები – ეს არის რისკები, რომლებიც დამოკიდებულია საინვესტიციო საქმიანობის კონკრეტულ სუბიექტზე ე. ი. მათ წყაროს წარმოადგენს თვით სუბიექტი. ხსენებული რისკები შეიძლება განპირობებული იყოს:

1. არაკვალიფიციური საფინანსო მენეჯმენტით;
 2. აქტივების არაეფექტიანი სტრუქტურით;
 3. ხელმძღვანელობის გადაჭარბებული მიდრეკილებით სარისკო საინვესტიციო ოპერაციებისადმი;
 4. კომერციული ბანკისათვის მსესხებელთა არასწორი შეფასებით;
 5. არასტაბილური საფინანსო მდგომარეობით და სხვა.
- საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტს მნიშვნელოვანწილად შეუძლია შინაგანი რისკების უარყოფითი შედეგების თა-

ვიდან აცილება საინვესტიციო რისკების ეფექტიანი მართვის ხარჯზე, ე.ი. რისკების საერთო დონის დაწვევა სწორედ შინაგანი რისკების შემცირების ხარჯზე მიიღწევა. ეს უკანასკნელი კი მიიღწევა თვითდაზღვევისა და დაზღვევის ხარჯზე ფინანსური დანაკარგებისა და ანაზღაურების ღირებულების ზომის მიხედვით (მათი შედარებითი ეფექტურობის გათვალისწინებით).

პროგნოზირების შესაძლებლობის მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები ორ ჯგუფად იყოფა; პროგნოზირებად და არაპროგნოზირებად რისკებად. საინვესტიციო საქმიანობის *პროგნოზირებადი რისკები* – ეს არის რისკები, რომელთა დადგომაც ეკონომიკის ციკლური განვითარების, ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის, სტადიის ცვლილების, კონკურენციის, ნავარაუდები განვითარების შედეგს წარმოადგენს.

პროგნოზირებადი რისკები შეიძლება იქცნენ მხოლოდ სადაზღვევო რისკებად ან გახდნენ თვითდაზღვევის ობიექტები; რისკებს, რომელთა წინასწარშეცნობა შეუძლებელია, ეს შესაძლებლობა არ გააჩნიათ. რისკების პროგნოზირებას შედარებითი ხასიათი აქვს – თუ ამა თუ იმ მოვლენის დადგომის პროგნოზირება შესაძლებელია 100%-იანი ან თითქმის ნულოვანი ალბათობით, მაშინ, მოცემულ შემთხვევაში, რისკს საერთოდ ადგილი არა აქვს.

საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაციის დროს, ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით, გამოყოფენ რისკის ორ ჯგუფს: მუდმივ და დროებით რისკებს.

მუდმივი რისკი დამახასიათებელია საინვესტიციო ოპერაციის ან საინვესტიციო საქმიანობის მთელი პერიოდისათვის და დაკავშირებულია მუდმივი ფაქტორების მოქმედებასთან. მუდმივი რისკები უწყვეტ საფრთხეს წარმოადგენენ საქმიანობისთვის მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში ან ეკონომიკის გარკვეულ დარგში. რისკების ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ სავალუტო და საპროცენტო რისკები.

დროებითი რისკი – რისკის მოცემულ სახეობას საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი ხვდება საინვესტიციო ოპერაციის ან საინვესტიციო საქმიანობის ცალკეულ ეტაპებზე. დროებითი რისკები შეიძლება დავეყოს ორ ჯგუფად: ხანმოკლე და ხანგრძლივი რისკები. ხანმოკლე რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას დროის ვინრო, საბოლოოდ ცნობილ მონაკვეთში, მაგალითად, ხანმოკლე დაკრედიტების ან ინვესტირების რისკი. ხანგრძლივი რისკების შესაძლო ქმედების ვადის აპრიორი შეფასება, საკმაოდ ძნელია (მაგ. ინფლაციური რისკი).

დამზღვევთა უმრავლესობა, რომლებიც სპეციალიზებული არიან ინვესტიციების სარისკო დაზღვევაზე, უპირატესობას ანიჭებენ ხანმოკლე რისკების დაზღვევას. დამზღვევები, რომლებიც სპეციალიზებული არიან სიცოცხლის საინვესტიციო დაზღვევაზე, იძულებული არიან მიიღონ სადაზღვევო რეზერვების ინვესტირების უფრო ხანგრძლივი რისკები, ინვესტიციური პრემიით დაზღვევის ხელშეკრულებების მომსახურებისათვის. მაგრამ ერთიც და მეორეც ხშირად ცდილობენ თავი აარიდონ დასაზღვევად მუდმივი რისკების უმეტესობის მიღებას, იმდენად რამენადაც ამ რისკებს მაღალი ალბათობით განსაზღვრულ პირობებში შეიძლება მათი დაზღვევადობის კრიტერიუმები დაეკარგოს და არადაზღვევადი რისკების რიგში გადავიდნენ.

შესაძლო შედეგების მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები სამ ჯგუფად იყოფა:

1) რისკი, რომლის დადგომის შედეგადაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტს ეკონომიკური დანაკარგები აქვს, ე.ი. ხსენებული რისკის დადგომისას ფინანსური შედეგები შეიძლება მხოლოდ უარყოფითი იყოს (სუბიექტის შემოსავლის ან კაპიტალის დაკარგვა);

2) რისკი, რომლის დადგომის შედეგადაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი ბოლომდე ვერ იღებს შემოსავლის განსაზღვრულ მოცულობას, რაც დაგეგმილი ჰქონდა, ე.ი. ლაპარაკია შემოსავლის სრულად მიუღებლობაზე ან ხელიდან

გაშვებულ სარგებელზე. ხსენებული რისკი ახასიათებს სიტუაციას, როდესაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტს, შექმნილი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, არ შეუძლია ბოლომდე განახორციელოს დაგეგმილი ფინანსური ოპერაცია;

3) რისკი, რომლის დადგომის შედეგადაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტს შეუძლია იქონიოს როგორც დამატებითი შემოსავლების მიღების იმედი, ასევე ივარაუდოს ეკონომიკური დანაკარგებიც. რისკის მოცემული სახეობა დამახასიათებელია სპეკულაციური ფინანსური ოპერაციებისათვის. მაგრამ იგი შეიძლება სხვა სიტუაციებშიც წარმოიქმნას, მაგალითად, რეალური საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკი, რომლის შემოსავლიანობაც, ექსპლუატაციის სტადიაზე შეიძლება იყოს როგორც შემოსავლიანობის გაანგარიშებულ დონეზე დაბლა, ასევე მაღლა.

რისკის წარმოშობის ობიექტის მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის რისკები ასევე შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

- საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ განხორციელებადი ცალკეული საინვესტიციო პროექტების რისკები;
- საინვესტიციო საქმიანობის სხვადასხვა სახეობების რისკები;
- საინვესტიციო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების საინვესტიციო საქმიანობების რისკები.

ცალკეული საინვესტიციო პროექტების რისკები ახასიათებენ ყველა რისკს, რომელთანაც შეიძლება შეხება ჰქონდეს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტს ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის განხორციელებისას.

საინვესტიციო საქმიანობის რისკები მთლიანობაში შეიცავს სხვადასხვა რისკების კომპლექსს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ საქმიანობის განხორციელებისას. ხსენებული რისკები დამო-

კიდებულია კაპიტალისა და აქტივების სტრუქტურასა და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, საინვესტიციო კომპანიის, ფირმის, ბანკის ფინანსური მდგრალობის დაქვეითების რისკის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია კაპიტალის სტრუქტურის არასრულყოფილება. შედეგად წარმოიქმნება დადებითი (შემომავალი) და უარყოფითი (გამავალი) ფულადი ნაკადების დაუბალანსებლობა.


კლასიფიკაციაში შემდგომ გამოყოფენ საინვესტიციო საქმიანობის მარტივ და რთულ რისკებს.

მარტივი რისკები – ეს არის რისკები, რომელთა დაყოფა ქვესახეობებად შეუძლებელია, მაგალითად, ინფლაციური რისკი.

რთული რისკები – ეს არის რისკები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ქვესახეობის კომპლექსს. რისკების მოცემულ ჯგუფს მიეკუთვნება ინვესტიციური რისკი, რომელიც შემდგომში მრავალ ქვესახედ იყოფა.

საინვესტიციო საქმიანობის რისკები შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კრიტერიუმებითაც, კერძოდ: რეალური და ფინანსური ინვესტიციების წმინდა რისკები და სპეკულაციური რისკები; ინვესტიციების მოსალოდნელი დანაკარგები მასშტაბების მიხედვით; გარე და შიგა რისკები; საქმიანი ურთიერთობების რისკები; აუცილებელია ასევე განვიხილოთ ობიექტური და სუბიექტური რისკები. საინვესტიციო საქმიანობის რისკების კლასიფიკაცია გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმის განხილვას ურთიერთკავშირში (იხ. ნახ. 1.6). საინვესტიციო საქმიანობის რისკების ყველაზე უფრო სრული კლასიფიკაცია მოცემულია 1.7. ნახაზზე.

ნახ. 1.6. საინვესტიციო საქმიანობის რისკების სქემა



სიდიდის მიხედვით რისკი შეიძლება იყოს მაღალი, საშუალო და დაბალი. რისკის სიდიდე (ან დონე) ორი კრიტერიუმით იზომება: საშუალო მოსალოდნელი მნიშვნელობით (დისპერსიით) და შესაძლო შედეგის ცვალებადობით (ვარიაციებით). საშუალო მოსალოდნელი მნიშვნელობა ზომავს შესაძლო საშუალო შედეგს. ვარიაცია გვიჩვენებს მოსალოდნელი საშუალო მნიშვნელობის საშუალო სიდიდისაგან გადახრის ზომას.

რისკების კლასიფიკაცია აუცილებელია ჩავატაროთ შემდეგი კრიტერიუმებით: დაზღვევის შესაძლებლობით, დაზღვევის პრაქტიკით, ფინანსური დანაკარგების დონით, წარმოქმნის დონით, მათი პროგნოზირების დონით, ალბათობის ხარისხით, ალბათობების განაწილების სახეებით, მოსალოდნელი ზარალის ტიპის მიხედვით, მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგით, წარმოქმნის ობიექტის მიხედვით, დივერსიფიკაციის შესაძლებლობით, საბუღალტრო ოპერაციების ხასიათით, შემდგომი კლასიფიკაციის შესაძლებლობით, ოპერაციების სახეების მიხედვით, ფულის მსყიდველობითუნარიანობით, საინვესტიციო ოპერაციების მიხედვით, ზემოქმედების ხანგრძლივობის მიხედვით, რის შედეგადაც უნდა განვიხილოთ სავალუტე ოპერაციების რისკები, საპორტფელე რისკები, საპროცენტო რისკები, ბიზნესის რისკები, საპროექტო რისკები, რეალური ინვესტიციების რისკები, სამენარმეო რისკები.

რისკების კლასიფიკაცია პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოდ აღიარებულ თვალსაზრისზე და ასახავს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ რისკის აღქმას, რამაც შეიძლება რისკის ერთი სახიდან მის სხვა სახეზე გადასვლა გამოიწვიოს.

ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შემდეგი კლასიფიკაცია:

- ზოგადი კლასიფიკაცია – სხვადასხვა კრიტერიუმების განზოგადების საფუძველზე;
- კლასიფიკაცია გარე და შიგა რისკების გამოყოფით;

- კლასიფიკაცია – საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის, გარე გარემოს და შიგა მენეჯმენტის მიხედვით.

აღნიშნული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნას გამოყენებული ანალიზის კონკრეტული მეთოდები და რისკების დონის ოპტიმიზაციის საშუალებები, გათვალისწინებულ იქნას ისინი საინვესტიციო საქმიანობის პროცესში.

თანამედროვე რისკ-მენეჯმენტში მეტად საინტერესოა რისკების კლასიფიკაცია სხვადასხვა გავლენიანი ორგანიზაციების მიხედვით:

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ISO-ს 73-ე სახელმძღვანელო მოთხოვნების შესაბამისად, რისკები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

- სახიფათო (წმინდა) რისკები;
- კონტროლირებადი (ან მერყევი) რისკები;
- შესაძლო (სპეკულაციური) რისკები.

ISO 31000 ინტეგრირებულია სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სტანდარტების რისკების მართვის კოდიფიცირებულ ოჯახში.

დღეისათვის, ISO 31000-ის ოჯახი მოიცავს:

- ISO 31000:2009 – პრინციპებს და გაიდლაინებს;
- ISO/IEC 31010:2009 – რისკ-მენეჯმენტს – რისკების შეფასების ტექნიკას;
- ISO Guide 73:2009 – რისკ-მენეჯმენტის – ლექსიკონს;

COSO-ს განმარტებით, სამენარმეო რისკ-მენეჯმენტი არის პროცესი, რომელსაც წარმართავს ორგანიზაციის დირექტორთა საბჭო, მენეჯერები და რომელიც აქტიურად გამოიყენება ფირმის სტრატეგიების შესამუშავებლად; სამენარმეო რისკ-მენეჯმენტი არის პროცესი, რომელსაც იყენებენ ორგანიზაციაზე მოქმედი პოტენციური მოვლენების იდენტიფიცირებისა და რისკების მართვისთვის, ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

1.4. სამენარმეო რისკ-მენეჯმენტის მოკლე ისტორია

ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება განუსაზღვრელობის და რისკის ალბათობის პირობებში დამახასიათებელი იყო ადამიანის ცხოვრებისათვის უძველესი დროიდან დღემდე და მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. რისკის მართვა დამოუკიდებელ მეცნიერებად XX საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბდა. თანამედროვე პირობებში სამენარმეო რისკების მართვა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც რისკების მართვის პროცესის ბუნებრივი განვითარება. გასული საუკუნიდან დაწყებული, რისკ-მენეჯმენტის განვითარების ისტორია შემდეგი საინტერესო მოვლენებით აღინიშნა:

- 1914 წელს აშშ-ის კრედიტებისა და სესხების ოფიცრებმა ფილადელფიაში დააფუძნეს რობერტ მორისის რისკების მართვის ასოციაცია;
- 1915 წელს ფრიდრიხ ლაიტნერმა ბერლინში გამოაქვეყნა ნაშრომი „საწარმოთა რისკები“, რომელიც ეხებოდა რისკებს და მათზე პასუხისმგებლობის აღებას, დაზღვევის ჩათვლით;
- 1922 წელს ფრანკ კნიტმა გამოსცა წიგნი „რისკი, განუსაზღვრელობა და მოგება“, რომელიც გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი რისკოლოგიის დარგით.
- 1963 წელს რობერტ მერმა და ბობ ეჯიმ გამოსცეს წიგნი „რისკების მართვა და ბიზნეს-საწარმო“;
- 1972 წელს დოქტ. ენეტ აროუმ ჯონ ჰისკთან ერთად მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკაში. ენეტ აროუმ წარმოადგინა წარმოსახვითი მსოფლიო, სადაც ყველა განუსაზღვრელობა არის დაზღვევადი და რომელშიც ურიცხვი კანონმდებლობა მუშაობს ჩავარდნის გარეშე;
- 1986 წელს ლონდონში საქმიანობა დაიწყო რისკების მართვის ინსტიტუტმა (IRM);
- 1995 წელს ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სტანდარტების მულტიდისციპლინალურმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა პირველი რისკ-მენეჯმენტის სტანდარტი

AS/NZS 4360:1995 (გადამუშავებულ იქნა 1999 და 2004 წლებში);

- 2005 წელს სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციამ შექმნა საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი რისკების მართვის ახალი გლობალური სახელმძღვანელოს შესამუშავებლად, რომელიც გამოქვეყნდა 2009 წელს¹.

¹ **John Fraser, Betty Simkin** (2010), *Enterprise Risk Management: Today's Leading Research and Best Practices for Tomorrow's Executives* (Robert W. Kolb Series), USA , გვ. 19-29.

თავი II.

რისკის ანალიზი ფირმის საქმიანობაში

2.1. სისტემური მიდგომა რისკების ანალიზისადმი ფირმის საქმიანობაში

ორგანიზაციის სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი განუსაზღვრელობის პირობებში რთული მეთოდური და ანალიტიკური ამოცანაა. მისი შესრულებისათვის საჭიროა კარგი საინფორმაციო და ორგანიზაციული ბაზა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დინამიკამ მთელი სიცხადით დაამტკიცა საინვესტიციო საქმიანობის ყველა ასპექტის ანალიზისადმი სერიოზული მიდგომის აუცილებლობა. შექმნილი ობიექტური გარემოებები და საინვესტიციო და ფინანსურ ბაზრებზე მოვლენების შემდგომი განვითარებისა და პროგნოზირების სტრატეგიის შემუშავებისათვის საინვესტიციო საქმიანობის რისკების ანალიზის შესაძლებლობის შეუფასებლობა გახდა სწორედ ის ფაქტორები, რომლებმაც 1988 წ. აგვისტოს საკმაოდ ღრმა საბანკო კრიზისი განაპირობა.

საინვესტიციო საქმიანობის ანალიზის მიზანია განუსაზღვრელობის პირობებში რეალურად და ყოველმხრივ შეაფასოს შესაძლო რისკები, გამოააშკარავოს სუსტი ადგილები მენეჯმენტში, გამოიმუშავოს შემდგომი განვითარების სტრატეგია საინვესტიციო ბაზრებზე რეალურად შექმნილი პირობებიდან გამომდინარე.

განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის ანალიზისას გადამწყვეტ მომენტად გვევლინება ორგანიზაციის მდგომარეობის კომპლექსური შესწავლა.

ძლიერმა კონკურენციამ, საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნების სიმკაცრემ, ფაქტორების მრავალმხრივობამ და განსხვავებულობამ, რომელთა ზემოქმედებითაც ვითარდება თანამედროვე ორგანიზაციები, ასევე სხვა ობიექტურმა მიზეზებმა მიგვიყვანეს ფინანსურ-ეკონომიკურ პრო-

ცესში სისტემური მიდგომის გამოყენების აუცილებლობას-
თან.

სისტემური მიდგომა იძლევა საინვესტიციო საქმიანო-
ბის სუბიექტის მოღვაწეობის ყველა მხარის ღრმად შესწავ-
ლისა და გაანალიზების საშუალებას ბიზნესის განვითარების
სტრატეგიის, ასევე აქციონერების ინტერესების, მენეჯერე-
ბისა და სხვა დამაკავშირებელი ჯგუფების დაქვემდებარების
თვალსაზრისით. მისი მეშვეობით შესაძლებელია დასახულ
მიზნებთან და განვითარების არსებული პოტენციალის ამო-
ცანებთან მიღებული შედეგების შესაბამისობის შეფასება.

სისტემური ცოდნა აფართოებს წარმოდგენას თავად
ობიექტზე მისი მაკრო- და მიკროსისტემური კვლევის საფუძ-
ველზე. სისტემური მიდგომის პრინციპების განვითარება
(მთლიანობა, იერარქიული წყობა, სტრუქტურულიზაცია, ინტეგ-
რაცია) საშუალებას იძლევა გამოიყოს სისტემური წარმოდგე-
ნების კიდევ 3 ტიპი: ფუნქციონალურ, იერარქიულ და პროცე-
სუალურ ასპექტებზე. პროცესუალური ასპექტი ახასიათებს
სისტემის მდგომარეობას დროში; იერარქიული განიხილავს
მთელ სისტემას, როგორც ქვესისტემების ერთობლიობებს;
ფუნქციონალური კი წარმოადგენს სისტემას, როგორც აუცი-
ლებლად შესრულებული მოქმედებების (ფუნქციების) ერ-
თობლიობას. ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის თეორიისა
და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე დონე მუდმივ
კავშირშია სისტემური წარმოდგენების განხილულ ფორმებ-
თან, რომლის შესაბამისად საინვესტიციო საქმიანობის სუბი-
ექტი განიხილება, როგორც რთული, მრავალდონიანი, თვი-
თორგანიზებადი ინტეგრირებული სისტემა.

ინტეგრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოყო-
ფენ შემდეგ თვისებებს:

1) – ინტეგრაცია (*სრული და არასრული*) ერთიანი სის-
ტემების ძირეულ თვისებრივ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც
მას განასხვავებს ჯამური სიმრავლისაგან.

2) ინტეგრაცია გვევლინება *ნაწილების ერთ მთლიანად გა-
ერთიანების შესაძლებლობად, რომელსაც კანონის სახე აქვს.*

3) ინტეგრაციის შესაბამისად მთელი ადმატება შემავალი ნაწილების ჯამს – რომელიც შეიცავს გარკვეულ ნამატს სანყის ელემენტებთან შედარებით და იძლევა ერთგვარ სინერგეტიკულ ეფექტს.

4) ინტეგრაციისათვის დამახასიათებელია ერთობლივი სისტემური თვისებები – რომელიც მას მთლიანობაში ახასიათებს და განასხვავებს ცალკეული შემადგენელი ელემენტების ინდივიდუალური თვისებებისგან.

5) ინტეგრაცია ემყარება ზოგადსისტემურ კანონებს – რომლებიც მის საფუძველს, მთავარ პრინციპებს, ზოგადსისტემურ სპეციფიკას წარმოადგენს.


თეორიასა და პრაქტიკაში „სისტემური მიდგომის“ ცნებასთან ერთად ფართოდ გამოიყენება „კომპლექსური მიდგომის ცნებაც“, ხშირად კი ორივე ერთად – „კომპლექსური, სისტემური მიდგომა“. ცნება „სისტემურობა“ ახასიათებს მიზანმიმართულობას, მონესრიგებულობას, ორგანიზებულობას. ცნება „კომპლექსურობა“ გამოხატავს ურთიერთკავშირს, ურთიერთგანპირობებულობას, გავრცელების დიაპაზონს.

კომპლექსური მიდგომა ასახავს „ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას დაპროექტებაში, წარმოებაში, კვლევაში. სისტემური მიდგომა ხშირად წმინდა მეთოდოლოგიური, ყოვლისმომცველია, ახასიათებს უფრო მაღალი თეორიული დონე, რომლის ნაწილიცაა კომპლექსური მიდგომა. სისტემურ მიდგომას საქმე აქვს ობიექტებთან, როგორც სისტემებთან, რომლებიც შედგება კანონზომიერად სტრუქტურირებული და ფუნქციონალურად ორგანიზებული ელემენტებისგან. თუ სისტემური მიდგომა მხოლოდ სისტემურ ობიექტებთან მიმართებით გამოიყენება, კომპლექსური მიდგომის გამოყენება მათთვის აუცილებელი არ არის. ობიექტი შეიძლება იყოს მთლიანი, მაგრამ არა სისტემური, რადგან მას არ გააჩნია სტრუქტურა“.

სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია ნახაზზე 2.1. სამ ძირითად ბლოკად. მათ შორის არსებობს ორ-

განული ერთიანობა, ისინი ავსებენ ერთმანეთს. ამრიგად, ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი ცალკეული საინვესტიციო ოპერაციების ანალიზთან ერთად წარმოადგენს ორგანიზაციის ტაქტიკისა და სტრატეგიის შეფასების ბაზას ფინანსურ რისკებსა და მიღებულ მმართველობით გადანყვეტილებებთან მიმართებით. საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების ცვლილებების ანალიზი ტარდება რესურსული ბაზის ანალიზის პარალელურად. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ ჩატარებული რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკის ეფექტიანობა და მისი საორგანიზაციო სტრუქტურის ოპტიმალურობა.

ნახ. 2.1. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ეკონომიკური ანალიზის სტრუქტურა და შინაარსი



სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის შეფასება მოიცავს რისკის ზოგადი პროფილის, საინვესტიციო მდგომარეობის მდგრადობის და მომავლის პერსპექტივების შეფასებას. თუ გამოვლინდება სერიოზული ორგანიზაციული ნაკლოვანებები რეკომენდებულია შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ანალიზი საშუალებას იძლევა პასუხი გავცეს კითხვებს: შესაძლებელია თუ არა დაწესებულების გაჯანსაღება და ხომ არ წარმოადგენს იგი საფრთხეს სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობისთვის მთლიანად.

დღეისათვის მეტ-ნაკლებად გავრცელებულია საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მიერ პირველი ბლოკის პრობლემების კვლევა, რაც ოპერატიული საქმიანობის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან არის დაკავშირებული.

უკანასკნელ პერიოდში მეორე ბლოკის კითხვები აქტიურად შედის ორგანიზაციის „კვლევით“ წესებში, რადგან გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე, იწვევს საინვესტიციო და ფინანსური ბაზრის პოლიტიკის იძულებით კორექტირებას.

კვლევის მესამე ბლოკი მოცემულ მომენტამდე შედარებით სუსტადაა გამოყენებული, რაც სავსებით გასაგებია. საინვესტიციო ოპერაციების ჩატარების გაზრდილმა რისკიანობამ აიძულა ორგანიზაციები მეტი წინდახედულობა გამოიჩინონ თავიანთი პოლიტიკის პრიორიტეტების არჩევაში. ორგანიზაციების უმრავლესობის ინერტულობა, მათი კონსერვატიზმი, ასევე ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის საკითხის ექსტერნად გადაჭრის აუცილებლობა ზღუდავს საქმიანობის ამ მიმართულების განვითარებას.

ეკონომიკური ანალიზის ყოველი მიმართულება მეტად მნიშვნელოვანია. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მათგანის მოკლე დახასიათება საინვესტიციო საქმიანობის რისკის დონის შეფასებასთან მიმართებაში.

საკუთარი საშუალებების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი წარმოაჩენს ტენდენციებსა და ცვლილებებს კაპიტალის ბაზის განვითარებაში. ანალიზის შედეგია საინვესტიციო ბაზარზე ორგანიზაციის არსებობის, როგორც კონკურენტული ერთეულის, ხანგრძლივობის პროგნოზი.

რესურსული ბაზრის ანალიზი – ესაა არსებული საინვესტიციო რესურსების სტრუქტურისა და შედგენილობის განსაზღვრა, მათი დაჯგუფება მოზიდვის ვადებისა და გამოყენების შესაძლო დროის მიხედვით.

ბალანსის ანალიზი საერთო წარმოდგენას იძლევა ორგანიზაციის მდგომარეობაზე, ფინანსური რესურსების არსებობისა და გამოყენების, ასევე მისი საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, წარმოაჩენს ფინანსური ნაკადების პროპორციებს.

რენტაბელობის დონის ანალიზი, რომელიც აუცილებელია საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად, ჩატარებული საინვესტიციო ოპერაციების რისკიანობის

გათვალისწინებით, დროის განსაზღვრულ ინტერვალში მატერიალური და ფინანსური რესურსების ჩართულობასა და განთავსებასთან დაკავშირებით ოპტიმალური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების საშუალებას იძლევა.

კონკურენტული პოზიციის ანალიზი მოიცავს სხვადასხვა სემანტიკის კვლევას. ასეთი ანალიზის ბაზად გვევლინება მონაცემები კონკურენტის საქმიანობაზე, ძირითად მეთოდად კი – შედარების მეთოდი.

სტრუქტურის შეფასება წარმოდგენას იძლევა ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის, ინვესტიციური განვითარების სტრატეგიის დონესთან მათი შესაბამისობის შესახებ.

საკადრო პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება ხდება კადრების შერჩევის და განთავსების პოლიტიკის ანალიზისა და საერთო საქმეში თითოეული მუშახელის ინდივიდუალური წვლილის საფუძველზე. რეალური შეფასების მისაღწევად და თითოეული სპეციალისტის პირადი წვლილის დახასიათებაში მიკერძოებულობის გამოსარიცხად აუცილებელია საშუალო და მაღალი რგოლის ხელმძღვანელი მუშაკებისთვის ჩატარდეს პერიოდული ატესტაცია, გასაუბრება, გამოკითხვა და ანკეტირება.

რისკის შეფასება მიზნად ისახავს რაოდენობრივი მახასიათებლების: არახელსაყრელი შემთხვევების დადგომის ალბათობისა და ზარალის შესაძლო სიდიდის განსაზღვრას.

რისკების შეფასებისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება რისკების შეფასების ათვლის საექსპერტო, სტატისტიკური, საანგარიშსწორებო-ანალიტიკური და ანალოგიის მეთოდები.

შეფასების ექსპერტული მეთოდები გამოიყენება საჭირო ანალიტიკური ინფორმაციის ნაკლებობისას და ეფუძნება სხვადასხვა სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების გამოკითხვას. შეფასების ექსპერტულ მეთოდებს ფართოდ იყენებენ ინფლაციური, საინვესტიციო, სავალუტო და ზოგიერთი სხვა რისკის წარმოქმნის ალბათობის დონის განსაზღვრისას.

შეფასების სტატისტიკური მეთოდი გვაძლევს რაოდენობრივ წარმოდგენას რისკის დონის შესახებ. მოცემული მეთოდის ნაკლოვანებად მიიჩნევენ იმას, რომ აუცილებელია არსებობდეს ვრცელი სტატისტიკური ინფორმაცია. ალბათობის შეფასებისას მოცემული მეთოდით გაიანგარიშებენ შედეგების საშუალო მოსალოდნელ მნიშვნელობას, საშუალო კვადრატულ გადახრას, ვარიაციის კოეფიციენტს. სტატისტიკური მეთოდების საფუძველზე რისკების წარმოქმნის ალბათობა რაოდენობრივად ფასდება თითოეული საინვესტიციო ოპერაციით, განხილული საინვესტიციო პროექტით და ა.შ.

საანგარიშგებო-ანალიტიკური მეთოდების შეფასებები საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს საინვესტიციო საქმიანობის რისკების წარმოქმნის ალბათობა შიდა საინფორმაციო ბაზის გამოყენების საფუძველზე. საანგარიშგებო-ანალიტიკურმა მეთოდებმა ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვეს ფირმის გადახდისუნარობის ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ალბათობის შეფასებისას.

შეფასების ანალოგიის მეთოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს რისკების წარმოქმნის ალბათობის დონე ფირმის ცალკეული მეტნაკლებად ხშირად განმეორებადი ოპერაციების მიხედვით. ამ მეთოდებს გამოიყენებენ სავალუტო, საინვესტიციო და საკრედიტო რისკების შეფასებისას.

ნებისმიერი ანალიზი, კვლევის მიზნებისა და ობიექტისგან დამოუკიდებლად, მოიცავს რიგ ეტაპებს, რომლებიც ხასიათდება ლოგიკური გადასვლებით და ასრულებს სპეციფიკურ ამოცანებს. კერძოდ, ეს გულისხმობს მოძრაობას საწყისი ეტაპიდან ბოლოსკენ, შედარებით მარტივიდან რთულისკენ. ყოველი წინა ეტაპი არის მომდევნო ეტაპის საფუძველი (ბაზა); ყოველი მომდევნო ეტაპი წინას ლოგიკური დასასრულია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ანალიზი აზრს კარგავს. ანალიზის ხარისხი და მისი შედეგები დამოკიდებულია ყოველ ეტაპზე პრიორიტეტების განსაზღვრის სისწორეზე. თითოეული ეტაპის საინვესტიციო საქმიანობის რისკების ეკონომიკური ანალიზის დახასიათება ქვემოთ არის მოცემული.

მოსამზადებელი ეტაპი ანალიზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და სრულად განსაზღვრავს მის ხარისხსა და სისრულეს. მისი სპეციფიკა მდგომარეობს ამოცანის დასახვასა და კვლევის მიზნის განსაზღვრაში. ხელმძღვანელობის საქმიანი და პროფესიული ქმედება საშუალებას იძლევა შეირჩეს საჭირო და მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია, განისაზღვროს მოცემული პრობლემით დაკავებული სპეციალისტების წრე, გადანაწილდეს მათ შორის სამუშაო უბნები, მაქსიმალური მიწოდებით იქნას გამოყენებული არსებული პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა, მნიშვნელოვნად შემცირდეს ანალიტიკური კვლევის მომზადების დრო.

ანალიტიკოსების წინაშე დასმული ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია ზუსტად და მკაფიოდ იქნას ჩამოყალიბებული მიზანი.

მომდევნო ასპექტებია: მოცემული პრობლემების გადაჭრაზე მომუშავე სპეციალისტთა წრის განსაზღვრა; მათზე შესასწავლი საკითხების სწორი გადაწინაღობა და მიმდგრება; ყველაზე მიზანშეწონილია განუსაზღვრელობის პირობებში სპეციალიზებული სტრუქტურების მიერ საინვესტიციო საქმიანობის მართვის ცალკეული სპეციფიკური საკითხების ანალიზი ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სპეციალისტის პროფესიონალიზმი, მისი ჩვევები, ალღო, ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისადმი პრაქტიკული მიდგომა. პრობლემის შესასწავლად მუშაკის ჩართვა საერთო საქმეში თავისებური მორალური სტიმულია, რომელიც ადამიანის უნარისა და საქმიანი თვისებების წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

შემდგომი ეტაპია – ინფორმაციის შერჩევა და მომზადება. ეს სამუშაო ორი მიმართულებით წარმოებს: შინაგანი (სხვადასხვაგვარი შიგა ინფორმაციის გამოყენება), გარეგანი (ინფორმაციის გარეგანი წყაროების გამოყენება) და ამ ეტაპზე უნდა ამოქმედდეს ყველა არსებული ან განსახილველ საკითხებთან შეხების მქონე სტრუქტურული ქვეგანყოფილებები, მ.შ. საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურიც. მოსამზადებელ ეტაპზე აუცილებელია არსებული ინფორმაციიდან შე-

ირჩეს მოცემული საკითხისთვის მეტად დამახასიათებელი ინფორმაცია. იმავდროულად ტარდება პროგრამული უზრუნველყოფის „რევიზია“, შეისწავლება არსებულ პროგრამულ პროდუქტში კონკრეტული ამოცანის ჩაშენების შესაძლებლობა მის დამუშავებაზე დროის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. მნიშვნელოვანი მომენტია შემაჯამებელი ცხრილური და გრაფიკული მასალის მაკეტის შემუშავება მეტი თვალსაჩინოების მისაღწევად და, აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსის ინფორმირებულობისათვის.

და ბოლოს, მუშავდება ორგანიზაციული დეტალები: წინასწარ ხდება ანალიზის ჩატარების ვადების, დასკვნითი დოკუმენტის ფორმის დათქმა, თანხმდება ანალიზში მონაწილე სხვადასხვა ქვეგანყოფილებების ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ. ამ საკითხების დარეგულირებამ შეიძლება რამდენადმე აწიოს სამუშაოს ხარისხი და ჯამური შედეგი. ამ ეტაპზე ხდება ანალიზის ინფორმაციული მომზადება. აქ, სპეციალისტს, გარდა პროფესიული ჩვევებისა, სჭირდება ალბათობის თეორიის, სტატისტიკის ცოდნა. სანყის ეტაპზე მოწმდება ინფორმაციის მოცულობა, მისი ნამდვილობა, სისრულე, ხდება მისი მეორადი შერჩევა. შემდგომი მუშაობა წარმოებს ინფორმაციის სტრუქტურების კანონზომიერების აღმოჩენის, ინფორმაციის სტრუქტურირების მიზნით და იგება მაჩვენებლების დაჯგუფების გატარებაზე, მონაცემთა რამდენიმე სახის კომბინაციაზე. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს სისტემური ანალიზის ჩატარების ინფორმაციული და ორგანიზაციული უზრუნველყოფის შემუშავება, განისაზღვრება ინფორმაციული ნაკადების ძირითადი წყაროები, მათი ანალიზის მიზნებთან და ამოცანებთან შეთავსება, მუშავდება სრულყოფის მექანიზმები, ხდება ინფორმაციული ბაზის განახლება ანალიზის პერიოდულობის შესაბამისად, განისაზღვრება ანალიზის სუბიექტი, მისი კავშირები კვლევის ობიექტთან. მთავარია სხვადასხვა შეფარდებითი და აბსოლუტური მაჩვენებლების გაანგარიშება, რომელთა დინამიკაც სიცხადისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით.

რისკების მართვის საინფორმაციო ბლოკსქემა უნდა შეიცავდეს:

1) ექსტრაპოლირებული ინფორმაციის სიმრავლეს – განზოგადებას, ანალოგიური პროექტების წინმსწრებ განვითარებას, საბაზრო ინერციული მოვლენებისა და ტენდენციების გამოცდილებას.

2) გადაწყვეტილების დამუშავების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.

3) უშუალოდ მიღებული სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციას, მ.შ. ელექტრონული სახის ინფორმაციას.

შემდგომი ანალიზისა და გადაწყვეტილების შესარჩევად მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ინფორმაციის პარამეტრებიდან გამომდინარე, გამოყენებული უნდა იქნას აღქმისა და ინფორმაციის გადატანის ესა თუ ის მეთოდი პროგნოზისა და გასაანალიზებელი გარემოს შექმნის მიზნით. მაჩვენებლების არჩევანი დამოკიდებულია ანალიზის მიზნებსა და არსებულ ეკონომიკურ ბაზაზე. აუცილებელ პირობად და ამავდროულად შემოქმედებით ელემენტად, მოცემულ ეტაპზე, შეიძლება ჩაითვალოს დამატებითი მონაცემების მომზადება შემდგომ ეტაპზე შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად.

ანალიტიკური ეტაპი – ესაა საინვესტიციო საქმიანობის ანალიზის რთული და შემოქმედებითი ეტაპი, რომელიც განუსაზღვრელობის პირობების გათვალისწინებით მდგომარეობს მიღებული მონაცემებისა და დამატებითი ინფორმაციის აღწერაში. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ის შეიძლება მოიცავდეს საქმიანობის ცალკეული მხარეების შესწავლას (ექსპრეს ანალიზი) ან კომპლექსურ ანალიზს, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ძირითად ასპექტს. შედეგების აღწერა მაქსიმალურად უნდა პასუხობდეს ანალიტიკოსის წინაშე დასახულ მიზნებს, უნდა იყოს სრული და ლოგიკურად დასრულებული, დადასტურდეს გრაფიკული და ციფრული მასალით. კვლევების ორგანიზატორი სპეციალისტის ამოცანაა მთელი მოცემული ინფორმაციიდან ერთი

ყველაზე არსებითი, შესწავლილი ასპექტის ყველაზე მკაფიო და ზუსტი მახასიათებლის შერჩევა. ანალიტიკური მასალის ციფრული მონაცემებით ზედმეტად გადატვირთვა ფანტავს ყურადღებას და აქვეითებს ასეთი ინფორმაციის აღქმის შედეგს. კონკურენტების შესახებ ინფორმაციის არსებობისას მიზანშეწონილია კვლევის ნაწილი მიეძღვნას ორგანიზაციის კონკურენტული პოზიციის პრობლემას, მოხდეს გასაანალიზებელი მიმართულებით ფირმის საქმიანობის შედარება სხვა ორგანიზაციების მაჩვენებლებთან. ამასთან ვლინდება და სისტემატიზირდება ძირითადი ფაქტორები, რომელთა ზემოქმედებითაც ფუნქციონირებს სისტემა და იქმნება მისი ანალიზური მაჩვენებლები. სისტემური ანალიზის ამ ეტაპზე, ფაქტორების კლასიფიკაციისას, მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომის შენარჩუნება. იგი საშუალებას იძლევა შემდგომში განხორციელდეს შიგა რეზერვების კომპლექსური ძიება საქმიანობის შედეგების გასაუმჯობესებლად.

მოცემულ ეტაპზე მაჩვენებლების მოდელირება მრავალფაქტორული ანალიზის ბაზა ხდება: სისტემის ანალიზის საერთო სქემის, ქვესისტემებისა და მიკრობლოკების საფუძველზე ხორციელდება საინვესტიციო საქმიანობის რისკების სხვადასხვა სახის ანალიზი და ყოველი ბლოკის სინთეზური მაჩვენებლების მათემატიკური მოდელირება. მოდელირებისას თითოეული სინთეზური მაჩვენებელი წარმოდგენილია როგორც ამ სისტემის ელემენტების სახით. ამ ეტაპზე გამოიყენება დინამიკური, სტრუქტურული და ფაქტორული ანალიზის მეთოდები.

დასკვნითი ეტაპი – წინა ეტაპის ლოგიკური დასასრულია. საბოლოოდ ფორმდება ანალიტიკური კვლევის შედეგები, ხდება შეჯამება, მზადდება პროგნოზები და რეკომენდაციები საინვესტიციო საქმიანობის რისკების დონის ოპტიმიზაციისათვის. ეს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ეტაპია. დასკვნის მისაღებად მხოლოდ სტრუქტურული ქვეგანყოფილებების სპეციალისტების რეკომენდაციებით შემოფარგვლა არ შეიძლება. მუშაობაში უნდა ჩაერთოს ექსპერ-

ტთა საბჭო, რათა მომზადდეს რეკომენდაციის საბოლოო ვარიანტი.

საქმიანობის ანალიზის ჩატარების სხვადასხვა ეტაპები ურთიერთკავშირშია და კვლევის ჩატარების ლოგიკურ თანმიმდევრობას ადასტურებს. ანალიზის ორგანიზაცია სტანდარტულია. გადასაწყვეტი ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე იცვლება ყოველი ეტაპის შევსება. იგი კონკრეტდება ან, პირიქით, განზოგადდება და მარტივდება. ამრიგად, ექსპრეს-ანალიზისათვის გამოიყენება სანყისი მონაცემების მნიშვნელოვნად ნაკლები მოცულობა. ხშირად არ მოითხოვება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება, მცირდება მასალის დამუშავების დრო მოსამზადებელ ეტაპზე. თუმცა, ასეთი კვლევის ამოცანები და მიზნები არც ისე მაშტაბურია. ექსპრეს-ანალიზის შედეგებს ძირითადად გამოიყენებენ მიმდინარე ოპერატიული საქმიანობის ან მიმდინარე პრობლემის გადასაწყვეტად. რისკების კომპლექსური ანალიზი მიმართულია სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისა და საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისკენ.

მთლიანობის პრინციპი სხვა გამოხატულებასაც პოულობს. ამრიგად, საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური შედეგების ანალიზი საქმიანობის რისკების შეფასების პოზიციიდან ხორციელდება. ამის საფუძველზე ფასდება საბოლოო შედეგების ეფექტიანობა და მათი შესაბამისობა განვითარების დასახულ სტრატეგიულ მიზნებთან, ანალიზდება მათი ზეგავლენა სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე. შედეგად, წარმოიქმნება ჩაკეტილი სისტემა: ეკონომიკური პოტენციალი – სტრატეგიული ამოცანები – საქმიანობის შედეგები – ეკონომიკური პოტენციალი. ანალიზის დროს აქცენტი კეთდება შედეგების არა ცალკეულ ჯგუფზე, არამედ მათ ერთობლიობაზე და მათ შორის განუწყვეტელ კავშირზე. ანალიზის ეს ნაწილი ეფუძნება შედეგებით მართვის კონცეფციას, რომლის თანახმადაც არსებობს ორგანიზაციის კომერციული საქმიანობის შედეგები (მოგება, ბრუნვა, ხარჯების დაფარვა, კაპიტალი, რენტაბე-

ლობა და სხვა). ფუნქციონალური შედეგები (წარმოებული პროდუქციის ხარისხი და ოდენობა, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხი, აქტივების ხარისხი, ვალდებულებათა სტრუქტურა); საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის შედეგები, რომლებიც ხელს უწყობს კომერციული და ფუნქციონალური შედეგების მიღწევაში.

სისტემური ანალიზის მეთოდის შემუშავება ხდება მაშინ, როცა ორგანიზებას უწევს რთულ პრობლემურ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის მართვისას. იგი ორიენტირებული უნდა იყოს ანალიზის სისრულისა და განსახილველი პროცესის ადეკვატური ასახვის დასაბუთების აუცილებლობაზე. სისტემური ანალიზის მეთოდების ძირითადი თავისებურებაა ფორმალური და არაფორმალური (ექსპერტული) მეთოდებისა და ხერხების შერწყმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სისტემური კონცეფცია გულისხმობს:

- კვლევის ობიექტისა და მისი საქმიანობის ანალიზის შედეგების პროცედურის მთლიან სისტემად, ხოლო თავად სისტემის საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების შედეგების – საინვესტიციო და სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის ერთ-ერთ ქვესისტემად წარმოდგენას;
- ფაქტორების მთელი ერთობლიობის გათვალისწინებას, რომელთა ზემოქმედებითაც იქმნება საინვესტიციო საქმიანობის შედეგები;
- ანალიზის ამოცანების გადაჭრას თვით კვლევის ობიექტის მიერ არჩეული თვისებრივი და რაოდენობრივი მიზნების საფუძველზე;
- საინვესტიციო საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების სისტემის მრავალპროფილიან მოდელირებას;

- სტრატეგიული ამოცანებისა და მიზნების მიღწევის პრიორიტეტულ შეფასებას.

და ბოლოს, რისკების შეფასება არის მნიშვნელოვანი კომპონენტი რისკების ანალიზში. სხვანაირი გაგებით, ის არის:

- რისკების მართვის პროცედურების საფეხური;
- რისკთან დაკავშირებული კონკრეტული სიტუაციის და აღიარებული საფრთხის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განსაზღვრა.

რისკის რაოდენობრივი შეფასებისთვის საჭიროა რისკის ორი კომპონენტის დათვლა: 1. პოტენციური დანაკარგის ოდენობა და 2. ალბათობა, რომელმაც შეიძლება ეს დანაკარგი გამოიწვიოს.

რისკების შეფასებისათვის გამოიყენება რამდენიმე საინტერესო მეთოდი და ინსტრუმენტი, რომლებიც თავის დახასიათებებთან ერთად მოცემულია ქვემოთ ცხრილში (იხ. ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1. რისკის შეფასების ტექნიკა

ტექნიკა	მოკლე აღწერა
კითხვარები და შემამონშებელი სია	გამოყენებული უნდა იქნას სტრუქტურირებული კითხვარი და შესამონშებელი სია ინფორმაციის შესაგროვებლად, რომელიც დაგვეხმარება მნიშვნელოვანი რისკების აღიარებისთვის
ვორკშოპი და ბრენშტორმინგი	იდეების თავმოყრა და გაზიარება ვორკშოპებზე ღონისძიებათა დისკუსიის დროს, რაც გავლენას იქონიებს ამოცანებზე, ძირითად პროცესებზე ან ძირითად დამოკიდებულებებზე.
ინსპექცია და აუდიტი	წინაპირობების და აქტივობების ფიზიკური ინსპექტირება და შესაბამისობის აუდიტი სისტემის ფორმირებისა და პროცედურებისთვის.
დიაგრამები და დამოკიდებულებათა ანალიზი	ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების და ოპერაციების ანალიზი კრიტიკული კომპონენტების იდენტიფიცირებისთვის, რაც მნიშვნელოვანია წარმატებისთვის
HAZOP და მიდგომები	საფრთხის და მოქმედებების კვლევები და წარუმატებლობის მდგომარეობის გავლენის ანალიზი არის რაოდენობრივი ტექნიკა წარუმატებლობის ანალიზის ტექნიკაში
SWOT და PESTLE მიდგომები	ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზი; პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, გარემოსდაცვითი ანალიზი გვათავაზობს სტრუქტურულ მიდგომებს რისკების იდენტიფიცირებისთვის.

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 123.

რისკების შეფასების მეთოდებს დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც გააჩნიათ, რაც მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 2.2. რისკების შეფასების ტექნიკის უპირატესობები და ნაკლოვანებები

ტექნიკა	უპირატესობები	ნაკლოვანებები
კითხვარები და შესამონ-მებელი სია	<ul style="list-style-type: none"> ▪ თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას; ▪ ვორკშოპზე მეტი მონაწილეობა; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ხისტი მიდგომა იწვევს ზოგიერთი რისკის გამორჩენას; ▪ კითხვები შესაძლოა ემყარებოდეს ძველ (ისტორიულ) ცოდნას;
ვორკშოპი და ბრენშტორმინგი	<ul style="list-style-type: none"> ▪ ყველა დაინტერესებული პარტნიორის კონსოლიდირებული აზრი; ▪ საუკეთესო ინტერაქციის პროდუქტი, ვიდრე იდეებია; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მაღალი მენეჯმენტის დომინირებული გავლენა; ▪ არასწორი ინდივიდების ჩართვით საკითხები იქნება გამოორჩენილი;
ინსპექცია და აუდიტი	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფიზიკური მტკიცებულების ფორმებზე დაფუძნებული აზრი; ▪ კარგ სტრუქტურაში აუდიტის მიდგომის შედეგები; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ სახიფათო რისკებისთვის ინსპექტირება არის ყველაზე შესაბამისი; ▪ აუდიტის მიდგომა დაფუძნებულია ძველ გამოცდილებებზე;

<p>დიაგრამები და დამოკიდებულებათა ანალიზი</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სასარგებლო შედეგი, რომელიც გამოყენებადია სხვაგანაც; ▪ ანალიზის პროდუქტები უმჯობესია პროცესების გაგებისთვის; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ სტრატეგიული რისკების გამოყენების სირთულე; ▪ შესაძლოა იყოს ძალიან დეტალური და მოითხოვს დროს;
<p>HAZOP და FMEA მიდგომები</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ სტრუქტურული მიდგომა, რომ რისკები არ იქნას გამოჩენილი; ▪ პერსონალის ფართო სპექტრის ჩართულობა; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ საწარმოო ოპერაციების უადვილესად გამოყენება; ▪ ძალზე ანალიტიკური დროის საჭიროების მქონე მიდგომა;
<p>SWOT და PESTLE მიდგომები</p>	<ul style="list-style-type: none"> ▪ კარგად დამკვიდრებული ტექნიკა და დადასტურებული შედეგი; ▪ SWOT ანალიზი შესაძლოა დაკავშირებული იყოს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფოკუსირებული მიდგომა, რის გამოც შესაძლოა გამოჩნდეს რისკი; ▪ მყარი სტრუქტურა ზღუდავს შესაძლებლობების გამოყენებას.

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 124.

2.2. რისკის შეფასების სტატისტიკური მეთოდები

რისკის მართვა ნიშნავს იმ რისკების თავიდან აცილებას, რომელიც მუდმივად ემუქრება ორგანიზაციის ქონებას და სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს. მენარმისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს მისი საქმიანობისთვის საფრთხის შემცველი რისკის ნამდვილი ღირებულება. რისკის ღირ

რებულება – ესაა მენარმის ფინანსური ზარალი, დანახარჯები ამ ზარალის სიდიდის შესამცირებლად და დანახარჯები ასეთი ზარალისა და მისი შედეგების ასანაზღაურებლად. ფინანსური მენეჯერის მიერ რისკის ღირებულების რეალობის ზუსტი შეფასება საშუალებას აძლევს მას ობიექტურად წარმოადგინოს შესაძლო ზარალის სიდიდე და დასახოს გზები მის ასარიდებლად ან შესამცირებლად, ზარალის აღკვეთის შეუძლებლობის შემთხვევაში – უზრუნველყოს მისი ანაზღაურება.

კონკრეტული პროცესებისთვის რისკის შეფასების ძირითადი მეთოდებია:

1) წარსულში მომხდარი არახელსაყრელი შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

2) პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სტრუქტურის თეორიული ანალიზი;

არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით შეიძლება შეფასდეს არახელსაყრელი შემთხვევების წარმოქმნის ალბათობა და ზარალის ზომა. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება, როგორც მრავალჯერადი, ასევე ერთჯერადი შემთხვევებისთვის.

მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკის დონის შეფასებას, განეკუთვნება დისპერსია.

დისპერსია გამოითვლება ფორმულით:

$$\sigma^2 = \frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}$$

სადაც σ^2 -დისპერსიაა

X – მოსალოდნელი მნიშვნელობა საინვესტიციო რესურსების დაბანდების ყოველი შემთხვევისათვის;

\bar{x} – საინვესტიციო საქმიანობის რისკის საშუალო მოსალოდნელი მნიშვნელობა;

n – საინვესტიციო რესურსების დაბანდების რიცხვი (სიხშირე).

დისპერსია ახასიათებს შესაძლო მნიშვნელობის საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის ზომას, ხოლო გადახრის ხა-

რისხს გვიჩვენებს ვარიაციის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$V = \frac{\sigma}{\bar{x}} \times 100$$

სადაც σ -საშუალო კვადრატული გადახრაა.

ვარიაციის კოეფიციენტი შეიძლება შეიცვალოს 1 %-დან 100%-მდე. რაც უფრო მაღალია იგი, მით მეტია გადახრა. დადგენილია ვარიაციის კოეფიციენტის სხვადასხვა მნიშვნელობის შემდეგი ხარისხობრივი შეფასება:

- 10%-მდე - საინვესტიციო საქმიანობის რისკის მსუბუქი გადახრა;

- 10%-დან 25%-მდე - საინვესტიციო საქმიანობის რისკის საშუალო ზომიერი გადახრა;

- 25%-ზე ზემოთ - საინვესტიციო საქმიანობის მაღალი გადახრა.

დისპერსიისა და ვარიაციის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება ის, რომ რისკს გააჩნია საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისგან მიღებული შედეგების მათემატიკურად განსაზღვრული ალბათობა. ეს ალბათობა შეიძლება განსაზღვრულ იქნას სუბიექტურად, ექსპერტიზის გზით ან ობიექტურად - რისკის ხარისხის მათემატიკური გამოთვლების სიზშირის საფუძველზე.

ვარიაციის კოეფიციენტი - პირობითი სიდიდეა. ამიტომ მისი მეშვეობით შეიძლება სხვადასხვა განზომილების ერთეულებში გამოხატული ნიშნების მერყეობის შედარება.

იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი შედეგის ფორმირებაზე (მაგ: შემოსავლის სიდიდეზე) ზეგავლენას ახდენს მრავალი შემთხვევითი ფაქტორი, იგი გვევლინება შემთხვევით სიდიდედ.

შემთხვევით X სიდიდის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს მისი ალბათობების განაწილების კანონი.

სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის განაწილების დასახასიათებლად ყველაზე ხშირად იყენებენ ნორმალურ განაწილებას.

ნორმალური განაწილების კანონი დამახასიათებელია მოვლენათა განაწილებისათვის, როცა მათი გამოსავალი – დამოუკიდებელი ფაქტორის სიმრავლის ერთიანი ზემოქმედების შედეგია და არც ერთი ამ ფაქტორთაგანი არ ახდენს მასზე უპირატეს გავლენას.

პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რისკების დონის განაწილების ემპირიული სკალის შემუშავება, რომელსაც შემდეგი სახე აქვს.

ცხრილი 2.3. რისკის დონის ემპირიული სკალა

№	(რისკის სიდიდე)	არასასურველი შედეგის ალბათობა, რისკის გრადაციის დასახელება
1.	0,0 - 0,1	მინიმალური
2.	0,1 - 0,3	მცირე
3.	0,3 - 0,4	საშუალო
4.	0,4 - 0,6	მაღალი
5.	0,6 - 0,8	მაქსიმალური
6.	0,8 - 1,0	კრიტიკული

ნორმალური განაწილების შემთხვევითი სიდიდე უწყვეტია და მისი განაწილების დიფერენციალური ფუნქცია ასეთი სახისაა:

$$y = f(x) = \frac{1}{\sigma\sqrt{2\pi}} e^{-\frac{(x-\bar{x})^2}{2\sigma^2}}$$

სადაც $y=f(x)$ განსაზღვრავს ყოველი x ნერტილისთვის ალბათობის განაწილების სიმჭიდროვეს.

არასასურველი დასასრულის ალბათობის პირველი სამი გრადაცია შეესაბამება „ნორმალურ“, „გონივრულ“ რისკს, რომლის დროსაც რეკომენდებულია ჩვეულებრივი სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღება.

მაღალი დონის რისკის შემცველი გადაწყვეტილება დამოკიდებულია გადაწყვეტილების მიმღები პირის მიდრეკილე-

ბაზე რისკისადმი. თუმცა, ასეთი გადანყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი არახელსაყრელი დასასრული მენარმეს (ფირმას) გაკოტრებამდე არ მიიყვანს.

მისაღები გადახრის შესაფასებლად გამოიყენება ვარიაციის კოეფიციენტი V, რომლის დროსაც ფიქსირდება ცვალებადობის შემდეგი სკალები: 0,1-მდე სუსტი; 0,1-დან 0,25-მდე ზომიერი, 0,25-დან მაღალი.

გაკოტრების რისკის მიღების განმსაზღვრელი კოეფიციენტის შესაფასებლად არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ოპტიმალური რისკის კოეფიციენტია 0,3, ხოლო გაკოტრებას იწვევს კოეფიციენტი 0,7 და ზევით. სხვა წყაროებში კი მისაღები რისკია 0,25-მდე, დასაშვები – 0,25–0,50, კრიტიკული – 0,50–0,75, კატასტროფული – 0,75-ზე ზევით.

გაკოტრების რისკის განმსაზღვრელი კოეფიციენტის 0,3-დან 0,7-მდე ფარგლებში იმყოფება მომატებული რისკის ზონა. სარისკო ღონისძიებების რეალიზების შესახებ გადანყვეტილებების მიღება ამ ზონის ფარგლებში განისაზღვრება შესაძლო მოგების სიდიდით, თუ არასასურველი დასასრული (სარისკო მოვლენა) არ მოხდება.

შედარებით მარტივ შემთხვევებში რისკის ხარისხის შესაფასებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას უარყოფითი შედეგის მიღების ალბათობის სიდიდე.

თუმცა, ჩვენს მიერ განხილული რისკის განმარტებიდან გამომდინარე რისკის გაგების არსებით ფაქტორებს არც კი შევხებივართ.

შემდგომი მსჯელობების დასადასტურებლად და ილუსტრირებისათვის მოვიყვანთ შემდეგ მარტივ მაგალითს. წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც განსაზღვრული სიგანის თხრილს უნდა გადაახტეს. თუ თხრილი პატარაა, ადამიანი კი კარგი სპორტსმენი – რისკზე ფიქრიც კი არაა საჭირო. მაგრამ თუ თხრილი ისე დიდია, რომ წარმატებული ნახტომის ალბათობა 80%-ია, მდგომარეობა იცვლება. თუმცა, უფრო მეტად

შეიცვლება პრობლემა რისკის თვალსაზრისით, თუ ნახტომი გასაკეთებელია არა 1,5 მეტრის სიგანის თხრილზე, არამედ 100 მეტრის სიღრმის უფსკრულზე. რა თქმა უნდა, რისკის განმარტების თვალსაზრისით, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, ნახალისების თუ რომელი ფორმა აძლევს სტიმულს რისკის მიღწევას.

რისკის ჩვენეული ყოველდღიური შეფასება ეყრდნობა შესაძლო მომგებიანი დასასრულისა და მისი ხელშემწყობი გარემოებების შედარებას. ამიტომ რისკის განხილული კოეფიციენტი გამოიყენება მსხვილი პროექტებისა და პროგრამების დაგეგმვისა და შეფასებისას.

2.3. რისკის შეფასების საექსპერტო მეთოდები

ექსპერტული გამოკითხვების ზოგადი სქემა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. ექსპერტთა შერჩევასა და საექსპერტო ჯგუფების ფორმირებას;

2. შეკითხვების ფორმირებასა და ანკეტების შევსებას;

3. მუშაობას ექპერტებთან;

4. ჯამური შეფასების განსაზღვრის ნებსების ჩამოყალიბებას ცალკეული ექსპერტების შეფასების საფუძველზე;


5. ექსპერტული შეფასების ანალიზსა და დამუშავებას.

პირველ ეტაპზე ხდება ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება მათი პროფესიულ-კვალიფიკაციური კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ექსპერტების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდვა, რომელიც ეხება ექსპერტების მიზნების შესაბამისობას საექსპერტო გამოკითხვების მიზნებთან, ანუ, უნდა დადგინდეს, არის თუ არა ცალკეულ ექსპერტთა მიერ განსახილველი მოვლენების არაობიექტური შეფასების ტენდენცია. ამისათვის სასურველია გაირკვეს ექსპერტთა შესაძლო პოტენციური მიზნები, რომლებიც წინააღმდეგობაშია ობიექტური შედეგების მიღების მიზნებთან.

ექსპერტული შეფასების მეთოდების შინაარსი მოცემულია ნახაზი 2.2.

ნახაზი 2.2. ექსპერტული შეფასების მეთოდების სტრუქტურა



ექსპერტული შეფასების ძირითადი მეთოდები:

1) ექსპერტთა ჯგუფის კოლექტიური მუშაობის მეთოდები;

2) ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ინდივიდუალური მოსაზრების მიღების მეთოდები.

ექსპერტთა ჯგუფის კოლექტიური მუშაობის მეთოდები გულისხმობს სამენარმეო საქმიანობის შედეგების ერთობლივი განხილვისას საერთო აზრის ჩამოყალიბებას. ზოგჯერ ამ მეთოდებს კოლექტიური აზრის მიღების პირდაპირ მეთოდებსაც უწოდებენ. ისინი მოიცავენ „გონებრივ იერიშს (შტურმს)“, სცენარებს, საქმიან თამაშებს და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ინდივიდუალური მოსაზრების მიღების მეთოდები დაფუძნებულია ექსპერტებისაგან ინფორმაციის წინასწარ მოგროვებაზე. მათი გამოკითხვა ხდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რის შემდეგაც ხდება მონაცემთა შემდგომი დამუშავება. ამ მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ ანკეტური გამოკითხვის, ინტერვიუს და სხვა მეთოდები.

ექსპერტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს გამოსაკითხი ფურცელი-ანკეტა.

ექსპერტების გამოკითხვა ხორციელდება ექსპერტული შეფასებების არჩეული მეთოდების შესაბამისად. ექსპერტული შეფასებების მეთოდებს შორის ყველაზე მისაღებია დელფის მეთოდი. ეს მეთოდი წარმოადგენს ანკეტური გამოკითხვების ინტერაქტიულ პროცედურას. ამასთან, დაცულია ექსპერტებს შორის პირადი კონტაქტების არარსებობა და გამოკითხვის ყოველი ტურის შემდეგ მათი სრული ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ, შეფასებების, არგუმენტაციისა და კრიტიკის სრული ანონიმურობის დაცვით.

მეთოდის პროცედურა მოიცავს გამოკითხვის თანმიმდევრულ ეტაპებს (ტურებს). პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ექსპერტთა ინდივიდუალური გამოკითხვა, ეს ხდება ანკეტირების ფორმით. ექსპერტები იძლევიან პასუხებს სპონტანურად. შემდეგ გამოკითხვის შედეგები მუშავდება და იქმნება ექსპერტთა ჯგუფის კოლექტიური აზრი, ცხადდება და განზოგადდება არგუმენტაცია ამა თუ იმ მსჯელობის სასარგებლოდ. მეორე ეტაპზე ყველა ინფორმაციას ატყობინებენ ექსპერტებს და სთხოვენ მათ გადახედონ შეფასებებს, კოლექტიური მოსაზრების არ დამთხვევის შემთხვევაში განმარტონ მიზეზები. ახალი შეფასებები ხელახლა მუშავდება და გადადის შემდეგ ეტაპზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამი-ოთხი ეტაპის შემდეგ ექსპერტთა პასუხები სტაბილური ხდება და ამით სრულდება გამოკითხვის პროცედურა.

დელფის მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს გამოკითხვის პროცესში უკუკავშირის გამოყენებაში, რაც საგრძნობლად ამაღლებს ექსპერტების შეფასებათა ობიექტურობასა და საიმედოობას. თუმცა, მოცემული მეთოდი მნიშვნელოვან დროს მოითხოვს რეალიზაციისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით:

- 1) რაოდენობრივი ერთეულით;
- 2) ქულებით;
- 3) რანჟირებით და სხვა.

ექსპერტთა გამოკითხვის წესები შეიცავს დებულებებს,

რომელთა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ამ წესებმა უნდა უზრუნველყოს იმ პირობების დაცვა, რაც ხელს შეუწყობს ექსპერტების ობიექტური აზრის ჩამოყალიბებას. ამ პირობებში შედის:

1) ექსპერტთა მიერ შეფასებულ მოვლენებზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბების დამოუკიდებლობა;

2) სავარაუდო ანკეტებით მუშაობის მოსახერხებლობა (საკითხების ფორმულირება ხდება საყოველთაოდ მიღებული ტერმინებით და უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი აზრობრივი არაერთგვაროვნება და სხვა);

3) კითხვების ლოგიკური შესაბამისობა გამოკითხვის ობიექტის სტრუქტურასთან;

4) დროის მისაღები დანახარჯები ანკეტის შეკითხვებზე საპასუხოდ, კითხვების მისაღებად და პასუხების გასაცემად მოსახერხებელი დრო;

5) საექსპერტო ჯგუფის წევრებისათვის პასუხების ანონიმურობა;

6) ექსპერტებისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.

ამ პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად შემუშავებული უნდა იქნას გამოკითხვის წესები და ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ორგანიზაცია.

საკვლევი ობიექტის ხასიათის, მისი ფორმალიზაციის ხარისხის და საჭირო ექსპერტების მოზიდვის შესაძლებლობის მიხედვით მათთან მუშაობის განრიგი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ იგი ძირითადად სამი სტადიისაგან შედგება.

პირველ სტადიაზე ექსპერტების მოზიდვა ხდება ინდივიდუალურად, რათა დაზუსტდეს ექსპერტების შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის მოდელი, მისი პარამეტრები და მაჩვენებლები; შეთანხმდეს ექსპერტული შეფასებების ცხრილების წარდგენის ამა თუ იმ ფორმის მიზანშეწონილობა; დაზუსტდეს ექსპერტთა ჯგუფები.

მეორე სტადიაზე ექსპერტებს უგზავნიან ანკეტებს განმარტებითი წერილით, რომელშიც აღწერენ სამუშაოს მიზანს,

მაგალითებიანი ცხრილების აგების სტრუქტურას და თანრიგს.

თუ არის ექსპერტების ერთად შეკრების საშუალება, ანკეტირების მიზანი და ამოცანა, აგრეთვე, ანკეტირებასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი შესაძლოა განიხილებოდეს ზეპირად. ექსპერტული გამოკითხვის ამგვარი ფორმისათვის აუცილებელია შემდეგი ანკეტების შემდგომი დამოუკიდებელი შევსება, ანკეტირების წესის დაცვით.

ექსპერტებთან მუშაობის მესამე სტადია იწყება გამოკითხვების შედეგების მიღების შემდეგ, მიღებული შედეგების გადამუშავებისა და ანალიზის პროცესში. ამ სტადიაზე ექსპერტებისგან, კონსულტაციის ფორმით, მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მონაცემების დასაზუსტებლად და მათი საბოლოო ანალიზისთვის.

ექსპერტებისაგან მიღებული ინფორმაციის რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მოხდეს გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღებისაკენ მიმართული შემდგომი ანალიზისათვის მოსახერხებელ ფორმად მისი გარდაქმნის უზრუნველყოფით.

არსებობს საექსპერტო ჯგუფების გამოყენების რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთი მათგანია შეფასებათა შეთანხმების მეთოდი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ექსპერტი შეფასებას აძლევს სხვებისგან დამოუკიდებლად, შემდეგ კი გარკვეული მოქმედების შედეგად ეს შეფასებები ერთიანდება განზოგადებულ (შეთანხმებულ) შეფასებაში.

თუ საუბარია სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობაზე (p) და i — ექსპერტი მიუთითებს ამ ალბათობისთვის p_i რიცხვს, მაშინ განზოგადოებული შეფასების მიღების უმარტივესი მეთოდი მდგომარეობს საშუალო ალბათობის გამოთვლაში.

$$p = \sum_{i=1}^m \frac{P_i}{m}$$

სადაც m — ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტების რაოდენობაა. დელფის მეთოდში განზოგადოებული მოსაზრების

ნიშნით მიიღება ექსპერტების გამოკითხვების ბოლო ტურის შეფასებების მედიანა.

შეიძლება გამოვითვალოთ აგრეთვე ალბათობის საშუალო შეწონილი მნიშვნელობა თვით ექსპერტის წონის (კომპეტენტურობის) გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება წინა საქმიანობების საფუძველზე (სწორი პასუხების რაოდენობის შეფარდება საერთო პასუხების რაოდენობასთან), ან სხვა მეთოდების საფუძველზე – ექსპერტის მიერ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით თავისი ცოდნის „თვითშეფასებით“, კვალიფიკაცია, თანამდებობა, სამეცნიერო წოდება და ა.შ.

$$p = \frac{p_1 h_1 + p_2 h_2 + \dots + p_m h_m}{h_1 + h_2 + \dots + h_m} = \frac{\sum_{i=1}^m p_i h_i}{\sum_{i=1}^m h_i}$$

სადაც h წონაა, რომელიც მიეკუთვნება i -ექსპერტს.

ექსპერტის კომპეტენტურობის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა ხერხები, რომელთა არჩევანს განაპირობებს გადასაწყვეტი ამოცანის ხასიათი და კონკრეტული ექსპერტული გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობები.

i ექსპერტისათვის მიკუთვნებული წონის მნიშვნელობა აღიქმება მის მიერ სარწმუნო შეფასების მიცემის ალბათობა. ამ შემთხვევაში $0 < h < 1$

ექსპერტული გამოკითხვის, საკვლევ ობიექტსა და ექსპერტების მიერ მიცემული შეფასების ექსპერტული მონაცემების გადამუშავების გამოყენებული მეთოდების სპეციფიკაზე დამოკიდებულებით შეიძლება არსებობდეს შემდეგი საზომი სკალა: 0-დან 1-მდე, 0-დან 10-მდე, 0-დან 100-მდე. ასე, მაგალითად, BERI- ინდექსის განსაზღვრის ცნობილი ექსპერტიზა, რისკის შესაფასებლად იყენებს სკალას 0-დან 100 ბალამდე. ამასთანავე, საზომ სკალებს შორის პრინციპული განსხვავება არ არის, მისი არჩევანი მეტწილად განპირობებულია მკვლევარის შეხედულებით, რომელიც ექსპერტულ გამოკითხვას აწარმოებს. გაზომვის მიღებულმა საზომმა სკალამ შე-

საძლოა გავლენა იქონიოს ანალიზის მეთოდების არჩევასა და ექსპერტების აზრის გადამუშავებაზე.

შეგროვილი ექსპერტული მონაცემების ანალიზისას, გამოკვლევის მიზნების და მიღებული მოდელების შესაბამისად, აუცილებელია ინფორმაციის წარდგენა გადანყვეტილების მისაღებად მოსახერხებელი სახით (ობიექტების მოწესრიგება – ვარიანტები, მაჩვენებლები, ფაქტორები და ა.შ.), აგრეთვე საჭიროა განისაზღვროს ექსპერტთა მოქმედებების შეთანხმებულობა და ექსპერტული შეფასებების სანდოობა.

ასე, მაგალითად, თვისებრივი ანალიზის პროცესში გამოვლენილი რისკები საჭიროა წარმოდგენილ იქნას მათი მნიშვნელობის მიხედვით (დანაკარგის დონეზე მათი შესაძლო გავლენის ხარისხი) ან რისკების შემცირების ვარიანტები – მათი უპირატესობის მიხედვით და ა.შ.

არსებობს მოწესრიგების არაერთი მეთოდი. ყოველ მათგანს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, აგრეთვე ეფექტური გამოყენების სფეროები. მათგან ყველაზე გავრცელებული მეთოდებია რანჟირება, უშუალო შეფასება, თანმიმდევრული შედარება, წყვილად შედარება.

ექსპერტული პროცედურების მნიშვნელოვანი მომენტია ექსპერტების შეთანხმებული მოქმედებების შეფასება და ექსპერტული შეფასების სანდოობა.

ექსპერტული შეფასებების სანდოობის განსაზღვრის არსებული ხერხები ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ თუ კი ექსპერტთა მოქმედება შეთანხმებული იქნება, შეფასების სანდოობა გარანტირებულია.

ამ მიზნისთვის ყველაზე ხშირად იყენებენ კონკორდაციის (შეთანხმების) კოეფიციენტს. მისი სიდიდე საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ექსპერტების აზრების შეთანხმებულობის ხარისხზე და, აქედან გამომდინარე, მათი შეფასების სანდოობაზე. კონკორდაციის კოეფიციენტი გამოითვლება გამოსახულებით:

$$W = \frac{\sigma_f^2}{\sigma_{\max}^2}$$

სადაც σ_f^2 – ექსპერტების მიერ მოცემული ჯამური (მონესრიგებული) შეფასებების ფაქტობრივი დისპერსიაა.

σ_{\max}^2 – შეფასების ჯამური დისპერსია იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტების მოსაზრებები მთლიანად ემთხვევა.

კონკორდაციის კოეფიციენტის სიდიდე შეიძლება მერყობდეს 0-დან 1-მდე. თუ $W = 0$, შეთანხმება არ არსებობს, ანუ სხვადასხვა ექსპერტთა შეფასებებს შორის კავშირი არ არსებობს. თუ $W=1$, მაშინ ექსპერტთა მოსაზრებებში სრული თანხმობაა.

ექსპერტებისაგან მიღებულ შეფასებათა გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, რომ კონკორდაციის კოეფიციენტი მიცემულ მნიშვნელობაზე (ნორმატიულზე) მეტი იყოს. შეიძლება მივიღოთ $W=0,5$. ითვლება, რომ როდესაც W მეტია 0,5-ზე, ექსპერტების მოქმედება უმეტესად შეთანხმებულია, ვიდრე შეუთანხმებელი.

განვიხილოთ კონკორდაციის კოეფიციენტის შინაარსი შემდეგ გამარტივებულ მაგალითზე. დავუშვათ, თვისებრივი ანალიზის პროცესში გამოვლენილია ხუთი ტიპის რისკი, რომელთაც შეიძლება დაექვემდებაროს პროექტი მისი რეალიზაციის პროცესში. ექსპერტების წინაშე დგას ამ რისკების რანჟირების ამოცანა დანაკარგების დონეზე მათი შესაძლო გავლენის მიხედვით.

ზოგადად, კონკორდაციის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოისახება:

$$W = \frac{\sigma_f^2}{\sigma_{\max}^2} = \frac{\sum_{i=1}^m \left\{ \sum_{j=1}^m a_{ij} - \frac{1}{2} n(m+1) \right\}^2}{\frac{1}{12} n^2 m (m^2 - 1)} = \frac{\sum_{i=1}^m \left\{ a_i - \frac{1}{2} n(m+1) \right\}^2}{\frac{1}{12} n^2 m (m^2 - 1)}$$

სადაც $a - i$ -ობიექტივისთვის j -ექსპერტის მიერ მიწერილი შეფასებაა;

m – შესაფასებელი ობიექტების რაოდენობა;

n – ექსპერტების ოდენობა.

ასევე გამოიყენება კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა შევადაროთ იმის ალბათობა, რომ ექსპერტების შეთანხმება მათი აზრების შემთხვევითი ვარიაციების შედეგი არ არის.

თუკი მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად ექსპერტების აზრი შეიძლება შეთანხმებულად ჩაითვალოს, მაშინ მათ მიერ მოცემული შეფასებები მიიღება და გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადებისა და რეალიზაციის პროცესში.

თუკი მოცემული შეფასებები არ შეიძლება ჩაითვალოს სანდოდ, უნდა ჩატარდეს ახალი გამოკითხვა. თუკი არც ეს გვაძლევს სასურველ შედეგებს, მაშინ უნდა დაზუსტდეს თავდაპირველი მონაცემები ან (და) შეიცვალოს ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა.

ამ რისკების შეფასების შედეგები 4 ექსპერტის მონაცემების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 2.4.

ექსპერტების სრულად შეთანხმებული მოსაზრებებისას, მათგან ყოველმა მეორემ პირველი ტიპის რისკს მისცა 2 ქულა, მეორეს – ერთი, მესამეს – ოთხი, მეოთხეს – სამი, მეხუთეს – ხუთი. ამ შემთხვევაში რისკების მნიშვნელობის ჯამური რანგი შეადგენს 8, 4, 16, 12 და 20 ქულას.

ცნობილია, რომ ჯამური შეფასების საშუალო მნიშვნელობა n -ექსპერტების მიერ დანიშნული m ობიექტებისათვის შეადგენს $1/2n(m+1)$ და განხილულ მაგალითში მისი საშუალო მნიშვნელობა 12-ს შეადგენს.

მოცემულ მაგალითში კონკორდაციის კოეფიციენტი 0,73, ამიტომ, ექსპერტების აზრი შეთანხმებულია.

ცხრილი 2.4. რისკების შეფასების შედეგები

ექსპერტი / რისკი	ინფლაცია	ტექნიკური	ინვესტიციური	ეკოლოგიური	საველუტო
1	2	1	5	3	4
2	3	2	4	1	5
3	1	2	4	3	5
4	2	1	3	3	4
მნიშვნელოვანობის ჯამური რანგი	8	6	16	10	18
მნიშვნელოვანობის ჯამური რანგი ექს-პერტების აზრების სრული შეთანხმებულობისას	8	4	16	12	20

2.4. ფირმის ტექნიკური რისკების ანალიზი

იშვიათი და უნიკალური შემთხვევებისათვის, მაგალითად, დიდი ავარიებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ რეპრეზენტაციული სტატისტიკა, გამოიყენება სისტემის თეორიული ანალიზი, რათა გამოვლენილ იქნას მოვლენების შესაძლო განვითარება და განსაზღვრული იქნას მათი შედეგები. პირობითად ასეთ მეთოდს უწოდებენ სცენარულ მიდგომებს, რამდენადაც პროცესის განხილვის შედეგი არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა ჯაჭვით აგება. თითოეული მათგანისათვის განსაზღვრულია შესაბამისი ალბათობა. ჯაჭვის დასაწყისში დგას საწყისი მოვლენების ჯგუფი, რომლებიც იწოდება მიზეზებად, ბოლოში კი – მოვლენათა ჯგუფი, რომელთაც ეწოდებათ შედეგები.

არსებობს სცენარული მიდგომით რისკის შეფასების პრინციპული სირთულეები. ავარიების შედეგებისა და აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლის გასაანგარიშებლად

გამოყენებული მათემატიკური მეთოდები და მოდელები გულისხმობს მნიშვნელოვან განუსაზღვრელობას, რომელიც დაკავშირებულია სამოდულო ობიექტების სირთულესთან და არახელსაყრელი პროცესების განვითარების გზების არასაკმარის ცოდნასთან. ამიტომ მსხვილი სამრეწველო საწარმოების რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავებისა და გაანგარიშებების სიზუსტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანადგარების ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის მონაცემების ბაზის შედგენას, სხვადასხვა ვარიანტების შემუშავებას და ავარიების განვითარების სცენარების მიხედვით მონაცემთა ბაზის შედგენას, აგრეთვე პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ხარისხის ამაღლებას.

არახელსაყრელი მოვლენების დადგომის ალბათობის შეფასების მეთოდებიდან ყველაზე უფრო ცნობილია:

1. მოვლენათა ხის აგების მეთოდი;
2. მწყობრიდან გამოსვლის ხის მეთოდი;
3. მეთოდი „მოვლენები – შედეგები“.

მოვლენათა ხის აგების მეთოდი – ეს არის ცალკეული შესაძლო ინციდენტების (მაგალითად, ტექნოლოგიური პროცესის ან სისტემის რომელიმე ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის ან გაუმართაობის, შემთხვევების ალბათობის შეფასებით) თანმიმდევრულობის კონტროლის და ზარალის გამომწვევი საბოლოო მოვლენის ჯამური ალბათობის გამოთვლის გრაფიკული მეთოდი.

მოვლენათა ხე იგება ინციდენტებად წოდებული მოცემული საწყისი მოვლენებით. შემდეგ ხდება მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის მიხედვით ამ მოვლენების განვითარების შესაძლო გზების კონტროლი სისტემის შუალედური რგოლების მწყობრიდან გამოსვლის ან მათი ამოქმედების შესაბამისად.

მოვლენათა განვითარების ყოველ ნაბიჯზე განიხილება ორი შესაძლებლობა:

სისტემის ამუშავება (ხის ზედა ტოტი) ან მწყობრიდან გამოსვლა (ქვედა ტოტი). ივარაუდება, რომ ყოველი შემდეგი რგოლი ამუშავდება მხოლოდ წინმდებარეს ამუშავების შემ-

თხვევაში. ყოველი ტოტის არეალში მითითებულია მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა (P), ან ამუშავების ალბათობა (1-P). დამოუკიდებელი მოვლენებისთვის მოცემული ჯაჭვის რეალიზაციის ალბათობა განისაზღვრება ჯაჭვის ყოველი მოვლენის ალბათობების ნამრავლით. მოვლენათა სრული ალბათობა მითითებულია დიაგრამის მარჯვენა ნაწილში. იმდენად რამდენადაც მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა ძალიან მცირეა, ამუშავების ალბათობა კი არის 1-P, ყველა ზედა ტოტისთვის მოცემულ მაგალითში ალბათობა ითვლება დაახლოებით 1-ის ტოლად.

მოვლენების ხის აგება საშუალებას გვაძლევს, თანმიმდევრულად ვადვენოთ თვალი ყოველი შესაძლო სანყისი მოვლენის შედეგს და გამოვთვალოთ მთავარი (საბოლოო) მოვლენის მაქსიმალური ალბათობა თითოეული ასეთი ინციდენტის შემთხვევაში. ამ დროს მთავარია არ გამოგვრჩეს რომელიმე ასეთი შესაძლო ინციდენტი და გავითვალისწინოთ ჯაჭვის ყველა შუალედური რგოლი.

ასეთ ანალიზს შეუძლია მოგვცეს მთავარი მოვლენის ალბათობის უტყუარი შედეგი, თუკი თავდაპირველი და შუალედური მოვლენების ალბათობა დანამდვილებით არის ცნობილი.

რისკის ანალიზი შეიძლება მიმდინარეობდეს პირობითაც – ცნობილი შედეგებიდან შესაძლო მიზეზებამდე. ეს არის მოვლენათა მთლიანი ჯაჭვის გრაფიკული წარმოდგენა, რომელთა შედეგებმაც შეიძლება რომელიმე მთავარ მოვლენასთან მიგვიყვანოს, ანუ განისაზღვრება გზები, რომლითაც ცალკეულ ინდივიდუალურ მოვლენებს მათი კომბინირების შედეგად პოტენციურად საშიშ სიტუაციებამდე მიყვანა შეუძლიათ. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ეს მეთოდი ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა სამრეწველო დარგში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი ასევე გამოიყენება სამეცნიერ-მეო და საინვესტიციო რისკების შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ერთ მთავარ მოვლენას ხის ბოლოში და უამრავ შესაძლო მიზეზს (ინციდენტებს) მის ფესვების გან-

შტოებაში. ასეთ მეთოდს ეწოდება *მწყობრიდან გამოსვლის ხის მეთოდი* და ფაქტობრივად წარმოადგენს აქ განხილული მოვლენების ინვერსიას.

განსახილველი მთავარი მოვლენა გამოისახება წვეროზე, ხის ტოტები კი წარმოადგენენ გზებს, რომლებითაც შესაძლებელია მოვლენის რეალიზაცია, ხოლო კავშირი თავდაპირველ მოვლენებსა და მთავარ მოვლენას შორის ხორციელდება შესავალი მაკავშირებლების „და“ ან „ანის“ გამოყენებით – ეს ის ლოგიკური პირობებია, რომელთა შერჩევა სისტემის მუშაობის „სალი აზრისგან“ გამომდინარეობს.

რისკი იმისა, რომ ორივე მოვლენა ერთდროულად მოხდება, უდრის ამ ორი თავდაპირველი მოვლენის ალბათობების ნამრავლს. „და“ პირობით დაკავშირებული მოვლენები გადამრავლდება, „ან“ პირობით დაკავშირებული მოვლენები კი ჯამდება. შემდგომ აუცილებელია გადანყდეს, მისაღებია ასეთი რისკი სისტემისთვის თუ არა. და ბოლოს, მწყობრიდან გამოსვლის ხე საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ყველა გზა, რომელსაც მთავარ მოვლენამდე მივყავართ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ მოვლენების კომბინაციის *მინიმალური ოდენობა*, რომელთაც მთავარი მოვლენის გამოწვევა შეუძლიათ. სანარმოო პროცესებს ან ტექნიკურ რისკებს შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე განსხვავებული ტექნოლოგიური ჯაჭვი; ყველა მათგანი გამოსახული უნდა იყოს მწყობრიდან გამოსვლის ხის გრაფაზე. მთავარი მოვლენა შეიძლება ინდუცირებული იქნას სანყისი მოვლენების დიდი ოდენობით, ზოგიერთი მათგანი შეიძლება გადაიფაროს ან მოხდეს მათი დუბლირება პროცესის სხვადასხვა ნაწილში. ყველა ასეთი ელემენტი ასახული უნდა იქნეს მწყობრიდან გამოსვლის ხეზე. თუ მოხერხდება მთავარი მოვლენის გამომწვევი მოვლენათა ჯაჭვის მინიმალური რიცხვის გამოყოფა, შეიძლება განისაზღვროს სისტემების საკვანძო ნაწილები ან პროცესები, რომელთა მოდერნიზაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს.

მოვლენათა ჯაჭვის მინიმალურ ოდენობას, რომლის დროსაც შეიძლება განხორციელდეს მთავარი მოვლენა „მინიმალური უმოკლესი გზების ნაკრები“ (set of minimum cut sets) ეწოდება, უმოკლესი გზა (cut set) კი არის მოვლენების ან მწყობრიდან გამოსვლის პირველადი წყაროების ჯგუფი, რომელთაც შეუძლიათ მთავარ მოვლენამდე ნაბიჯების მინიმალური ოდენობით მიგვიყვანონ. მწყობრიდან გამოსვლის ხე გვაძლევს მოცემული სისტემისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირებისა (ე.ი. გამოვლენის) და მათი რაოდენობრივად აღწერის საშუალებას. აუცილებელია თვალი მივადევნოთ ყველა მოვლენას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კატასტროფა. მას შემდეგ, რაც იდენტიფიცირებული იქნება ასეთი მოვლენები, უნდა მოხდეს ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება.

ნაკლოვანებებს უნდა დავუთმოთ დროის დიდი ნაწილი. ეს კი საჭიროებს მწყობრიდან გამოსვლის დიაგრამის შექმნასა და შესაბამისი ტექნიკის შესწავლას. რისკის გამოვლენისა და შეფასების ბევრი მეთოდისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი ნაკლოვანებები.

მწყობრიდან გამოსვლის ხის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა მოვლენების შეფასების ალბათობა. თუ საწყისი და შუალედური მოვლენების ალბათობები შეფასებულია არასწორად და არაზუსტად, ყველა მომდევნო გამოთვლა მთავარი მოვლენის ალბათობის შესაფასებლად არასარწმუნო აღმოჩნდება.

ჩამოვთვალეთ მოვლენების ალბათობის შეფასების უტყუარობის ამაღლების ძირითადი გზები. უპირველეს ყოვლისა, შეიძლება არსებობდეს შესაბამისი მონყობილობის მუშაობის წარსული გამოცდილება ან რაიმე მსგავსი მოცემულ საწარმოში, შესაბამისად არსებობს ცალკეული ელემენტების მწყობრიდან გამოსვლის სტატისტიკა. ფირმების უმეტესობა აღრიცხავს ასეთ მოვლენებს და აქვთ ეს მონაცემები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომლებიც ხშირად გამოიყენება ალბათობების კარგ საზომად.

თუკი საწარმოში ასეთი მონაცემთა ბაზა არ არსებობს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაცემები ანალოგიური მონ-
ყობილობების მწყობრიდან გამოსვლის შესახებ მთლიანად
მრეწველობის მთელ დარგში. ასეთ სტატისტიკას, როგორც
ნესი, აწარმოებს სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი ან ორგა-
ნიზაციები და ხდება მათი პუბლიკაცია სპეციალურ გამოშვე-
ბებში.

შესაბამის სტატისტიკას ახორციელებენ აგრეთვე მონ-
ყობილობების მწარმოებლები და სთავაზობენ მას მომხმარე-
ბელს, რათა უზრუნველყონ ნდობა თავისი პროდუქციის მი-
მართ.

მწყობრიდან გამოსვლების და მოვლენათა ხის აგების
მეთოდები ავსებენ ერთმანეთს.

მეთოდი „მოვლენები – შედეგები“ (ინგლისურენოვან
ლიტერატურაში იწოდება HAZOR-hazard and Operability Re-
search) – ეს იგივე მოვლენების ურთიერთდაკავშირებული
სქემის აგების მეთოდია, მაგრამ მოვლენათა ჯაჭვის გრაფი-
კულად გამოსახვის და თითოეული მოვლენის ალბათობის შე-
ფასების გარეშე. ეს არის საწარმოს ქმედუნარიანობის კრიტი-
კული ანალიზი მონყობილობების შესაძლო გაუმართაობის ან
მწყობრიდან გამოსვლის თვალსაზრისით, რაც ფართოდ გა-
მოიყენება მრეწველობაში დაპროექტების ეტაპზე. ძირითადი
იდეა არის რთული საწარმოო სისტემების დაყოფა უფრო მარ-
ტივ და ადვილად გასაანალიზებელ ნაწილებად. თითოეული
ასეთი ნაწილი გულმოდგინედ უნდა იქნას გაანალიზებული,
რათა იდენტიფიცირებულ იქნას ყველა საფრთხე და რისკი.

ამ მეთოდის განხილვის ფარგლებში რისკის იდენტიფი-
კაციის პროცესი ნაწილდება 4 თანმიმდევრულ ეტაპად. თი-
თოეულ მათგანზე პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

1-ლი ეტაპი – როგორია საკვლევი დანადგარის ან პრო-
ცესის დანიშნულება?

მე-2 ეტაპი – რაში მდგამარეობს შესაძლო გადახრები
მუშაობის ნორმალური რეჟიმიდან?

მე-3 ეტაპი – რა არის გადახრების მიზეზები?

მე-4 ეტაპი – როგორი შეიძლება იყოს გადახრების შედეგები?

თავდაპირველად აუცილებელია პროცესის ან მოწყობილობის ერთი ნაწილის გამოკვეთა და ამ ნაწილის მნიშვნელობის განსაზღვრა. ცხადია, რომ ეს საკვანძო საკითხია. თუკი დანიშნულება არასწორადაა დადგენილი, მაშინ ნორმისგან გადახრის პარამეტრების განსაზღვრაც შეუძლებელია სწორად მოხდეს. გამოკვლევა მიმდინარეობს თანმიმდევრულად მოწყობილობის თითოეული ნაწილისთვის ცალ-ცალკე. ანალიზის სისრულისა და უტყუარობისათვის საჭიროა არა ერთი ადამიანის, არამედ სპეციალისტ-პრაქტიკანტების ჯგუფის მუშაობა.

იმის შემდეგ, რაც დადგენილია დანადგარის ყველა ნაწილის ან პროცესის ნორმალური ფუნქციონირების დანიშნულება და პირობები, აუცილებელია ჩამოითვალოს პარამეტრების ნორმალური საპროექტო მნიშვნელობებიდან შესაძლო გადახრები. გადახრების ნუსხა – ეს არის სწორედ გამოკვლევების ძირითადი ბირთვი. გადახრის ნუსხის სტრუქტურირებისათვის იყენებენ სპეციალური საკვანძო სიტყვებს.

შემდეგი ნაბიჯი – ეს არის თითოეული გადახრის მიზეზთა ნუსხის შედგენა. აუცილებელია ჩამოითვალოს ყველა შესაძლო მიზეზი და არა მხოლოდ შესაძლო ან ისინიც, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში. ბოლოს, დგება პარამეტრების და რეჟიმების შესაძლო გადახრების ნუსხა. შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა შემუშავდეს უსაფრთხოების სხვადასხვა ზომები. ისინი ხშირად ხორციელდება რისკის ანალიზის პროცესში ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ყველა კვლევა დასრულდება.

მნიშვნელოვანი ეტაპია მიზეზებისა და შედეგების ანალიზი. სისტემის დანიშნულების განსაზღვრის შემდეგ საჭიროა დადგინდეს ყველაფერი, რაც მისთვის არასასიამოვნოა. თითოეული შესაძლო მიზეზი უნდა იყოს დანომრილი; ამ ნომრით მითითებული უნდა იყოს შესაძლო შედეგები და მისაღები ზომები.

HAZOR მეთოდი მიესადაგება როგორც მოქმედ სანარმოს, ასევე ნებისმიერი სისტემისა თუ პროცესის დაპროექტების სტადიას. დამპროექტებლების ჯგუფს, რისკ-მენეჯერთან ერთად, შეუძლია დანვრილებით გამოიკვლიოს ყველა ვარიანტი ჯერ კიდევ დანადგარის დამზადებამდე. ძალიან მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ გამორჩენილი არაფერია. თუ სისტემა რთულია, ე.ი. შედგება უამრავი კომპონენტისაგან, მაგ: სარქველებისგან, ავზებისგან, მილსადენებისგან, ძნელია რამე არ გამოგრჩეს. ამის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ნაკადების სპეციალური საკონტროლო ბარათის შემოღება. რომელიც შეასრულებს ხელმძღვანელისა და გზამკვლევის როლს კვლევის პროცესში. ამ ბარათზე აღინიშნება კვლევის სხვადასხვა ეტაპი. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა შემცირდეს დანადგარის ამა თუ იმ სექციის ან პროცესის გამორჩენის შესაძლებლობა. ანალიზის მთელი პროცესის დამთავრების შემდეგ ბარათზე კეთდება აღნიშვნა, რომ სისტემის ყველა სექცია და ნაწილი შემოწმებულია. სასარგებლოა სპეციალური დღიურის წარმოება, სადაც მოინიშნება არახელსაყრელი მოვლენების ან მწყობრიდან გამოსვლის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღება.

მეთოდის „შემთხვევა-შედეგის“ უპირატესობაა შესაძლო რისკების ძალიან დეტალურად და დანვრილებით გამოვლენა და გაანალიზება, ნაკლოვანება კი კვლევის მთელი კომპლექსის ჩატარებისთვის დროის მნიშვნელოვანი დანახარჯები და რისკის ზოგიერთი ასპექტის გამორჩენის საფრთხე.

არახელსაყრელი შემთხვევების შედეგების უმრავლესობა არ შემოიფარგლება ზარალის ერთი რომელიმე სახით. სანყის მიზეზს, იქნება ის ბუნებრივი თუ ტექნოლოგიური ზემოქმედება, ფინანსური თუ კომერციული რისკი, მოსდევს შედეგი, რომელიც ვითარდება ჯაჭვისებურად, „დომინოს პრინციპით“.

2.5. საინვესტიციო რისკების ანალიზი

საინვესტიციო საქმიანობის შეფასება განუსაზღვრელობის პირობებში მოითხოვს პრინციპულად ახალ საკითხებს. კერძოდ: წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პირობებისა და შესაბამისი საბაზრო სექტორის ჩამოყალიბების შესაძლებლობის ანალიზს (მარკეტინგული კვლევები); კრედიტორებთან ანგარიშსწორების გრაფიკის დასაბუთებას; საინვესტიციო რესურსების მოზიდვის სქემის დამუშავებას; რისკების გათვლას საინვესტიციო და სხვა პროექტების რეალიზაციის ყველა სტადიაზე. ამიტომ მეცნიერ-ეკონომისტების წინაშე დადგა სერიოზული პრობლემები – შეექმნათ ინვესტიციების და საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასების ეკონომიკური დასაბუთებულობის ადეკვატური საბაზრო ეკონომიკა.

საინვესტიციო პროექტის კომერციული შეფასება შედგება შეფასების ორი – ფინანსური და ეკონომიკური ბლოკისგან. განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის შეფასების მიზნით შემოღებული უნდა იქნას საწარმოს ფინანსური შეფასების ბლოკი, მითუმეტეს თუ არ არსებობს მისი ფინანსური მდგრადობის პროგნოზული შეფასება.

ცნობილია ფინანსური ანალიზის შემდეგი სამი ძირითადი დოკუმენტი:

1. ბალანსი (საბუღალტრო);
2. მოგება-ზარალის ანგარიში;
3. ანგარიში ფინანსური რესურსების წყაროებისა და მათი გამოყენების შესახებ. (რ. კოლბი. რ. როდრიგესი “ფინანსური მენეჯმენტი”).

საინვესტიციო პროექტის შეფასების საფუძველია ანგარიში საწარმოო ინვესტიციებით წარმოქმნილი ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ. მთავარი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყდეს ინვესტორის მხრიდან პროექტის ფინანსური შესაძლებლობების განსაზღვრის დროს არის მისი ლიკვიდურობის (ლიკვიდაციის რისკის, საკრედიტო რისკის),

ე.ი. მისი უნარის განსაზღვრა, დროულად და სრულად უპასუხოს ფინანსურ ვალდებულებებს თავისუფალი ფულადი სახსრების ხარჯზე. ეს დოკუმენტი აუცილებელია კრედიტის მოცულობების მიღების და დაბრუნების ვადების და მასზე პროცენტის დარიცხვის განსაზღვრისთვის.

ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვა დაფუძნებულია ბიუჯეტურ მიდგომაზე და ხასიათდება:

1) ფულადი საშუალებების შემოდინებით;

2) ფულადი საშუალებების გადინებით, რომელიც ანგარიშსწორების ამავე ეტაპზე დანახარჯის ტოლი იქნება;

3) ფულადი ნაკადის სალდოთი, ანუ შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობით;

საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური შედეგები განისაზღვრება ფულადი ნაკადების დამატებითი ცვლილებებით, რომლებიც მისი რეალიზაციის სტადიაზე წარმოიქმნება და რომელშიც პირობითად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფაზები:

1. საწყისი ან საინვესტიციო (ძირითადი ფონდების შექმნა და ექსპლუატაციაში შესვლა, აუცილებელი საბრუნავი კაპიტალის შექმნა, პერსონალის სწავლება და ა.შ.);

2. საექსპლუატაციო (პროდუქციისა და მომსახურების დაწყების მომენტიდან);

3. საბოლოო.

ბოლო ფაზის დროითი საზღვრის განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ზოგადად, ეს არის დროის მომენტი, რომლის მიღწევისას დამატებითი ფულადი საშუალებების მოძრაობა წყდება, ან უშუალოდ დაკავშირებული უკვე აღარაა თავდაპირველ ინვესტიციებთან. პროექტის რეალიზაციის სასიცოცხლო ციკლის რეალური პერიოდი დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების გასაღების ბაზარზე შექმნილ სიტუაციაზე. ამიტომ უფრო მართებულია საინვესტიციო პერიოდის სასიცოცხლო ციკლი დავაკავშიროთ იმ პერი-

ოდთან, რომლის განმავლობაშიც მის ფარგლებში წარმოებულ პროდუქციას ექნება მყარი გასაღება.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის ფაზების შესაბამისად, შესაძლებელია გამოიყოს მისი ფულადი ნაკადის სამი ძირითადი ელემენტი:

1) თავდაპირველი ხარჯების წმინდა მოცულობა (წმინდა ინვესტიციები);

2) წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადი;

3) წმინდა ფულადი ნაკადი, რომელიც წარმოიქმნება პროექტის დასრულების შემდეგად.

აქედან გამომდინარე, განვსაზღვროთ ჯამური ფულადი ნაკადი პროექტიდან შემდეგი სახით:

წმინდა ფულადი ნაკადი = წმინდა საწყისი ინვესტიციები + წმინდა ოპერაციული ნაკადი + ლიკვიდაციური ნაკადი.

აქ სიტყვა „წმინდა“ ნიშნავს შესაბამისი პარამეტრის წმინდა მატებას ან შემცირებას.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ფულადი ნაკადის თითოეული ელემენტის შინაარსი.

ნაკადის პირველი ელემენტი – წმინდა ინვესტიციები – ჩვეულებრივ, შედგება ახალი აქტივებისათვის საჭირო კაპიტალის საერთო მოცულობისაგან, ნებისმიერი პროექტის მიღებით გამოწვეული ნებისმიერი გამოთავისუფლებული ფონდის ღირებულების გამოკლებით.

ახალი აქტივების ღირებულების გარდა, აქ შედის აგრეთვე ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მათ მიწოდებასა და ექსპლუატაციაში შეყვანასთან: სატრანსპორტო ხარჯები, გამშვებ-გასამართი სამუშაოები, შენობების მომზადება, პერსონალის სწავლება და ა. შ. უნდა გვახსოვდეს, რომ დანახარჯები ძირითად ფონდებზე შეიცავს ამორტიზაციას მათი ექსპლუატაციის ნორმატიული ვადის განმავლობაში.

წმინდა ინვესტიციების გაზრდის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალი: დებიტორული დავალიანების გაზრდა, ნედლეულისა და მასალების პირველადი მარაგის შექმნა და ა. შ.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი საშუალებების ნაწილი შეიძლება მიღებულ იქნას გამოუყენებელი რესურსების გაყიდვის ხარჯზე, ან დაფარულ იქნას კრედიტორული დავალიანებების ხარჯზე. საერთო ინვესტიციების სიდიდე შეიძლება ასევე შემცირებულ იქნას სხვადასხვა საგადასახადო და საინვესტიციო შეღავათების ხარჯზე.

წმინდა საწყისი ინვესტიცია = ძირითადი ფონდების წმინდა ნამატი + საბრუნავი კაპიტალის წმინდა ცვლილება + საგადასახადო შეღავათები

რაც შეეხება წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებს ის შეიძლება შემდეგი ფორმულით ვიანგარიშოთ:

$$HODP = (HV - Hper3 - Hpost3) \times (1-T) + Am \times T \quad (1.3.)$$

სადაც HODP – ოპერაციული ფულადი ნაკადია.

HV – საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ცვლილება;

Hper3 – ცვლადი დანახარჯების სიდიდე;

Hpost3 – მუდმივი დანახარჯების სიდიდე;

Am – საამორტიზაციო ანარიცხები;

T – მოგების გადასახადის განაკვეთი.

ლიკვიდაციური ნაკადი შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით:

წმინდა ფულადი ლიკვიდაციური ნაკადი = გაყიდული აქტივების წმინდა ღირებულება + გამონთავისუფლებული საბრუნავი კაპიტალი.

საბაზრო მეურნეობის სუბიექტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმეტესობა ეფუძნება მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებას. თითოეული საინვესტიციო პროექტის (ეფექტიანობის) ინდივიდუალური შეფასება სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება.

ამჟამად, ამ მიზნით გამოიყენება „საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასების მეთოდური რეკომენდაციები“. ეფექტიანობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით,

რომლებიც ასახავს ინვესტიციებთან დაკავშირებული ხარჯებისა და შედეგების თანაფარდობას და იძლევა მოცემული პროექტის დაკრედიტებისათვის შერჩევის და ერთი საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური უპირატესობების მეორისაგან განსხვავების შეფასების შესაძლებლობას.

ცნობილია ინვესტიციების ეფექტიანობის სტატისტიკური და დინამიკური მაჩვენებლები: განზოგადებული, აბსოლუტური, ფარდობითი, დროში არათანხვდენილი, სტატიკური და დინამიკური მაჩვენებლები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში სტატიკურ მეთოდებს უწოდებენ ასევე სააღრიცხვო შეფასებებზე დამყარებულ მეთოდებს, დინამიკურ მეთოდებს კი – მეთოდებს, რომლებიც დისკონტირებულ შეფასებებზეა დაფუძნებული.

სტატიკურ ჯგუფებს განეკუთვნება შემდეგი მეთოდები: ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა (SOK), ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი (K~1). დინამიკური მეთოდებიდან გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წმინდა მიმდინარე ღირებულება (HTS), ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი (IR), გამოსყიდვადობის დისკონტირებული ვადა (DSOK), გამოსყიდვადობის დისკონტირებული კოეფიციენტი (DKO).

საინვესტიციო პროექტების შეფასების წესები უფრო დეტალურად ასახულია ფინანსური და საინვესტიციო მენეჯმენტის შესაბამის სახელმძღვანელოში და მათზე აქ დანვრილებით არ შევჩერდებით.

თითოეული საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება იმ კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომლებიც პასუხობენ განსაზღვრულ პრინციპებს, სახელდობრ:

1. ფულის ღირებულების ცვლილებას დროში;
2. ალტერნატიული ხარჯების აღრიცხვას;
3. პროექტის პარამეტრებში შესაძლო ცვლილებების აღრიცხვას;

4. ანგარიშსწორებებს ფულადი სახსრების რეალური ნაკადის საფუძველზე და არა ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით;
5. ინფლაციების აღრიცხვას;
6. საინვესტიციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის აღრიცხვას.

განვიხილოთ საინვესტიციო პროექტების შეფასების ზემოთ ხსენებული მეთოდები, გავერკვეთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებში. ასე, მაგალითად, მეცნიერი ი. ა. მალენკოვი ვარაუდობს, რომ „დისკონტირების მეთოდიკა წარმოადგენს პრიორიტეტების მხოლოდ ერთადერთ ჯაჭვს, რომელიც ყველა ინვესტორზე ვრცელდება. მისი მოთხოვნების თანახმად – ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია უახლოესი პერიოდის შემოსავლები, – ისინი, როგორც წესი, უფრო ფასეულია, ვიდრე მოგვიანებით მიღებული შემოსავლები. ყველა ინვესტორისთვის ფულის მიღების სხვადასხვა პერიოდის ფასეულობის პრიორიტეტები ერთნაირი უნდა იყოს. თუმცა, ეს ასე არ არის. ინვესტორის მიერ სხვადასხვა წლებში მიღებული შემოსავლების სხვადასხვაა. დროის ფაქტორის მნიშვნელობის პრიორიტეტები არსებითად იცვლება ერთი ინვესტორიდან მეორეზე გადასვლისას. ეს დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და უაღრესად ინდივიდუალურია“.

მეცნიერი. ა. მალენკოვის დასკვნები დაკავშირებულია იმასთან, რომ ერთ ინვესტორს სასწრაფოდ სჭირდება თანხები ყველაზე უახლოეს პერიოდში სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებით ანგარიშსწორებისათვის. სხვა ინვესტორს კი სურს მიიღოს მსხვილი შემოსავლები რაც შეიძლება ადრე, მაგრამ რეალისტია და ესმის, რომ უნდა გავიდეგ გარკვეული დრო, ვიდრე პროექტი რაიმე მოგებას მოგცემს. მესამე ინვესტორი, საერთოდაც შეიძლება დაინტერესებული იყოს ფულის მიღების პერიოდის დაშორებით. არასტაბილურობის პირობებში მსოფლიო ბაზრებზე ინფლაცია სწრაფად იზრდება, კომპანიის აქციები უფასურდება, ეკონომიკა ეცემა, ეკონომიკის რეალური სექტორის პერსპექტიულ და საიმედო ობიექ-

ტებში ჩადებულ ინვესტიციებს კი გადარჩენის ყველაზე დიდი შანსი აქვთ კრიზისის დასრულების შემდეგ.

შეიძლება დავეთანხმოთ ი. ა. მალენკოვის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ინვესტორების პრიორიტეტები განსხვავებულია, მაგრამ დისკონტირების მეთოდზე და ინვესტიციების დინამიური შეფასების მეთოდების განხილვაზე სრული უარის თქმა არ შეიძლება. მოცემულ დინამიკურ ანალიზს აუცილებელია დავამატოთ ინვესტორების მიზნების ოპტიმიზაციის მოდელი, თითოეულ მიზანზე პარამეტრების გაანგარიშებით.

საინვესტიციო პროექტებს შორის, კონკურენციის ზრდის პირობებში, მენეჯერებს უნდა შეეძლოთ პროექტების კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის სწრაფი შეფასება. მათ უნდა შეძლონ რისკებისაგან დაცვა. ამისათვის აუცილებელია შემუშავებულ იქნას საინვესტიციო პროექტების მოდელები და გამოყენებულ იქნას საინვესტიციო მენეჯმენტის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევის მეთოდები.

საინვესტიციო პროექტის გარემოს პარამეტრები უწყვეტად იცვლება, ასევე უწყვეტად იცვლება მისი ეფექტიანობაც. კატასტროფა შეიძლება მოხდეს მოულოდნელად, საინვესტიციო პროექტების სულ ერთი ან ორი პარამეტრის უმნიშვნელო ცვლილების შედეგად, რომელთა გავლენაც პროექტის საერთო ეფექტიანობაზე დიდია, მაგრამ პროექტირებისა და დანერგვის სტადიაზე ისინი სრულყოფილად ბოლომდე არ იყო შეფასებული. ამ პარამეტრების განსაზღვრა და მათი ცვლილების კონტროლის ორგანიზაცია საინვესტიციო საქმიანობის მართვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განუსაზღვრელობის პირობებში.

საინვესტიციო პროექტის მოდელი ეფუძნება ინვესტიციების ეფექტიანობის სისტემურ შეფასებას. საინვესტიციო პროექტი რეალური და სიცოცხლისუნარიანი ხდება, თუ:

1) პროექტი კონკურენტუნარიანია და გათვლებით და-
დასტურებულია, რომ მისი ეფექტიანობა და შედეგები სხვა
პროექტებისას აღემატება;

2) პროექტის მესაკუთრეები, ინვესტორები, სახელმწი-
ფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის
წარმომადგენლები, გადანყვეტილებების მიღებაზე და პრო-
ექტის რეალიზაციაზე გავლენის მქონე ყველა მხარე მოსა-
ლოდნელ შედეგს მიიღებს;

3) საინვესტიციო პროექტის მონაწილეთა შორის მიღ-
წეულია კომპრომისები შესაძლო კონფლიქტების სფეროში;

4) მომზადებულია პროექტის შემუშავებისა და დანერ-
გვისათვის მენეჯერებისა და სპეციალისტების კომპეტენტუ-
რი გუნდი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროექტის წარმატე-
ბულ დანერგვას, კონტროლს და რეალიზაციას;

5) გადანყვეტილია რესურსული უზრუნველყოფის
პრობლემები;

6) შემუშავებულია პროექტის დანერგვის გეგმა-გრაფი-
კები.

გადანყვეტილების მიღება – საინვესტიციო მენეჯმენ-
ტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ ეტაპზე, როგორც
წესი, მრავალი შეცდომა ხდება, რომლებსაც გადანყვეტილე-
ბების მიმღები პირები ხშირად ვერ აცნობიერებენ.

იმისათვის, რომ გადანყვეტილებების მიღება და შესრუ-
ლება ქაოსური პროცესი არ იყოს ინვესტორებმა და მენეჯე-
რებმა წინასწარ ზუსტად უნდა განსაზღვრონ გადანყვეტილ-
ების მიღების წესები და მათზე მოქმედი ძირითადი ფაქტო-
რები, მიზნები, ეფექტიანობის ძირითადი კრიტერიუმები (რა-
ოდენობრივი მაჩვენებლები, რომელთა ცვლილებაც მიზნების
მიღწევას, ან პირიქით მიზნებისაგან გადახრას ასახავს), უპი-
რატესი მიზნები და კრიტერიუმები. კრიტერიუმები ახასიათე-
ბენ მიზნებს ფუნქციებისა და მაჩვენებლების მეშვეობით,
რომლებიც მათ რაოდენობრივად ასახავენ. მაგალითად, მიზა-
ნი „პროექტის შემოსავლიანობის ზრდა“ შეიძლება დავახასია-

თოთ ინვესტიციების თანხებთან პროექტის ეკონომიკური შედეგის დამოკიდებულებით.

პროექტის ინვესტორების, შემმუშავებლების და მენეჯერების კრიტერიუმები, როგორც წესი, ყოველთვის უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, იმდენად, რამდენადაც პროექტის წარმატებით რეალიზაციით ყველა მხარეა დაინტერესებული. განსხვავებები შეიძლება გამოვლინდეს მათ მიერ დაწესებული კრიტერიუმების განსხვავებულ პრიორიტეტებში. მაგალითად, ზოგიერთი ინვესტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია შემოსავლიანობის დონე, მეორისათვის კი პირველ ადგილზეა რისკის მინიმუმი, მესამე ყველაზე მაღლა აყენებს უკუგების ვადას და ა.შ.

საინვესტიციო პროექტების მესაკუთრეთა და ინვესტორთა ეფექტიანობის კრიტერიუმების ძირითადი ნაწილი მოიცავს:

1. ინვესტიციების შემოსავლიანობას;
2. ინვესტიციების დაცულობას ინფლაციისგან, რისკებისგან, კრიზისებისგან, ერთი ბაზრიდან ან პროექტიდან მათი გამოყვანისა და სხვა ბაზრებზე გადაყვანის გზით. ამ მიზნებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გლობალური ფინანსური კრიზისების, მსხვილი კორპორაციების და მთლიანად დარგების რენტაბელურობის შემცირების პირობებში;
3. რისკის დონეს, გეგმიდან გადახრის დროს შესაძლებელი დანაკარგების შეფასებას, ინვესტიციების პროექტის ლიკვიდურობას (ფულადი სახსრების სწრაფი დაბრუნების შესაძლებლობას, მათი გაყიდვის შედეგად);
4. ინვესტიციების ანაზღაურებადობის (დაბრუნების) ვადას;
5. პროექტის კონკურენტუნარიანობას, კონკურენტების ანალოგიური პროდუქტებისა და მომსახურების დაპირისპირების შესაძლებლობას (კონკურენტული უპირატესობების ხასიათი – ხარისხის, ფასის, სხვა მაჩვენებლების მიხედვით);

6. პროექტით შექმნილ პროდუქტებზე ან მომსახურებაზე მოთხოვნილების პროგნოზს;
7. პროექტის გარეგან პირობებს (საგადასახადო შეღავათები, სამართლებრივი პირობები, ეკონომიკის განვითარება რეგიონში);
8. პროექტის შინაგან პირობებს (პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მენეჯმენტი, გუნდის მომზადების დონე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მონეობის ღირებულება და შიგა გარემოს სხვა მახასიათებლები);
9. პროექტის ობიექტურ აუცილებლობას რეგიონისათვის, რომელიც გავლენას ახდენს მართვის სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერაზე.

ინვესტირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნები ინვესტირებისა და პროექტის მესაკუთრეთათვის: ინვესტიციებიდან მოსალოდნელი შემოსავლების მიღება, მათი დაცვა ინფლაციებისა და რისკისაგან. მიზნების შეთანხმების სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ შემოსავლიანობისა და რისკის შეთანხმება უკიდურესად რთულია. ინვესტიციებს შორის კონკურენციას იქამდე მივყავართ, რომ პროექტების შემოსავლიანობის ზრდასთან ერთად მათი რისკებიც იზრდება. ეს ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად იქნას გათვალისწინებული. ინვესტირება და პროექტის მესაკუთრემ უნდა შეადარონ მათ მიერ ინვესტირებული სახსრების მოცულობები საერთო კაპიტალთან და შეაფასონ შესაძლო დანაკარგების რისკის გავლენა მათ მდგომარეობაზე. თუ ინვესტირებადი სახსრები მათი კაპიტალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს, შესაბამისად, მათი გაკოტრების რისკიც იზრდება. გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე საინვესტიციო პროექტების საერთო სტრუქტურა, მათი დაფინანსების ხასიათი, ურთიერთკავშირები მათ შორის.

ყველა კრიტერიუმის განსაზღვრის შემდეგ ისინი უნდა გავაერთიანოთ ინვესტიციების მრავალკრიტერიუმიან მენეჯმენტის ოპტიმიზაციის საერთო მოდელში.

$$F = \max F(f_1, f_2, \dots, f_n)$$

სადაც F – ინვესტიციების მრავალმიზნობრივი მენეჯ-
მენტის მოდელია;

f_n – n ინვესტორის კრიტერიუმებია;

n – კრიტერიუმების საერთო რაოდენობაა;

მოდელში კრიტერიუმები უნდა გავანანილოთ ჯგუფე-
ბის მიხედვით და გამოვყოთ:

1) პრიორიტეტული კრიტერიუმების ჯგუფი, რომლებიც
ექვემდებარება მაქსიმიზაციას (მაგალითად, ინვესტიციების
შემოსავლიანობას, საკუთარი კაპიტალის რენტაბელურობას)
ან მინიმიზაციას (რისკი, კაპიტალის ღირებულება);

2) კრიტერიუმების ჯგუფი, რომელთა მიხედვითაც შეიძ-
ლება მათი ცვლილებების შეზღუდვის დანესება (მაგალითად,
რისკი არაუმეტეს 10 %-სა);

3) განურჩეველი კრიტერიუმების ჯგუფს, რომელთა
ცვლილებაც საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე მცირეოდენ
ზეგავლენას ახდენს.

ინვესტორის გადაწყვეტილება ყველაზე ეფექტიანი იქ-
ნება, თუ ის მრავალმიზნობრივი მოდელის აგებაზეა დაფუძ-
ნებული.

საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელო-
ბის ფაქტორის გათვალისწინებით მიანიშნებს ინვესტიციური
საქმიანობის რისკის ხარისხის სწორ გაგებას. ინვესტორები-
სათვის მნიშვნელოვანია იმ რისკის ნამდვილი ღირებულების
ცოდნა, რომელსაც მისი საინვესტიციო საქმიანობა ექვემდე-
ბარება. რისკის ღირებულება – ეს არის ფაქტობრივი ზარალი,
ხარჯები ამ ზარალის შესამცირებლად ან ხარჯები ასეთი ზა-
რალის და მათი შედეგების ასანაზღაურებლად. მენეჯერის
მიერ საინვესტიციო საქმიანობის რისკის ნამდვილი ღირებუ-
ლების სწორი შეფასება საშუალებას აძლევს მას ობიექტურად
წარმოადგინოს შესაძლო ზარალის მოცულობა და დასახოს
გზა მათი თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, ზარა-
ლის თავიდან აცილების შეუძლებლობის შემთხვევაში კი უზ-
რუნველყოს მათი ანაზღაურება. სინამდვილეში რისკის შეფა-

სება შედგება არა მარტო მოქმედებათა ერთი პროცესისაგან, არამედ ორისგან: რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასებისაგან; პარამეტრული იდენტიფიკაციისაგან და მოცემული საინვესტიციო კრედიტისათვის ან ან სხვა საინვესტიციო ოპერაციისათვის ან მთლიანად ორგანიზაციისათვის მოცემული რისკის მისაღებობის შეფასებისგან (შედარებითი იდენტიფიკაციისათვის). შეფასების კორექტულობა ორივე შემთხვევაში ყოველთვის განსაზღვრული იქნება რისკების შექმნილი მოდელის ადეკვატურობით, მათი ანალიზის და გადანყვეტილებების სინთეზის თვალსაზრისით, ე.ი. უზრუნველყოფილი უნდა იქნას რისკის სისტემისა და მისი მოდელის შესაბამისობის პირობა, რომელიც გადანყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს (სისტემის ვალიდურობის პირობა).

ამრიგად, განისაზღვრება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკური სისტემების საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტური სისტემების შექმნისას – საინვესტიციო საქმიანობის რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდის არჩევა. ეს არჩევანი უნდა ემყარებოდეს როგორც იდენტიფიკაციისა და შეფასების მეთოდების ბაზის პირველად ფორმებს, ასევე ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის კრიტერიუმების ფორმირებას. ძირითადი პარამეტრი, მოცემული არჩევანის ფარგლებში, იქნება გასაანალიზებელი მოვლენის „ინფორმაციული გაჯერებულობა“. ასე მაგალითად, ალბათობითი ბუნების მქონე ობიექტები, რომელთაც საფუძველის სახით რაღაც სტატისტიკური ექსტრაპოლირებადი არჩევანი უკვე აქვთ, შეიძლება შეფასდნენ ტრადიციული საალბათო-სტატისტიკური მეთოდებით.

იმ ობიექტების შეფასება, რომელთაც ისეთი მონაცემებიც კი არ აქვთ, როგორცაა მოვლენათა წინა ისტორიების არსებობა და არ შეიძლება გამოგვადგეს სრულფასოვან არჩევანად სტატისტიკური ანალიზისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნას შედგომი განვითარების ტენდენციების განსაზ-

ღვრის ბაზად. ასეთი მეთოდით შეფასება ერთმნიშვნელოვნად არამართლზომიერია.

მენეჯერს ოპტიმალური ინვესტიციური გადაწყვეტილების მისაღებად ყოველთვის უხდება არჩევანის გაკეთება შეფასების სიზუსტესა და ამ შეფასების ღირებულებას შორის, არა მარტო ინფორმაციის მისაღებად საჭირო ხარჯების თვალსაზრისით, არამედ ამ დამატებითი ინფორმაციის მნიშვნელოვნობის თვალსაზრისით.

განუსაზღვრელობის პირობებში, საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება საინვესტიციო საქმიანობის მართვაში დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. სისტემაში ინფორმაციის გადაცემა, დამუშავება, შენახვა და გამოყენება უნდა ითვალისწინებდეს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ყველა ქვეგანყოფილების კონკრეტულ მოთხოვნებს;
2. საინფორმაციო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების აუცილებელ ურთიერთკავშირებს;
3. საორგანიზაციო სისტემის დონეებს შორის ინფორმაციის გაცვლა მინიმალური უნდა იყოს, მაგრამ უნდა უზრუნველყოფდეს საინფორმაციო საქმიანობის რისკების მართვის მოთხოვნილებებს;
4. სისტემის აგებისას გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამული მოდელების პრინციპი;
5. გამოყენებული უნდა იქნას სისტემაში არსებული დოკუმენტაციის სტანდარტები.

რისკების შეფასების მეთოდების შერჩევისა და მათი შემდგომი კლასიფიკაციისას აუცილებელია გვახსოვდეს, რომ შეფასების მიზანია საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვის მეთოდებისა და პროცედურების შერჩევის შესაძლებლობას და არა რისკების აღწერას.

საინვესტიციო საქმიანობის რისკის შეფასებისა და ამ რისკის მინიმიზაციის მეთოდების შემუშავებისას აუცილებე-

ლია გავითვალისწინოთ საინვესტიციო საქმიანობის პროფილი, რისკის მოსალოდნელი შედეგების დაფინანსების პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო რესურსების არსებობა, პარტნიორებთან და კლიენტებთან ურთიერთობა, ასევე სტრატეგია და ძირითადი მიზნები.

არსებული სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით შესაძლებელია შეფასებულ იქნას არახელსაყრელი მოვლენების წარმოქმნის ალბათობა და ზარალის ზომა.

რაოდენობრივი ანალიზი მდგომარეობს არა მხოლოდ რისკის დონის მაჩვენებლების გაანგარიშებაში (სტანდარტული გადახრის, ვარიაციების კოეფიციენტის, ბეტა-კოეფიციენტის), არამედ მიღებული მნიშვნელობების აღრიცხვაშიც საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ეფექტიანობისა და რისკის მაჩვენებლების შერწყმა (კრიტერიუმი „შემოსავლიანობა-რისკი“), ანდა გაანგარიშებულ იქნას ეფექტიანობის ერთიანი მაჩვენებელი, რისკის შესწორებით. გამოყოფენ რისკების რაოდენობრივი ანალიზის შემდეგ მეთოდებს:

1. დისკონტის ნორმის კორექტირების მეთოდი;
2. სარწმუნო ექვივალენტების მეთოდები (სანდოობის კოეფიციენტი);
3. ეფექტიანობის კრიტერიუმების მგრძობელობის ანალიზი (NPV, IRR და სხვა);
4. სცენარების მეთოდი;
5. გადახდების ნაკადების ალბათობითი განაწილების ანალიზი;
6. გადაწყვეტილებების ხის (მოვლენების ხის) აგება;
7. რისკის დეტერმინირებული სტოქასტიკური ანალიტიკური მოდელების აგება (რისკის დონის დამოკიდებულება პროექტსა და გარემოზე);
8. იმიტაციური მოდელირების მეთოდები (მონტე-კარლოს მეთოდი და სხვ.)

ყველა ჩამოთვლილი მეთოდი მისაღებია საინვესტიციო პროექტების რისკების ანალიზისათვის მოცემულ კვლევაში

ჩვენ მათ შემდეგ ჯგუფებად დავყოფთ:

1) მეთოდები, რომლებიც გვაძლევს საინვესტიციო პროექტების და სიახლეების კომპლექსურ შეფასებას შემოსავლების (წმინდა მიმდინარე ღირებულებების) და რისკის გათვალისწინებით. ამ ჯგუფს მიეკუთვნება საპროექტო დისკონტირებული განაკვეთის კორექტირების მეთოდები და სარწმუნო ეკვივალენტების მეთოდი.

2) მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკის ცალკეულ შეფასებას. მგრძობელობის ანალიზის მეთოდს, რისკის ანალიტიკურ მეთოდებს, ასევე მოცემული ჯგუფის ყველა მეთოდს შეუძლია მოგვცეს რისკის დონის შეფასება სტანდარტული გადახრის (ან მისი წარმოებულების სახით) ან რისკის სპეციალური კოეფიციენტების სახით. ეს შეფასებები ეფექტიანობის კრიტერიუმებთან ერთად გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად ცალკე მაჩვენებლების სახით.

3) მეთოდები, რომლებიც იძლევა ალბათობების განაწილების ფორმების შეფასების საშუალებას (რისკის პროფილი).

რისკის ანალიზის კონკრეტული მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია საინფორმაციო ბაზის შესაძლებლობებზე, საბოლოო შედეგების წარდგენის ფორმისა და ინვესტიციების დაგეგმვის საიმედოობის დონის მიმართ მოთხოვნებზე. მაგალითად, პატარა პროექტებისათვის ანალიტიკოსები შეიძლება შემოიფარგლონ დისკონტის მგრძობელობისა და კორექტირების ანალიზით; მსხვილი პროექტებისთვის – შეუძლიათ ჩაატარონ იმიტაციური მოდელირება და ააგონ ალბათობების განაწილების მრუდები, განსაზღვრული მოვლენების დადგომაზე პროექტის შედეგების დამოკიდებულების შემთხვევაში კი ააგონ მოვლენების ხე. ერთი და იგივე საინვესტიციო პროექტის მიმართ სხვადასხვა მეთოდების გამოყენების შედეგები, ისევე, როგორც ეფექტიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდების შედეგები, ერთმანეთს უნდა ავსებდნენ.

საინვესტიციო პროცესების იმიტაციური მოდელირება – ეს არის საინვესტიციო საქმიანობის რისკის ანალიზის ყვე-

ლაზე უფრო მძლავრი და ტექნიკურად რთული იარაღი. იმიტაციური მოდელირების მეთოდი შედგება პროექტის შიდა ცვლადებისა და გარემოს ცვლადების სტოქასტიკური გამოვლინებების, მოდელის აგების, ძირითადი ცვლადების შემთხვევითი ვარიაციების გზით სიმულაციის ჩატარების, მის საფუძველზე რისკის დონის მაჩვენებლების გაანგარიშებისა და ალბათობის განაწილების მრუდის აგებისაგან. მეთოდი გვაძლევს ალბათობების ყველაზე ზუსტ და საფუძვლიან შეფასებებს უმცირესი შრომითი დანახარჯებით (სხვა მეთოდებთან შედარებით). თუმცა, შეფასებების სიზუსტე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საწყისი ვარაუდების ხარისხზე და გარე სამყაროს ცვლადების ურთიერთკავშირების აღრიცხვაზე. თანამედროვე პროგრამული საშუალებები საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ათობით გარე ცვლადების ალბათობისა და კორელაციის განაწილების ფორმა, მაგრამ ამ მნიშვნელობების შეფასება პრაქტიკულ გამოკვლევაში შეუძლებელია. საინვესტიციო საქმიანობის ანალიტიკოსები ზომავენ მაკრო-და მიკროგარემოს ძირითადი ცვლადების ვარიაციებს და აფასებენ მეორეხარისხოვანი ცვლადების მნიშვნელობების განბნევას და ფაქტორებს შორის სტატისტიკურ კავშირებს ექსპერტული გზით.

რისკის ანალიზის მეთოდების სისტემატიზაციის შედეგებისა და მათი გამოყენების თავისებურებების განზოგადებით შესაძლებელია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში რისკის აღრიცხვის ზოგიერთი რეკომენდაციის შეთავაზება. რადგან ინვესტიციური საქმიანობის ხასიათი გულისხმობს მაღალ რისკებს და ართულებს დაბანდებების დივერსიფიკაციას, ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ერთობლივ რისკში თითოეული საინვესტიციო პროექტის საერთო რისკის წვლილი. ასეთი აღრიცხვის ინსტრუმენტები შეიძლება იყოს სარისკო პრემიების ცხრილები, რომლებიც შეირჩევა რისკის დონესა და თავდაპირველი დაბანდებების მოცულობებზე დამოკიდებულებით; განურჩევლობის მრუდები „შემოსავლიანობა-რისკი“ გრაფი-

კულ ფორმაში; ფულადი ნაკადების კორექტირების მოთხოვნები, რომლებიც შედის ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების შიდასაფირმო ინსტრუქციების შემადგენლობაში, შეზღუდვები მაქსიმალურ რისკთან დაკავშირებით, რომელიც დგინდება ფირმის საინვესტიციო პოლიტიკით და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით მათი წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის აუცილებელი პირობაა. კონტროლის ამოცანაში შედის კომპანიის საქმიანობის ყველა მიმართულების საერთო რისკისა და ინვესტიციების დაბანდებაზე შეზღუდვების შესრულების შემოწმება, რისკის შემცირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით საინვესტიციო საქმიანობის ოპერატიული ანალიზისათვის შესაძლებელია რეკომენდებულ იქნას საინვესტიციო საქმიანობის რისკის შეფასების სპეციალური მაჩვენებლების, ლიკვიდურობისა და საფინანსო მდგრადობის კოეფიციენტების, გარემოს ფაქტორების და პროექტის ძირითადი ცვლადების ვარიაციის ხარისხის შეფასების მეთოდების გამოყენება. საინვესტიციო საქმიანობის რისკების მიმდინარე და შემდგომი კონტროლის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს არა მხოლოდ ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის სტაბილურობის დონის მართვის შესაძლებლობაში, არამედ რისკის ანალიზის რთული მეთოდების გამოყენების შედეგების შემოწმებაშიც. საინვესტიციო პროექტის ფაქტორივი რისკების და გარემოს ცვლადების სტატისტიკური კავშირის ხარისხის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ რისკის დონის შესახებ თავდაპირველი ვარაუდების გავლენა ინვესტიციების დაგეგმვის სიზუსტეზე რაც ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობის მეთოდების შემდგომი გამოყენების სრულყოფას.

შედეგების მასშტაბების შეფასების თვალსაზრისით საინვესტიციო საქმიანობის რისკების შესაფასებლად, გამოყენებული სცენარების ალბათობის გათვალისწინებით, შეიძლე-

ბა შევადგინოთ საინვესტიციო საქმიანობის რისკების შეფასების მატრიცა.

ცხრილი 2.5. ინვესტიციური საქმიანობის რისკების შეფასების მატრიცა

სცენარის აღბატობა	შედეგების მასშტაბი		
	უმნიშვნელო	ზომიერი	მნიშვნელოვანი
დაბალი	მისაღებია	მისაღებია	მისაღებია
ზომიერი	მისაღებია	მისაღებია	ვიმოქმედოთ მა- ლე
მაღალი	მისაღებია	მისაღებია	ვიმოქმედოთ და- უყოვნებლივ.

რაც შეეხება რისკების მართვის ეკონომიურობის პრინციპს ეკონომიკური სუბიექტის მიერ საინვესტიციო საქმიანობის შესაბამისი რისკის მინიმიზაციისათვის განეული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს შესაძლო ფინანსური დანაკარგების თანხებს. სხვაგვარად აზრი ეკარგება იმ ღონისძიებებს, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის რისკის მინიმიზაციისაკენ იყო მიმართული. შემუშავებული უნდა იქნას საინვესტიციო საქმიანობის შემცირების, აღკვეთის ან მათი კონტროლის ვარიანტები და არჩეული უნდა იქნას მათგან ყველაზე ოპტიმალური (მეთოდით „ხარჯები-ეფექტურობა“). შეიძლება გამოყენებული იქნას აგრეთვე საინვესტიციო საქმიანობის ინტეგრალურ რისკზე რეაგირების მატრიცა.

ცხრილი 2.6. საინვესტიციო საქმიანობის ინტეგრალურ რისკზე რეაგირების მატრიცა

რისკის მართვის ღირებულება	საინვესტიციო საქმიანობის ინტეგრალური რისკი					
	დაბალი	დაბალი ზომიერი	დაბალი მაღალი	ჰომიერი	ჰომიერი მაღალი	მაღალი
დაბალი	X	X	X	X	X	X
ზომიერი	X	X	X	X	X	X
მაღალი	X	X	X	X	X	X

თავი III. ფირმის რისკების მართვა

3.1. რისკების მართვის არსი და პრინციპები

იმ პირობების ცვალებადობის დინამიურობა, რომლებშიც ფირმები მუშაობენ, სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მენეჯმენტის წინაშე მნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს. ეს განაპირობებს ტრადიციულ მიდგომასთან ერთად მართვის თანამედროვე მეთოდების შესწავლას განუსაზღვრელობის პირობებში, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული, მატერიალური და ფინანსური რესურსების მაღალი ეფექტიანობით გამოყენების ახალი შესაძლებლობების ძიებას.

განუსაზღვრელობის პირობებში ფირმების მიერ სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვა წარმოაჩენს მთელი რიგი ალტერნატივებიდან მრავალკრიტერიუმიან არჩევანს, რომელიც შეესაბამება გარანტირებულობისა და დაცულობის მოთხოვნებს. გარანტირებული შედეგი გულისხმობს იმას, რომ მიღებული გადაწყვეტილება თითოეული მოცემული პარამეტრის მიხედვით არ იქნება დადგენილზე უარესი.

რისკების მართვის პროცესის საწყის ეტაპზე:

1) ვლინდება (იდენტიფიცირდება) საინვესტიციო და სამეურნეო საქმიანობის გაძლოლის შესაძლო პირობები;

2) ხდება საქმიანობის დაგეგმვა გარემოს განუსაზღვრელობის პირობებში (კერძოდ, ამა თუ იმ რისკის წარმოქმნის პროგნოზი საინვესტიციო დაკრედიტების საოპერაციო საქმიანობის სხვადასხვა სტადიებზე);

3) მუშავდება არჩეული კრიტერიუმების შესაბამისი სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვის მეთოდები;

4) მზადდება პერსონალი (რისკ-მენეჯერების ჯგუფი), რომელსაც შეუძლია საინვესტიციო საქმიანობის რისკების

მართვის ტექნოლოგიების რეალიზება გარემოს განუსაზღვრელობის პირობებში;

5) წყდება სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვასთან დაკავშირებული ყველა ამოცანა. ეს არის რისკების მართვის ამა თუ იმ მეთოდის რეალიზაციაზე დანახარჯების შეფასებისა და შემცირების საკითხები და მათი შედარება დანაკარგებთან, რომლებიც შეიძლება განიცადოს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტმა (საინფორმაციო, მატერიალური, ფინანსური და სხვა ნაკადების ოპტიმიზაციის საკითხები რისკების მართვის სისტემაში).

6) მუშავდება რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირების კონტროლის მექანიზმი. მიმდინარეობს მოცემული სისტემის საჭირო საიმედოობის უზრუნველყოფის ღონისძიებების რეალიზება (იქმნება რისკ-მენეჯმენტის სისტემა).

განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესში:

1) ხდება იმ მეთოდების რეალიზება, რომელთა გამოყენება განსაზღვრულია საინვესტიციო საქმიანობის დასაწყისში;

2) არჩეული კრიტერიუმების შესაბამისად მიმდინარეობს განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის შეფასება;

3) აუცილებლობის შემთხვევაში ამოქმედდება დამატებითი (ოპერაციის მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავებული) ტექნოლოგიები;

4) ოპერატიულად მუშავდება და გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები ბაზრებში შექმნილ სიტუაციებზე დამოკიდებულებით.

საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის პირობებში – ესაა პროგნოზირებად შედეგებში გადახრის დონის გამოვლენის, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ან შემცირებული უარყოფითი ზემოქმედება შემთხვევითი ფაქტორების აღდგენის

პროცესებსა და შედეგებზე და, იმავდროულად, უზრუნველყოფს შემოსავლის მაღალ დონეს.

საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემა აგებული უნდა იყოს რეკურენტული მიდგომის საფუძველზე, ე.ი. უნდა ჰქონდეს მუდმივი მოდიფიცირების უნარი მართვის მეთოდების კომპლექსის გამოყენებით, ადეკვატურად შემოსული საინფორმაციო ნაკადის ყოველ ეტაპზე. ადაპტირებული უნდა იყოს გარემოს იმ ცვლილებასთან, რომელიც საინვესტიციო საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: სისტემაში გათვალისწინებული უნდა იქნას საინვესტიციო საქმიანობის მართვის მეთოდების დამუშავებისა და ოპტიმიზაციის ბლოკი, რომელიც განისაზღვრება იმ ინფორმაციული გარემოს თავისებურებებით, რომელთაც შეიძლება მიეკუთვნებოდეს:

1) მართვა კონტროლის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მომავალი არის წარსულის განმეორება, რომელმაც შეიძლება საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის ჩარჩოებშიც კი დაუშვას საქმიანობის ერთგვარი რეგლამენტაციის შესაძლებლობის არსებობა რიგი ინსტრუქციებისა და პროცედურების შექმნის მეშვეობით;

2) მართვა ექსტრაპოლაციის საფუძველზე გულისხმობს, რომ რიგი პარამეტრებით წარსული ქმნის ბაზას მომავალი განვითარების ტენდენციების განსაზღვრისათვის.

3) მართვა ცვლილებების პროგნოზირების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ მოცემული პროგნოზის საფუძველზე მომავალი განვითარების ტენდენციების წინასწარი ვარაუდი შესაძლებელია.

4) მართვა „მოქნილი ექსტერნული გადაწყვეტილებების“ საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რეკურენტულობის, როგორც ეკონომიკური სისტემების საინვესტიციო საქმიანობის მართვის სისტემის ძირითადი ხარისხის არსებობას განუსაზღვრელობის პირობებში.


განუსაზღვრელობის პირობებში ეკონომიკური სისტემების საინვესტიციო საქმიანობის მართვის სისტემა მოიცავს

საინვესტიციო საქმიანობის მიზნის შემუშავების პროცესს, შემთხვევის დაწყების ალბათობის განსაზღვრას, რისკის სიდიდისა და ხარისხის გამოვლენას, გარეშე ვითარების ანალიზს, რისკის მართვის სტრატეგიის არჩევანს, მოცემული სტრატეგიისათვის აუცილებელი რისკის მართვის მეთოდების და მისი შემცირების საშუალებების (ე.ი. რისკ-მენეჯმენტის ხერხების) არჩევანს. რისკზე მიზანმიმართული ზემოქმედების განხორციელებას.

პირველი ეტაპია საინვესტიციო საქმიანობის მიზნის განსაზღვრა. კაპიტალდაბანდების მიზანია მაქსიმალური შედეგის მიღწევა. ნებისმიერი ქმედება დაკავშირებული არის რისკთან, თანაც, ყოველთვის მიზანმიმართულად, რადგან მიზნის არარსებობა რისკთან დაკავშირებულ გადანყვეტილებას აზრს უკარგავს. ამასთან დაკავშირებით, რისკის მიზანი და სარისკო კაპიტალდაბანდებანი უნდა იყოს ზუსტი, კონკრეტიზებული და რისკთან და კაპიტალთან შედარებული.

სწორედ ამიტომ, საინვესტიციო საქმიანობის რისკის მართვა მოიცავს რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიასა და ტაქტიკას. სტრატეგია ეყრდნობა სამეურნეო სიტუაციის განუსაზღვრელობის ხანგრძლივ შეფასებასა და მიზნებს, ამ მიზნების მიღწევის ეფექტიან მეთოდებს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. იგი საშუალებას იძლევა სწორად შეირჩეს და განხორციელდეს საინვესტიციო საქმიანობის მართვისა და განხორციელების სტრატეგია და ხერხები, ასევე ფაქტობრივი შედეგების პროგნოზირებულ შედეგებამდე (დაგეგმილამდე) მიახლოების მეთოდები.

ნახაზი 3.1. ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი განუსაზღვრელობის პირობებში



ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური სისტემის სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვის მოდელი განუსაზღვრელობის პირობებში საშუალებას იძლევა განხილულ იქნას ურთიერთკავშირები ეკონომიკურ რესურსებს,

რისკების მართვის სისტემის სტრუქტურასა და საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ეკონომიკურ განვითარებას შორის.

განუსაზღვრელობის პირობებში სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვის არსი მდგომარეობს სივრცესა და დროში საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური ნაკადების რაციონალურ ორგანიზაციაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მომგებიან და სტაბილურ ფუნქციონირებას.

მართვის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სანარმოს შემდგომი წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ამიტომაც დასავლეთის ქვეყნების სანარმოების მენეჯმენტის ძირითად პრინციპს და ორიენტირს წარმოადგენს არა მოგების მაქსიმიზაცია, არამედ სარისკო სიტუაციების წარმატებული მართვა, რაც პერსპექტივაში სამეწარმეო ფირმების ყველაზე მაღალ ფინანსურ მდგრადობას უზრუნველყოფს.

რისკ-მენეჯმენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესაა საინვესტიციო საქმიანობის რისკის მართვის მეცნიერება და ხელოვნება, რომელიც ეყრდნობა გრძელვადიან პროგნოზირებას, სტრატეგიულ დაგეგმვას, მენარმეობის სისტემის განუსაზღვრელობის მიმართ ადაპტირებული დასაბუთებული კონცეფციისა და პროგრამის შემუშავებას, რაც სტოქასტიკური ფაქტორების აღდგენის შედეგებზე არახელსაყრელი ზემოქმედების აღკვეთის ან შემცირების და, რაც მთავარია, მაღალი შემოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

სტრატეგია წინასწარ განსაზღვრავს ტაქტიკას, მეთოდების, ხერხების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მოცემული საინვესტიციო სიტუაციის კონკრეტულ პირობებში დასახული მიზნების მისაღწევად და არ ეწინააღმდეგება გრძელვადიან მიზნებს. განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის მართვის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი მომენტია გარემოზე ინფორმაციის მიღება, რაც აუცილებელია ამა თუ იმ მოქმედების სასარგებლოდ გადაწყვეტი-

ლების მისაღებად. ასეთი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რისკის მიზნების ვათვალისწინებით, შეიძლება სწორად განისაზღვროს მოვლენის, დადგომის ალბათობა, გამოვლინდეს რისკის ხარისხი და შეფასდეს მისი ღირებულება.

გარემოს, ალბათობის, რისკის ხარისხისა და სიდიდის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება კაპიტალის სარისკო დაბანდებების სხვადასხვა ვარიანტები და ხდება მათი ოპტიმალურობის შეფასება მოსალოდნელი მოგებისა და რისკის სიდიდის შედარების გზით. განუსაზღვრელობის პირობებში საინვესტიციო საქმიანობის მართვის სტრატეგიის შემუშავების პროცესში აუცილებელია:

1. განისაზღვროს მაქსიმალურად დასაშვები დონე რისკის ცალკეული სახისათვის.

2. გამოვლინდეს შეზღუდვები (ლიმიტები), რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტმა თავისი საქმიანობის პროცესში უნდა დაიცვას იმისთვის, რომ მისი ოპერაციების რისკის დონემ დასაშვებ დონეს არ გადააცილოს;

3. შემუშავდეს ორგანიზაციის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო საქმიანობის რისკების მიმდინარე დონის ლიმიტების დაცვისა და მიმდინარე სიტუაციასთან მათი ადეკვატურობის მუდმივ კონტროლს;

4. დაისახოს ღონისძიებების გეგმა, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტმა უნდა განახორციელოს შედეგების ნეიტრალიზაციისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებებში რისკის სხვადასხვა სახის რეალიზაციისას.

საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის პირობებში შემდეგ პრინციპებზეა დაფუძნებული:

ეკონომიკური სუბიექტის მიერ რისკის ეფექტიანად მართვის შესაძლებლობაზე დამოკიდებულების პრინციპი (მაკრო-, მეზო- და მიკროდონეზე). ღია საბაზრო ეკონომიკის პირობებში იერარქიული ზღვარი მიკრო, მაკრო, მეზო დონეებს შორის პრაქტიკულად „იშლება“ მომსახურების და საქონლის ბაზარზე გამყიდველების და მყიდველების ინტერესთა თანხვედომისა და ერთიანობის, ასევე სამუშაო ძალისა

და ფასიანი ქაღალდების, წარმოების ორგანიზაციული ფორმის, შრომის საერთაშორისო დანაწილების და ა.შ. მიზეზით.

მისაღები რისკების დონის შესაბამისობის პრინციპი
საინვესტიციო ოპერაციების შემოსავლიანობის დონესთან. მიუხედავად შედეგებისა და დანაკარგების პოტენციური ნეგატიურობისა, რომლებიც გამონვეულია ამა თუ იმ რისკის გამოვლენით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს შესაძლო შემოსავლის (მოგების) წყაროს, ეკონომიკური ამბლებების ფაქტორსა და პროგრესის კატალიზატორს. რისკის დონის ცვლილებასთან ერთად იცვლება მოგება (იზრდება ან ეცემა) რისკთან და სანარმოო-ფინანსურ მდგრადობასთან პროცენტულ მიმართებაში. ეს პრინციპი, რომელიც ფუძემდებლურია რისკ-მენეჯმენტის თეორიაში, მდგომარეობს საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში მხოლოდ იმ სახის რისკების მიღებაში, რომელთა დონეც არ აღემატება შემოსავლიანობის შესაბამის დონეს სკალის – „შემოსავლიანობა-რისკი“ მიხედვით. ნებისმიერი სახის რისკი, რომლის მიხედვითაც რისკის დონე მაღალია მოსალოდნელი შემოსავლიანობის დონეზე (მასში რისკის პრემიის ჩართვით) არ უნდა იქნეს მიღებული ეკონომიკური სუბიექტის მიერ (ან უნდა გადაიხედოს პრემიის რაოდენობა შესაბამისი რისკისთვის), ე.ი. საინვესტიციო პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთების ფონზე დისკონტირების განაკვეთმა და შემოსავლის შინაგანმა ნორმამ შემადგენელი რეალური შემოსავლებისა და ინფლაციის ტემპების გარდა, უნდა გაითვალისწინოს პროექტის რისკის დონე. სახსრების დაბანდება (ინვესტირება) ინოვაციურ (ვენჩურულ) პროექტსა ან საინვესტიციო საქმიანობაში მიზანშეწონილია, თუ დროის განსაზღვრულ მომენტში მოყვანილი მოსალოდნელი შემოსავალი (მოგება) უფრო მაღალია, ვიდრე საინვესტიციო კაპიტალის ღირებულება, პლუს რისკის დანამატი (სარისკო პრემია) ინფლაციის გათვალისწინებით. ეკონომიკურ სუბიექტის ამოცანაა არა რისკზე მთლიანად უარის თქმა, არამედ ოპტიმალური გადაწყვეტილებების არჩევანი, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ ობიექტურ კრიტე-

რიუმებზე დაფუძნებულ რისკთან, როგორცაა „რისკი-შემოსავლიანობა-ფინანსური მდგრადობა“, ინფლაციის დონე და აქტივის ლიკვიდურობის დონე. საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის პროცესში ორგანიზაციამ უნდა მიიღოს საინვესტიციო საქმიანობის რისკის მხოლოდ ის სახეები, რომელთა დონეც შემოსავლის შესაბამის დონეს არ აჭარბებს. იმ საინვესტიციო ოპერაციებზე, რომელთა მიხედვითაც რისკის დონე მაღალია მოსალოდნელი შემოსავლიანობის დონეზე (მასში რისკის პრემიის ჩართვით), ორგანიზაციამ უარი უნდა თქვას. მითითებული პრინციპი მნიშვნელოვანია ასევე საინვესტიციო ოპერაციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. სარისკო საინვესტიციო ოპერაციის რეალიზაციის შედეგად საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ მიღებული შესაძლო ფინანსური დანაკარგების მოცულობა (ზომა) უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის კაპიტალის იმ წილს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების შინაგან დაზღვევას. თუ შესაძლო დანაკარგები მეტი იქნება, საინვესტიციო საქმიანობის რისკის წარმოქმნა მიგვიყვანს ფინანსურ საქმიანობის უზრუნველმყოფი აქტივების განსაზღვრული ნაწილის დაკარგვამდე.

რისკის დონის შემოსავლიანობისა და საწარმო-საფინანსო მდგრადობას შორის დასაშვები მნიშვნელობების სფეროს აუცილებელი არსებობის პრინციპი.

დასაშვები გადაწყვეტილებების სფერო რისკების მართვის თეორიაში – ესაა პროექტის შემოსავლიანობის მაჩვენებლის ისეთი მნიშვნელობები, რომლის უზრუნველსაყოფადაც პროექტის დამუშავებას, რეალიზაციასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ჯამური ხარჯები მინიმალური უნდა იყოს, ხოლო სისტემის საწარმო-საფინანსო მდგრადობა – მაქსიმალური. შემოსავლიანობასა და საწარმო-საფინანსო მდგრადობას შორის დასაშვები მნიშვნელობების დონეს წარმოადგენს რისკის საწინააღმდეგო ინტერვალი გარკვეული ზღვრული სიდიდეებით, რომელთა მინიმალური მნიშვნელობაა არარისკიანი მოკლევადიანი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები,

მაქსიმალური კი – ეკონომიკური სუბიექტის გაკოტრების ალბათობა.

ეკონომიკური სუბიექტის ინვესტირების (ოპერაციის) ყოველ შემთხვევას აქვს ფასი, რომლის გათვალისწინებაც ასევე აუცილებელია დასაშვები გადანყვეტილებების სფეროს განსაზღვრისას. ეკონომიკური გაგებით, სელექციური რისკი – ესაა პროექტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა და სხვა არაპროგონზირებადი მოგებების ალბათობა, რომელიც გამომდინარეობს სიტუაციის განუსაზღვრელობის პირობებიდან.

რისკების მიღების გაცნობიერებული აუცილებლობის პრინციპი. ინვესტიციის მენეჯერი შეგნებულად უნდა წავიდეს რისკზე, თუ დარწმუნებულია, რომ ინვესტიციური ოპერაციის განხორციელებით სათანადო შემოსავალს მიიღებს. ბუნებრივია, რომ რისკის დონის შეფასების შემდეგ ცალკეულ ოპერაციებთან დაკავშირებით შესაძლებელია რისკის თავიდან შემუშავება. თუმცა, რისკის სავსებით გამორიცხვა, განსაკუთრებით საინვესტიციო საქმიანობის შემთხვევაში, შეუძლებელია, რადგან რისკი ობიექტური მოვლენაა, რომელიც სამეურნეო ოპერაციების უმეტესობისათვის არის დამახასიათებელი. რისკის ამა თუ იმ სახეობის გაცნობიერება – ესაა რისკის მართვის პროცესში ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების ან მისაღებ დონემდე შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობა.

მისაღები რისკების მართვადობის პრინციპი. რისკების პორტფელის შემადგენლობაში უპირატესად ის რისკები უნდა შედიოდეს, რომელთა თავიდან აცილება ან მისაღებ დონემდე შემცირება შესაძლებელია მართვის პროცესში, მათი ობიექტური ან სუბიექტური ბუნებისგან დამოუკიდებლად. მხოლოდ ასეთ სახეებთან მიმართებაში შეუძლია საინვესტიციო მენეჯერს გამოიყენოს მათი ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმი. იმ შემთხვევაში თუ რისკები არ არის მართვადი, მაგალითად, მოვლენების რისკები (ფორს-მაჟორული ჯგუფის), შესაძლებელია გადავცეთ გარე დამზღვევს.

ცალკეული რისკების მართვის დამოუკიდებლობის პრინციპი. რისკ-მენეჯმენტის თეორიის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატის მიხედვით: რისკები მნიშვნელოვანწილად ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და პორტფელიდან რომელიმე აქტივის დაკარგვა აუცილებლად როდი ზრდის სხვა რისკებთან მიმართებით რისკების შემთხვევის ალბათობას.

მისაღები რისკების დონის შესაბამისობის პრინციპი ეკონომიკის სუბიექტის რესურსულ შესაძლებლობებთან. პრაქტიკულ საქმიანობაში, რისკების მართვის ყველა ფორმა, როგორც წესი, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტისაგან დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამასთან, აუცილებელია გაითვალისწინოთ შემდეგი:

1) ეკონომიკურ სუბიექტს, როგორც წესი, არა აქვს სრული ინფორმაცია მმართველობითი ამოცანების გადასაწყვეტად და მის მისაღებად აუცილებელია თუ არა დამატებითი ხარჯების განწევა, რაც აწესებს შეზღუდვებს რისკების მართვის პროცესზე.

2) ეკონომიკური სუბიექტი რისკების კვალიფიციური მართვისას ჩვეულებრივ ვარაუდობს დანაკარგების განსაზღვრულ (დასაშვებ) დონეს (მისაღები რისკის კონცეფცია) და დებს მას გეგმიურ მაჩვენებლებში. საჭიროა ყურადღება მიექცეს დანაკარგებს, რომლებიც გეგმიურ მაჩვენებლებს სცილდება;

3) ნეგატიური მოვლენების დადგომით მიყენებული ზარალის ზომის თანაბარი ცვლილების დროს ან ასეთი მოვლენების დადგომის ალბათობის ცვლილების დროსაც. ასეთ შემთხვევაში რისკი მიუღებელი ხდება. კრიტიკული ზღვრები განსაზღვრული და გათვალისწინებული უნდა იქნას.

4) არსებობს ნეგატიური შემთხვევების გამოვლენის კუმულაციური შესაძლებლობა. როგორც წესი, მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ჯაჭვის ერთი რგოლის განწყვეტას ვინრო ადგილების გამოვლენამდე მივყავართ. შემდეგ ხდება სხვა რგოლების ჯაჭვების წყვეტა და სიტუაცია განუწყვეტ-

ლივ უარესდება. აუცილებელია გადაიხედოს სარისკო შემთხვევების განვითარების ყველა ვარიანტი.

სუბიექტის აქტივების დაკარგვის მოსალოდნელი ზომა, რომელიც ამა თუ იმ რისკის ზომას შეესაბამება, უნდა შეესაბამებოდეს კაპიტალის იმ წილს, რაც უზრუნველყოფს რისკების შინაგან და/ან გარეგან დაზღვევას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სარისკო მოვლენის დადგომის დროს, დაიკარგება აქტივების განსაზღვრული ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სუბიექტის საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობას, ე.ი. დააქვეითებს მის შემოსავლის ფორმირების პოტენციალს და შემდგომი განვითარების ტემპს. რისკის კაპიტალის (ხარჯების) ზომა, რისკის შესაბამის მისაღებ დონემდე შემცირებით ან არიდებით, რომელიც მოიცავს შესაბამის შინაგან სადაზღვევო ფონდებსაც კი, არ უნდა სცილდებოდეს აქტივების შესაძლო დაკარგვის თანხებს თუნდაც ყველაზე მაღალ-რისკიანი შემთხვევის დადგომის ალბათობისას (ე.წ. რისკების მართვის ეკონომიურობის კრიტერიუმი). მოცემული კრიტერიუმი წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.

რისკების მართვისას დროითი ფაქტორის აღრიცხვის პრინციპი. დროის ფაქტორი არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკური სუბიექტის რისკების საერთო დონეზე, განსაზღვრავს შედეგების განუსაზღვრელობის სხვადასხვა დონეს. მოკლევადიანი სასიცოცხლო ციკლების მიხედვით შინაგანი და გარეგანი ფაქტორების დეტერმინირება საშუალებას იძლევა აირჩეს სამენარეო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში განხორციელებული რისკის უმცირესი დონის გენერირებადი პარამეტრები. ამავე დროს, ეკონომიკური სუბიექტის საკმარისად ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლების დროს მრავალი ფაქტორის არადეტერმინირება, შესაბამისად, მათი რეალიზაციის შედეგების განუსაზღვრელობა იზრდება. ეკონომიკური სუბიექტის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რისკის საერთო დონის დამოკიდებულებას ზრდის ტენდენცია აქვს. რაც უფრო ხანგრძლივია საინვესტიციო ოპერაციის განხორციელების პერიოდი, მით უფრო მრავალ-

ფეროვანია მისი თანმხლები რისკების დიაპაზონი და მით ნაკლებია მათი ნეგატიური შედეგების მისაღებ დონემდე შემცირების ან თავიდან აცილების უზრუნველყოფის შესაძლებლობები რისკების ეკონომიკური მართვის კრიტერიუმების მიხედვით. ასეთი საინვესტიციო ოპერაციების განხორციელების აუცილებლობისას, ეკონომიკურმა სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს მასზე შემოსავლის დამატებითი ერთეულების მიღება არა მარტო რისკის პრემიის ხარჯზე, არამედ აქტივების ლიკვიდაციის შემცირების ხარჯზეც. საინვესტიციო ოპერაციის განხორციელების პერიოდი წარმოადგენს მასში კაპიტალის დაბანდების „გაყინული ლიკვიდურობის“ პერიოდს. პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დახასიათებისას დისკონტირების განაკვეთი და შემოსავლის შინაგანი ნორმა (რეალური შემოსავლის, ინფლაციის ტემპებისა და პროექტის რისკის დონის გარდა) ასევე განხილული უნდა იქნას როგორც აქტივის ლიკვიდურობის დონე. საინვესტიციო საქმიანობა მიზანმიმართულია, როცა დროის განსაზღვრულ მომენტში მოსალოდნელი შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე ინვესტირებადი კაპიტალის ღირებულებისა და სარისკო პრემიისა და ინფლაციის გათვალისწინებით აქტივის ლიკვიდურობის შემცირებაზე დანამატის ჯამი.

მართვის შეთანხმებული პირობების უზრუნველყოფის პრინციპი რისკების მართვის პროცესში ინვესტიციების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირებისათვის. რისკების მართვის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური სუბიექტის მიერ არჩეული საინვესტიციო სტრატეგიის საერთო კრიტერიუმებს, რომელიც გამოხატავს მის საინვესტიციო იდეოლოგიას დასაშვები რისკების დონესთან მიმართებით. ცალკეული საინვესტიციო ოპერაციების რისკების მართვა უნდა გამომდინარეობდეს გეგმიურ დოკუმენტებში ასახული მისაღები (დასაშვები) რისკის შესაბამისი პარამეტრებიდან. მართვის შეთანხმებული პირობების ტექნოლოგიას რისკების მართვის პროცესში ინვესტიციების ეფექტიანობის სტიმულირებისთვის შეუძლია გამოიყენოს მე-

ქანიზმი, რომელიც ითვალისწინებს გამოყოფილი ინვესტიციისა და მისგან მიღებული შედეგის ეფექტს.

რისკების გადაცემის შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპი. რიგი რისკების მიღება არაშედარებადია ეკონომიკური სუბიექტის რესურსულ შესაძლებლობებთან მათი ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების ან მისაღებ დონემდე შემცირების, რისკის დადგომის ალბათობის დროს. ამასთან, შესაბამისი საინვესტიციო ოპერაციის განხორციელება შეიძლება ნაკარნახევი იყოს ინვესტიციური საქმიანობის სტრატეგიისა და მიმართულების მოთხოვნით. ასეთი რისკების ჩართვა ერთობლივი რისკების პორტფელში დასაშვებია, თუ შესაძლებელია მათი ნაწილობრივი ან სრული გადაცემა პარტნიორების ან გარეშე დამზღვევისათვის. რისკის გარე დაზღვევადობის (მეტნაკლებად სარისკო ოპერაციების შესაბამისი სახეებით) კრიტერიუმში საინვესტიციო საქმიანობის რისკების პორტფელის ფორმირებისას აუცილებელად გათვალისწინებული უნდა იქნეს.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის სისტემა განუსაზღვრელობის პირობებში უნდა ეყრდნობოდეს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ შერჩეულ საინვესტიციო და ფინანსური სტრატეგიის საერთო კრიტერიუმებს, აგრეთვე საინვესტიციო საქმიანობის პოლიტიკის ცალკეულ მიმართულებებს.

მანამ, სანამ რისკი სუბიექტის მიერ შეცნობილი არ არის, შეუძლებელია მიღებული იქნას მისი მინიმიზაციის რაიმე ღონისძიება, ამიტომ რისკის მართვის პირველი სტადიაა საინვესტიციო საქმიანობის სავარაუდო რისკების სხვადასხვა ხერხებით გამოვლენა – ოპერაციების კველევის მოდელებში სუფთა ინტუიციური ალლოდან რთულ სავარაუდო ანალიზამდე.

საინვესტიციო საქმიანობის რისკების სხვადასხვა სახეები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელების პროცესში განისაზღვრება:

1) მათთვის დამახასიათებელი საინვესტიციო საქმიანობის რისკების გარეგანი სახეებით;

2) საინვესტიციო საქმიანობის შინაგანი ფაქტორებით.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად ფორმირდება საინვესტიციო საქმიანობის რისკის საერთო სავარაუდო პორტფელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები არასაკმარისია საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად განუსაზღვრელობის პირობებში. ისინი უნდა შეივსოს შემდეგი ცნობილი პრინციპით:

1) საინვესტიციო საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამება განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით;

2) საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციის პროცესის მეცნიერულობა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით.

3) საინვესტიციო საქმიანობის მართვის მუდმივი სრულყოფა, განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით.

4) ურთიერთქმედება და გონივრული რეგლამენტაცია;

5) საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული საკმარისობის მუდმივობა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით.

6) მუშაობის ხარისხის შესაბამისობა შემსრულებლის პოტენციურ შესაძლებლობებთან.

7) საინვესტიციო საქმიანობის მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტობა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შერწყმა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად ხდებოდეს ყველა ქვეგანყოფის მართვა სპეციალისტების ინიციატივების სტიმულირების პირობებში. ეს გულისხმობს მართვის ცენტრალიზაციის შესაბამისი უფლების ადგილებზე დელეგირ-

რებას, რითაც მათ შესაძლებლობა ექმნებათ გარკვეული წვლილი შეიტანონ საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის ანალიტიკური ამოცანების გადაჭრის მონაწილეობის პროცესში.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის ოპტიმიზაციის ანალიტიკური უზრუნველყოფის მეცნიერულობის პრინციპი განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით, მდგომარეობს იმაში, რომ მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის ორგანიზაცია უნდა ეფუძნებოდეს ისეთი მეცნიერული დისციპლინების მიერ შემუშავებულ მიდგომებს, როგორცაა ეკონომიკური ანალიზი, საინვესტიციო მენეჯმენტი, ლოჯისტიკა, ფინანსური მენეჯმენტი და სხვა.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფა ორგანიზაციის სრულყოფის ახალი მიზნებისა და ამოცანების შემუშავების საფუძველზე განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაციის ანალიტიკური უზრუნველყოფის მართვის სრულყოფის პროცესი მიმართული უნდა იყოს კონკრეტული მიზნების მიღწევისაკენ, რომლებიც ასახვას ჰპოვებენ საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სტრატეგიასა და ტაქტიკაში.

ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდური აპარატის გამოყენება განვითარებად საინფორმაციო ტექნოლოგიებთან ურთიერთკავშირში საშუალებას იძლევა მოიძიოს პრინციპულად ახალი, სრულიად ახალი მმართველობითი ამოცანების გადაჭრის ხერხები.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის მუდმივი სრულყოფა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით ნიშნავს იმას, რომ: რამდენადაც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი არის რთული, დინამიურად ცვალებადი სტრუქტურის მქონე, მართვის ნებისმიერი მიდგომა, ფორმა და მეთოდები (მათ შორის ყველაზე ახალი და პროგრესირებადი) დროთა განმავლობაში ძველდება. ამიტომ მნიშვნელოვანია ე.წ. მოქნილი ორგანიზაციული სისტემის ფორმირება. რთული ფუნქცი-

ონალური სისტემის გაფართოებისა და მოდერნიზაციისკენ მიმართულ ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს მოდელირებული ნყოფის პრინციპი, რომელიც ფართოდაა გამოყენებული კონსტრუირებასა და პროგრამირებაში.

ურთიერთქმედება და გონივრული რეგლამენტაცია ნიშნავს იმას, რომ მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის ყველა ელემენტი, მათი ორგანიზაციის პროცესში განხილული უნდა იქნას სისტემური მიდგომის პოზიციიდან, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა მმართველობით და საინფორმაციო-ანალიტიკურ სისტემებთან ურთიერთკავშირში. მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფა დამოკიდებულია სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის ყველა იმ ძირითად ქვეგანყოფილებას შორის ზუსტად აწყობილ ურთიერთქმედებაზე, რომლებიც ახდენენ საინფორმაციო-ანალიტიკური ფუნქციების რეალიზებას, ასევე მათსა და ხელმძღვანელობას შორის ყველა დონეზე არსებულ ურთიერთქმედებაზე. მართვადი საქმიანობის ზოგიერთი სახის ფუნქციონირების ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ექვემდებარება ისინი რეგლამენტირებას. ამასთან, საქმიანობის რიგ სახეობებში რეგლამენტის მკაცრმა დაცვამ შეიძლება მისი განვითარება შეაჩეროს (მაგ: ანალიტიკურ საქმიანობაში). ამიტომ აუცილებელია გონივრული კომპრომისი რეგლამენტირებასა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოსავლენად გარკვეული თავისუფლების მინიჭებას შორის.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული საკმარისობის მუდმივობა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით ნიშნავს: ანალიტიკური უზრუნველყოფის განხორციელებას შეუჩერებლად, რაც საინვესტიციო საქმიანობის რისკების ხარისხიანი და ეფექტური მართვის წინაპირობას წარმოადგენს.

მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის პროცესი წარმატებული იქნება მხოლოდ საკმარისი ინფორმაციით უზრუნველყოფის პირობებში. ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალის მართვის პრინციპები, რომლებსაც მიეკუთვნება შემ-

სრულელების პოტენციურ შესაძლებლობებთან და მისი კვალიფიკაციის განუწყვეტელ ამალეებასთან მუშაობის ხასიათის შესაბამისობის პრინციპები.

მუშაობის ხასიათის შესაბამისობა შემსრულებლის პოტენციურ შესაძლებლობებთან გულისხმობს, რომ კონკრეტულ შემსრულებლებზე დაკისრებული სამუშაო უნდა შესაბამებოდეს მათ პოტენციურ (ფიზიკურ და გონებრივ) შესაძლებლობებს. მოცემული პრინციპი აუცილებელია გამოყენებული იქნას მენეჯერის მიერ კადრების შერჩევისა და განთავსებისას, მაგრამ პირველ რიგში – საკუთარი შესაძლებლობების შეფასებისას.

საინვესტიციო საქმიანობის მართვის მენეჯერების კვალიფიკაციის ამალეების მუდმივობა განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით მოითხოვს იმ პროფესიონალი თანამშრომლების უნარ-ჩვევის ამალეებას, რომლებიც დაკავებულნი არიან მმართველობითი საქმიანობის ანალიტიკური უზრუნველყოფით საინვესტიციო საქმიანობის რისკების სფეროში.

მართვის საერთო პრინციპების დეკომპოზიციის შედეგად იზრდება მოთხოვნების (კერძო პრინციპების) რიცხვი, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული, მართვის უშუალო ობიექტთან მიახლოების შესაბამისად, რათა რეალიზებულ იქნას საერთო პრინციპები. სშირად ურთიერთსაინანაალმდეგო მოთხოვნათა გაზრდილი რაოდენობა განაპირობებს მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას კონკრეტულ პირობებში, რაც საბოლოო ჯამში ამდიდრებს საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური სისტემის მართვის თეორიას და პრაქტიკას განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით. არ შეიძლება ზოგიერთი პრინციპები მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად, ძირითადად, სხვა კი – მეორეხარისხოვნად. ისინი ერთნაირად აუცილებელია, როგორც საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური საფუძველი.

პრაქტიკული თვალსაზრისით რისკების მართვაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს რისკების მართვის პოლიტიკა, გაკეთდეს რისკების მართვის თაობაზე ჩანაწერები (შედგეს ოქმები) და შესაბამისი დოკუმენტები, ასევე განისაზღვროს რისკების მართვაზე პასუხისმგებლობა. თითოეული ეს ელემენტი უნდა მოიცავდეს გარკვეულ პროცედურებს და მიმართულებებს, კერძოდ:

1. რისკების მართვის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ პროცედურებს:

- რისკების მართვა და შიდა კონტროლის ამოცანები;
- ორგანიზაციის განაცხადი რისკებზე;
- კონტროლის საზღვრების აღწერა;
- მისაღები რისკის დონე და ბუნება;
- რისკების მართვის ორგანიზაცია და მონესრიგება (რისკების არქიტექტურა);
- რისკებზე ინფორმაციის საკომუნიკაციო სისტემის მონესრიგება;
- სტანდარტული პროცედურები რისკების გამოცნობისა და რანჟირებისთვის (რისკის შეფასება);
- რისკის ანალიზისა და ანგარიშგებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სია (რისკის აქტი);
- რისკების შემსუბუქების მოთხოვნა და კონტროლის მექანიზმები;
- რისკების მართვის როლის და პასუხისმგებლობის განაწილება;
- რისკების მონიტორინგისა და ბეჭმარკინგის კრიტერიუმები;
- ხელსაყრელი რესურსების განაწილება;
- რისკების პრიორიტეტები და მისაღწევი მიზნები;
- მომდევნო წლის რისკების მართვის კალენდარი.

2. რისკების მართვის ოქმებიში /ჩანაწერებში დაფიქსირებული უნდა იყოს:

- 2.1. რისკების შეფასების პროცედურები**
- შეფასების პროცედურები;
 - მნიშვნელოვან რისკებზე პასუხისმგებლობა;
 - პროექტების და კაპიტალური ხარჯების დამტკიცება;
 - პროცედურები სტრატეგიისა და ბიუჯეტისთვის.
- 2.2. რისკის კონტროლის ამოცანები**
- ბრენდის მართვა;
 - უსაფრთხოება სამუშაოებზე;
 - გარემოს დაცვა;
 - საკონტაქტო რისკების მართვა.
- 2.3. რისკების რესურსული უზრუნველყოფა**
- შესაძლებლობების მართვა;
 - პროექტის რესურსული უზრუნველყოფა;
 - დაზღვევის პროგრამა;
 - დაინტერესებული სადაზღვევო კომპანია.
- 2.4. რეაგირების დაგეგმვის საჭიროება**
- დანაკარგებისა და მოთხოვნათა მართვა;
 - კატასტროფებისა და აღდგენის დაგეგმვა;
 - ღირებულებების კონტროლის პროცედურები;
 - რისკების მართვის ჩანაწერების აღრიცხვა.
- 2.5. რისკის უზრუნველყოფის სისტემა**
- კორპორაციული რისკების მართვის კომიტეტი;
 - აუდიტის კომიტეტის სამუშაო აღწერილობა;
 - კონტროლის თვით-სერტიფიცირების ზომები;
- 3. უნდა დამუშავდეს რისკების მართვის დოკუმენტაციის შემდეგი ტიპები:**
- 3.1. რისკების ადმინისტრირება**
- რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკა (და პრიორიტეტები);
 - სპეციფიკური რისკის ცნობები (ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა);
 - რისკის/აუდიტის კომიტეტის სამუშაოს აღწერილობა;
 - რისკის ოქმები და პროცედურები;

- რისკის ცნობიერების სასწავლო ჩანაწერები.
- 3.2. რისკზე პასუხისმგებლობა**
- რისკის შეფასების შედეგები (რისკების რეგისტრი);
 - რისკების კონტროლის სტანდარტები;
 - რისკების სრულყოფის რეკომენდაციები;
 - რისკების უზრუნველყოფის ანგარიშები;
 - ბიზნესის განგრძობის გეგმები/ზიანის აღდგენის გეგმა.
- 3.3. ღონისძიებათა ანგარიშები**
- დანაკარგების/მოთხოვნების ანგარიშები და რეკომენდაციები;
 - სამართლებრივ დავებზე ანგარიშები;
 - სააღსრულებო მოქმედებები/კლიენტების საჩივრები;
 - ინციდენტი და გამოძიება;
 - ბიზნესის მიღწევების ანგარიშები/მიღწევების ძირითადი ინდიკატორები.
- 3.4. რისკის შესრულება**
- რისკის კონტროლის თვითშეფასება;
 - აუდიტის პროცედურები და ოქმები;
 - შიდა აუდიტის ანგარიშები;
 - რისკების მართვის ერთეულის ანგარიშები;
 - გარე აღმოჩენების ანგარიშები.
- 4. რისკების მართვის პასუხისმგებლობა განაწილებული უნდა იყოს შემდეგ პირებს შორის:**
- 4.1. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები მთავარი აღმასრულებელი ოფიცრებისთვის**
- სტრატეგიული მიდგომის განსაზღვრა რისკისადმი;
 - რისკის მართვის სტრუქტურის ფორმირება;
 - ყველაზე მნიშვნელოვანი რისკების გაგება;
 - ცუდი გადაწყვეტილებების რისკის გავლენის განხილვა;

- ორგანიზაციის მართვა კრიზისის პერიოდში.
- 4.2. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები ადგილობრივი მენეჯერისთვის**
- ადგილობრივი რისკის შეგნების კულტურის ფორმირება;
 - ადგილზე რისკების მართვის სამიზნეების მონესრიგება;
 - დასაქმებულის მხრიდან რისკების მართვის საკითხების შეფასებით ანგარიში;
 - რისკების გაუმჯობესების რეკომენდაციების გარანტირებული განხორციელება;
 - შეცვლილი ვითარების/რისკების იდენტიფიცირება და ანგარიშგება.
- 4.3. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები ცალკეული დასაქმებულებისათვის**
- რისკების მართვის პროცესის გაცნობა, თანხმობა და იმპლემენტაცია;
 - არაეფექტურ, უშედეგო ან არაქმედით კონტროლზე ანგარიშგება;
 - დანაკარგებზე და ახლო ინციდენტებზე ანგარიშგება;
 - დარწმუნება, რომ ვიზიტორები და კოტრაქტორები ასრულებენ პროცედურებს.
- 4.4. რისკების მენეჯერისთვის რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები**
- რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავება და მისი განახლება;
 - რისკის ცოდნის კულტურის ფასილიტაცია ორგანიზაციაში;
 - შიდა რისკების პოლიტიკის და სტრუქტურის ფორმირება;
 - რისკების მართვის აქტივობების კოორდინაცია;

- რისკების ინფორმაციის თავმოყრა და გამგეობის-თვის ანგარიშების მომზადება;

4.5. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები რისკების მართვის სპეციალისტისთვის

- კომპანიის დახმარება მოამზადოს რისკის პოლიტიკის გამტარებელი სპეციალისტი;
- მოამზადოს საგანგებო მდგომარეობის და აღდგენის გეგმები;
- თვალყურს ადევნოს განვითარებულ მოვლენებს თავის არეალში;
- მხარი დაუჭიროს ინციდენტების და დანაკარგების გამოძიებას;
- მოამზადოს დეტალური ანგარიშები სპეციალური რისკებზე.

4.6. რისკ-მენეჯმენტის ძირითადი პასუხისმგებლობები შიდა აუდიტის მენეჯერისთვის

- მოამზადოს რისკებზე დაფუძნებული შიდა აუდიტის პროგრამა;
- ორგანიზაციის მაშტაბით მოახდინოს სარისკო პროცესების აუდიტი;
- მიიღოს ზომები რისკების მართვის უზრუნველსაყოფად;
- მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს რისკების მართვის პროცესებს;
- მოახდინოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგება.

3.2. რისკების მართვის ძირითადი მეთოდები

ამერიკის რისკ-მენეჯმენტის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მოყვანილია ერთი იგავი: „სამი ახალგაზრდის წინაშე დგას არჩევანი. ისინი დგანან ორი დაკეტილი კარის წინ, რომელთაგან ერთის მიღმა დგას მშვიერი ვეფხვი, მეორის მიღმა კი მზეთუნახავი. ერთმა ახალგაზრდამ იფიქრა, იფიქრა, შეტრიალდა და წავიდა. მეორე ახალგაზრდამ გარისკა, გააღო კარი, მაგრამ სამწუხაროდ იქ დახვდა მშვიერი ვეფხვი. მესამე ახალგაზრდა წავიდა წვრთნის კურსებზე და რალაც დროის შემდეგ მისთვის უკვე სულერთი იყო, რომელ კარს შეაღებდა“. ამ იგავში წარმოდგენილია რისკების მართვის სამი ძირითადი მიმართულება. პირველმა ახალგაზრდამ ამჯობინა რისკის თავის არიდება, მეორემ რისკი თავის თავზე აიღო, მესამემ კი რისკების მართვის უფრო დახვეწილი მექანიზმი აღიარა – რისკის შემცირება. ზოგიერთმა სტუდენტმა მოთხრობილი იგავის შემდეგ პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთი ვარიანტი შეიძლება შემოგვთავაზოს – წავიდეს და იარაღი შეიძინოს.

რისკების მართვის ელემენტების განსაზღვრამდე აუცილებელია აღინიშნოს, რომ რისკების მართვის პროცესი, რომელიც შედგება რისკების არქიტექტურისგან (შემადგენლობა), რისკის სტრატეგიისაგან და რისკების შესახებ ჩანაწერებისაგან (იხ. ნახ. 3.2).


ნახაზი 3.2. რისკების მართვის ჩარჩოს კომპონენტები

რისკის არქიტექტურა	რისკის სტარტეგია
რისკის არქიტექტურა განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობას, კომუნიკაციას და რისკის ანგარიშგების სტრუქტურას.	რისკის სტარტეგია, მიდრეკილება, დამოკიდებულება და ფილოსოფია განისაზღვრება რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკით.
რისკების მართვის პროცესი	
რისკების ჩანაწერები	
რისკების ჩანაწერებით განსაზღვრულია ორგანიზაციის რისკის რეკომენდაციები და მოიცავს წესებს და პროცედურებს, ასევე რისკის მართვის მეთოდოლოგიას, ინსტრუმენტებს და ტექნიკას, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული.	

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 57.

რისკზე ზემოქმედების ძირითადი ჯგუფების საერთო სქემა წარმოდგენილია ნახაზზე 3.3.

ნახ. 3.3. რისკზე ზემოქმედების მეთოდის ძირითადი ჯგუფები



ტაქტიკური მართვის მხრიდან წარმატება დამოკიდებულია მენეჯერის ინსტრუმენტარიუმზე კონკრეტულ იურიდიულ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ სფეროში.

ბუნებრივია, ისმის კითხვა – თუ რისთვის არის მნიშვნელოვანი რისკების მართვა? აქ პასუხი მარტივია:

- ა) ორგანიზაციის წარმატებული მართვისთვის;
- ბ) ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე ადაპტაციისთვის.

მენეჯერის მოქმედებათა არსენალი შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად: რისკის თავიდან აცილება; რისკიდან გადახრა; რისკის წყაროზე ზემოქმედება; სახიფათო ზონებში ყოფნის დროის შემცირება; რისკის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი მიღება; ოპერაციების, ობიექტების ან რესურსების დუბლირება; სახიფათო ქცევის შემცირება; პოტენციური დანაკარგების შემცირება; სიტუაციის ტექნიკური მონიტორინგი; ფაქტობრივი დანაკარგების მოცულობის შემცირება; შემოსავლის შესაძლო დანაკარგების შთანთქმის მეთოდი. რისკის განაწილება სხვადასხვა მონაწილეებს შორის; რისკის დანაწევრება; რისკის განაწილება დროში; საშიში ურთიერთგამაძლიერებელი ფაქტორების ერთმანეთისაგან იზოლაცია; რისკის სადაზღვეო გადატანა (ტრანსფერტი); რისკის არასადაზღვეო გადატანა; განუსაზღვრელობის ხანგრძლივობის შემცირება; არახელსაყრელი შემთხვევების შემცირება; რისკის ჰეჯირების ფინანსური ინსტრუმენტები; ფინანსური ინჟინერია; ინოვაცია; წინმსწრები მეთოდები; ფასების რეგულირება.

რისკების მართვა დამყარებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე: პროპორციულობა, შესაბამისობა, ყოვლისმომცველობა, ინტეგრირება, დინამიკურობა (იხ. ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1. რისკების მართვის პრინციპები


პრინციპი	აღწერა
პროპორციულობა	რისკ-მენეჯმენტის აქტივობები უნდა იყოს ორგანიზაციაში არსებული რისკების დონის პროპორციული.
შესაბამისობა	რისკ-მენეჯმენტის აქტივობები საჭიროებს ორგანიზაციის სხვა აქტივობებთან შესაბამისობას.
ყოვლისმომცველობა	მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა რისკ-მენეჯმენტისადმი მიდგომა იყოს ყოვლისმომცველი.
ინტეგრირება	რისკ-მენეჯმენტის აქტივობები საჭიროებს ორგანიზაციაში მათ გატარებას.
დინამიკურობა	რისკ-მენეჯმენტის აქტივობები უნდა იყოს დინამიკური და რისკების ცვლილებებისადმი საპასუხო/ადეკვატური.

წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 47.

საკუთრივ რისკების მართვის პროცესი კი ურთიერთდაკავშირებულ რამდენიმე კომპონენტს მოიცავს, რომელიც წარმოდგენილია ბლოკ-სქემის სახით. ბლოკი რისკების აღიარებით იწყება და შემდგომ წარმოებს მათი რანჟირება. რანჟირებულ რისკებს შეფასება და ანგარიშგება მოჰყვება. მართვის პროცესი საბოლოოდ ანგარიშგებით და მონიტორინგით სრულდება.

ძალიან მნიშვნელოვანია რისკების მართვის პროცესის სქემატურად წარმოდგენა. (იხ. ნახ. 3.4).


ნახ. 3.4. რისკების მართვის პროცესი



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 55.

რისკების მართვის მოდელებიდან ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებულია 7Rs და 4Ts მოდელები (იხ. ნახ. 3.5). ის რისკების აღიარებით იწყება და მონიტორინგით მთავრდება, ანუ რისკების მართვის ზემოთ აღწერილი პროცესის მსგავსად მოიცავს ყველა ელემენტს.

ნახ. 3.5. რისკების მართვის 7Rs და 4Ts მოდელები



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 40.

აღნიშნულ სქემაში თითოეულ ელემენტს გააჩნია შემდეგი დატვირთვა:

1. **რისკების აღიარება ან იდენტიფიკაცია;** რისკების ბუნების და გარემოებების იდენტიფიკაცია, რომლებმაც შესაძლოა ის გამოიწვიონ;
2. **რისკების რანჟირება და შეფასება მნიშვნელობის და ალბათობის მიხედვით,** რათა ვანარმოთ „რისკის პროფილი“, სადაც ჩანერილია (რეგისტრირებულია) რისკები;
3. **მნიშვნელოვან რისკებზე პასუხისმგებლობა,** ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა შესაბამისი პარამეტრების ჩათვლით:
 - ტოლერანტობა;
 - განხილვა;
 - გადაცემა;
 - შეზღუდვა.
4. **რესურსებზე კონტროლი,** რათა მომზადდეს შესაბამისი ღონისძიებები და დაინერგოს კონტროლის აუცილებელი აქტივობები;
5. **რეაგირების დაგეგმვა და/ან ღონისძიებათა მართვა.** სახიფათო რისკისთვის ის მოიცავს ზიანის აღდგენის ან ბიზნესის გაგრძელების დაგეგმვას;
6. **რისკის შესრულების ანგარიშგება და მონიტორინგი,** მოქმედებები და ღონისძიებები, ასევე კომუნიკაცია რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე, ორგანიზაციის რისკის არქიტექტურის გავლით;
7. **რისკ-მენეჯმენტის სისტემის გადასინჯვა,** შიდა აუდიტის პროცედურები, რისკის არქიტექტურის მიმოხილვის და განახლების, სტრატეგიის და ანგარიშგების ჩათვლით.

რისკების მართვაში მნიშვნელოვანია ფინანსური ლევერიჯის მოცულობის მართვა, რომელშიც შედის:

1) საინვესტიციო ოპერაციის კონტრაქტისაგან რისკის პრემიის დამატებითი ღონის მიღების შესაძლებლობის უზ-

რუნველყოფა;

2) ფორს-მაჟორული გარემოებების სიის შემცირება;

3) შესაძლო ფინანსური დანაკარგების კომპენსაციის უზრუნველყოფა საჯარიმო სანქციების სისტემის კონტრაქტში ჩართვის ხარჯზე;

4) ეკონომიკის სუბიექტის საბრუნავი საშუალებებით მართვის სრულყოფა;

5) საინვესტიციო მართვის (მენეჯმენტის) საინფორმაციო-პროგნოზული უზრუნველყოფა;

6) სააღრიცხვო და დივიდენდური პოლიტიკის რეგულირება;

7) ოპტიმალურად ეფექტიანი საინვესტიციო სტრატეგიისა და ეკონომიკური სისტემის პოლიტიკის დაგეგმვა.

8) რისკის ხარისხის კონტროლი და რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების კორექცია (მონიტორინგის რისკი).

მენეჯერის საქმიანობაში აუცილებელია საინვესტიციო რისკების მართვის მეთოდების, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების კომპლექსური გამოყენება ან მათი სრული ნაწილობრივი ურთიერთშეხამება.

რისკის გადაცემა (ტრანსფერი). ეკონომიკური სისტემის ურთიერთდამოკიდებულება საშუალებას იძლევა რისკების მართვის პროცესში ჩართულ იქნას სხვა აგენტები, მათთვის რისკის გადაცემით ჯერ კიდევ რისკის დადგომის მომენტამდე. რისკების მართვის ყველაზე საიმედო ხერხია რისკების გადაცემა, როგორც ეკონომიკის სუბიექტის, ასევე მთლიანი ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ეს არის კონტრაქტის დადების გზით აქტივების დაკარგვის ნეიტრალიზაციის მეთოდი პარტნიორებზე ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით რისკის გადაცემით.

რისკის თავიდან აცილება მდგომარეობს რისკის ყოველი სახეობის წინასწარ შესწავლასა და ზომების მიღებაში, რათა არ მოხდეს საფრთხის რეალიზება და დანაკარგების მიღება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკის თავიდან აცილე-

ბა კრედიტების გაცემის პროცესში. იგი გამოიხატება იმ დოკუმენტების წინასწარ ექსპერტიზაში, რომლებიც საწარმოებმა კრედიტის მისაღებად წარადგინეს.

რისკიდან გადახრა (გადახვევა) მდგომარეობს იმაში, რომ არ მოხდეს ზონის „მონახულება“ ან იმ საქმიანობით დაკავება, სადაც მოცემული რისკი მოქმედებს ისეთ მასშტაბებში, რომლებსაც საინვესტიციო საქმიანობის მოცემული სუბიექტი ეფექტურად ვერ გაუმკლავდება. მოცემული მეთოდი მეტ-ნაკლებად მარტივი და რადიკალურია. იგი მდგომარეობს ღონისძიებათა შემუშავებაში, რომლებიც მთლიანად გამორიცხავენ რისკის კონკრეტულ სახეობას. გადახრა გათვლილია ცალკეულ მოლოდინებზე, სარისკო პროცესებზე უარის თქმასა და რისკის სხვა პირებზე გადატანაზე. პრაქტიკაში (ყველაზე უფრო ხშირად) მისი რეალიზაცია ხდება ეკონომიკის სუბიექტის მიერ ინოვაციური (ვენჩურული) პროექტის რეალიზაციაზე, დიდ რისკთან დაკავშირებული საინვესტიციო ოპერაციების შესრულებაზე უარის თქმის ფორმით და ნაკლებად რისკიანი ან თითქმის ურისკო პროექტებისათვის ან რისკების მინიმიზაციისათვის (აქტივების და პასივების კონსერვატიული მართვა) უპირატესობის მინიჭების ფორმით.

რისკის მინიმიზაცია ეს არის:

1) იმ საინვესტიციო ოპერაციებზე უარის თქმა, რომელთა რისკის დონე ზედმეტად მაღალია. მისი გამოყენება შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

2) დიდი მოცულობის ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე უარის თქმა.

სამეურნეო ბრუნვაში ნასესხები ფინანსური საშუალებების წილის დაქვეითება საშუალებას იძლევა ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან თავიდან იქნას აცილებული ფინანსური მდგრადობის დანაკარგები. ამასთან, რისკის აცილების ეს ფორმა ფინანსურ ლევერიჯის ე.ი. დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლის დამატებითი თანხის მიღების შესაძლებლობის ეფექტის შემცირებას იწვევს.

3) უარის თქმა დაბალლიკვიდურ ფორმებში (მაგ: სასაქონლო მასალის მარაგი) საბრუნავი აქტივების ქარბ გამოყენებაზე. ასეთი აქტივების ლიკვიდურობის დონის ამალღება საშუალღებას იღღევა მომავალში თავიდან იქნას აციღებული ეკონომიკური სუბიექტის მიერ გადახდისუნარიანობის რისკი. თუმცა, რისკის თავიდან აციღების ასეთი სახე ეკონომიკურ სუბიექტს ხელს უშღლის ახალი პროდუქციის და მომსახურების კრედიტით გაყიდვის მოცუღობის გაფართოებაში და ნანღლობრივ წარმოქმნის ახალ რისკებს, რომღლებიც დაკავშირებულია ოპერაციული პროცესის რიტმუღობის დარღვევასთან, ნეღღეუღის, მასალის, მზა პროდუქციის სადაზღვევო მარაგის რაოდენობის დაწევის გამო.

4) უარის თქმა - მოკღვეადიან ფინანსურ დაბანღებაში დროებით თავისუფალი ფუღადი აქტივების გამოყენებაზე საშუალღებას იღღევა თავიდან იქნას აციღებული დეპოზიტური და პროცენტული რისკი. თუმცა, ზრდის დანაკარგებს ინფლაციური რისკიდან, ასევე ხელიდან გაშვეებული შემოსავღის რისკს.

5) უარის თქმა არასაიმედო პარტნიორებზე.

რისკის წყაროზე ზემოქმეღება მღღგომარეობს მცღღეღობაში - შეცვალღოს რისკის წყაროს მოქმეღება ისე, რომ შემცირღეს მისგან წამოსული საფრთხე. საშიშ ზონაში ყოფნის დროის შემცირება შეიღღება მიღწეულ იქნას შეზღღუღღების დაწესებით, მიღწევაღობის კონტროღლით, საინვესტიციო გარიღების დაჩქარებით.

რისკის მიღება - ეს არის რისკის შეფასება და მისგან გამომღინარე შეღღეღების საფუძვეღზე შეგნებულად რისკის მიღება. დაცვის ზომების მიუღღებღობის შემთხვევაში ბევრ წვრიღ რეგულარულ რისკს ორგანიზაციები შეგნებულად იღღებენ თავიანთ თავზე, დანაკარგების პერიოღული ჩამონღერთ. ასეთი პოღიტიკა მხოღოდ რისკებთან მიმართებითაა შესაღღღებელი, რომელთაგან დაცვა დანაკარგებზე ძვირი ჯღღება. ასეთ რისკებზე ბიუჯეტში გაითვალისწინება ნორმაღღური რეზერვები შესაღღღო დანაკარგებთან დაკავშირებით.

ოპერაციის, ობიექტების ან რესურსების დუბლირება მათ საიმედოობას ამალღებს.

სახიფათო ქცევის, როგორც რისკის მართვის ინსტრუმენტის შეკვეცა მდგომარეობს საშიში ზონების შემოფარგვლაში, თანამშრომელთა ქცევაზე ურთიერთკონტროლის დანესებაში, პერსონალის დამატებით სწავლებასა და ინსტრუქტაჟში, ჯარიმების დადგენასა და სადაზღვეო განაკვეთების ამალღებაში იმ პირებისა და ქვეგანყოფილებებისათვის, რომლებმაც განმეორებით დაუშვეს გადახარჯვები და სხვა დანაკარგები.

პოტენციური დანაკარგების მოცულობის შემცირება მდგომარეობს იმაში, რომ საინვესტიციო რესურსებზე, რომლებიც ამალღებული რისკის ზონებში იმყოფებიან (მაგ. შეზღუდვები განსაღვრულ დარგებსა თუ რეგიონებში კაპიტალის დაბანღებაზე) დანესდეს აბსოლუტური ლიმიტები, ინვესტორის შეუფერხებელი ეფექტური მუშაობისათვის ამ ლიმიტების მინიმალურად საკმარის დონემღე თანდათანობით შემცირების გათვალისწინებით.

გადანყვეტიღების მიღების პროცესში შეთანხმებისა და ნებართვის სისტემა მიმართულია იქითკენ, რომ თითოეულმა პროფესიონალმა შეაფასოს რისკი თავისი თვალსაწიერიდან და ფინანსური პასუხისმგებლობის ლიმიტების შესაბამისად. ყველა შემთხვევაში ლიმიტები დგინღება დანაკარგების იმ დონიდან გამომღინარე, რომღების განევაზეც თანახმაა ინვესტორი რისკების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

ლიმიტი = დასაშვები დანაკარგების მოცულობა/რისკის რეალიზაციის ალბათობა

სიტუაციის ტექნიკური მონიტორინგი ხელს უწყობს შეფასებას და უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას ტექნიკურ რისკებზე: ტექნოლოგიების ცვლა; პროექტთან დაკავშირებული წარმოების ხარისხისა და მწარმოებღურობის გაუარესება; ტექნოლოგიების სპეციფიკური რისკები, რომღებიც საინვესტიციო პროექტშია ჩადებული; ხარვეზები საპროექტო დოკუმენტაციაში.

საინვესტიციო საქმიანობის რისკზე ზემოქმედების შემდგომი ეტაპია ფაქტობრივი დანაკარგების სიდიდის შემცირება – ესაა მზადება იმ შემთხვევებისათვის, როდესაც საფრთხე უკვე მატერიალიზებულია. ჩვეულებრივ დანაკარგები მიმდინარეობს არა ერთ მომენტში, არამედ იზრდება დროის რაღაც პერიოდის განმავლობაში. თუ კომერციული ორგანიზაცია სწორად რეაგირებს არასასურველი პროცესის განვითარების საწყის ეტაპზე, რომელსაც დანაკარგები მოსდევს, ეს დანაკარგები ნაკლები იქნება, დაყოვნების ან არასწორი მოქმედებების შემთხვევებთან შედარებით. სიტუაციური მართვის საშტატო და არასაშტატო სქემის იდეოლოგია სრულიად გამოსადეგია არახელსაყრელ სიტუაციებში ქცევის წესების შემუშავებისთვის.

საინვესტიციო საქმიანობის რისკების შემცირება შესაძლებელია შემოსავლებით შესაძლო ზარალის შთანთქმის მეტოდის გამოყენებითაც. ამ პრინციპს ინვესტორები იყენებენ მაღალი რისკების პირობებში. თითოეულ პროექტს ერთ სფეროსა და დარგში თან უნდა ახლდეს მეორე პროექტი მეორე სფეროსა თუ დარგში. ამასთან ამ სფეროებისა თუ დარგების ზრდა თუ დაცემა ერთმანეთს დროში უნდა ემთხვეოდეს. ამგვარად, იმ დროს, როცა ერთ დარგში ხდება ჩავარდნა, მეორეში შეინიშნება ზრდა და პირიქით. ეს არ ნიშნავს, რომ ჩავარდნა ყოველთვის შთანთქავს შემოსავლებს. განვითარებულ ეკონომიკაში საშუალო შემოსავალიანობა იზრდება, მაგრამ ინვესტორის დაცულობა ამასთან მნიშვნელოვნად მალდება.

ასევე საინტერესოა მეთოდი, რომელიც მდგომარეობს რისკების რამდენიმე მონაწილეს შორის განაწილებაში, პროექტების ერთობლივ ფინანსირებაზე გადასვლაში. ამ მიდგომამ საზღვარგარეთ ბოლო წლებში დიდი განვითარება ჰპოვა, მან ბევრ კომპანიას და ინვესტორთა ალიანსს, მათ რისკიან საინვესტიციო სფეროში დიდი შემოსავლები მოუტანა. რისკების პირობებში ინვესტორების ქმედება უფრო ეფექტიანი იქნება და მით უფრო მეტ წარმატებას მოუტანს, თუ ეს იქნება

ინვესტორების მსხვილი ალიანსების ქმედებები. რისკის სხვადასხვა აგენტებზე გადანაწილება – ესაა საშიში სამუშაოს სხვადასხვა შემსრულებლებზე პროცედურული დანაწილება. თითოეულ მათგანს თავისი რისკიანობის მახასიათებლები გააჩნია. შედეგად ზოგიერთს ამ აგენტთაგანს თავისი წვლილი შეაქვს რისკისგან თავის არიდებში, დანაკარგები კი მცირდება. რისკის ხარისხის შემცირება, მისი გადანაწილებით მონაწილეებს (პარტნიორებს) შორის ან რისკის ნაწილის გადაცემა (ცალკეული ფინანსური და სხვა ოპერაციებით) ინოვაციური (ვენჩურული) პროექტის მონაწილეებზე (პარტნიორებზე) შეიძლება მიღწეული იქნას მრავალმხრივი ხელშეკრულების ან ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც პროექტის წარუმატებლობის შემთხვევაში გამოიწვევს პასუხისმგებლობის შეზღუდვას. მაგალითად, რისკის ინოვაციური (ვენჩურული) პროექტის მონაწილეებს შორის განაწილებისას ეკონომიკის სუბიექტს შეუძლია განახორციელოს მენარდებისათვის რისკის ნაწილის ტრანსფერი, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კალენდარული გეგმის შეუსრულებლობასთან, მუშაობის დაბალ ხარისხთან, მათთვის გადაცემული სამშენებლო მასალის დატაცებასთან და სხვა. ეკონომიკური სუბიექტისათვის, რომელიც ასეთი რისკების ტრანსფერს ანხორციელებს, მათი მართვა მდგომარეობს სამუშაოს შესაძლო ცვლილებებში მენარდების ხარჯზე, მათთვის ჯარიმებისა და პირგასამტეხლო თანხების დარიცხვისა და დანაკარგების ანაზღაურებას სხვა ფორმებში.

რისკ-მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვეს რისკის განაწილების (რისკის ნაწილის პარტნიორებისათვის გადაცემის) შემდეგმა ძირითადმა მიმართულებებმა:

1) სანარმოებსა და მიმწოდებელს შორის ნედლეულის, მასალის და რისკის მაკომპლექტებლების (უპირველეს ყოვლისა ფინანსურის) განაწილებამ, რომელიც დაკავშირებულია ქონების (აქტივების) დაკარგვასთან (გაფუჭებასთან) მათი ტრანსპორტირების პროცესში და დატვირთვა - გადმოტვირ-

თისათვის სამუშაოების განხორციელებასთან. რისკის ასეთი განაწილების ფორმებს არეგულირებენ შესაბამისი საერთაშორისო წესები – „INCOTERMS-2010“.

2) რისკის განაწილება ლიზინგურ ოპერაციაში მონაწილეებს შორის. ოპერაციული ლიზინგის დროს ეკონომიკური სუბიექტი გადასცემს მეიჯარეს გამოყენებული (ლიზინგური) აქტივის მოძველებულ მორალურ რისკს, მის მიერ ტექნიკური მწარმოებლურობის დაკარგვის რისკს (ექსპლუატაციის დადგენილი წესების დაცვის დროს) და რისკების რიგ სხვა სახეობებს, რომლებიც გათვალისწინებულია დადებულ კონტრაქტში, შესაბამისი სპეციალური შეთანხმებებით.

3) რისკის გადანაწილება (უპირველესყოვლისა საკრედიტოსი) ფაქტორინგული ოპერაციის მონაწილეებს შორის, რომელიც გადაეცემა შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტს, კომერციულ ბანკს ან ფაქტორინგულ კომპანიას. რისკის გადანაწილების ეს ფორმა ეკონომიკის სუბიექტისათვის ატარებს ფასიან ხასიათს, თუმცა შეუძლია არსებითად გაანეიტრალოს საკრედიტო რისკის ნეგატიური ფინანსური შედეგები.

4) რისკის ხარისხობრივი გადანაწილება გულისხმობს გადანყვეტილებების მიღებას ინოვაციური პროექტის მონაწილეების მიერ ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტის ორგანიზაციულ-ტექნიკური პოტენციალის გათვალისწინებით. გაერთიანებს რა ძალისხმევას რისკის შემცირების პრობლემის გადასაჭრელად, ეკონომიკის რამდენიმე სუბიექტს შეუძლია გაინაწილოს როგორც შესაძლო მოგება, ასევე ზარალი. როგორც წესი, პარტნიორების შერჩევა ხორციელდება ეკონომიკის იმ სუბიექტებს შორის, რომლებაც აქვთ დამატებით ფინანსური რესურსები, აგრეთვე ინფორმაცია ბაზრის მდგომარეობისა და თავისებურებების შესახებ.

ამ მიზნით შესაძლებელია შეიქმნას სააქციო საზოგადოება. რისკების გადანაწილების ხარისხი, შესაბამისად მათი ნეგატიური ფინანსური შედეგების დაცემის დონეც, ეკონომიკური სუბიექტისათვის არის პარტნიორებთან მოლაპარაკებე-

ბის საგანი, რომლებიც აისახება მათთან შეთანხმებული შესაბამისი კონტრაქტების პირობებით.

დროში რისკის გადანაწილება დაკავშირებულია იმასთან, რომ არაა საჭირო რამდენიმე საშიში ღონისძიებების ჩატარება ერთსა და იმავე დროს, სხვაგვარად, რამდენიმე ურყევი საშიშროების ერთობლიობამ შეიძლება გადააჭარბოს დასაშვები დანაკარგების ფინანსურ კრიტიკულ მასას და საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი გაანადგუროს.

რისკის სადაზღვევო ტრანსფერი იმაში მდგომარეობს, რომ რისკის-ანაზღაურება გადადის პროფესიონალ კონტრაგენტ დამზღვევზე, რომელთანაც იდება დაზღვევის ხელშეკრულება.

რისკის არასადაზღვევო ტრანსფერი სადაზღვევოსგან იმით განსხვავდება, რომ გარიგებასთან დაკავშირებულ რისკებს თავის თავზე იღებს არა პროფესიონალი დამზღვევი, არამედ ერთ-ერთი პარტნიორი. რისკის გადატანის პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პირობებით.

არასასურველი მოვლენის დადგომის ალბათობის შემცირება ამცირებს არა შესაძლო დანაკარგების სიდიდეს, არამედ მათ საშუალო მნიშვნელობას დროის პერიოდში, რადგან მცირდება მათი სიხშირე. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს შეამციროს შესაბამისი რეზერვები და საშუალებები უფრო შემოსავლიან (მომგებიან) აქტივებში გადასატანად. განუსაზღვრელობის ხანგრძლივობის შემცირება გულისხმობს როგორც რისკის მოქმედების ზონაში ყოფნის დროის შემცირებას, ასევე რისკის აქტუალობის დროის შემცირებასაც.

რისკის ჰეჯირების ფინანსური ინსტრუმენტები ითვალისწინებს ოპერაციებს ფასიან ქალაქებთან, რომელთა ფასიც იზრდება და ეცემა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებით. ეს ცალკე და სრულიად სპეციფიკური საკითხია. თუმცა, მისი მნიშვნელობა და შესაძლებლობები საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჰეჯირების მრა-

ვალფეროვან მეთოდებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ფინანსური ინჟინირინგი - არის იმ ფინანსური სიახლეების, აღმოჩენების წყარო, რომლებიც ფინანსური ბაზრის მონაწილეებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტური რეაგირება მოახდინონ ცვლილებებზე, აღიჭურვონ ამ მიზნით უკვე არსებული ახალი საფინანსო ინსტრუმენტებით და საოპერაციო სქემებით.

რისკების მართვის ეს მეთოდი უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში აქტიურად ვითარდება როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიულად. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინფრასტრუქტურა არასაკმრისადაა განვითარებული, ფინანსურ ინჟინერიას შეუძლია მოიტანოს დადებითი შედეგები.

საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის მეთოდების სრული კლასიფიკაცია მოცემულია ცხრილზე 3.2. რისკების მართვის ყველა მეთოდი სამ ჯგუფადაა დაყოფილი: რისკის მიღება (თვითდაზღვევა), რისკის თავიდან აცილება (რისკიდან გადახრა), რისკის გადაცემა (რისკის განაწილება).

საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის პროცესი განუსაზღვრელობის პირობებში შეიძლება დაეყოთ 6 ეტაპად.

- მიზნის განსაზღვრა - საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ფუნქციონირების უზრუნველყოფა (გაუთვალისწინებელ პირობებში ინფლაციის მაღალი დონე, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ფულადი სახსრების მკვეთრი გადინება);
- საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ რისკის შეცნობა;
- რისკის შეფასება - საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის მიერ რისკის სერიოზულობის და შესაძლო ზარალის განსაზღვრა;

ცხრილი 3.2. რისკების მართვის კლასიფიკაციის მეთოდები

რისკების მართვის მეთოდები				
რისკის მიღება (თვითდაზღვევა)		რისკის თავიდან აცილება		რისკის გადაცემა (რისკის გადანაწილება)
თვითდაზღვევა რისკის ფონდის წარმოქმნით	თვითდაზღვევა რისკის ფონდის წარმოქმნის გარეშე	რისკის ხარისხის დაწევა პრევენციული ლოკალიზაციით და მინიმიზაციით	უარი სარისკო ოპერაციებზე	დაზღვევა
ლიმიტირების გამოყენება	დივერსიფიკაცია (დისიპაცია სახეობების შერწყმის მიხედვით)	პრევენციული ღონისძიებების პროგრამები	საინვესტიციო პოლიტიკის კონსერვატიულ ტიპზე გადასვლა	რისკის პირველადი განაწილება პირდაპირი დაზღვევა
თვითდაზღვევა ბიზნეს ჯგუფში	ჰეჯირება			რისკის პირველადი გართულებული განაწილება
ურთიერთდაზღვევა	კეპტიური დაზღვევა			ორმაგი დაზღვევა
თვითდაზღვევის ფორმის გართულება				დაზღვევა სადაზღვეო პულებით და სინდიკატებით
				რისკების მეორადი განაწილება, ხელახალი დაზღვევა
				რისკების მესამე განაწილება

- რისკების მართვის მეთოდების არჩევა (გამარტივება, დანაკარგების თავიდან აცილება და კონტროლი, დაზღვევა, შთანთქმა). კონკრეტული მეთოდი საინვესტიციო საქმიანობის რისკის სუბიექტის მიერ შეირჩევა რისკის სახეობაზე დამოკიდებულებით.
- შერჩეული მეთოდის გამოყენება. თუ მაგალითად, საინვესტიციო საქმიანობის მართვის მეთოდად განუსაზღვრელობის პირობებში შერჩეულია დაზღვევა, მაშინ შემდეგი ნაბიჯი იქნება დაზღვევის შეთანხმების გაფორმება (სადაზღვეო პოლისის შექმნა). დაზღვევის გარდა, ნებისმიერი რისკის მართვის სტრატეგია მოიცავს ზარალის თავიდან აცილების და კონტროლის პროგრამას.
- შედეგების შეფასება მიმდინარეობს სისტემის ზუსტი ინფორმაციის ბაზაზე, რომელიც საშუალებას იძლევა გადაიხედოს არსებული ზარალი და მისი თავიდან აცილებისათვის განხორციელებული ქმედებანი.

საინვესტიციო და სამეურნეო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის პირობებში მოიცავს: ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შედეგების გამოვლენას განუსაზღვრელობის სიტუაციაში; სისტემების შეგუებასა და ფუნქციების აგებას გარემოს ცვალებადობის მიმართ; ზომების შემუშავებასა და მიღებას, რომელთა დახმარებითაც შეიძლება განეიტრალებული ან კომპენსირებული იქნეს მოქმედებების სავარაუდო ნეგატიური შედეგები. განვიხილოთ სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვის ეს სამი პოზიცია ნაწილობრივი განუსაზღვრელობის ორი სახეობის გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება რისკებში გამოვლინდეს. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესი განუსაზღვრელობის ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სქემის სახით. (ცხრილი 3.3.).

ცხრილი 3.3. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის ფაქტორების გათვალისწინებით

განუსაზღვრელობის სახე, მისი გამოვლენის ფორმა რისკის სახით	რისკის მიზეზები	განუსაზღვრელობის ფაქტორები	რისკის კომპენსაციის შეთავაზება
<p>განუსაზღვრელობა, რომელიც დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობებთან. საწყისი მასალის მიუღებლობის რისკი მინოდების ხელშეკრულების დარღვევის გამო. შედეგს წარმოადგენს არსებული რესურსების გამოყენების ეფექტურობის დაწევა და საწარმოს რენტაბელურობის დონის შემცირება.</p>	<p>-მიმწოდებელთან გაუთვალისწინებელი სიტუაციის აღმოცენება, რომელსაც საწარმოსათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოების ხელშეკრულების პირობების შესრულების შეუძლებლობამდე მივყავართ</p> <p>-მიმწოდებლის მიერ მოლაპარაკების ჩაშლაზე ან მისი პირობების (ვადების, ფასების, მოცულობების, პროდუქციის ხარისხზე, მოთხოვნების) შეცვლაზე გადანაცვლებების მიღება</p> <p>-ტრანსპორტის ავარიულობა</p>	<p>სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის სართო არასტაბილურობა.</p> <p>-სამართლებრივი და სახელშეკრულებო პირობების შესრულების ტრადიციის არარსებობა.</p> <p>-საერთო ტემპებისა და მანეთის სავალუტო კურსების უთანასწორობა; სხვადასხვა დარგებსა და რეგიონებში ფასების ზრდის ნახტომები.</p> <p>-მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლების დინამიკის არათანაბრობა.</p> <p>-საწარმოს სარეზერვო საშუალებების უკმარისობა მომწოდებლის მიერ ფასების გაზრდის საკომპენსაციოდ</p>	<p>-მიწოდებლების დივერსიფიკაცია, მიმწოდებლების შემადგენლობების ზრდა; ფინანსური რეზერვების შექმნა ან „ცხელი“ საკრედიტო ხაზების მოშაღება გაუთვალისწინებელი დანაბარჯების შემთხვევაში.</p> <p>ფასების დარგობრივი (დინამიკის პროგნოზირება).</p> <p>-საწარმოს საქმიანობაში ტრადიციული მიმწოდებლების მოზიდვა ხელშეკრულებების დადების, მოგებაში მონაწილეობის ან აქციების შექმნის გზით.</p> <p>-საწყისი მასალის სადაზღვეო მარაგის შექმნა.</p> <p>-საწარმოს ფუნქციონირების სისტემის წინასწარი დამუშავება ალტერნატიული მომწოდებლების ძებნის პირობებში.</p>
<p>განუსაზღვრელობა, დაკავშირებული პროფილური ტექნოლოგიის რეალიზაციასთან.</p>	<p>-ყველა ტრადიციულ და პოტენციური მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის</p>	<p>საწყისი რესურსების მიმწოდებლის სუსტი დივერსიფიცირებულობა.</p> <p>-სოციალ-ეკონომიკური</p>	<p>-ვერტიკალური ინტეგრაცია „ქვევით“ და კვაზინიტეგრაცია (მართვის ცალკეული ფუნქციების გაერთიანება).</p>

<p>-პროფილური ტექნოლოგიის სრული არარეალიზაციის რისკი მოცემულ სიტუაციაში აუცილებელი საწყისი პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დადების შეუძლებლობის გამო</p>	<p>თქმა. მათი სანარმოსთვის მიუღებელი პირობები. -სანარმოს უდიდესი კონცენტრაცია პროფილური ტექნოლოგიის შეზღუდულ ნაკრებზე. -სანარმოს დივერსიფიკაცია -მომწოდებელი სტრუქტურის დივერსიფიკაცია. -ტრადიციული მომწოდებლების სხვა მოცემული სანარმოსთვის არასუბსტიტუციონალური პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა.</p>	<p>სიტუაციის არასტაბილურობა უმოკლეს ვადებში მაქსიმალური მოგების მიღწევის სტრატეგიის ფართო გავრცელება.</p>	<p>-საკრედიტო ხაზების დროული მომზადება ნინასნარი გადახდის აუცილებლობის შემთხვევაში -მომწოდებელთან პირადი კონტაქტების გაფართოება და მხარდაჭერა.</p>
---	--	--	--

რისკების დაწვევის ღონისძიებების ეფექტიანობა განისაზღვრება შემდეგი ქმედებების მეშვეობით:

1) განიხილება რისკი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საინვესტიციო პრაქტიკისათვის.

2) განისაზღვრება საშუალებათა გადახარჯვა, არაკეთილსასურველი მოვლენის დადგომის ალბათობის გათვალისწინებით.

3) განისაზღვრება შესაძლო ღონისძიებების ნუსხა, რომლებიც მიმართულია სარისკო მოვლენების ალბათობისა და საშიშროების შესამცირებლად.

4) განისაზღვრება დამატებითი დანახარჯები შემოთავაზებული ღონისძიების რეალიზაციაზე.

5) ხდება შემოთავაზებული ღონისძიების რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯების შედარება სახსრების შესაძლო გადახარჯვებთან, სარისკო მოვლენების დადგომის შედეგად.

ბ) მიიღება გადაწყვეტილება რისკის სანინალმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე ან მათზე უარის შესახებ.

პროცედურებისა და ზომების ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც საშუალებას იძლევა რისკის შემთხვევაში საქმიანობის უარყოფით შედეგებზე დროულად მოხდეს რეაგირება არის სპეციალურად დამუშავებული სიტუაციური გეგმა. ის მოიცავს მითითებებს, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მუშაკმა ამა თუ იმ სიტუაციაში და მოსალოდნელი შედეგების აღწერას.

ეყრდნობიან რა სიტუაციურ გეგმას, პირებს, რომლებიც სარისკო გადაწყვეტილებების რეალიზაციას ახდენენ, აქვთ საშუალება სწრაფად იმოქმედონ არაკეთილსასურველ პირობებში და გაუთვალისწინებელი სიტუაციებს უფრო მომზადებულნი შეხვდნენ. ამგვარად, სიტუაციური გეგმები ემსახურებიან განუსაზღვრელობის შემცირებას და დადებით ზემოქმედებას ახდენენ სუბიექტის საქმიანობაზე რისკის პირობებში.

ორგანიზაციის მთავარი ამოცანა მდგომარეობს რისკების, როგორც განუსაზღვრელობის გამოვლინების ფორმის მართვაში, რომლებიც საინვესტიციო საქმიანობის მსვლელობაში დასახული ამოცანების მიღწევებზე გავლენას ახდენენ.

მოვალეობების განაწილების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის განაწილების ბარათის (რუქის) მეთოდი, რომელიც რისკ-მენეჯმენტის დანართში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხრილის ფორმით. ეს მეთოდი შემუშავებული იყო ჯერ კიდევ პროექტი „აპოლონი“-ის ფარგლებში ამერიკელი კოსმონავტების მთვარეზე გადასვლის მიზნით, რომელმაც შემდეგ არაერთხელ გაამართლა თავისი პრაქტიკული დანიშნულება მმართველობითი მოვალეობების განაწილებისას სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ქვემოთ მოცემულია პასუხისმგებლობის განაწილების ხაზობრივი რუქა რისკ-მენეჯმენტის მიხედვით. (ცხრილი 3.4)

ცხრილი 3.4. პასუხისმგებლობის განაწილების ხაზობრივი რუქა რისკ-მენეჯმენტის მიხედვით

მმართველობითი რისკი	პრობლემის დასმა	დაგეგმვა	გადაწყვეტილების მიღება	გადაწყვეტილების შესრულების ორგანიზაცია	კონტროლი	კადრების სწავლება
ქვეფუნქციები						
დანაკარგებზე ექსპოზიციის იდენტიფიკაცია და ანალიზი						
რისკების მართვის ალტერნატიული მეთოდების შესწავლა						
რისკების მართვის ტექნოლოგიის ადაპტაცია და გამოყენება						
რისკების მართვის მონიტორინგი						

ცნობილია ამავე მეთოდის მეორე ვარიანტი, რომელიც გულისხმობს რამდენადმე განსხვავებული სახის მატრიცის აგებას (ცხრილი 3.5.). ამ შემთხვევაში მატრიცის თავში მოცემულია თანაშემსრულებლების ნუსხა, არეალში კი პირობითი ნიშნები, რომლებიც აღნიშნავენ გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების ეტაპებს.

ცხრილი 3.5. რისკ-მენეჯმენტის მატრიცა

ფუნქციები	ქვეგანყოფილების შემსრულებლები და თანამშრომლები			
	დაგეგმარება	ორგანიზაცია	შეთანხმება	კონტროლი
რისკების დიაგნოსტიკა და იდენტიფიკაცია				
სარისკო ექსპოზიციების ანალიზი				
რისკების მართვის მეთოდის არჩევანი				
რისკების მართვის პროგრამის დანერგვა				
რისკ-მენეჯმენტის შედეგების მონიტორინგი				

პირველი მეთოდი მისაღებია, როცა მასში ჩართული ბევრი თანამშრომლებელი. ამრიგად, რისკების მართვის პროგრამაში მოვალეობებისა და ვალდებულებების განაწილება შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის ფორმით, სადაც პირველი იქნება დროებითი, ხოლო მეორე მუდმივი.

მოვალეობების განაწილების ხაზოვანი რისკის მეთოდს (LKPO) აქვს ძალიან ფართო დიაგნოსტიკური და პროექტირებადი შესაძლებლობები და გამოყენების ვარიანტები (იხ. ცხრ. 3.6.)

ცხრილი 3.6. რისკ მენეჯმენტის LKPO მატრიცა

გადაწყვეტილებების ციკლი	რისკ მენეჯმენტის ციკლი			
	დირექტორი	...	რისკ-მენეჯერი	შიდა უდიდის განყოფილება
რისკების დიაგნოსტიკა				
სარისკო ექსპოზიციების ანალიზი და იდენტიფიკაცია				
შედეგების მონიტორინგი				

რისკების მართვის ფუნქციის შერჩევის პროცესი სხვადასხვა ორგანიზაციებში ისეთივე სპეციფიკურია, როგორც მათი ბიზნესი. თუმცა, მასში არის სტრუქტურულად მტკიცე შემადგენელი ნაწილებიც. ესაა რისკების კარტოგრაფირება და ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ამ სამუშაოს თავის თავზე იღებს.

რისკების კარტოგრაფირება მდგომარეობს ეკონომიკური სუბიექტის საინვესტიციო საქმიანობის ვიწრო და სარისკო ადგილების განსაზღვრაში ტექნოლოგიურ, გეოგრაფიულ, ფსიქოლოგიურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებში. კონკრეტული, სიდიდით მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც განლაგებულნი არიან ერთ რეგიონში და მსგავსნი არიან როგორც ზომებით, ასევე რიგი სხვა პარამეტრით გააჩნიათ ერთნაირი რისკის დონე, მაგრამ განსხვავებულნი არიან თავიანთი კონკრეტული შინაარსით. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია რისკების კარტოგრაფირებისას. რისკების კარტოგრაფირების სამუშაოებზე საჭიროა გარე ექსპერტების მოზიდვა, რომელთაც აქვს უნარი ახლებურად შეაფასონ ორგანიზაციაში სიტუაცია.

ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს აგრეთვე ობიექტების კომპიუტერული ანალიზი

Cognos PowerPlay© ტიპის პროგრამების საფუძველზე. ეს არის ძალიან სპეციფიკური და მძლავრი ინსტრუმენტი, რომელიც შექმნის მოსახერხებელ და მარტივ ინტერფეისს საბოლოო მომხმარებლისათვის - კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ შემუშავებლისგან სპეციალურ სამეცნიერო-გამოყენებით კვალიფიკაციას მოითხოვს. ასეთი მეთოდის გამოყენება გარეგანი ექსპერტების მოზიდვით გამართლებულია საქმიანობის სფეროებში, რომლებიც მოცემული ორგანიზაციისთვის კრიტიკულნი არიან. ეს განსაკუთრებით ეხება კრიტიკულ, ე.ი. პოტენციურად დამანგრეველ კარტოგრაფირებულ რისკებს. ამ ტიპის რისკები საჭიროა გამოვლინდეს და გაანალიზდეს განსაკუთრებულად. კორპორაცია Microsoft -ის რისკების რუქა კონფიდენციალურია და მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე საქმიან რისკებს. ზოგიერთი რისკის განთავსება რუქაზე უფრო დასაბუთებულია მათი რაოდენობრივი შეფასების თვალსაზრისით, ნაწილის კი რუქაზე ხვდება სათანადო გაანგარიშების გარეშე მათი სიხშირისა და ზარალის შესახებ ჩვენი ვარაუდის საფუძველზე. რისკების კარტოგრაფირება ეყრდნობა Microsoft-ის სამწლიან გეგმას, რადგან არაეფექტურია მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის დაფიქსირება, რასაც შეიძლება მოყვეს არააქტუალური გადაწყვეტილებების მიღება.

რისკ-მენეჯმენტის სისტემის განვითარება მსოფლიოს წამყვან კომპანიებში (Do Pont. Microsoft) მიმდინარეობდა რამდენიმე წლის განმავლობაში და რამდენიმე ეტაპად, მაგალითად, Do Pont-ის კომპანიამ შეიმუშავა რისკებთან ურთიერთობის პოლიტიკა, რისკ-მენეჯმენტის დირექტივები, სტრატეგია და მეთოდები. დაარსდა რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი და რისკ-მენეჯმენტის ქსელი. კომიტეტისა და ქსელის წევრები გახდნენ Do Pont -ის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ რისკების მართვაში. მაგ: სადაზღვეო და საოპერაციო რისკებზე პასუხისმგებლობა დააკისრეს რისკ-მენეჯერს, რომელიც საერთაშორისო რისკებით იყო დაკავებული. ამან ფირმას რისკ-

მენეჯმენტის მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების შესაძლებლობის საშუალება მისცა.

კორპორაციამ შეიმუშავა რისკების შემდგომი ინტეგრაციისათვის ერთიანი მიდგომა, თავისი საქმიანობა დაუქვემდებარა რისკის ღირებულების კონცეფციის მოთხოვნებს სანარმოს ფარგლებში.

EAR რისკის ღირებულების კონცეფციის დახმარებით Do Pont -ის სპეციალისტებმა შეძლეს შეესწავლათ რისკების ყველა კლასი, მათი ზემოქმედება მოგებაზე. ეს მეთოდი ძირეულად განსხვავდება შედარებითი მაჩვენებლების საფუძველზე რისკების მართვისაგან. Do Pont -ის კომპანიის ხელმძღვანელობამ EAR-ის მეშვეობით შეძლო სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულების რისკების და თითოეული რისკის შემადგენელი ნაწილის გამოვლენა და მათზე შემდგომი ზემოქმედება და ამ ზემოქმედების მეთოდების შერჩევა.

კომპანია Do Pont რისკების მართვისათვის ადრე იყენებდა რისკ-მენეჯმენტის ცილინდრულ (stovepipe) მეთოდს. ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა კომპანიის საქმიანობა გაანალიზოს მთლიანად და განსაზღვროს რეალური რისკები, აგრეთვე მათგან ისეთებიც, რომელთაგან ერთი მეორეს კომპენსაციას უკეთებს. ადრე მენეჯერები გამუდმებულ კომფლიქტში იყვნენ, თითოეულს უნდოდა თავად ემართ საკუთარი რისკი, ნაცვლად იმისა, რომ რისკებისათვის კომპლექსურად შეეხედათ (enterprise wide). ახალი მეთოდი Do Pont -ის მენეჯერებს საშუალებას აძლევს ზუსტად წარმოადგინოს და გადმოსცეს ინფორმაცია, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. გარდა ამისა Do Pont შეუძლია შემოსავლების განსაზღვრული დონის დადგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაანალიზება რისკის განსაზღვრული დონის გათვალისწინებით, რამდენადაც საშუალება აქვს განმარტოს რისკები, რომლებსაც იგი აწყდება.

3.3. ფირმის რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარება

დღეისათვის ცნობილია რისკ-მენეჯმენტისადმი ორი განსხვავებული: ძველი, ტრადიციული და ახალი მიდგომა. იხ. ცხრილი 3.7.

ცხრილი 3.7. რისკ-მენეჯმენტის ძველი და ახალი პარადიგმების ძირითადი ნიშნები

ძველი პარადიგმა	ახალი პარადიგმა
<p>ფრაგმენტირებული რისკ-მენეჯმენტი: თითოეული განყოფილება დამოუკიდებლად მართავს რისკებს (თავისი ფუნქციების შესაბამისად). ეს ეხება ბუღალტერიას, საკრედიტო და სარევიზიო განყოფილებებს.</p> <p>ეპიზოდური რისკ-მენეჯმენტი: რისკების მართვა ხორციელდება მაშინ, როცა ამას მენეჯერები ჩათვლიან საჭიროდ.</p> <p>შეზღუდული რისკ-მენეჯმენტი: ეხება სადაზღვეო და ფინანსურ რისკებს.</p>	<p>ინტეგრირებული-გაერთიანებული რისკ-მენეჯმენტი: რისკების მართვის კოორდინირება ხდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. ორგანიზაციის თითოეული თანამშრომელი რისკ-მენეჯმენტს განიხილავს, როგორც თავისი სამუშაოს ნაწილს.</p> <p>უნყვეტი რისკ-მენეჯმენტი: რისკების მართვის პროცესი უნყვეტია.</p> <p>გაფართოებული რისკ-მენეჯმენტი: განიხილება მათი ოპტიმიზაციის ყველა რისკი და შესაძლებლობა.</p>

საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემა უნდა აიგოს სტრუქტურულ-ორგანიზაციული და საპროცესო-ფუნქციონალური მიდგომების შერწყმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს რისკების მართვის ძირითად ღონისძიებებს, საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის

პროცესს, მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურებს და მათ ძირითად ფუნქციებს. (ცხრილი 3.8.)

ცხრილი 3.8. საპროცესო ფუნქციონალური და საორგანიზაციო-სტრუქტურული მიდგომების შერწყმა საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემის აგებისას

რისკის დონე ორგანიზაციულ ლონისძიებებზე	საინვესტიციო საქმიანობის ინტეგრალური რისკი	რისკის დაზღვევადი დონა	საინვესტიციო საქმიანობის რისკის ნაშთი		
რისკების მართვის ზომები	რისკის დონის ინტეგრალური შეფასება	რისკის თავიდან აცილება	რისკის შემცირება	რისკის დაყოფა	რისკის ნაშთის თავის თავზე აღება. (რისკის შთანთქმა)
რისკების მართვის ძირითადი ლონისძიებები	რისკის ინტეგრალური შეფასება, რისკგეგმის დამუშავება	პრევენციული ლონისძიებების გეგმის შესრულება. (გამარტივებული თვითდაზღვევა).	რისკის განაწილება პარტნიორებთან გარეგანი თვითდაზღვევა (უროთიერთდაზღვევა, კეპტიური დაზღვევა)	დაზღვევა	რისკის ნაშთის დონის მისაღებადობის შეფასება, შინაგანი თვითდაზღვევა
მართვის პროცესი	იდენტიფიკაცია	რეგულირება	რეგულირება	რეგულირება	რეპორტიინგი, კონტროლი
საინვესტიციო საქმიანობის რისკის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები	საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება. რისკ მენეჯმენტის სამსახურის საინვესტიციო საქმიანობის რისკის შეფასების ქვეგანყოფილება	რისკ-მენეჯმენტის სამსახურის პრევენციული ზომების ქვეგანყოფილება	იურიდიული განყოფილება, საგეგმონეკონომიკური განყოფილება, მარკეტინგის, გაყიდვებისა და გასაღების განყოფილებები, რისკ-მენეჯმენტის სამსახურის თვითდაზღვევის განყოფილება	იურიდიული განყოფილება, გეგმიურეკონომიური განყოფილება, რისკ-მენეჯმენტის სამსახურის თვითდაზღვევის განყოფილება	იურიდიული განყოფილება, გეგმიურეკონომიური განყოფილება, საინვესტიციო საქმიანობის რისკის შეფასების ქვეგანყოფილება და რისკ-მენეჯმენტის სამსახურის თვითდაზღვევის განყოფილება
ორგანიზაციული სტრუქტურა	საინვესტიციო საქმიანობის ინ-	პრევენციული ლონისძიებების	იურიდიული სქემა. თვითდაზღვევის	იურიდიული სქემა, დაზღვევის	საინვესტიციო საქმიანობის რის-

რების ფუნქციები	ტივგრაღური რისკის შეფასება და კალკულაცია. რისკ-გეგმის შესრულების კონტროლი	პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.	გეგმის რეალიზაცია და დამუშავება კონტრაგენტებთან, რისკის განაწილების შესახებ მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება და განხორციელება რისკის განაწილებით	პროგრამის დამუშავება და რეალიზაცია	კის ნაშთის კლკულაცია და მეფასება, სეკურიტიზაცია, დივერსიფიკაცია, ჰეჯირება, სასაქონლო შესყიდვებისა და ფინანსური რეზერვების მართვა, რისკ-გეგმის შესრულების კონტროლი.
-----------------	---	---------------------------------------	---	------------------------------------	--

საინვესტიციო საქმიანობის რისკის მართვის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის აგების მიზნით აუცილებელია გავითვალისწინოთ საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების სპეციალიზაციის სხვადასხვა დონე, განსხვავებული მიზნები და ფაქტორები. შერჩეული ორგანიზაციული სტრუქტურა მონოდებულია უზრუნველყოს რისკ-მენეჯერების მუშაობის რაციონალური ორგანიზაცია, მართვის ყველა ფუნქციის წარმატებული განხორციელება და რისკ-მენეჯმენტის წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

მსოფლიო ბიზნეს სფეროში არსებობს ორგანიზაციული სტრუქტურის 2 ჯგუფი:

1) კლასიკური (ტრადიციული) ორგანიზაციული სტრუქტურები;

2) ადაპტაციური ორგანიზაციული სტრუქტურები.

ორგანიზაციული წყობის კლასიკურ სტრუქტურებს (ტრადიციულ) ფორმებს მიეკუთვნებიან.


1) ფუნქციონალური სტრუქტურები;

2) დივიზიონალური სტრუქტურები.

ფუნქციონალური სტრუქტურა გულისხმობს ორგანიზაციაში მეტნაკლებად განკერძოებული ქვეგანყოფილებების არსებობას, რომლებიც ფუნქციების რეალიზებას ახდენს საქმიანობის ცალკეულ დარგებში და სფეროებში (მართვის, საოპერა-

ციო, მარკეტინგის, საბუღალტრო აღრიცხვის, სამეურნეო და სხვა). თუ მოცემული ქვეგანყოფილებების მიერ გადასაჭრელი ამოცანების მოცულობა საკმარისად დიდია, მათ შიგნით შეიძლება შეიქმნას დამატებითი, უფრო წვრილი სტრუქტურული ერთეულები. ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურის დროს მთელი საქმიანობა გადანაწილდება სამსახურებს შორის, რომლებიც ახორციელებენ მკაცრად რეგლამენტირებულ ფუნქციებს. ფუნქციონალური სტრუქტურის დროს მეტნაკლებად ოპტიმალურია რისკ-მენეჯმენტის სამსახურის წყობა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 3.6.

ნახ. 3.6. რისკ-მენეჯერის სამსახური ფუნქციონალური ორგანიზაციის დროს



დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა ორიენტირებულია პროდუქტის წარმოებაზე, მომხმარებელთა განსაკუთრებულ ჯგუფებსა და რეგიონებზე.

პროდუქციაზე ორიენტირებული ქვეგანყოფილებები მიზანშეწონილია შეიქმნას მაშინ, როცა ორგანიზაცია თავის მომხმარებლებზე ცალკეული სახეობის პროდუქტის (მომსახურების) ძალიან მნიშვნელოვანი მოცულობების რეალიზებას ახდენს. კლიენტების (მომხმარებლების) განსაკუთრებულ ჯგუფზე ორიენტირებული სტრუქტურული წყობა ახასიათებს სპეციალიზაციის დონეს.

დივიზიონალურ-ორგანიზაციული სტრუქტურის დროს რისკ-მენეჯმენტის სამსახური ინარჩუნებს ზემოთჩამოთვლილ (ნახატზე 3.6) ფუნქციონალურ განყოფილებებს საქმიანობის მიმართულების მიხედვით (ინფორმაციულ-ანალიტიკური განყოფილება, დაგეგმარებისა და რისკების მართვის განყოფილება, რისკის მონიტორინგისა და კონტროლის განყოფილებები, მათი ქვეგანყოფილებებით). მაგრამ ასევე იქმნება სპეციალიზირებული ქვეგანყოფილებების დონეებზე ქვეგანყოფილებების კურატორთა და მეთოდური უზრუნველყოფის ჯგუფები (ნახ. 3.7.)

ნახ. 3.7. საინვესტიციო საქმიანობის რისკ-მენეჯმენტის დივიზიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა

კოორდინატორი

ქვედანაყოფის მთავარი რისკ-მენეჯერი	კურატორთა ჯგუფი მეთოდური უზრუნველყოფის ჯგუფი	ინფორმაციულ-ანალიტიკური განყოფილება
ქვედანაყოფის მთავარი რისკ-მენეჯერი	კურატორთა ჯგუფი მეთოდური უზრუნველყოფის ჯგუფი	რისკების მართვისა და დაგეგმარების განყოფილება რისკების კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილება

როგორც სქემიდან ჩანს ერთ კურატორს შეუძლია რამდენიმე ქვედანაყოფთან იმუშაოს რამდენიმე მთავარი პოზიციით. კურატორთა ჯგუფს სათავეში უნდა ყავდეს საინვესტიციო კომპანიის დირექტორი ან მოადგილე, რომელსაც შეუძლია შეაფასოს კონკრეტული რისკის განვითარების დინამიკა და მისი გავლენა საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის ყველა ძირითადი მიმართულებით.

თანამედროვე გაგებით რისკ-მენეჯმენტის სამსახური უნდა წარმოადგენდეს მატრიცულ სტრუქტურას, ფუნქციონალური განყოფილებების ვერტიკალურ სტრუქტურებთან ურთიერ-

თქმედების საფუძველზე. ეს იძლევა უფრო მოქნილი ადაპტირების საშუალებას განუსაზღვრელობის სხვადასხვა ფაქტორების მიმართ, იყენებს რა რისკების მართვის სხვადასხვა მეთოდებს, ახდენს რისკების მართვის პროცესის რეალიზებას საინვესტიციო საქმიანობის განვითარების ყველა მიმართულებით, რაც შემდეგი სქემის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:


კომპანია	მეთოდი	მეთოდის აღწერილობა
Chase	აქციონერული დამატებითი ღირებულება (SVA)	ქვეგანყოფილებების მოგების გაზომვა გადასახდელის დაქვითვის გზით, მოგებიდან მიღებული კაპიტალის სარისკო გამოყენების გამო.
do pont	რისკის ფილოსოფია. მოგება რისკის გათვალისწინებით. (EAR)	რისკის დაკავშირება ბიზნეს-სტრატეგიასთან და მასზე კონტროლის დამყარება. პოტენციალურად შესაძლებელი ზარალის მაქსიმიზაცია განსაზღვრული ნდობითი ინტერვალის ფარგლებში—რისკ-მენეჯმენტის ინტუიციურად გასაგები ენა.
Microsoft	intranet დრო,რისკ-მენეჯერების ინდივიდუალური შეხვედრებისათვის სხვა მუშაკებთან	ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებისა და მიღების ბადისებრი მეთოდის გამოყენება. რისკ-მენეჯმენტის ჯგუფის წევრების კონსულტაციები სხვა მუშაკებისათვის, კონსულტირებადი თანამშრომლების ცოდნისა და შექმნის გამოყენება "უკუტალის" ეფექტით.
United Gvain Grovers (UGG)	ინფორმაციის გაცვლა, ანალიტიკური მეთოდი	რისკის სფეროში ზუსტად ფორმულირებული პოლიტიკა და მისი დაშვების ხარისხი. რისკების გაზომვა და სცენარების შემუშავება
Unocal	რისკის შეფასება	რისკების ყოველწლიური აუცილებელი შეფასება კომპანიის ქვეგანყოფილებებში. შიდა რევიზიის ჩატარების დროს ინსტრუქციის დაცვაზე, გარე სამყაროს მდგომარეობის ანალიზზე, პერსონალის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე დაფუძნებული მიდგომის შეცვლა, რისკების შეფასებაზე და ურთიერთშემომებაზე დამყარებული მიდგომით.

ორგანიზაციის სტრუქტურების ადაპტირების ასამალ-
ლებლად მიზანმიმართულია განსაკუთრებული წესით შეიქ-
მნას რისკ-მენეჯმენტის სამსახურები (იხ. ნახ. 3.8).

რისკების კონფიგურაციის და ერთიანობის გარკვევის
შემდეგ შეიძლება დაინწყოს საინვესტიციო საქმიანობის კონ-
კრეტული სუბიექტის ორგანიზაციული სტრუქტურების და-
მუშავება. მისი კონკრეტული საშტატო განრიგი დამოკიდებუ-
ლია მრავალ ფაქტორზე: ორგანიზაციის განვითარების ეტაპ-
ზე, სარისკო პროფილზე, ორგანიზაციის თანამშრომლების
რაოდენობაზე. ტექნოლოგიის თავისებურებებსა, მოცემული
ბიზნესის ფინანსურ მასშტაბებზე, ორგანიზაციის იურიდიულ
ვალდებულებებზე, საერთო მართვის და რისკებისაგან დაც-
ვის სტრატეგიაზე.


დასავლეთის ფირმების უმრავლესობას შტატში სპეცია-
ლური რისკ-მენეჯერი ყავს, რომლის მოვალეობაში შედის
რისკის ყველა სახეობის შემცირების უზრუნველყოფა. ჩვეუ-
ლებრივ რისკების მენეჯერი რისკიან გადაწყვეტილებებზე
პასუხისმგებლობას იღებს ფირმის სხვა მენეჯერებთან კოორ-
დინაციაში.

ნახ. 3.8. რისკ-მენეჯმენტის სამსახური ადაპტირებულ საორგანიზაციო სტრუქტურაში



3.9. ნახაზზე ნაჩვენებია მცირე კომპანიებში რისკ-მენეჯმენტის სამსახურების ტიპური ორგანიზაციულ-სტრუქტურული სქემა, რომელიც გამოყენებულია აშშ - სა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.


ნახ. 3.9. რისკ-მენეჯმენტის მცირე სამსახურის სტრუქტურა



რაც შეეხება მსხვილ კომპანიებს რეკომენდირებულია რისკ-მენეჯმენტის სპეციალური დეპარტამენტის ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საინვესტიციო რისკების მთელ ერთობლიობასთან მიმართებაში.

იხილეთ რისკ-მენეჯმენტის დეპარტამენტის სტრუქტურა ნახ. 3.10-ზე, Chase-ბანკის მაგალითზე.

ნახ. 3.10. რისკ-მენეჯმენტის ბანკის Chase მმართველობითი სქემა



ყველაზე უფრო ხშირად რისკების მართვას თავისთავზე იღებს ფირმის უმაღლესი ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე, რომელსაც რამდენიმე სპეცისლისტი ეხმარება. ამ სპეციალისტების შემადგენლობა დამოკიდებულია თითოეული კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებზე, მაგრამ ერთიანობაში გამოიყენება მთელი სამუშაოს ორ მონაკვეთად დაყოფის ლოგიკა: უსიამოვნებების თავიდან აცილება და კონკრე-

ტული მოვლენების უსიამოვნო შედეგების შემცირება. მსოფლიოს ბევრ მსხვილ კორპორაციაში ამ დეპარტამენტის მოვალეობებში შედის შიდა დაზღვევა და კორპორაციის თანამშრომლების ბენეფიციარის (სოციალური დაცვა) მომსახურება. რისკ-მენეჯმენტის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული პერსონალის მართვის, ფირმის აუდიტის, ფინანსური დაგეგმვის და ანალიზის სამსახურებთან.

საინვესტიციო საქმიანობის რისკებთან ურთიერთობაში მენეჯერების ვალდებულებები მდგომარეობს იმაში, რომ:

- 1) შემუშავებული იქნას რისკების მართვის სტრატეგიული გეგმა და მეთოდები და წარდგენილი იქნას დირექტორთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად.
- 2) განხორციელდეს სტრატეგიული გეგმები და მეთოდები მას შემდეგ, რაც ისინი საბჭოს მიერ იქნებიან დამტკიცებულნი.
- 3) უზრუნველყონ მეთოდების, პროცედურებისა და სტანდარტების გამოყენების წესების შემუშავება, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებისათვის და მისი ძირითადი რისკებისათვის;
- 4) უზრუნველყონ რისკის დადგენილი ლიმიტების დაცვის კონტროლი;
- 5) უზრუნველყონ დაუყოვნებლივი ინფორმირება ამ ლიმიტების დაუცველობის ფაქტებზე;
- 6) უზრუნველყონ კონტროლის მეთოდების ადექვატურობისა და ლიმიტებისა და პროცედურების დაცვის ანალიზისა და შეფასების ჩატარება შიდა აუდიტორების მიერ;
- 7) გამოიმუშაონ და გამოიყენონ მმართველობითი ანგარიშიანობის სისტემები, რომელიც ადექვატურად ასახავს საქმიან რისკებს.

რისკ-მენეჯმენტის სამსახურის საქმიანობის საფუძველია რისკების მართვის სტრატეგიული პროგრამა. სტრატეგია მტკიცდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. პირვე-

ლადი ტექსტის სტრატეგიის ავტორი, როგორც წესი, არის მისი უმაღლესი ხელმძღვანელის ერთერთი მოადგილე, რომელსაც ევალება რისკ-მენეჯმენტის მუშაობის საერთო კოორდინაცია.

ამერიკული კომპანიის „ჯენერალ მილზის“ მიერ შემუშავებულ წერილობით სტრატეგიაში ჩანერილია, რომ რისკ-მენეჯმენტის განყოფილების ქმედებები ეყრდნობა კომპანიის ფილოსოფიას, ხარჯების შეფასებას, რაც რისკის დაზღვევასა და თავისთავზე აღებას შორის არჩევანის გაკეთების საფუძველი უნდა გახდეს. ყოველი რისკი „ჯენერალ მილზის“, მიერ უნდა იქნეს თავის თავზე აღებული თუ მისი მიღება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე სადაზღვევო პრემიების გადახდა. რისკ-მენეჯმენტის განყოფილების პასუხისმგებლობის სფეროში შედის ზემოთ ჩამოყალიბებული პოლიტიკის დანერგვის სამუშაო. კერძოდ:

1. დახმარების განევა ყველა ქვეგანყოფილებისა და ფილიალისათვის დაცვის პროგრამების პროექტირებასა, შექენასა და მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად.
2. ახალი საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზა, მათში რისკისაგან დაცვის ღონისძიებებისა და დაზღვევის მიზნით, ასევე სამშენებლო მოედნებისა და მზა შენობების ინსპექცია;
3. სადაზღვევო დაფარვის პოლისების შემუშავება და მათი კომპანიის გენერალური ინტერესების ადექვატურ მდგომარეობაში მოყვანა;
4. უცხოური სადაზღვევო პროგრამების შესწავლა;
5. კომპანიის ყველა კონტაქტის სადაზღვევო პუნქტების შესწავლა და ვიზირება მათ საბოლოო ხელმოწერამდე;
6. დანაკარგებისა და პრეტენზიების დაზუსტება და შესაბამისი ანგარიშების შედგენა;
7. დახმარების განევა კომპანიის სააღრიცხვო და ყველა სხვა დეპარტამენტისათვის დასაზღვევი ფასეულობების განსაზღვრაში;

8. შვილობილი სადაზღვევო კომპანიების ადმინისტრაციული მართვა.
9. ზემოთ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისას კომპანიის ყველა ქვეგანყოფილებისა და შვილობილი ფირმების თანამშრომლების მიერ შესაბამისი დახმარება გაენევა ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, რისკების მართვის კოორდინირებული ღონისძიების დანერგვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვა მიდგომებიც შემოთავაზებულ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- 1) რისკ-მენეჯმენტის სამსახურის შექმნა სასურველია მოვახდინოთ შემდეგი შემადგენლობით: საინფორმაციო-ანალიტიკური რისკის, რომელიც შეიცავს რისკის შეფასების, პერსპექტიული განვითარების, რისკების დაგეგმვისა და მართვის, პრევენციული ღონისძიებების, თვითდაზღვევის და დაზღვევის ქვეგანყოფილებებს და კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებებს.
- 2) აუცილებელია რისკ-მენეჯმენტის სამსახურის პირდაპირი დაქვემდებარება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის პირველი ხელმძღვანელისათვის.
- 3) რისკების მართვის სამსახურს (რისკ-მენეჯმენტის სამსახურს) დივიზიონალური და ადაპტური საორგანიზაციო სტრუქტურებთან ერთად უნდა დაემატოს რისკ-მენეჯერების ქვეგანყოფილებების კურატორებისა და მეთოდური უზრუნველყოფის ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ აუცილებელ გაანგარიშებებს და გამოკველევებს.

რისკ-მენეჯმენტის სამსახურს უნდა ჰქონდეს დებულება და თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს მის შესაბამისად.

3.4. რისკ-მენეჯმენტი, როგორც კომპანიის კულტურის ცვლილება

ამჟამად, მსხვილი კორპორაციები ახდენენ შიდასაფირ-
მო და საგარეო ინფორმაციის უდიდესი მოცულობის გენერი-
რებას. ასეთი ინფორმაციის რაციონალური გამოყენება და
მართვა რისკების ეფექტიანი მართვის საფუძველია.

რისკი ობიექტურია იმდენად, რამდენადაც ობიექტურია
მისი წარმომშობი მიზეზები და სარიკო სიტუაციების გადან-
ყვეტის შედეგები. რისკის ობიექტურობა მოითხოვს მის შეფა-
სებას ე. ი. ობიექტური რეალობის სუბიექტურ ასახვას. ასეთი
შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შესაძლებელი ალტერნატივე-
ბის და მათი რეალიზაციის ალბათობების შესახებ არსებულ
ინფორმაციას. სუბიექტის მიერ აუცილებელი რისკის თავის
თავზე აღება ხელს უწყობს განუსაზღვრელობის მოხსნას სა-
რისკო და პოტენციალურად მომგებიან სიტუაციაში, მისი ექ-
სპერიმენტალური გამოკვლევის გზით. ის აფართოებს ასპა-
რებს მომავალი რეგულარული, მეცნიერულად დასაბუთებუ-
ლი საქმიანობისათვის მსგავს სიტუაციაში შესაძლებელი და-
სასრულის და სიხშირეების შესახებ ინფორმაციის წარმოდგე-
ნის გზით, აგრეთვე ცოდნის გზით, რომელიც იძლევა რისკე-
ბის მართვის საშუალებას, ზრდის რა დადებითი შედეგების
მიღწევის და ნეგატიურიდან თავის არიდების შესაძლებლო-
ბას. უკანასკნელი მტკიცებულების კარგი ილუსტრირება
ხდება რისკების შედარებით კოსმოსში პირველი გაფრენისას
და თანამედროვე ფრენების დროს. რისკი, კოსმოსში გაფრე-
ნების დროს ჯერ კიდევ გარდაუვალია, მაგრამ ამჟამად არსე-
ბობს თანმხლები რისკების შეფასების სამეცნიერო ბაზა და
შემუშავებულია სარისკო ქმედებების სანინაალმდეგოდ მი-
მართული ღონისძიებანი. სარისკო სიტუაციების შესახებ
ცოდნის ექსპერიმენტალური გაფართოების და მისი განუსაზ-
ღვრელობის დონის დაწევის მიხედვით იზრდება სამეცნიერო
კომპონენტების როლი გადანყვეტილებების მიღებაში, სუბი-
ექტივიზმის როლი კი მცირდება.

8. შვილობილი სადაზღვევო კომპანიების ადმინისტრაციული მართვა.
9. ზემოთ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისას კომპანიის ყველა ქვეგანყოფილებისა და შვილობილი ფირმების თანამშრომლების მიერ შესაბამისი დახმარება გაეწევა ინფორმაციის მოპოვებასა და ანალიზში, რისკების მართვის კოორდინირებული ღონისძიების დანერგვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვა მიდგომებიც შემოთავაზებულ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- 1) რისკ-მენეჯმენტის სამსახურის შექმნა სასურველია მოვახდინოთ შემდეგი შემადგენლობით: საინფორმაციო-ანალიტიკური რისკის, რომელიც შეიცავს რისკის შეფასების, პერსპექტიული განვითარების, რისკების დაგეგმვისა და მართვის, პრევენციული ღონისძიებების, თვითდაზღვევის და დაზღვევის ქვეგანყოფილებებს და კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებებს.
- 2) აუცილებელია რისკ-მენეჯმენტის სამსახურის პირდაპირი დაქვემდებარება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტის პირველი ხელმძღვანელისათვის.
- 3) რისკების მართვის სამსახურს (რისკ-მენეჯმენტის სამსახურს) დივიზიონალური და ადაპტური საორგანიზაციო სტრუქტურებთან ერთად უნდა დაემატოს რისკ-მენეჯერების ქვეგანყოფილებების კურატორებისა და მეთოდური უზრუნველყოფის ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ აუცილებელ გაანგარიშებებს და გამოკველევენ.

რისკ-მენეჯმენტის სამსახურს უნდა ჰქონდეს დებულება და თავის საქმიანობას უნდა წარმართავდეს მის შესაბამისად.

3.4. რისკ-მენეჯმენტი, როგორც კომპანიის კულტურის ცვლილება

ამჟამად, მსხვილი კორპორაციები ახდენენ შიდასაფირ-
მო და საგარეო ინფორმაციის უდიდესი მოცულობის გენერი-
რებას. ასეთი ინფორმაციის რაციონალური გამოყენება და
მართვა რისკების ეფექტიანი მართვის საფუძველია.

რისკი ობიექტურია იმდენად, რამდენადაც ობიექტურია
მისი წარმომშობი მიზეზები და სარიკო სიტუაციების გადან-
ყვეტის შედეგები. რისკის ობიექტურობა მოითხოვს მის შეფა-
სებას ე. ი. ობიექტური რეალობის სუბიექტურ ასახვას. ასეთი
შეფასება უნდა ეყრდნობოდეს შესაძლებელი ალტერნატივე-
ბის და მათი რეალიზაციის ალბათობების შესახებ არსებულ
ინფორმაციას. სუბიექტის მიერ აუცილებელი რისკის თავის
თავზე აღება ხელს უწყობს განუსაზღვრელობის მოხსნას სა-
რისკო და პოტენციალურად მომგებიან სიტუაციაში, მისი ექ-
სპერიმენტალური გამოკვლევის გზით. ის აფართოებს ასპა-
რებს მომავალი რეგულარული, მეცნიერულად დასაბუთებუ-
ლი საქმიანობისათვის მსგავს სიტუაციაში შესაძლებელი და-
სასრულის და სიხშირეების შესახებ ინფორმაციის წარმოდგე-
ნის გზით, აგრეთვე ცოდნის გზით, რომელიც იძლევა რისკე-
ბის მართვის საშუალებას, ზრდის რა დადებითი შედეგების
მიღწევის და ნეგატიურიდან თავის არიდების შესაძლებლო-
ბას. უკანასკნელი მტკიცებულებების კარგი ილუსტრირება
ხდება რისკების შედარებით კოსმოსში პირველი გაფრენისას
და თანამედროვე ფრენების დროს. რისკი, კოსმოსში გაფრე-
ნების დროს ჯერ კიდევ გარდაუვალია, მაგრამ ამჟამად არსე-
ბობს თანმხლები რისკების შეფასების სამეცნიერო ბაზა და
შემუშავებულია სარისკო ქმედებების სანინაალმდეგოდ მი-
მართული ღონისძიებანი. სარისკო სიტუაციების შესახებ
ცოდნის ექსპერიმენტალური გაფართოების და მისი განუსაზ-
ღვრელობის დონის დაწვევის მიხედვით იზრდება სამეცნიერო
კომპონენტების როლი გადანყვეტილებების მიღებაში, სუბი-
ექტივიზმის როლი კი მცირდება.

რისკის ნებისმიერი კონსტრუქციული შეფასება გარდაუვალად ატარებს ორმაგ ხასიათს: ის ობიექტურიცაა და სუბიექტურიც. შეფასება ობიექტურია, რადგან ასახავს რისკის ობიექტურობას, ე.ი. ალტერნატივების და კავშირების სიმდიდრეს სარისკო სიტუაციებში მონაწილე ობიექტებსა და სუბიექტებს შორის. შეფასება სუბიექტურია, რამდენადაც იგი გარდაუვალად ასახავს რისკის მიმღები სუბიექტის ხასიათს (აზარტული - ფრთხილი) იმ ინფორმაციის სისრულის, უტყუარობის და სიზუსტის ხარისხს, რომელსაც ფლობს სუბიექტი სიტუაციის შესახებ, მის ანალიტიკურ უნარს, აგრეთვე მის მიერ შეფასებისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტების მეცნიერულ გაანგარიშებას, ინტუიციას და ა.შ. არ არსებობს რისკი მისი აღქმის გარეშე: სუბიექტი, რომელმაც არ იცის დასასრულის ალტერნატიულობის შესახებ და ვერ ხედავს საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, შევიდა რა ერთჯერადად (სარისკო) სიტუაციაში. ის, ვინც არ ეჭვობდა ამას, შევიდა სარისკო (ე.ი. პოტენციალურად მომგებიან) სიტუაციაში და წააგო, მაგრამ ამ სიტუაციას შემდგომ აღარ დაბრუნებია, ვერ ხვდება სხვა დასასრულის შესაძლებლობას, ამიტომ მის წარმოდგენაში მიზანი უბრალოდ მიუღწეველია. სიტუაციის განმეორება სხვა დასასრულით ხსნის სიტუაციის ალტერნატიულობას სუბიექტისათვის, ახალი მიდგომა კი მას სარისკოს ხდის. ახლა სუბიექტმა იცის შესაძლო დასასრულის შესახებ. ეს შესაძლებელს ხდის სუბიექტი მოემზადოს საფრთხესთან შესახვედრად. სუბიექტი იღებს ზარალის დადგომის ალბათობის შემცირების ღონისძიებებს: ახდენს ექსპოზიციის მინიმიზირებას (ე.ი. იმ აქტივების სიდიდეს, რომლებიც რისკს ექვემდებარება), გადააქვს ზარალი დამზღვევზე, ამზადებს სამართავ ობიექტს საფრთხესთან შესახვედრად.

თანამედროვე კორპორაციული რისკ-მენეჯმენტი (ინგლისურიდან Enterprise-Wide Risk Management, ERM), ან რისკების ინტეგრირებული მართვა მთელი ორგანიზაციის დონეზე და მათ საფუძველზე შექმნილი ERM სისტემები მოწოდებულნი არიან დააკვირდნენ რისკების ყველა სახეს, შეინახონ ეს

ინფორმაცია მონაცემთა ერთიან გლობალურ საცავში-ბანკში, რომელიც ახდენს საბაზო აპარატული სახსრების და წყაროების საბაზო მონაცემების დიდი მოცულობების კონსოლიდირებას და მოწესრიგებას, მათი ადგილმდებარეობისგან დამოუკიდებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ERM – სისტემის და მონაცემთა საინფორმაციო ბანკის ინტეგრირებას, უკვე არსებულ front-, midl- და bek- საოფისე სისტემებთან.

რისკების მართვასთან დაკავშირებული დასაბუთებული გადანყვეტილებების მიღების პროცესის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული არა მარტო მონაცემების სისრულესა და ხარისხზე, არამედ აგრეთვე ERM – შესაძლებლობებზე. აუცილებელია შეიქმნას სხვადასხვა ტიპის ანგარიშები და დანართები, რათა დროულად იქნას მიწოდებული ინფორმაცია საბოლოო მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მოხერხებულ ფორმაში. ანალიტიკური ინფორმაციის მიღების მაქსიმალური დროულობა ERM-სისტემაში შეიძლება მიღწეული იქნას ყველა პროცესისა და ანგარიშის ოპტიმიზაციის და ინფორმაციის მიწოდების თანამედროვე საშუალებების გამოყენების საფუძველზე. ამასთან ორგანიზაციისათვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოხერხებული და ეფექტური მეთოდია ანგარიშების პუბლიკაცია.

ინტეგრირებული შეფასება და რისკების მართვა ERM – სისტემაში ქმნის ჯვარედინი კლასიფიკაციის გამოყენების შესაძლებლობას. ჯვარედინი კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა ფორმირებული იქნას ანგარიშები აგრეგირების ნებისმიერ დონეზე: მთლიანად კომპანიების, რეგიონების, განყოფილებების, ინსტრუმენტების და ა.შ. მიხედვით. ჯვარედინი კლასიფიკაციის გამოყენება საშუალებას იძლევა დავინახოთ რისკის მთლიანი სურათი და მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილებიც.

რისკ-მენეჯერის საქმიანობის ეფექტიანობის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია – დარწმუნება იმაში, რომ მიღებული ანალიტიკური შედეგები მაქსიმალურად ზუსტია.

რისკის ნებისმიერი გაანგარიშების სიზუსტე დამოკიდებულია მოდელში მიღებულ ვარაუდებსა და დაშვებებზე. ERM-სისტემის შესაძლებლობა ამალღებს რწმენას ანალიტიკური შედეგების სიზუსტეზე. საუკეთესო ვარიანტად მოიაზრება სისტემა, რომელიც თვითონ შეარჩევს ყველაზე უფრო ადეკვატურ მოდელს კონკრეტული დროითი რიგისთვის და მოახდენს მის ოპტიმიზაციას.

ERM – სისტემები გახდნენ თანამედროვე ბიზნესის განუყოფელი თანმხლები სისტემები, რომლებიც რისკების ფუნდამენტურ დონეზე მართვის შესაძლებლობას იძლევიან.

3.5. პროექტების რისკების მართვა


პროექტის რისკი არის პროექტის განხორციელების განუყოფელი ნაწილი. იმის გამო, რომ პროექტები ყოველთვის შეიცავს რისკებს, მათი მართვა მოითხოვს რისკების შესაბამის მართვას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

პროექტების რისკ-მენეჯმენტი არის სამეწარმეო რისკების მართვის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. უპირველესყოვლისა, იგი ემყარება პროექტის სასიცოხლო ციკლის თეორიას. (იხ. ნახ. 3.11).

პროექტის წარმატებული მართვა მოითხოვს შემდეგს:

- პროექტის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებულ იქნას რისკები;
- განიხილონ საფრთხეები და შესაძლებლობები;
- მოხდეს რისკების ანალიზი;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს რისკებზე პასუხისმგებლობა;
- აღინეროს პროექტის რისკები;
- განხორციელდეს მეთვალყურეობა რისკებზე და მასთან დაკავშირებულ ამოცანებზე.


ნახ. 3.11. პროექტის სასიცოცხლო ციკლი



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 201.

პროექტების შეფასების დროს მნიშვნელოვანია რისკებისა და განუსაზღვრელობის ანალიზი, სადაც რისკის და განუსაზღვრელობის თითოეულ კომბინაციას თავისი შედეგი გააჩნია. ყოველივე ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული რისკების მართვისას (იხ. ნახ. 3.12).

ნახ. 3.12. რისკი VS განუსაზღვრელობა პროექტებში



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 251.

შეფასების სპეციალურ წესებზე პირებს, ვინც ახორციელებენ პროექტებს, პირამიდის მშენებლობის შემდეგ აქვთ შეფასებითი პრობლემები. ექსპერტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სწავლობდნენ არაეფექტიანი შეფასების გამომწვევ მიზეზებს. მათი აზრით ყოველივე ამას იწვევს ის, რომ ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ ტექნიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ფაქტორებს და ამასთან ერთად ბიზნესის არსებული მდგომარეობის ცვლილებისას ვერ ახდენენ ახლად შექმნილ სიტუაციასთან გამკლავებას.

თანამედროვე რისკ-მენეჯმენტში ფართოდ არის გავრცელებული პროექტის რისკ-მენეჯმენტის PRAM მოდელი

(პროექტის რისკის ანალიზი და მართვა), რომელიც ემყარება მოთხოვნებს:

- სწორად შერჩეული მეთოდი ზრდის კონკურენციის წარმატების ალბათობას, პროექტის ღირებულების, დროისა და შესასრულებელი ამოცანების მიხედვით;
- რისკები, რომელზეც არსებობს საკმარისი მონაცემები, შეფასებადია სტატისტიკურად;
- პროექტის რისკებთან მიმართებაში ქცევა განსხვავებულია იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა მონაცემთა გამოყენება მოხდეს თანამედროვე მიდგომის შესამუშავებლად.

პროექტი შეიცავს შემდეგ აუცილებელ პროცედურულ ეტაპს, რომელიც შეიძლება იქნას მიღწეული PRAM მოდელის გამოყენებით:

1. **განხორციელებალობა** – ამ საფეხურზე პროექტი მოქნილია, ხელსაყრელია ცვლილებებისათვის, რასაც შეუძლია შეამციროს რისკი შედარებით დაბალი ღირებულებით;
2. **მონონება** – კლიენტს შეუძლია გაეცნოს პროექტთან დაკავშირებული რისკის გავლენას და გადაამოწმოს ყველა საფეხური, რათა შემაციროს არსებული რისკები;
3. **ტენდერი** – კონტრაქტორს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ყველა რისკი გამოვლენილია და რისკის შემადგენლობა ან რისკის ზემოქმედების ლიმიტები უცვლელია;
4. **ტენდერის შემდგომი ეტაპი** – კლიენტს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ყველა რისკი გამოვლენილია კონტრაქტორის მიერ, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეფასდეს პროგრამის განხორციელებალობის ალბათობა;
5. **განხორციელების პერიოდში** – პროექტის დასრულების ალბათობა გაიზრდება, თუ ყველა რისკი გამოვლენილია და სწორადაა მართული.

რისკების მართვის სტანდარტულ ინსტრუმენტებს შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ოთხი მეთოდი:

1. რისკების მოდელირების PERT/CPM მეთოდი, რომელიც მოიცავს პროექტის მათემატიკურ მოდელებს, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა დაგეგმილ სცენარებზე.
2. PERT ბეტა განაწილების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია რესურსების საჭიროებაზე და, რომლებიც უმთავრესი ფაქტორებია პროექტის პრობლემების შეფასების პროცესში. პროექტის პერსონალმა უნდა შეძლოს განავითაროს მყარი შეფასების უნარი. ერთ-ერთი ღირებული მეთოდი პროექტის შეფასების ინსტრუმენტებში არის PERT ბეტა განაწილება;
3. მოვლენათა ალბათობის ინკორპორირებული უნარჩვევები პროექტის ანალიზში მოსალოდნელ ღირებულებათა კონცეფციის გამოყენებით. თუ თქვენ იცით მოვლენის ალბათობა, თქვენ გაქვთ ღირებული ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად. სტანდარტული მიდგომაა ამ ინფორმაციის ინკორპორირება რისკ-ანალიზში მოსალოდნელ ღირებულებათა კონცეფციის გამოყენებით;
4. Monte Carlo-ს პროგნოზირების მეთოდის გამოყენება პროექტის მოდელში. მონტე კარლოს პროგნოზირების სიძლიერე არის ის, რომ საშუალებას გაძლევთ პროექტი განახორციელოთ ისე, რომ თვალყური ადევნოთ გეგმას, რესურსების ხარჯვას და ა. შ. შედეგად ის საშუალებას გაძლევთ განავითაროთ გარკვეული შედეგების ალბათობის გრძნობა.

თავი IV. რისკ-მენეჯმენტის საზღვარგარეთული გამოცდილება

4.1. რისკების მართვის ზოგადი გამოცდილება

კორპორაცია Microsoft (intranet)-ის შიდა ქსელი აერთიანებს ბიზნესის ყოველდღიურ მართვას რისკ-მენეჯმენტთან. Microsoft-ის რისკ-მენეჯმენტის ჯგუფი გეთავაზობს რისკის მართვის მეთოდებს, რომლებიც შიდა ქსელის გამოყენებას ეყრდნობიან. Intranet-ში განთავსებულია რისკების საკონტროლო ჩამონათვალი, მონინავე გამოცდილება და სხვა აქტუალური ინფორმაცია მენეჯერთათვის, რომლებიც მას ეხმარებიან გადაწყვიტოს ყოველდღიური პრობლემები და ორიენტირებული იყვნენ სპეციალურ პროექტებში. რისკ-მენეჯმენტის ჯგუფის წევრების სამუშაო ფასდება სამუშაო დროის იმ დანახაჯებით, რომლებიც მათ დაუთმეს რისკის პრობლემებზე მუშაობას, კორპორაციის სხვა მენეჯერებთან ერთად. რისკ-მენეჯმენტის ჯგუფი არა მარტო იღწვის იმისათვის, რომ აიძულოს კომპანიის მუშაკებს აიმაღლონ თავისი კომპეტენტურობა და გაცნობიერებულობა რისკის საკითხებში, არამედ აგრეთვე ელოდება „უკუტალღას“, ე.ი. იმას, რომ მენეჯერების ცოდნა და შესაძლებლობანი რისკ-მენეჯმენტის პრაქტიკას გაამდიდრებენ.

აშშ-ში არსებობს ბევრი ორგანიზაცია, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან რისკისაგან დაცვის ინსტრუმენტების შექმნასა და გავრცელებაში. ესენი არიან ბირჟები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, ბანკები, საბროკერო კანტორები, სადაზღვევო კომპანიები, სარეიტინგო და საინფორმაციო ბიუროები, საკონსულტაციო და საექსპერტო ფირმები. ხოლო სარისკო მოქმედებების კონტროლი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში ხორციელდება ისეთი სახელმწიფო სააგენტოების და დანესებულებების მიხედვით, როგორცაა ფედერალური სარეზერვო სისტემა; დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია; ვალუტის მაკონტროლებელი ოფისი; ფასიანი

ქალაქებისა და ბირჟების კომისია. რისკ-მენეჯმენტის საქმიანობა უკვე 50 წელია აქტიურ კონსოლიდირებას ახდენს რისკისა და დაზღვევის მართვის საზოგადოებასთან, რომელიც ყოველდღიურად ატარებს მსოფლიო სემინარებს (გამოფენებს, კონგრესებს) საქმიანობის ამ სფეროში. ამ საზოგადოების წევრები არიან 8000-ზე მეტი პროფესიონალი სერტიფიცირებული რისკ-მენეჯერები, 4200-ზე მეტი აშშ-ს კანადის და იაპონიის წამყვანი კორპორაცია ეწევა საერთაშორისო საქმიანობას ამ სფეროში. რისკისა და დაზღვევის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRIMA)-ს წევრებს დღეს წარმოადგენენ 100-ზე მეტი ქვეყნის ეროვნული ასოციაციები.

ამგვარად, შეიძლება შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

1. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის მართვა განუსაზღვრელობის პირობებში წარმოადგენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესს, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ შემთხვევითი ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედება შემოსავლის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად;

2. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის რისკების მართვის სისტემა აგებული უნდა იყოს რეკრუტინგული მიდგომის საფუძველზე, ე.ი. ადექვატურად შემოსული საინფორმაციო ნაკადების ყველა ეტაპზე, მართვის მეთოდების კომპლექსური გამოყენების საშუალებით, ჰქონდეს მუდმივი მოდიფიცირების უნარი.

3. რისკების მართვა მოიცავს: ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობის შედეგების გამოვლენას სარისკო სიტუაციაში და იმ ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას, რომელთა დახმარებითაც შეიძლება სამეწარმეო საქმიანობის სავარაუდო ნეგატიური შედეგების ნეიტრალიზება;

4. სამეურნეო და საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანი მართვის ფუნდამენტალურ პრინციპებს წარმოადგენს:

- განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით საინვესტიციო საქმიანობის ცენტრალიზაციის და დე-


- ცენტრალიზაციის ოპტიმალური შერწყმა;
- საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესის მეცნიერულობა; საინვესტიციო საქმიანობის მართვის მეტოდების მუდმივი სრულყოფა ახალი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;
 - საინვესტიციო საქმიანობის მართვის უწყვეტი სრულყოფა;
 - ურთიერთქმედება და გონივრული რეგლამენტაცია;
 - საინვესტიციო საქმიანობის მართვის ანალიტიკური უზრუნველყოფის და საინფორმაციო საკმარისობის მუდმივობა;
 - სამუშაოს ხასიათის შესაბამისობა შემსრულებლის პოტენციალურ შესაძლებლობებთან;
 - ფირმის მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლების უწყვეტობა და სხვა.

ნახ. 4.1. BS 31100-ის სამენარმეო რისკების მართვის ჩარჩო



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 60.

ნახ. 4.2. რისკების მართვის პროცესი ISO 3100-ის მიხედვით



წყარო: Paul Hopkin (2010) Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK, გვ. 61.

**4.2. რისკების მართვის თავისებურებები
საბანკო სექტორში**

მსოფლიო ფინანსური კრიზისი, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს შეეხო. ამაზე 2008-2009 წლების მრავალი ნეგატიური ფაქტორი მეტყველებს, რომელთა შორისაა: კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის შემცირება, ვადაგადაცილებული კრედიტების ზრდა, საპროცენტო განაკვეთის მომატება, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის

დაკრედიტების შემცირება, ანგარიშგებითი პერიოდის ზარალით დასრულება და ა.შ.²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტკრიზისულ პერიოდში საბანკო რისკების მართვა მრავალი საბანკო დაწესებულების უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. კრიზისის პერიოდში ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის განხორციელება და რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია³. მართალია, საბანკო რისკები თან ახლავს ყველა საბანკო ოპერაციას, ტრანზაქციას, ახალი საბანკო პროდუქტის განვითარებას და ა.შ., მაგრამ რისკები განსაკუთრებით მაღალია ფინანსური კრიზისის პერიოდებში. ეს გვიჩვენა არა მხოლოდ 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა (ე.წ. 2008-2010 წლების კრიზისი), არამედ წინარე მსოფლიო კრიზისებმაც. XIX-XX საუკუნეებში აღმოცენებული ფინანსური კრიზისები ასოცირდება საბანკო პანიკასა და სწორედ აქედან წარმოშობილ რეცესიებთან. სხვა სიტუაციებში წარმოშობილი კრიზისები უკავშირდება საფონდო ბირჟების ინდექსების ვარდნას, ე.წ. ფინანსურ საპნის ბუშტებს, სავალუტო კრიზისს და სუვერენული ვალდებულებების შეუსრულებლობას⁴. ასეთი იყო 2000-იანი წლების დასასრულის ფინანსური კრიზისი (The late-2000s financial crisis), რომელსაც credit crunch, ანუ საკრედიტო გაღარიბება ეწოდა; 1997 წელს აღმოცენებული აზიური ფინანსური კრიზისი, რომელსაც ეწოდა devaluations and banking crises across Asia, ანუ დევალვაცია და საბანკო კრიზისი აზიის გარშემო; 1987 წლის Black Wednesday, ანუ

² ნარმანია დ. გეთია შ. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა და ტენდენციები ფინანსური კრიზისის განვითარებიდან ერთი წლის შემდეგ, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, თბ, 2009 წ., გვ. 1-2.

³ Kovzanadze I. Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition, iUniverse, Inc., New York, 2008., p. 32.

⁴ Charles P. Kindleberger and Robert Aliber. Manias, Panics, and Crashes: A History of Financial Crises, 5th ed. Wiley, 2005., p. 24-30.

„შავი ოთხშაბათი“ - სპეკულაციური თავდასხმები ევროპის გაცვლითი კურსის მექანიზმზე და ა.შ.

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას⁵. ამ განმარტებაში ძირითადად იგულისხმება მომავალში მოსალოდნელი შედეგის მკაფიოდ დადგენის შეუძლებლობა, რის შედეგადაც შესაძლოა საბანკო დანესებულებამ იმაზე უარყოფითი შედეგი მიიღოს, ვიდრე ეს მას აქვს განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საბანკო დანესებულებებს წინასწარ აქვთ შემუშავებული საქმიანობის შედეგები (სცენარი), რომლის მიუღწევლობაც ფინანსური რისკია. შესაბამისად, საბანკო დანესებულებები ცდილობენ განსაზღვრონ და მართონ საბანკო რისკები ისეთნაირად, რომ უარყოფითი გადახრის შემთხვევაში, შეძლონ რისკების მინიმიზება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიდგომით, რისკზე წასვლა თავისთავად ნეგატიური ნაბიჯი არ არის და იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს დამატებითი მოგების მიღებასთან⁶. ვინაიდან რისკების იგნორირება შეუძლებელია, კომერციული ბანკების აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს რისკების შემცირება. მასში იგულისხმება ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა, ერთი მხრივ, კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და, მეორე მხრივ, საკუთარ კაპიტალს შორის⁷.

ყველაზე გავრცელებული მიდგომებით საბანკო რისკები სამ ძირითად (გამსხვილებულ) კატეგორიად ერთიანდება: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები. **საკრედიტო რისკს** განეკუთვნება ბანკის კლიენტებისა

⁵ Воронин Ю.М. Управление банковскими рисками. М., 2007, გვ. 27.

⁶ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.1, www.nbg.gov.ge

⁷ ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი, თბ, 2009., გვ. 287-288.

და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული დანაკარგები; **საბაზრო რისკი** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობით და საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერი სხვა ცვლილებით გამოწვეული რისკია; **საოპერაციო რისკი** კი დანაკარგის ან სანქციის რისკია, რაც გამოწვეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით⁸.

საბანკო რისკების რეგულირება რისკისგან ბანკის დაცვაზე მიმართული მეთოდების ერთობლიობაა. ფინანსური გლობალიზაციის პირობებში იზრდება რისკის საერთაშორისო რეგულირების მნიშვნელობა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო საფინანსო სისტემის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში იცვლება საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობისადმი ტრადიციული მიდგომა. საბანკო ზედამხედველობის ორგანოები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რისკების მართვის პროცესის თვითმონიტორინგს. მნიშვნელოვანი სიახლეა აგრეთვე თვით ინფორმაციის საჯაროობისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რაც მიმართულია აღნიშნული მონიტორინგის ფუნქციების საზოგადოებაზე გადატანისკენ⁹.

საბანკო სისტემის რისკების რეგულირების მექანიზმი მრავალფეროვანია და, როგორც წესი, კომპლექსურად მოქმედებს, ანუ ავსებს ერთმანეთს. საბანკო სისტემის დონეზე ძირითად მარეგულირებლებს სახელმწიფო ორგანოები (ჩვეულებრივ ცენტრალური ბანკი) და თვითრეგულირებადი ორგანოები (კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახურები) წარმოადგენს. თუმცა, ბოლო პერიოდში, მრავალი ქვეყნის

⁸ **Raghavan R.S.** Risk Management in Banks, University of Madras, India, 2003. გვ. 1-9.

⁹ **ბორჩაშვილი ბ.** საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში. თსუ, 2011, გვ. 27-32.

საბანკო სექტორმა ყურადღება გაამახვილა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (The Basel Committee on Banking Supervision) მიერ შემოთავაზებულ რეგულირების მექანიზმებზე, რომლის იმპლემენტაციას ქვეყნის ცენტრალური ბანკი იწყებს, ხოლო შემდეგ, მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა კომერციულ ბანკებს ეკისრება.

საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, რომლის წევრია მსოფლიოს 27 ქვეყანა, საბანკო ზედამხედველობის საკითხებში რეგულარული თანამშრომლობის ფორუმი. კომიტეტის ამოცანაა ინფორმაციის გაცვლის ეროვნული საზედამხედველო საკითხების, მიდგომების და ტექნიკის შემუშავება, რათა ხელი შეუწყოს პრობლემათა საერთო გაგებას. კომიტეტი მასიური გამოყენებისათვის ამუშავებს გაიდლაინებსა და საზედამხედველო სტანდარტებს. კომიტეტი ყველაზე ცნობილია კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისო სტანდარტებით, ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ფუნდამენტური პრინციპებით და ტრანსსასაზღვრო საბანკო ზედამხედველობის საერთაშორისო შეთანხმებით¹⁰. კონტაქტების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საბანკო ხელმძღვანელების საერთაშორისო კონფერენცია (ICBS). კომიტეტის სამდივნო განთავსებულია საერთაშორისო თანამშრომლობის ბანკში ბაზელში. კომიტეტში მომუშავე ექსპერტები, საჭიროებისამებრ, აძლევენ რჩევებს ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს საზედამხედველო საკითხებში.

„ბაზელი II“, რომელიც საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციებია, 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა და მას შემდეგ ბევრმა ქვეყანამ დაიწყო საკუთარი საბანკო ზედამხედველობის რეგულირების ამ ახალ პრინციპებზე გადასვლა. ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტის მონაცემებით, 2015 წლამდე დაახლოებით 95 ქვეყნის რეგულატორი ამა თუ იმ ფორმით განახორციელებს „ბაზელი II“-ის

¹⁰ Bank of International Settlements, Basel, Switzerland, www.bis.org

რეკომენდაციებს. საქართველოში მისი დანერგვა 2011 წლისთვისაა დაგეგმილი¹¹.

„ბაზელი I“-საგან განსხვავებით, სადაც ყურადღება ძირითადად საკრედიტო რისკებზეა გამახვილებული, „ბაზელი II“-ის საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციები ითვალისწინებს სტანდარტებისა და რეგულაციების შექმნას იმის თაობაზე, თუ რა მოცულობის კაპიტალი უნდა დაარეზერვოს საფინანსო ინსტიტუტმა რისკების შესამცირებლად. „ბაზელი II“ შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

1. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნების (Minimum Capital Requirements) ანგარიში კრედიტორული, საბაზრო და ოპერაციული რისკების მიხედვით. აქტივებთან კაპიტალის დამოკიდებულება გაიანგარიშება რეგულირებას დაქვემდებარებული კაპიტალის და რისკით შენონილი აქტივების გამოყენებით. მთელი კაპიტალისა და აქტივების შეფარდება არ უნდა იყოს 8%ზე ნაკლები¹²:

კაპიტალი
$\geq 8\%$
საკრედიტო რისკი + საბაზრო რისკი + საოპერაციო რისკი

2. ზედამხედველობის პროცესი (Supervisory Review Process). მასში განიხილება საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, ასევე რისკების მართვის და ანგარიშების გამჭვირვალობა საბანკო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე. მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებს (სტრეს-ტესტირება, დეფოლტის განსაზღვრა, საოპერაციო და კრედიტების კონცენტრაციის რისკი), ტრანსსასაზ-

¹¹ საქართველოს ეროვნული ბანკი,

<http://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=752>

¹² Strengthening the resilience of the banking sector, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, Part 2: The First Pillar – Minimum Capital Requirements, გვ. 12-157, www.bis.org

ღვრო კავშირების ზრდას და ურთიერთქმედებას, ასევე დაცვის გარანტიებს¹³.

3. საბაზრო დისციპლინა (Market Discipline), რაც ითვალისწინებს კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს (I კომპონენტი) და ზედამხედველობის პროცესს (II კომპონენტი). კომიტეტი მიისწრაფის საბაზრო დისციპლინის სტიმულირებისაკენ, ინფორმაციის გახსნილობის შესახებ მოთხოვნების კომპლექსის შემუშავებით, რაც საშუალებას მისცემს ბაზრის მონაწილეებს შეაფასონ ძირითადი მონაცემები კაპიტალზე, რისკის პროცესებზე და შესაბამისად კაპიტალის საკმარისობაზე.

ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების და მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, **საბანკო სისტემის დონეზე საბანკო რისკების რეგულირების ძირითადი მექანიზმებია:**

1. ახლადშექმნილი ბანკებისთვის კაპიტალის სავალდებულო მინიმალური დონის დანესება;
2. მოთხოვნები კაპიტალის სტრუქტურისა და საკმარისობისადმი;
3. შიგა კონტროლისა და რისკების მართვის სამსახურების ორგანიზაციისა და საქმიანობისადმი მოთხოვნები;
4. ბანკის საერთო რისკებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნა;
5. რისკების რაოდენობრივი შეფასების მეთოდებისადმი ნორმატიული მოთხოვნა და სხვა.

კომერციული ბანკების დონეზე, რისკების მართვის გარე მექანიზმების გარდა გამოიყენება შიგა მექანიზმებიც, რასაც მიეკუთვნება რისკების შეფასების და მართვის შიგა მოდულები და მეთოდები: ლიმიტირება, ჰეჯირება, შიგა კონტროლი და სხვა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით¹⁴, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის

¹³ იგივე, Part 3: The Second Pillar – Supervisory Review Process, გვ. 158-174, www.bis.org

¹⁴ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, 212

დადგენილია რისკების შემდეგი სახეები: საკრედიტო (თავი III), საბაზრო და საპროცენტო (თავი IV), ლიკვიდობის (თავი V), საოპერაციო (თავი VI), სამართლებრივი (თავი VII), რეპუტაციის (თავი VIII), სტრატეგიული (თავი IX) და შესაბამისობის რისკი (თავი X). წესებში საკმაოდ დეტალურად არის მოცემული თითოეული რისკის არსი და მართვის ინსტრუმენტები. აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS – Bank for International Settlements) ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა. კომერციული ბანკების მიერ რისკების ეფექტიანად მართვისა და გაკონტროლების მიზნით შეიქმნა წესები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბანკო მენეჯმენტს დროულად აღმოაჩინოს შესაძლო დანაკარგები და მისი უარყოფითი გავლენა ბანკის კაპიტალზე. გამომდინარე დადგენილი წესებიდან, 2008-2009 წლებში ეროვნული ბანკის ანტიკრიზისულ პოლიტიკა ორი ძირითადი მიმართულებით იყო წარმოდგენილი:

- საბანკო სექტორისათვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება;
- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად¹⁵.

რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, კომერციულმა ბანკმა თანმიმდევრობით უნდა განახორციელოს მისი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მიზანია ბანკმა შეძლოს ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების გაანგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნესსაქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პა-

საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, www.nbg.gov.ge

¹⁵ ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2009, საქართველოს ეროვნული ბანკი, გვ. 61., www.nbg.gov.ge

რალელურად, ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილია ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე¹⁶.

საბანკო რისკების მართვის პრობლემა ფართოდაა ასახული თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში. „რისკის“ არსი ორი კატეგორიის მეშვეობით აიხსნება: „ალბათობა“ და „განუსაზღვრელობა“ და განპირობებულია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ალტერნატიულობით და აუცილებლობით¹⁷.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, კომერციული ბანკების რისკების მართვა უნდა განხორციელდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა უნდა გაატაროს დაუყოვნებელი ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშირებით, მათ შორის, დაადგინოს ბანკის შიგა მდგომარეობა, რომლის შედეგები გამოყენებულ უნდა იქნეს რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად. ბანკმა რისკების მართვა უნდა განახორციელოს ეტაპობრივად ან ერთჯერადად საჭიროების მიხედვით.¹⁸

„კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ დებულების შესაბამისად, საქართველოს საბანკო სექტორში რისკების მართვის პროცესი მოიცავს:

1. **რისკების დადგენას**, რომლის მიზანია ბანკის მიერ საბანკო ოპერაციებისათვის დამახასიათებელი ყველა

¹⁶ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“. საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.7, www.nbg.gov.ge

¹⁷ **ბორჩაშვილი ბ.** საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში, თსუ, 2011. გვ. 16.

¹⁸ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 45, www.nbg.gov.ge

სახეობის რისკის იდენტიფიცირება, რამაც შეიძლება ბანკს ზარალი მოუტანოს;

2. **რისკების შეფასებას**, რაც გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად, რათა მიღებულ იქნეს რისკების მართვის გამოყენების ეფექტიანობის შესახებ სრული სურათი;
3. **მონიტორინგსა და ლიმიტებს**. რისკების ლიმიტები, როგორც რისკების მონიტორინგის ნაწილი, ძირითადად შემდეგნაირად უნდა დადგინდეს:
 - გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბანკის რისკების მაშტაბები ან მისგან გამოწვეული ზარალისა და რისკების მიმართ ბანკის კაპიტალის ამტანობის საზღვრები;
 - გათვალისწინებულ უნდა იქნეს წარსულის გამოცდილება ზარალთან მიმართებით და ადამიანური რესურსების უნარი;
 - ნებისმიერი პოზიციის დაწესებულ ლიმიტზე გადამეტების შემთხვევაში ინფორმაცია უნდა წარედგინოს რისკების მართვის სტრუქტურულ ერთეულს, რისკების მართვის კომიტეტს და საჭიროებისას დირექტორატს;
4. **რისკების მართვის საინფორმაციო სისტემები**, რაც მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ნაწილია და გამოიყენება რისკების ეფექტიანად მართვის მიზნით;
5. **რისკების კონტროლი**, რომელიც ბანკმა უნდა დააწესოს ნებისმიერი ბანკისათვის საფრთხის შემცველი რისკის თავიდან ასაცილებლად;
6. **აქტივებისა და ვალდებულებების მართვა**, რაც ბანკმა უნდა განახორციელოს საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისათვის;

7. **სტრუქტურული ტენდენციების გამოყენება**, რომელიც ბანკმა უნდა გამოიყენოს როგორც რისკების შეფასების მოდელები¹⁹.

თუ ინსპექტირების შედეგად დადგინდება, რომ ბანკის მიერ რისკების მართვა არ არის ადეკვატური ან ეფექტიანი ბანკის განსაკუთრებული რისკის პროფილისათვის, კომერციულ ბანკს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა გაუწიოს ინტენსიური ან სპეციალური ზედამხედველობა²⁰.

საინტერესოა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმეტესობა რისკების მართვის მეთოდოლოგიას საიდუმლოდ ინახავს. ზოგიერთ მათგანს მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მეთოდი აქვს გამოქვეყნებული დეკლარირების დონეზე. ამ მხრივ ყველაზე ინფორმაციულია ბანკი „რესპუბლიკის“ რისკების მართვის მექანიზმები. რისკების ეფექტიანი და საიმედო მართვისათვის ბანკი „რესპუბლიკა“ შემდეგი სახეობის რისკების მართვას აწარმოებს²¹:

- **საკრედიტო რისკი** ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამონვეული დანაკარგის რისკია. საკრედიტო რისკი შესაძლოა გაიზარდოს კონკრეტული კონტრაგენტის მასშტაბური დაკრედიტების გამო, რაც მაღალი კონცენტრაციის რისკს წარმოადგენს;
- **საბაზრო რისკი** საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით, მერყეობითა და კორელაციით გამონვეული რისკია;

¹⁹ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, www.nbg.gov.ge

²⁰ დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 48, www.nbg.gov.ge

²¹ www.republic.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=231

- **საოპერაციო რისკი** (სამართლებრივი, საბუღალტრო, ეკოლოგიური, შესაბამისობისა და რეპუტაციის რისკი) დანაკარგის ან სანქციის რისკია, რაც გამონვეულია პროცედურებისა და შიგა სისტემის შეუსაბამობით ან გაუმართაობით, აგრეთვე, ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომებით ან სხვა გარემოებებით;
- **საინვესტიციო პორტფელის რისკი** - ბანკის საინვესტიციო პორტფელში კაპიტალის ღირებულების მერყეობით გამონვეული რისკია;
- **სტრუქტურული პროცენტისა და კონვერტაციის კურსის განაკვეთის რისკი** - ბანკის აქტივთა გაუფასურების ან დანაკარგის რისკია, რაც გამონვეულია პროცენტების ან კონვერტაციის კურსის განაკვეთის ცვლილებით;
- **ლიკვიდობის რისკი** დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკია;
- **სტრატეგიული რისკი** - სტრატეგიასთან დაკავშირებული ან შერჩეული სტრატეგიის შეუსრულებლობის რისკია;
- **ბიზნესის რისკი** - ხარჯების შემოსავალზე მეტობით გამონვეული ზარალის რისკია.

ამრიგად, სტრეს-ტესტიინგი წარმოადგენს საბანკო სექტორთან დაკავშირებულ კომპონენტს. იგი იკვლევს, თუ რა სახით აისახება სავაჭრო პორტფელის ღირებულებაზე ბაზარზე განვითარებული მოვლენების ყველაზე უარესი სცენარები. სტრესული ფაქტორების ასეთი ტესტირების ამოცანა მდგომარეობს იმ მოვლენებისა და ფაქტორების გამოვლენაში, რომელთაც შეუძლიათ დანაკარგების გამონვევა, ე.ი. ბანკის კაპიტალის მდგომარეობა გააუარესონ. ტესტები უნდა იყოს, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი. რაოდენობრივი კრიტერიუმების მეშვეობით ვლინდება დაძაბულობის სავარაუდო სცენარები, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სპეციფიკურ საბაზრო პირობებში. ხარისხობრივი

კრიტიკრიუმები ორიენტირებული უნდა იყოს ტესტირების ორ ძირითად ასპექტზე; ბანკის მსხვილ პოტენციურ დანაკარგებთან გამკლავების უნარის შეფასებაზე და იმ ღონისძიებების განსაზღვრაზე, რომლებიც შეიძლება ბანკმა წამოიწყოს რისკის შემცირების და კაპიტალის შენარჩუნების მიზნით.

ტესტირების სცენარების სტანდარტიზება ისე რომ გათვალისწინებული იქნას ყველა ბანკის მუშაობის პირობა, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ სტრესების ტესტირების მეთოდოლოგია, ჩვეულებრივ, შედგება:

1) დროის განსაზღვრულ პერიოდში მსხვილი, ფაქტობრივი დანაკარგების შესახებ ინფორმაციის ანალიზისა და მათი იმ დანაკარგების დონესთან შედარებისგან, რომლებიც განსაზღვრულია ბანკის რისკის გაზომვის შიდა სისტემის დახმარებით.

2) უკიდურესად რთული პირობების მოდელირებისგან, მიმდინარე პორტფელის გასული პერიოდების პირობებით ტესტირების ჩათვლით, რომლებშიც მნიშვნელოვანი გადახრები იყო დაფიქსირებული. ასეთი ტესტირება უნდა გულისხმობდეს ფასების ძლიერ რყევებს და ლიკვიდურობის მკვეთრ შემცირებას, რომლებიც ჩვეულებრივ მსგავსი პირობებისათვის არის დამახასიათებელი.

3) არამდგრადობისა და კორელაციის პარამეტრების მიმართ ბანკის პოტენციური საბაზრო რისკის მგრძნობელობის ხარისხის შეფასებისაგან, ე.ი. ბანკის მიმდინარე პოზიცია უნდა შედარდეს გასულ პერიოდში არსებული არამდგრადობისა და კორელაციის ექსტრემალურ მაჩვენებლებთან;

4) მოცემული ბანკისათვის სპეციფიკური ტესტების ჩატარებისაგან, რომლებიც ითვალისწინებენ მისი სავაჭრო პორტფელის კონკრეტულ მახასიათებლებს და რომლებიც ყველაზე არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარეობს.

გამომდინარე იქიდან, რომ ფინანსურ სექტორში მსოფლიო კრიზისები პერმანენტულ ხასიათს ატარებს აუცილებელია ანტიკრიზისული მექანიზმების მუდმივი განახლება და სრულყოფა. საფინანსო სექტორში კრიზისებისადმი ყვე-

ლაზე მგრძობიარე სწორედ საბანკო სექტორია. ვინაიდან კრიზისის გარეშეც ცალკეული საბანკო ოპერაცია ამა თუ იმ დოზით რისკის მომცველია. რისკების მართვა თანამედროვე საბანკო სექტორში მუდმივი პროცესი უნდა იყოს. კრიზისულ პერიოდში რისკების შემცირება და პოსტკრიზისულ პერიოდში მინიმუმ კრიზისამდელ მაჩვენებლებზე დაბრუნება საბანკო დანესებულებების უმთავრესი ამოცანაა.

4.3. რისკების მართვის თავისებურებები აგრარულ სექტორში

მსოფლიოში რისკების მართვის მექანიზმების თანდათანობით სრულყოფამ, აგრარულ სექტორში მომატებულმა რისკებმა და რისკების მართვის მეცნიერების განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა აგრარულ სექტორში რისკების მართვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. აგრარულ სექტორში და საერთოდ, აგრარულ ბიზნესში რისკების მართვა განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან განვითარდა. აგრარულ სექტორში რისკების შესწავლას და განვითარებას პრაქტიკული საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომელმაც 2001 წელს გამოსცა კვლევა „შემოსავლების რისკის მართვა აგროსექტორში“ (*Income Risk Management in Agriculture*, OECD, 2001, Paris). მანამდე, მეცნიერთა მხრიდან ხდებოდა ცალკეული სახის რისკების და მათი მართვის თავისებურებების მეცნიერული შესწავლა. ერთ-ერთი ასეთი პირველთაგანია დევიდ ნიუბერის და ჯოზეფ შტიგლიცის „სასაქონლო ფასების სტაბილიზაციის თეორია: რისკების ეკონომიკის შესწავლა“, რომელიც 1981 წელს გამოიცა ოქსფორდში (Newbery, D. and J. Stiglitz, *The Theory of Commodity Price Stabilization: A study in the Economics of Risk*, Claderon Press, 1981, Oxford).

ყველაზე მარტივი განმარტების მიხედვით, აგრარული

რისკი არის მოსალოდნელი შედეგების გაურკვეველობა (განუსაზღვრელობა), რაც იწვევს ინდივიდუალური კეთილდღეობის შემცირებას და ზიანს²². სარისკოა ფერმერის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, მაგრამ უმნიშვნელო რისკები ჩვეულებრივი მოვლენაა. აგრარული ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია უფრო მაღალი რისკების ეფექტური მართვა. აგრარული რისკები არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ფერმერების პრობლემა და საზრუნავი, არამედ ამგვარი რისკები ქმნის პრობლემებს რესურსების განაწილებაში და შეაბამისად საჯარო პრობლემაა. მაგ. მაღალი რისკების შემთხვევაში ფერმერი არ ცდილობს ახალი ტექნოლოგიის განვითარებას, რის გამოც ზარალდება საზოგადოება. ამასთან, აგრარული რისკების მართვა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ამიტომაც, განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნები ცდილობენ დანერგონ აგრარული რისკების მართვის მოდელები და ამით მიაღწიონ ერთის მხრივ აგრარული სექტორის წილის გაზრდას მშპ-ში, ხოლო მეორე მხრივ აგრარული სექტორიდან შემოსავლების ზრდას ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ტრადიციული მიდგომის მიხედვით, აგრარული რისკები მხოლოდ არასასურველი ბუნებრივი მოვლენების შედეგად წარმოშობილ ზიანს უკავშირდება. სინამდვილეში კი, აგრარული რისკები რამოდენიმე მსხვილ ჯგუფში ერთიანდება და ჯამში მათი რიცხვი 10 ერთეულზე მეტია. OECD-ს კვლევები აგრარულ სექტორში არსებულ რისკებს სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებს:

1. **სახიფათო რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად კატასტროფულ რისკებს უწოდებენ. მათ განეკუთვნება არასასურველი ბუნებრივი მოვლენებით გა-

²² **Hardaker, J. Brian, Ruud B.M. Huirne, and Jock R. Anderson,** *Coping with risk in Agriculture*, CAB International, Wallingford, USA, 2004.

გვ. 437-438.

მონვეული რისკები ანუ ე.წ. ფორს-მაჟორი (მაგ. წყალდიდობა, მეწყერი, ცუნამი, ქარიშხალი, სეტყვა და სხვა);

2. **საბაზრო რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად პოტენციურად დაზღვევადი რისკები ეწოდება. მათ განეკუთვნება ბაზარზე პროდუქციის ხარისხის კონტროლი, კონკურენციის შედეგად საბაზრო წილის დაკარგვა და ფასების შემცირებით პოტენციური შემოსავლების დანაკარგი;
3. **ნორმალური რისკები.** ამ სახის რისკებს სხვაგვარად ე.წ. რეგულირების რისკებს უწოდებენ. მათ განეკუთვნება საკანონმდებლო ცვლილებები, საგადასახადო გარემოს ცვლილება და სხვა მარეგულირებელი ნორმების გამკაცრებით გამოწვეული რისკები²³.

საერთაშორისო პრაქტიკა რისკების მართვის რამდენიმე მექანიზმს გვთავაზობს. მხოლოდ ერთი კონკრეტული მათგანის გამოყენება სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგანაც დამოკიდებულია ბიზნეს-გარემოში არსებულ სხვადასხვა ფაქტორებზე. ამდენად, ქვეყნები ქვემოთ მოცემული სხვადასხვა მეთოდების კომბინაციას იყენებენ:

ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება. რისკების მართვის სტრატეგიის და პოლიტიკის ოპტიმალური სტრუქტურა შემუშავებული იქნა OECD-ს მიერ (ნახ. 4.3). აღნიშნული სტრუქტურა აგებულია რისკების ისეთ კლასიფიკაციაზე, რასაც ეს ორგანიზაცია ეყრდნობა (კლასიფიკაცია მოცემულია ზემოთ) და მოიცავს როგორც სამეურნეო სტრატეგიებს, ასევე საბაზრო ინსტრუმენტებს და პოლიტიკის ელემენტებს.

²³ OECD,

www.oecd.org/document/8/0,3746,en_2649_37401_43805768_1_1_1_37401_00.html

ნახ. 4.3. რისკების მართვის სტრატეგიის და პოლიტიკის ოპტიმალური სტრუქტურა

მოაგრობის მეტი მონაწილეობა?		კატასტროფული რისკები იშვიათი, დიდი ზიანის და სისტემური	საბაზრო რისკები საშუალო რანგი	ნორმალური რისკები მცირე ზიანი, მაგრამ ხშირი
	სამეურნეო სტრატეგიები	სამეურნეო სტრატეგიები: - დივერსიფიკაცია - დაზოგვა		
	საბაზრო ინსტრუმენტები		ბაზრის ინსტრუმენტები: - კერძო კონტრაქტი - კერძო დაზღვევა	აღსაბრუნებელი
	Ex ante* პოლიტიკა	კატასტროფებისას დახმარების პოლიტიკა: - Ex ante/Ex post გადახდა - საჯარო დაზღვევა		
	Ex post* პოლიტიკა	უმაღლესი შემოსავლის დანაკარგი		

წყარო: *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 17.

*შენიშვნა: Ex ante და Ex post პოლიტიკა გავრცელებულია OECD-ს წევრ ქვეყნებში და მოიცავს დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე ფერმერისთვის ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს.

სტრუქტურის მიხედვით ფერმერის დანაკარგები მით უფრო იზრდება, რაც უფრო მივიღებთ ნორმალური რისკებიდან კატასტროფული რისკებისკენ. ამდენად, თუ ნორმალური რისკების შემთხვევაში რისკების მართვისთვის საკმარისია დივერსიფიკაცია და დანაზოგების გაკეთება (იმ შემთხვევაში

გამოსაყენებლად, როცა აგროკომპანიას ფინანსურად გაუჭირდება), კატასტროფული რისკის შემთხვევაში აუცილებელია მთავრობის მიერ ზიანის ანაზღაურება ან საჯარო დაზღვევის გზით ზიანის კომპენსაცია. საბაზრო რისკები სქემაში საშუალო რანგის რისკებს მიეკუთვნება, სადაც რისკების მართვისთვის ძირითადად კერძო კონტრაქტები და კერძო დაზღვევა გამოიყენება. რაც უფრო ვცილდებით სამეურნეო სტარტეგიებს და საბაზრო ინსტრუმენტებს, მით უფრო იზრდება მთავრობის მონაწილეობა ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

სტრუქტურის ფორმირებას პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, როგორ წესი, სახელმწიფო ახორციელებს. სახელმწიფო ეწევა კატასტროფული რისკების შემთხვევაში ფერმერებისთვის ზიანის ანაზღაურების ტვირთს და ეს არის გარკვეული ფინანსურ-მორალური მხარდაჭერა ფერმერებისთვის (როგორც გადასახადის გადამხდელებისთვის). მორალურია იმდენად, რამდენადაც ფერმერმა წინასწარ იცის ვინ აუნაზღაურებს მას კატასტროფული მოვლენებისგან მიღებულ ზიანს. ფინანსურია იმდენად, რამდენადაც ზიანის ანაზღაურება ფულადი ფორმით ხდება (ფერმერი იღებს სახელმწიფო სუბსიდიას). ამ შემთხვევაში:

$$\text{ფერმერის შემოსავალი} = \text{გაყიდვიდან შემოსავლები} + \\ + \text{სუბსიდია} - \text{ხარჯები}$$

OECD-ს ქვეყნებში სუბსიდირების მექანიზმები განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში ის დამოკიდებულია ფერმერის საქმიანობის წლებზე და ბოლო წლების შემოსავლებზე (კანადა), ზოგიერთ ქვეყნებში გამოიყენება აგრეგირებული მაჩვენებლები (აშშ), ზოგიერთ ქვეყნებში კი – ხდება ფიქსირებული ანაზღაურება (ევროკავშირი)²⁴.

²⁴ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 43.

დივერსიფიკაცია. აგრარული საქმიანობის დივერსიფიკაცია დაფუძნებულია პრინციპზე: „ყველა კვერცხი ერთ კალათაში არ უნდა ჩადო“²⁵. ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისაგან განსხვავებით დივერსიფიკაციის ტვირთი მთლიანად მოდის ფერმერზე. დივერსიფიკაცია გულისხმობს ფერმერის საქმიანობის ტერიტორიულ, საქმიანობის ფორმების მიხედვით და ა.შ. განცალკევებას - დაყოფას. მაგალითად, გვალვის ან სხვა ბუნებრივი მოვლენების გამო მოუსავლიანობის შემცირებისათვის, ზოგიერთი ფერმერი ტერიტორიულად დაშორებულ სავარგულებს ირჩევს დასამუშავებლად; ბირეებზე რომელიმე საქონლის ფასის მკვეთრი ვარდნით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, ზოგიერთ ფერმერს პარალელურად სხვა კულტურებიც მოჰყავს და ყიდის. დივერსიფიკაციის ნეგატიური მხარე ის არის, რომ მცირდება ფერმერის სპეციალიზაციის სარგებელი და დაყოფის გამო იკარგება წარმოების მასშტაბის დადებითი ეფექტი.

ჯგუფური მოქმედებები. საერთო ინტერესების გარშემო ჯგუფური მოქმედებები ფერმერთა გაერთიანებებია. ამ შემთხვევაში საერთო ინტერესს წარმოადგენს აგრარულ სექტორში წარმოქმნილი რისკების ეფექტიანი მართვა. ფერმერთა გაერთიანებები ცნობილია კოოპერატივების, ამხანაგობების, ასოციაციების და სხვა სახით. ჯგუფური მოქმედებების შემთხვევაში ხდება ფინანსური და არაფინანსური რესურსების გაერთიანება, რის გამოც ერთ ფერმერზე ხარჯები მცირდება ან/და ხდება ცალკეული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, ვიდრე ეს ერთი ინდივიდის შემთხვევაში იქნებოდა. მაგალითად, ამხანაგობის წევრ ერთ ფერმერს შეიძლება ჰყავდეს ტრაქტორი, მეორეს – კომბაინი, მესამეს – სატვირთო მანქანა, მეოთხეს – მოსავლის შესანახი საწყობი და ა.შ. თუ ისინი ამ რესურსებს ერთმანეთში ეფექტიანად გაცვლიან, მნიშვნელოვნად შემცირდება მათი წარმოების ხარჯები. ამ

²⁵ Nehme N., *Agricultural Risk Management in a Market Oriented Economy*, Agricultural Policy Forum, NAPC, Damascus, 2007, გვ. 9.

შემთხვევაშიც, ამხანაგობების შექმნის ინიციატორები და ორგანიზატორები საკუთრივ ფერმერები არიან და მთავრობის როლი მხოლოდ ეფექტიანი მარეგულირებელი ნორმების (კანონმდებლობის) შექნაა, რამაც შეიძლება წაახალისოს ამგვარი გაერთიანებების შექმნა.

რისკების დაზღვევა. აგრარულ სექტორში რისკების დაზღვევა რისკების მართვის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მექანიზმია. ამ შემთხვევაში ფერმერი რისკებს გადასცემს სადაზღვევო სუბიექტს და ამისათვის მას სადაზღვევო თანხას (შენატანს) უხდის. მზღვეველის როლში შესაძლოა გამოდიოდეს როგორც მთავრობა, ასევე კერძო სუბიექტი. ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ცდილობს ბაზარზე ნაკლებად ჩარევას (ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნები) აგრარული რისკების დაზღვევა მთლიანად კერძო სექტორს აქვს გადაცემული. კერძო სექტორის სტიმულირებისათვის (დაინტერესებისათვის) კი მთავრობა ქმნის სპეციალურ მხარდასაჭერ პროგრამებს. მაგალითად, კატასტროფული რისკების შემთხვევაში მთავრობა იღებს ვალდებულებას დაფაროს მიყენებული ზიანი. ამით ხდება კერძო სადაზღვევო კომპანიების სტიმულირება და მათი სადაზღვევო რისკების შემცირება. ამდენად, სხვა დანარჩენი რისკების მართვა უკვე ჩვეულებრივი ბიზნესის პრეროგატივაა და მათ სადაზღვევო ბაზარი დამოუკიდებლად ართმევს თავს. ამასთან, ბაზარზე კერძო სექტორის ინტერესი მით უფრო მეტია, რაც დიდია სადაზღვევო ბაზარი და მაღალია ფერმერთა სადაზღვევო კულტურა. არსებული პრაქტიკით, მსოფლიოში ხდება შემდეგი სახეობის აგრარული რისკების დაზღვევა: მოსავლის, შემოსავლების, ამინდის, ფასების, ცხოველების და კატასტროფების დაზღვევა²⁶.

ჰეჯირება. ჰეჯირება ძალიან საინტერესო მექანიზმია ფერმერისთვის. მოსავლის ზრდის პერიოდში ფერმერი ყიდის

²⁶ დაზღვევა სოფლის მეურნეობაში, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, 2010 წ., გვ. 3., www.iabp.org/bec

შემთხვევებში. სამთავრობო პროგრამების უმეტესობა ეხმარება ფერმერს ტრენინგების გზით შეისწავლოს გვალვის და კლიმატის ცვლილებების გავლენა, აწარმოონ კვლევა და განავითარონ მეურნეობა (R&D), ასევე ჰქონდეთ დაზოგვის სტიმული საგადასახადო ნახალისების გზით. ფედერალური და რეგიონული მთავრობების მხრიდან ორი ძირითადი პროგრამა (ჩარჩო-პროგრამა) ხორციელდება: NDRRA და NDP. მთავრობის მხრიდან სტიქიით დაზარებისა და აღდგენის ღონისძიებები (NDRRA) მოიცავს მიწისძვრების, წყალდიდობების, წვიმის, ქარიშხლის, ციკლონის, მენყრის, ცუნამის და ტორნადოთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მასში არ შედის გვალვის, ყინვისა და ეპიდემიით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გვალვის სანინააღმდეგო პოლიტიკა (NDP) კი ორიენტირებულია გვალვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ავსტრალიის აგრარულ სექტორში რისკების მართვას ემსახურება ასევე ევროკომისიის ზოგიერთი პროგრამა (The EC Relief Payment – ECRP; The EC Interest Rate Subsidy - ECIRS). აღნიშნული პროგრამები მიმართულია სიცოცხლისუნარიანი მეურნეობების დროებითი ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე და ეხმარება მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც დაბალი შემოსავლებით ვერ ახორციელებენ ოჯახის თვითუზრუნველყოფას.

საბაზრო რისკები მთლიანად ბაზრებზეა მინდობილი. ავსტრალიელი ფერმერები რისკების შესამცირებლად იყენებენ გარკვეულ საბაზრო ინსტრუმენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ფერმერები სახელმწიფოს მხრიდან სრულად არიან უზრუნველყოფილი სახიფათო რისკების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, სადაზღვევო ბაზარი არ სთავაზობს მათ მოსავლის დაზღვევას. საფასო რისკებისაგან თავდაცვა ხორციელდება ფორვარდული კონტრაქტების დადებით (მომავლის განსაზღვრულ პერიოდში ფიქსირებულ ფასად მიწოდება, როდესაც მოსავალი ჯერ კიდევ არ არის მიღებული). ნორმალური რისკების მართვა ასევე სრულად ხორციელდება ფერმერების მხრიდან.

რისკების მართვის პოლიტიკაში მთავარ გამოწვევად რჩება არასასურველი მოვლენებით გამოწვეული მცირე რისკების ფინანსური ანაზღაურება და ფერმერთა ადაპტაცია ცვალებად გარემო პირობებთან²⁹.

კანადა. კანადაში ორი მსხვილი აგრარული ზონა გამოიყოფა: დასავლეთი, სადაც უფრო მსხვილი აგრარული მეურნეობებია განვითარებული და აღმოსავლეთი, სადაც ძირითადად მცირე ფერმერული მეურნეობები აწარმოებენ პროდუქციას. აგრარულ სექტორში არსებული რისკები ძირითადად უკავშირდება ფასებს, გაცვლით კურსს და სავაჭრო პოლიტიკას. ქვეყანაში გვალვები და სტიქიური მოვლენები იშვიათია, ამიტომაც აგრარული მეურნეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ნაკლებად ახდენს გავლენას, მან უფრო ხარისხობრივ მაჩვენებლებზე შეიძლება იქონიოს გავლენა. ამდენად, კატასტროფული რისკი კანადაში არ არის მაღალი, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთის, სამთავრობო პოლიტიკის, ცხოველთა ეპიდემიების და ბიოლოგიური უსაფრთხოების რისკები.

კანადის აგრარული სექტორის მიმდინარე პოლიტიკის დოკუმენტი (The policy framework for 2008-2013) ცენტრალური და რეგიონული მთავრობებისთვის მოიცავს ოთხ პროგრამას: AgriInvest, AgriStability, AgriInsurance და AgriRecovery. თითოეული მათგანი ვიწრო სპეციფიკისაა. თუმცა, აგრარული სფეროს რისკების მართვას ყველა მათგანი ემსახურება. AgriInvest არის საინვესტიციო პროგრამა, რომელშიც ნებაყოფლობით გაყიდვების 1,5%-ის ოდენობით შენატანებს ახორციელებენ ფერმერები და მათი მოსავლების 15%-ზე ნაკლები გადახრის შემთხვევაში, ისინი მიიღებენ მთავრობიდან ინვესტიციას; AgriStability არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ბიზნეს-რისკების მართვაში. ფერმერის მხრიდან დაგეგმილი მოსავლის 85%-ზე მეტად გადახრის (შემცირების) შემთხვევაში, მთავრობა ეხმარება მას და ამით უზრუნველყოფილია შემოსავლე-

²⁹ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 117-145.

ბის სტაბილურობა; AgriInsurance უზრუნველყოფს წარმოებისა და ფერმერთა აქტივების ბუნებრივი დანაკარგების ანაზღაურებას 60%-მდე ფარგლებში; AgriRecovery კი ორიენტირებულია კატასტროფული რისკებით მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე (აღდგენაზე).

კანადის სისტემაში მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ინდივიდუალური ფერმერების მხრიდან მეტი გამოცდილების მიღება რისკების მართვის მექანიზმებზე და მათი მხრიდან რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავება, რათა ისინი ნაკლებად გახდნენ დამოკიდებულნი სახელმწიფო პროგრამებზე³⁰.

ნიდერლანდები. ნიდერლანდების რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა იმპლემენტირებულია ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკასთან (CAP). სამთავრობო პოლიტიკა ფოკუსირებულია კატასტროფული რისკების მართვაზე და ამით ხდება საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა. ძირითადი სახეობის რისკებს განეკუთვნება ეპიდემიებთან და ფასებთან დაკავშირებული რისკები, ასევე პერსონალური რისკები.

რისკების დაზღვევა ძირითადად კერძო სექტორის მიერ ხდება. მხოლოდ მოსავლის დაზღვევაში არსებობს სახელმწიფო გარანტია, რისთვისაც ჰოლანდიელი ფერმერები ვალდებული არიან გადაიხადონ გადასახადი აგრარული შემოსავლებიდან. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ე.წ. ფისკალური რეზერვაციის მეთოდი და დაუბეგრავად შეინახონ შემოსავლების ნაწილი სამი წლის განმავლობაში, რათა ცუდი მოსავლიანობის პერიოდში ადვილად შეძლონ კრიზისზე გამკლავება³¹.

ახალი ზელანდია. ახალი ზელანდიის რისკების მართვის პოლიტიკა ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მთავრობის ჩარევა ბაზარზე. ფერმერებისთვის ხორციელდება მხოლოდ შეზღუდული სამთავრობო მხარდაჭერა.

³⁰ *Managing Risk in Agriculture, policy assessment and design*, OECD Publishing, 2011, გვ. 147-173.

³¹ იგივე, გვ. 175-197.

ძირითად სამთავრობო პროგრამას განეკუთვნება საზიანო გარემოებათა ჩარჩო-პროგრამა (Adverse Events Framework Programme). რისკების მართვისათვის მთავრობა კერძო სექტორს უზრუნველყოფს ინფორმაციით და უნარ-ჩვევებით. 80-იან წლებში შეიქმნა აგრარული მხარდაჭერის ტრესტები (Rural Support Trusts) - აგრარული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანების გაერთიანებები. აღნიშნული გაერთიანებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფერმერთა ინფორმირებისა და სადაზღვევო კულტურის განვითარების საკითხებში. მთავრობის მიერ უმთავრეს რისკად მიჩნეულია ბიოუსაფრთხოება და ამისათვის ტარდება სპეციალური პოლიტიკა³².

ესპანეთი. ნიდერლანდების მსგავსად, ესპანეთის რისკების მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა იმპლემენტირებულია ევროკავშირის საერთო აგრარულ პოლიტიკასთან (CAP). ესპანეთის რისკების მართვის სისტემაში დომინირებულია საჯარო დაზღვევა და პოლიტიკის ორი მიმართულება: საჯარო-კერძო სადაზღვევო პარტნიორობა და სადაზღვევო სისტემის მონაწილეობა კატასტროფულ რისკებში. აგრარული დაზღვევის სახელმწიფო ერთეული (The State Entity for Agricultural Insurance - ENESA) არის ძირითადი სადაზღვევო პოლიტიკის გამტარებელი საჯარო და კერძო სადაზღვევო კომპანიებთან ერთად. აგრარულ სექტორში ორი ძირითადი სახის რისკი გვხვდება: ფასებთან და მოსავალთან დაკავშირებული.

ესპანეთში სადაზღვევო პრემიების 50% სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო თავად ახორციელებს სადაზღვევის ოპერაციებს სპეციალური სახელმწიფო კომპანიის მეშვეობით (CCS). ქვეყანაში დიდია ასევე ფერმერთა ასოციაციების როლი რისკების მართვის და დაზღვევის სისტემის განვითარებაში³³.

³² იგივე, გვ. 199-226.

³³ *Managing Risk in Agriculture*, policy assessment and design, OECD Publishing, 2011, გვ. 227-254.

1. ბერიძე რ. საბანკო მენეჯმენტი, თბ, 2009.
2. ბორჩაშვილი ბ. საბანკო რისკების მართვის თავისებურებები საქართველოში. თსუ, 2011.
3. დაზღვევა სოფლის მეურნეობაში, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, 2010 წ.
4. დებულევა „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008 წ.
5. ლაზვიაშვილი ნ. რისკ-მენეჯმენტი, სტუ 2010.
6. ნარმანია დ. გეთია შ. საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა და ტენდენციები ფინანსური კრიზისის განვითარებიდან ერთი წლის შემდეგ, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, თბ, 2009 წ.
7. საქართველოს ეროვნული ბანკი, <http://www.nbg.gov.ge>
8. ფარესაშვილი ნ. „რისკ-მენეჯმენტი როგორც ეფექტიანი სისტემა განუსაზღვრელობის პირობებში“, თსუ, 21-22 ოქტომბერი, 2011.
9. **Chapman R. J.** *Simple Tools and Techniques for Enterprise Risk Management*, The Wiley Finance Series, 2006.
10. **Charles P. Kindleberger and Robert Aliber.** *Manias, Panics, and Crashes: A History of Financial Crises*, 5th ed. Wiley, 2005.
11. **Davidson J.F.** *Managing risks in organizations, a guide for managers*, San-Francisco, USA 2003.
12. **Druckert G.H.** *Practical Enterprise Risk-Management*, a business process approach, USA 2011.
13. **Fraser J., Simkin B.** *Enterprise Risk Management: Today's Leading Research and Best Practices for Tomorrow's Executives* (Robert W. Kolb Series), USA 2010.
14. **Hampton J.J.** *Fundamentals of Enterprise Risk Management: How Top Companies Assess Risk, Manage Exposure, and Seize Opportunity*, NY, USA 2009.

15. **Hardaker, J. Brian, Ruud B.M. Huirne, and Jock R. Anderson,** *Coping with risk in Agriculture*, CAB International, Wallingford, USA, 2004.
16. **Hopkin P.** *Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management*, London, UK 2010.
17. **Kovzanadze I.** *Economic and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition*, iUniverse, Inc., New York, 2008.
18. **Mikes A.** *Enterprise risk management in action*, ESRC - center for analysis and risk and regulation, London, UK 2005.
19. **Nehme N.,** *Agricultural Risk Management in s Market Oriented Economy*, Agricultural Policy Forum, NAPC, Damascus, 2007.
20. **Raghavan R.S.** *Risk Management in Banks*, University of Madras, India, 2003.
21. *Enterprise Risk Management - Integrated Framework*, Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission (COSO), 2004.
22. *Managing Risk in Agriculture*, policy assessment and design, OECD Publishing, 2011.
23. *Risk Management Tools for EU Agriculture with a special focus on Insurance*, European Commission, January 2001.
24. *Strengthening the resilience of the banking sector*, Basel Committee on Banking Supervision, Bank of International Settlements, 2009, Basel, Switzerland, www.bis.org
25. **Балдин К.Б., Воробьев С.Н.** *Управление рисками*, М., ЮНИТИ-ДАНА, 2005.
26. **Воронин Ю.М.** *Управление банковскими рисками*. М., 2007.
27. **Ермасова Н.Б.** *Риск-менеджмент организации*, М., Альфа-Пресс, 2005.
28. **Хохлов Н.В.** *Управление риском*, М., ЮНИТИ-ДАНА, 2001.

ISBN 978-9941-17-699-9

